

მნათობი

13

1

0363360



1951



მნათობი

5070

1955

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხარგრული
და საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი

საპარტიო საბჭოს მდივანის კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხე

1

★

ი ა ნ ვ ა რ ი

19

სახელგამი
თბილისი

51





მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი, მოწინავე
სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესახებ, — ამხანაგ ქ. ნ. ჩარკვიანი ს მოხსენებიდან თბილისის XX პარტიული კონფერენციის
ფურცლებზე 1951 წლის 10 იანვარს

ირაკლი აბაშიძე — 21 იანვარი, ლექსი	19
ალექსანდრე მუხომბერი — პირისპირ, რომანი, გავრცელება	21
მარალაშვილი — ახალი წელი, ლექსი	35
არჩილ ჩაჩიბაძე — გადამოღობი ველი, მოთხრობა	36
ბონდო ქაშვილი — ახლა რუსთაველი მუშაობს იგი, ლექსი	42
ზურაბ ლორთქიფანიძე — ქართველ მწვემებს, ლექსი	44
მ. პატარაძე — უჩა უჩარდია, კომედია 4 მოქმედებად	45
ტიუსონ მონი (კორეელი პოეტი) — სამსჯავრო დაიწყო, ლექსი, თარგმანი ე. ბე- წუკელი	84
ალექსანდრე აუშვინი — რუსლან და ლილემილა, პოემა, გავრცელება, თარგმანი ქ. ჭიჭინაძისა	85
მოსად ფასტი — ლიტერატურა და სინამდვილე, წერილი, თარგმანი ლ. კალან- დაძისა	95
ჟ. ბაყრაძე — ჩეხეთის თეატრის მუშაობისათვის მებრძოლი იდუღის ფუნქცია, წერილი	114
პავლე ინგოროვაძე — გიორგი მერჩულე, წერილი, გავრცელება	120
გივი ბაჩიანი — გრიგოლ აბაშიძე — ლექსები და პოემები, ბიბლიო- გრაფია	146
ნოდარ შამანაძე — ა. ჩხენკელი — „ქართველი სახსოვარი“, ბიბლიოგრაფია	150
ს. მამუკაშვილი — მ. დავითაშვილი — „გენერალი ლესელიძე“, ბიბლიოგრაფია	152
მ. მუხომბერი — წიგნი მილიონერი კოლმეურანეობის შესახებ, ბიბლიოგრაფია	154
ბ. ბოლქვაძე — კარგე მუშაობა — „ყირობის მიწაზე“, ბიბლიოგრაფია	156
ახალი წიგნები	158

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია

ნიკოლოზ აბაშიძე (პასუხისმგებელი მდიანი), ლევან ასათიანი,
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვი-
ლი, შალვა რადიანი, ლეო ზინკაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ
ჩხეიძე, სერგი შილაია.

ზემოთწერილი დასაბუთად 17/II-51 წ. ნაბუდ ფორმათა ჩაოდენობა 10.
შე 00520. შეჯ. № 62. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქმიანობის განყოფილების ბეჭდვის
სიტყვის კომისია, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელ. 3-23-42.

მგროველთა დიდი გულადი და მასწავლებელი



27 წელი შესრულდა ბოლშევიკური პარტიის დიდი ბელადისა და ორგანიზატორის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს შრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების დღიდან.

განვლენ საუკუნეები, მაგრამ ლენინის შარავანდელით მოსილი სახელი მუდამ იელვარებს კომუნიზმის დროშებზე, კომუნისტური საზოგადოების მომავალი თაობის დროშებზე. ლენინის სახელთან დაკავშირებულია ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ლენინის სახეს და მოღვაწეობას უკავშირებენ მთელი მსოფლიოს ხალხები ადამიანის კეთილშობილების, სამართლიანობის, პატიოსნების, ინტელექტუალური ძალისა და ზნეობრივი სილამაზის მაღალ ცნებებს. ლენინი უკვდავია, როგორც უკვდავია მისი დიადი მოძღვრება, როგორც უკვდავია მთელ მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვების საქმე.

მთელი მსოფლიოს ხალხები მარადი, ჩაუქრალი დიდებით მოსავენ ძვირფას სახელს — ლენინი. ეს სახელი — ის დროშაა, რომლითაც იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის შრომელი და დაამარცხეს კაპიტალისტები, მემამულეები, უცხოელი ინტერვენტები. ეს სახელი — ის დროშაა, რომლითაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი იბრძვის კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

სულ ახალ-ახალი ხალხები ადგებიან სოციალისტური მშენებლობის გზას; ახალი ისტორიული ამოცანების გადაჭრა უხდება ჩვენს დიად პარტიას ბოლშევიკებისას და მსოფლიოს მოძვე კომუნისტურ პარტიებს. მაგრამ ერთდერით უტყუარ კომპასად, რომელიც უჩვენებს გეზს კომუნიზმისაკენ, რჩება ლენინის დიადი მოძღვრება.

„არასოდეს მარქსის შემდეგ პროლეტარიატის დიადი განმათავისუფლებელი ამოძრავის ისტორიას არ წამოუყენებია ისეთი ბუმბერაში ფიგურა, როგორც ჩვენი განსვენებული ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი. ყველაფერი, რაც კი არის პროლეტარიატში ჭეშმარიტად დიადი და გმირული — უშიშარი გონება, რკინისებური, შეუდრეკელი, მტკიცე, ყველაფრის მძლეველი ნებისყოფა, სამღეთო სიძულვილი, სიძულვილი სიკვდილამდე მონობისა და ჩაგვრისა, რევოლუციური აღტყინება, რომელიც მთებს ამოძრავებს, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისა, უდიდესი ორგანიზაციული გენია — ყოველივე ამან დიდებული განსახიერება ჰპოვა ლენინში, რომლის სახელი გახდა სიმბოლო ახალი მსოფლიოსი დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე“. ასე დაახასიათა ლენინის სახე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მიმართვაში „პარტიისადმი, ყველა შრომელისადმი“ 1924 წლის იანვრის სამწუხარო დღეებში.

ლენინმა, მარქსისა და ენგელსის მოძღვრების დიდმა განმგრობმა, აღორძინა მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, მიჩქმალული II ინტერნაციონალის

ოპორტუნისტების მიერ, და განავეთარა მარქსიზმი კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში. ლენინმა დაგვიჩვენა, რომ პროლეტარული რევოლუცია და პროლეტარიატის დიქტატურა ვერ შეიძლება ვებს თუ მუშათა კლასს არ ეყოლება რევოლუციური პარტია, რომელიც თავისუფალია ოპორტუნისტებისაგან, შეურიგებელია შემთანხმებელთა და კაპიტულანტთა მიმართ, რევოლუციურია ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ.

ლენინის პიროვნებაში შეერთებულია მილიონიანი მასების ორგანიზატორისა და მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსის ძლიერი ნიჭი. ლენინის სახელთან დაკავშირებულია მეცნიერული კომუნისმის განვითარების ახალი ეტაპი. ლენინის ეკუთვნის უდიდესი აღმოჩენანი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონთა სფეროში. იგი შემოქმედია იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმ-ლენინიზმისა. ლენინისთვის მარქსიზმი დოგმა კი არ იყო, არამედ სახელმძღვანელო მოქმედებისათვის.

ლენინმა ცხადყო, რომ იმპერიალიზმი — ეს არის კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, როცა იგი „პროგრესული“ კაპიტალიზმიდან გადაიქცა პარაზიტულ, ლობად, მომაკვდავ კაპიტალიზმად. იმპერიალიზმი, როგორც მომაკვდავი კაპიტალიზმი, ეს არის პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის წინაღუღ. ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის უთანაბრო ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების კანონი. გამოდიოდა რა ამ კანონიდან ლენინმა წარმოაყენა ახალი თეორია, რომ სოციალიზმის გამარჯვება ერთ და იმავე დროს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში შეუძლებელია და რომ თავდაპირველად სოციალიზმის გამარჯვება სავსებით შესაძლებელია რამდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში.

ეს იყო ჩვენი ეპოქის უდიდესი აღმოჩენა. სოციალისტური რევოლუციის ლენინისეული თეორია ბრწყინვალედ დადასტურდა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების დიადი ისტორიული გამოცდილებით. განაგრძო რა ლენინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ცხადყო რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ისტორიული გადასვლის შემდგომი განვითარება მოხდება კაპიტალისტური სისტემიდან ახალ-ახალი ქვეყნების გამოთიშვით და მათი სოციალიზმის გზაზე გადასვლით. ეს მეცნიერული წინასწარჭერება სავსებით გამართლდა. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად იმპერიალიზმის ბორკილებს გამოუსხლტა ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებიც სოციალისტური განვითარების გზას დაადგნენ.

ლენინის დაუფასებელ ღვაწლს შეადგენს მის მიერ საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო სახელმწიფო ფორმის, აღმოჩენა. კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საბჭოთა ფორმამ მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისთავი.

ლენინმა მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის ნათელი მოძღვრება, მან დაგვანახა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში პროლეტარიატის დიქტატურა დემოკრატიის უმაღლესი ტიპია, რადგან ის გამოხატავს ხალხის უმრავლესობის ინტერესებს, შრომელთა ინტერესებს.

ლენინმა დაამუშავა პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხი ყოველგვარ სახალხო რევოლუციაში — როგორც ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ რევო-



ლუციაში, ისე კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაში. ლენინმა ყოველმხრივ დაამუშავა აგრეთვე ნაციონალურ-კოლონიური საკითხები რევოლუციაში. ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, ლენინი ერთმანეთს უკავშირებდნენ ნაციონალურ-კოლონიურ საკითხს და იმპერიალიზმის დამხობის საკითხს და მას უყურებდა როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის შემადგენელ ნაწილს.

ლენინის გენიამ დაინახა, რომ XX საუკუნის დამდევს რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა. სწორედ რუსეთი იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტი, სწორედ ის, ამხანაგ სტალინის მხატვრული თქმით, ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო ფეხმძიმედ იყო რევოლუციით, და ამის გამო მხოლოდ მას შეეძლო გადაეწყვიტა ეს წინააღმდეგობა რევოლუციური გზით. ისტორიული განვითარების მსვლელობამ დაანახა ლენინს, რომ რუსეთი პირველი დაიწყებს მთელ რიგ რევოლუციებს ახალ ეპოქაში და რომ რუსეთის მუშათა კლასი გამოდის საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის მოწინავე პოზიციებზე.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდევს ლენინი და სტალინი მარქსიზმის მტრებთან დაუნდობელი ბრძოლით უყრიდნენ საძირკველს ბოლშევიკურ პარტიას. ისინი თანმიმდევრულად ებრძოდნენ ოპორტუნისტებს მუშათა მოძრაობაში, თავს უყრიდნენ და რაზმავდნენ რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციურ ავანგარდს. უახლოესი თანამგებობით ლენინი და სტალინი ამუშავებდნენ ბოლშევიზმის იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს.

მძიმე იყო ის გზა, რომლითაც მარქსიზმის მტრებთან სასტიკი შეჯახებების პირობებში ლენინი და სტალინი მიუძღოდნენ ჩვენს პარტიას. პარტიის მშენებლობაში წარმატებაც ვეჭონია და წარუმატებლობაც. ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული ძალით იჩენდა თავს ბოლშევიზმის ბელადთა სიდიადე, ურყეობა, სიმამაცე.

1917 წელს რუსეთის მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, ისტორიაში პირველად დაამხო ბურჟუაზიის ხელისუფლება, გაარღვია მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის რკალი და დაადგა სოციალისტური საზოგადოების შექმნის გზას.

XX საუკუნე მომავალ თაობათა შეგნებაში შევა როგორც ლენინ-სტალინის საუკუნე. ეს სახელები დროშაა ჩვენი დროის პროგრესული ძალების ძლევაში სილი ბრძოლისა საზოგადოებრივი ცხოვრების მოქმელებული, დრომოქმული ფორმების წინააღმდეგ.

ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს შენება ბოლშევიკურ პარტიას განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა. ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც წვრილი სასაქონლო მეურნეობა ჭარბობდა, გაჩანაგებული იყო ომით, გარშემორტყმული იყო იმპერიალისტური მტაცებლებით. ბოლშევიკების პარტიას და მუშათა კლასს სოციალისტური მშენებლობის არაერთგვაროვანი ნიჭში, არაერთგვაროვანი გამოცდილება არ ჰქონდა. ჩვენი სამშობლოს მშრომელებს პირველად მოუხდათ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უვალი გზით სიარული. ...ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და კიდევაც ვამაყოთ იმით, — აღნიშნავდა ლენინი, — რომ წილად გვხვდა ბედნიერება — დავიწყეთ საბჭოთა სახელმწიფოს შენება, დავიწყეთ ამით მსოფლიო ისტორიის

ახალი ეპოქა, ეპოქა ახალი კლასის ბატონობისა, რომელიც დაიბრუნდა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში და ყველგან მიიღეს ახალი ცხოვრების წესი, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, პიტაღის უღლისაგან, იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის ხსნისაკენ“ (თხზ., ტ. XXVII, მე3 გამოც., გვ. 27).

ლენინმა ახალში გაუკეთა ობიექტურ ვითარებას, ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანის განხორციელებისას პარტიის წინაშე წამოჭრილ საძნელებებს და ის დასკვნა გამოიყვანა, რომ კომუნიზმისაკენ სვლა შესაძლებელია მხოლოდ მთელი რიგი გარდამავალი საფეხურების გავლით და ლენინმაც თავისი გენიის მთელი ძალა იქიტიენ მიმართა, რომ ებოვა, განესაზღვრა ის ეტაპები, რომელნიც მიიმართებოდნენ გარდამავალი პერიოდის პირობებში მეურნეობის მრავალწყობიანი სისტემიდან სოციალისტური წყობის განუყოფელ ბატონობისაკენ. ამის მაგალითს წარმოადგენდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ნეპი), რომელიც შემოღებული იყო იმ იმედით, რომ სოციალისტური ელემენტები სძლევენ კაპიტალისტურ ელემენტებს. პრაქტიკამ სავსებით დადასტურა ლენინის მტკიცე, სინამდვილის კანონების შეცნობაზე დამყარებული, რწმენა, რომ „ნეპური რუსეთიდან მივიღებდით სოციალისტურ რუსეთს“.

„ლენინის სიდიადე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, — აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი, — რომ, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით მან საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა დიდხანს ვერ გასტანს, რომ შრომის სამეფო შეიძლება დამყარდეს ავით შპრომელთა ძაღლით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაში. ამით მან განათავისუფლების იმედი აუნთო გულში მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი შპრომელი და ექსპლოატირებული მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა“. (თხზ., ტ. 6, გვ. 57).

ამ პერიოდში მთელმა მსოფლიომ დაინახა ლენინის სიდიადე — მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და ხალხის ბელადის, ახალი ტიპის ბელადის, თვალსაჩინო ღირსებები.

მსოფლიოს ჯერ არასოდეს ენახა პარტიისა და სახელმწიფოს ასეთი ბელმძღვანელი, რომლის პირობებში ასე შეხამებული ყოფილიყოს თეორიული სიძლიერე, რკინისებური ნება და მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ-ორგანიზაციული გამოცდილება, ხალხის მასების უღრმესი ცოდნა. ლენინის მთელ მოღვაწეობას ახასიათებდა უმკიდროვესი კავშირი ხალხთან და რწმენა მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალებისა, შპრომელი მასების ძალებისა.



1924 წლის 21 იანვარს ლენინი გარდაიცვალა. მისი სიკვდილი უდიდესი უბედურება იყო ბოლშევიკური პარტიისა და მუშათა კლასისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, მთელი მსოფლიოს შპრომელებისათვის.

სამგლოვიარო დღეებში სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დადო დიადი ფიცი. მან თქვა: „ჩვენ, კომუ-



ნისტები, განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შეეჯდნენ უფროდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის აზრებს: ჩვენ ვართ რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიდი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა, გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რათა ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც!

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშებისა და გლეხების კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!

ამხანაგი ლენინი დაუღალავად გველაპარაკებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობაზე, რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკების კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო, ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!..

ლენინს არა ერთხელ მიუთითებია ჩვენთვის, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვახესი ამოცანაა... მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი!..

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი!" (თხზ., ტ. 6, გვ. 55 — 61).

ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავის ბელადისადმი, ლენინისადმი, რომელიც იცოცხლებს საუკუნეებში.

ლენინის სიკვდილის შემდეგ ამხანაგი სტალინი, ხელმძღვანელობდა რა ლენინის იდეებით, შემოქმედებითად ავითარებდა რა მათ გაბედულად გაუძღვა პარტიას და საბჭოთა ხალხს წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ამხანაგმა სტალინმა უზრუნველყო ბოლშევიკური პარტიის — საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის განმტკიცება. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების პარტიამ ამხილა და გაანადგურა ტროცისტების, შინოვიეველების, ბუხარინელებისა და სხვათა ანტი-ლენინური, ანტისაბჭოური მიმდინარეობანი; ეს ხალხის მტრები ცდილობდნენ

ჩვენი ქვეყანა დაეყენებინათ კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე და იგი იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიად გადაექციათ. ამხანაგმა სტალინმა ლენინის დიადი მოძღვრება დაიცვა საზიზღარი კაპიტულანტებისაგან; ხალხს მტრებისაგან. ამხანაგმა სტალინმა უდიდესი განძი შესძინა ლენინიზმს. ლენინიზმის ძირითადი დებულებები — პროლეტარიატის დიქტატურის, კომუნისტური პარტიის როლისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ — განვითარებული და კონკრეტულად სტალინის გენიალურ შრომებში. ამხანაგმა სტალინმა თეორიულად გადაწყვიტა უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საკითხები და თავისი ზელმძღვანელობით უზრუნველყო მათი პრაქტიკულად განხორციელება.

ამხანაგმა სტალინმა მარქსისტულ-ლენინური თეორია გაამდიდრა ახალი მეცნიერული დებულებებით. ამხანაგ სტალინის, მეცნიერების უდიდესი კორიფეის, თეორიული მუშაობა აიარაღებს საბჭოთა ხალხს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის საბრძოლველად, აიარაღებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

სტალინი საყოველთაოდ აღიარებული ბელადია მსოფლიო კომუნისმისა, ხალხის სასოება და იმედია.

„ძნელია წარმოიდგინო ბუმბერაზი, როგორიცაა სტალინი, — ამბობდა ძგზნებარე რევოლუციონერი ს. მ. კიროვი. — უკანასკნელი წლების მანძელზე, იმ დროიდან, რაც ჩვენ ვმუშაობთ ულენინოდ, ჩვენ არ ვიცით არც ერთი შემობრუნება ჩვენს მუშაობაში, არც ერთი რამდენადმე დიდი წაშოწყება, ლოზუნგი, მიმართულება ჩვენს პოლიტიკაში, რომლის ავტორი არ ყოფილიყოს ამხანაგი სტალინი. მთელი ძირითადი მუშაობა — ეს უნდა იცოდეს პარტიამ — მიმდინარეობს ამხანაგ სტალინის შიშით თებებით, ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. საერთაშორისო პოლიტიკის ყველაზე დიდი საკითხები წყდება მისი მითითებებით; მას აინტერესებს არა მარტო ეს დიდი საკითხები, არამედ, თითქოს, მესამე და მეათეხარისხოვანი საკითხებიც, თუ ეს საკითხები ეხება მუშებს, გლეხებს და ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა მშრომელს“. (ს. კიროვი, რჩეული სტატიები და სიტყვები, გვ. 609 — 610, სახპოლიტგამომცემლობა, 1939 წ.).

ამხანაგმა სტალინმა დაამუშავა ერთ ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული გზებისა და ფორმების საკითხი, დაამუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პრობლემები. განავეითარა რა სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია, ამხანაგი სტალინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კაპიტალისტური გარემოცვა დარჩება. „ამხანაგ სტალინის ეს დასკვნა ამდიდრებს ლენინიზმს, აიარაღებს მუშათა კლასს ახალი იდეური იარაღით, აძლევს პარტიას კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიად პერსპექტივას, წინ სწევს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას“. (ი. ბ. სტალინი. მოკლე ბიოგრაფია, გვ. 170, 1949 წ.). ამხანაგმა სტალინმა შექმნა მთლიანი და დასრულებული მოძღვრება

სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ ის არის შემოქმედი განთქმული ინტორიული დოკუმენტის — ახალი, სტალინური კონსტიტუციისა, რომელიც კანონმდებლობის გზით განამტკიცებს სოციალიზმის გამარჯვებულ გზას ქვეყანაში.

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი ჰანრი ბარბიუსი, გამოხატავდა რა მთელი პროგრესული კაცობრიობის გრძნობებს და აზრებს სტალინის შესახებ წერდა:

„ლენინი არის ყველგან, სადაც კი არიან რევოლუციონერები. მაგრამ შეიძლება ითქვას: არავისში ისე არ არის განსახიერებული ლენინის აზრები და სიტყვები, როგორც სტალინში. სტალინი — ეს არის ლენინი დღეს“.

ამხანაგი სტალინი მოუწოდებს მშრომელებს დაუღალავად ისწავლონ ლენინისგან, განუხრელად მისდიონ დიდი მასწავლებლისა და ბელადის ანდერძებს. 1925 წელს „რაბოჩაია გაზეტაში“ ამხანაგმა სტალინმა მოწოდებით მიმართა საბჭოთა ადამიანებს: ვახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ლენინი, აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა ლენინისებურად.

გამოვიდა რა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე 1937 წლის 11 დეკემბერს, ამხანაგმა სტალინმა თქვა: „ამომრჩეველებმა, ხალხმა თავიანთ დეპუტატებს უნდა მოთხოვონ, რომ ისინი დარჩნენ თავიანთი ამოცანების სიმძლავრეზე, რომ ისინი თავიანთ მუშაობაში არ დაეშვნენ პოლიტიკური ობიექტების დონემდე, რომ ისინი დარჩნენ ლენინის ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეთა პოსტზე, რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები როგორც ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და პორიზონტზე რაიმე საფრთხე ისახება, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარ ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორც იყო ლენინი, რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორც იყო ლენინი, რომ მათ ისევე უყვარდეს თავიანთი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“ (სტალინი. ლენინის შესახებ, გვ. 49, 1947 წ.).

დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში ამხანაგ სტალინს არა ერთხელ მოუგონებია საბჭოთა ადამიანებისათვის ლენინის შესახებ. 1941 წლის 7 ნოემბერს, როცა მტერი მოსკოვს ემუქრებოდა, მთელი მსოფლიოს გასაგებად გაისმა ამხანაგ სტალინის შთამაგონებელი სიტყვები წითელ მოედანზე: „დიდი ლენინის სული და მისი ძლევამოსილი დროშა აღგვაფრთოვანებენ ჩვენ ახლა სამამულო ომისათვის ისევე, როგორც 23 წლის წინათ“. გზას ულოცავდა რა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ფრონტზე მიმავალ მეომრებს, ამხანაგი სტალინი მიმართავდა მათ: „დაე, გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!“

ლენინის დიდი დროშის მფარველობით, სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ადამიანებმა სასტიკად გაანადგურეს მტერი, რომელმაც ხელყო სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

შერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები,

შუშათა კლასის საქმის მოლაღატენი შემარჯვენე სოციალისტები, ცდილობენ, იარაღით დაატრილონ უკან ისტორიის ჩარხი, გრძნობენ რა თუ რაღაცეა შესაძლებელი ნიადაგი ფეხქვეშ, ისინი მზად არიან უსაზღვრესი დანაშაული ჩაიდინონ კაცობრიობის წინაშე. ისინი მზად არიან ნანგრევებად აქციონ მთელი მსოფლიო, რათა დროებით მაინც შეინარჩუნონ ძალაუფლება. მაგრამ ისტორია წინ მიდის ჩვენ მტკიცედ მივლივართ წინ მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ. „დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ლენინისა და სტალინის მიერ დასახული თავისი გზიდან გადაახვევის საბჭოთა ხალხს“. (ლ. პ. ბერია. კომუნიზმის გამარჯვებათა დიდი შთამავლებელი და ორგანიზატორი, გვ. 23, 1949 წ.).

ლენინიზმმა გაიმარჯვა სსრ კავშირში, იგი იმარჯვებს და გაიმარჯვებს კიდევ მთელ მსოფლიოში.

სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების შემაჯავებელი საკითხის შესახებ

ამხანაგ კ. ნ. ჩაჩუკიანის საანგარიშო მოხსენებიდან თბილისის
XX პარტიულ კონფერენციაზე 1951 წლის 10 იანვარს

★

თბილისში თავმოყრილია ყველა ჩვენი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირები. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს დედაქალაქის პარტიულ ორგანიზაციას ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის.

ქართული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის უდიდესი წარმატებანი ფართოდ არის ცნობილი. ამიტომ საჭიროდ არ მიმაჩნია შევაჩერო თქვენი ყურადღება მათს ჩამოთვლაზე. უფრო სასარგებლო იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებებზე ამ დარგში.

გასულ წელს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის ნაშრომების გამოქვეყნება. ამ შრომების მნიშვნელობა შორს სცილდება ენათმეცნიერების ფარგლებს. მათში ამხანაგმა სტალინმა ახლებურად დააყენა და გენიალურად გადაჭრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელი რიგი ძირითადი საკითხები. ამ ნაშრომებს ახალ საფეხურზე აყვავებ ჩვენი პარტიის მთელი იდეოლოგიური ცხოვრება.

ამხანაგ სტალინის ახალმა შრომებმა ცხადყო ბევრი ნაკლი ჩვენი მუშაობისა მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების განვითარების საქმისადმი ხელმძღვანელობაში. ეს პირველ რიგში ეხება ქართული ლიტერატურული ენის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, როცა ქართველმა ხალხმა მიიღო თავისი სახელმწიფოებრიობა და განუსაზღვრავს შესაძლებლობანი კულტურის განვითარებისა მშობლიური ენის საფუძველზე, ქართული ლიტერატურული ენა უმაგალითოდ განვითარდა და გამდიდრდა. ჩვენ ამჟამად გვაქვს ვრცელი მათემატიკური, ტექნიკური, ფილოსოფიური, აგრონომიული ტერმინოლოგია. მეცნიერების ყველა დარგში შექმნილია სპეციალური, სასწავლო და პოპულარული ლიტერატურა. ჩვენს უმაღლეს სკოლაში აღზრდილია სპეციალისტთა კადრებმა ფართოდ გაავრცელეს სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინები და ცნებები და დაამკვიდრეს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახლა მშენებლობებზე, მტს-ებში, ქარხნებში ქართველი სპეციალისტები და მუშები ძირითადად ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიით სარგებლობენ. მთელი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს მშობლიურ ენაზე ითვისებს.

ყოველივე ეს საბჭოთა ხელისუფლებამდე წარმოდგენილი იყო, რადგან სკოლიდან, სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ქარხნებიდან და დაწესებულებიდან ქართული ენის განდევნის გამო სპეციალური ტერმინოლოგია და გამოყენება არ იქმნებოდა და ჩვენს მეცნიერთა ცალკეულ ცდებს ამ მიმართულებით არ შეიძლებოდა შესამჩნევი შედეგები მოჰყოლოდა. ამის გამო იმ დროს ქართული ენა, რომელსაც მდიდარი ლექსიკა და გრამატიკული წყობის მოქნილი ფორმები ჰქონდა და მხატვრული ლიტერატურის, თეატრის, ნაწილობრივ პუბლიცისტურ მეცნიერებათა განვითარების მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა, სუსტი იყო როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების იარაღი. ახლა კი, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკური პარტიის მხრუწველობის მეოხებით ჩვენ ერთ-ერთი უმდიდრესი და კულტურული ენის პატრონი ვართ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ენა შემდგომ აღარ უნდა განვითარდეს.

„მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა,—ამბობს ამხანაგი სტალინი,— ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას“.

მაშასადამე, ქართველი ხალხის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფი განვითარების მხარდამხარ უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ენაც. ახალი საჭირო სიტყვებით გადიდრებასთან ერთად, ენა უნდა სრულყოფდეს თავის გრამატიკულ წყობასაც. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ენა უნდა დანაგვიანდეს ზედმეტი პროვინციალიზმებით, ცალკეული ადამიანების მიერ გამოგონილი ხელოვნური სიტყვებით. ეს აგრეთვე არ ნიშნავს იმას, რომ ყოველ მწერალს ან ენათმეცნიერს შეუძლია თვითნებურად შეცვალოს ენის ნორმები და გრამატიკული წესები.

სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს გამოჩენილ მწერალს, ლიტერატურათმცოდნეს, ლინგვისტს, რომლებიც მოწოდებული არიან წამყვანი როლი შეასრულონ ქართული ენის შემდგომი განვითარების საქმეში, ასე როდი ესმით ეს ამოცანა.

ამ მწერალთა და მეცნიერთა პოზიციების მცდარობა რომ შევაფასოთ, ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით გავისხენოთ ახალი ქართული ლიტერატურული ენის შექმნისა და დამკვიდრების ისტორიის ზოგიერთი მომენტი.

ახალი ქართული ლიტერატურული ენის საფუძველს წარმოადგენს ქართლ-კახური დიალექტი, რომელიც შევსებულია სხვა ქართული კილოების ენობრივი მასალით და რომელმაც შემკვიდრებად მიიღო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწერლო ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

ახალი ლიტერატურული ენის დამკვიდრების დიდ ეროვნულ საქმეში გადაწყვეტი როლი შეასრულეს ჩვენი ლიტერატურის უდიდესმა მოღვაწეებმა და ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა, აგრეთვე გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა. შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებნი „კაცია-ადამიანი?!“, „გლაზის ნამბობი“, „აკაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქვრივი“, აგრეთვე აკაკი წერეთლის ნაწარ-

მოებნი „ბაში-აჩუკი“ და სხვ. ახალმა ენამ საეცხებით განდევნა დროთაძველი არქაული ენა, რომელსაც ხელოვნურად იცავდნენ ფეოდალური რეჟიმის ლიტერატორები. საქართველოს ყველა კუთხეში ახალი ლიტერატურული უნის გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის დედაენის სახელმძღვანელოებს, რომლებზეც ქართული ხალხის თაობები აღიზარდნენ.

თავის მრავალ სტატიაში, რომლებიც ამუშებდა საქართველოს მაშინდელი ეკონომიურ და პოლიტიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა დარგს, მის ისტორიას, მის კულტურას, ილია ჭავჭავაძეს შემოჰქონდა ახალი სიტყვები და გამოთქმები ეპოქის მიერ წამოყენებული ახალი ცნებების აღსანიშნავად. მაგრამ ამ სიტყვებს იგი კი არ იგონებდა, არამედ ქმნიდა ქართული ლექსიკური მასალისა და ქართული ენის მიერ შეთვისებული პირველ რიგში რუსული სიტყვების, აგრეთვე გავრცელებული უცხო სიტყვების საფუძველზე.

მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემდეგი თაობა ძირითადად განაგრძობდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხაზს და ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურული ენის განუწყვეტელ განვითარებას.

სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური ტერმინებითა და გამოთქმებით ქართული ენის გამდიდრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის აღრინდელ ნაშრომებს, რომლებიც დაწერილია ქართულ ენაზე.

ამხანაგ სტალინის ეს ნაშრომები შესანიშნავია აგრეთვე როგორც ქართული ლიტერატურული სტილის ნიმუში. სხარტი ფრაზები, მკაფიო გამომსახველობა, გენიალური სისადაე და სიცხადე, — აი რით ხასიათდება ამ ნაწარმოებთა ენა.

შეი რეაქციისა და მენშევიკთა ხანმოკლე ბატონობის წლებში ქართული ენის განვითარების საქმეს დიდი ზიანი მიაყენეს მენშევიკმა ლიტერატორებმა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ისინი თავიანთ ნაწერებში სარგებლობდნენ არა ლიტერატურული ენით, არამედ დასავლეთ საქართველოს კილოებით, რომლებსაც ახასიათებს ძირითადი სიტყვების შეკვეცილი დაბოლოებანი და ნაკლებად გასაგები პროვინციული გამოთქმები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა ერთგული სტალინელი ამხ. ლ. პ. ბერია, ქართული ხალხის მეურნეობისა და კულტურის სწრაფ ზრდასთან ერთად მდიდრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართული ენაც, ამასთან აღდგენილ იქნა მისი განვითარების სწორი ხაზი, რაც დაისახა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის დროიდან. ეს ხაზი კვლავაც უნდა გავრცელდეს.

ცოცხალი ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა. კოლმეურნეობები მათი მაღალგანვითარებული სოციალისტური მეურნეობით, კულტურითა და ყოფაცხოვრებით, მათი მჭკფარე საზოგადოებრივი ცხოვრებით, უდიდესი უხვად აღჭურვილი საწარმოები და ახალშენებლობანი, სადაც შემოქმედებითის შრომას ეწევიან ჩვენი სახელოვანი მეუშათა კლასი და ტექნიკური ინტელიგენცია, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლა — აი სად წარმოიშობა ჩვენი ცხოვრების ახალი მოვლენები, ჩნდება

ახალი ცნებები და, მამასადამე, მდიდრდება ენა, რომელიც უშუალოდ ასახავს ამ მოვლენებს და აღნიშნავს მათ ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით. ჩვენი მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა მოვალენადად აღეწონ თვალი ახალ ენობრივ მოვლენებს, ახალი სიტყვებიდან და გამოთქმებიდან შეარჩიონ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მართლა საჭიროა ლიტერატურული ენისათვის, და ისინი საყოველთაო კეთვნილებად გახადონ.

მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის, სკოლის, თეატრის, გაზეთების, ჟურნალების საშუალებით აქტიურად უნდა შეეუწყოს ხელი მთელ ხალხში თანამედროვე ერთიანი ქართული ენის შემდგომ დამკვიდრებას. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

ჩვენ უნდა გვაძლიეროთ ბრძოლა ენის სიწმინდისათვის. და სავსებით სწორად მოიქცა გაზეთი „კომუნისტი“, რომ გამოვიდა ქართული ლიტერატურული ენის დამახინჯებისა და არქაიზმებით დანაგვიანების წინააღმდეგ მწერალ კ. გამსახურდიას მიერ, რომელიც თავგამოდებით ცდილობს აიძულოს საბჭოთა ადამიანები ილაპარაკონ ადრინდელი შუასაუკუნეობრიობის, თანაც დასავლეთევროპული ბარბარისმებით შეზავებული ენით.

ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნების საქმეში, თუმცა გაცილებით ნაკლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც სცოდავს ზოგიერთი სხვა მწერალიც.

ჩვენ ყველანი ვაფასებთ და პატივს ვცემთ ერთ-ერთ საუკეთესო საბჭოთა პოეტს ამხ. გ. ლეონიძეს. მისი შესანიშნავი ეპოპეა ბელადის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის კეთვნილება გახდა და თარგმნილია მსოფლიოს ბევრი ხალხის ენაზე. ამხ. ლეონიძემ მშვენიერი ლექსებით უმღერა ქართველი ხალხის თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამხ. ლეონიძე ზოგჯერ დაუდევრად ეპყრობა ქართული ენის სიწმინდეს. ეს აქ იმიტომაც უნდა ითქვას, რომ ამხ. ლეონიძე პარტიის წევრია.

ამხ. ლეონიძის ზოგიერთ ნაწარმოებში ხშირად შეხვდებით ავტორის მიერ გამოგონილ ზედმეტ კომპოზიტებსა და ახალ სიტყვებს. მაგალითად, მას პოეზიაში შემოაქვს სიტყვა „ცხენმხედარი“. (ს ი ც ი ლ ი). იგი ხმარობს გამოთქმას „ნიავე სამინდორული“, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ გაიგებს, „წვიმის“ ნაცვლად რითმის გულისათვის წერს „წვიმილს“ და ა. შ.

გამოგონილი სიტყვები, გამოთქმები და გაუგებარი სახეები გვხვდება მეორე ნიჭიერი პოეტის, პარტიის წევრის ამხ. ს. ჩიქოვანის ლექსებსა და პოემებშიც. მაგალითად, ვერ გაიგებ, რის თქმა სურს ამხ. ჩიქოვანს ასეთი სიტყვებით:

ესლა ოცნება ბაღში იცხონოს,
დაძმათ შეიციოს ფერა და სუნია,
რომ ბუნებაში ერთად იცხოვრონ
კვირტით აბოლდეს წინაპრის სული.

ცნობილი პოეტების გავლენით სიტყვების მავნე და ზედმეტ თხზვას ზოგჯერ ეწევიან ახალგაზრდა დამწერები მწერლებიც.

უაზრო სიტყვებისა და გამოთქმების, აგრეთვე არაბუნებრივი, გაუგებარი სახეების ხმარება უძველესად ნაშთია ჩვენს პოეტებზე ქართული სიმბოლისტების, ეგრეთწოდებული ცისფრყანწილების გავლენისა. დამალი დასავლეთევროპული ბერძნული კულტურის ამ აგენტებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ქართულ პოეზიასა და ენას. სწორედ ისინი ეწეოდნენ იმის პროპაგან-



დას, რომ ყოველ პოეტს გამოეგონა „ახალი“, მხოლოდ მისთვის გასაგები სიტყვები. უნეოლოგიზმო ლექსებს ისინი პოეზიად არ თვლიდნენ.

ამ მტრული გავლენის კვალი ჩვენს ლიტერატურაში უახლბჭეს წამყვანებად აღმოიფხვრას.

სავსებით კარგი მდგომარეობა ვერა გვაქვს წარსულის ზოგიერთი დიდი წერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების საქმეში. მწერალთა კავშირი, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები, ყოველთვის როდი იცავენ ბოლშევიკურ ხაზს ამ საკითხში. ამ მდგომარეობის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შეფასება ჩვენი კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიერ.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი მთელი ვრცელი ლიტერატურა თავიდან ბოლომდე გამსკვალულია პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველა მხარისათვის ხორბის შისხმით. ამავე დროს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი ასეთი არაკრიტიკული მიდგომის საფუძველი არ არის.

ვაჟა-ფშაველა განცალკევებით დგას მის უფროს თანამედროვეთა, პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა პლეადაში. იგი დაჯილდოებული იყო დიდი პოეტური ნიჭით და საკმაო განათლებაც ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამდლებულიყო თავისი დროის ამოცანების გაგებამდე. ვაჟა-ფშაველა ფშავის ვწრო ხეობაში ჩაიკეტა და შეგნებულად შეზღუდა თავისი თემატიკა მთიელ ქართველთა და მათ მეზობელ მთიელ ტომთა სისხლისმღვრელი შინაომებითა და მითოლოგიური სიუჟეტებით. იგი სიყვარულით აგვიწერს მთიელებში გვაროვნული წყობის ნაშთებს. არა მარტო იმ დიდი სოციალური ბრძოლის ამოცანები, რომელიც საქართველოში მის დროს ბობოქრობდა, არამედ ქართველი ხალხის საერთო-ეროვნული ამოცანებიც მას თავისი ლიტერატურული შემოქმედების საგნად არ გაუხდია.

ვაჟა-ფშაველას არასწორი პოზიცია ეკავა ლიტერატურული ენის საკითხში. იგი ცდილობდა პოეტურ მეტყველებად დაემკვიდრებინა ქართული ენის ფშავერი ელო, რომელსაც ლიტერატურული განვითარება არ შეხებია და რომელიც თანამედროვეობას მრავალი საუკუნით ჩამორჩა. ეს ეწინააღმდეგებოდა საერთო-ქართული ლიტერატურული ენის დამკვიდრებას, და ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს არაერთხელ გამოუთქვამთ პოეტის წინაშე თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება მის ნაწარმოებთა ენისადმი.

აკაკი წერეთელმა ვაჟა-ფშაველასადმი მიმართულ ლექსში, რომელიც 1913 წელს გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა, აშკარად დაუწუნა პოეტს ენა. იგი წერდა:

ენას გიწუნებ ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითვისავ მარგალიტს,
მკითხველიც იმას მკისაო!

ამ მიმართვაზე ვაჟა-ფშაველამ უპასუხა ლექსით, გამოთქვა არა მარტო თავისი აღშფოთება აკაკი წერეთლის აზრის წინააღმდეგ, არამედ თავისი „კრედიტ“ ლიტერატურული ენის საკითხში:



მე არც ერთს კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტბილის და მწარისა.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა ყოველ პროვინციულ კილოს ანიჭებს ლიტერატურული ენის უფლებას, ე. ი. არსებითად გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ შეიქმნას ერთიანი ქართული ენა, უროპლისოდაც ვერ განვითარდება ხალხის ეკონომიკა და კულტურა.

ცხადია, რომ ამ დავაში მართალი იყო აკაკი წერეთელი. ეს ესმოდათ მაშინდელ მოწინავე ლიტერატორებს, და ბევრი არავინ უჭერდა მხარს ვაჟა-ფშაველას პოზიციას. სამაგიეროდ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენი, თუმცა ეს მეტად უცნაურია, მის მხარეზე დადგნენ და ბრალი დასდეს აკაკი წერეთელს უსამართლო დამოკიდებულებაში ვაჟა-ფშაველას ენისადმი. ასე იქცევიან, მაგალითად, კომუნისტი კრიტიკოსები ამხ. რადიანი და ამხ. ჭეიშვილი.

უნებდა რა აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას პაექრობას ენის შესახებ. ამხ. რადიანი პირდაპირ აცხადებს: „რასაკვირველია, ამ პაექრობაში სიმართლე ვაჟა-ფშაველას მხარეზე იყო“. ამხ. ჭეიშვილი კი ამ საკითხზე წერს: „დღეს, ვგონებ, ყველასათვის აშკარაა, რომ აკაკი ცდებოდა; რომ მიუხედავად ფშაურის სიტყვაქცევის მძიმე ჯავშანისა, რომელშიც ჩაჭედილი იყო ვაჟას პოეზია, იგი მარჯვედ მიიკათვდა გზას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის მკითხველთა შეგნებაში“.

ერთი უნდა ვკითხოთ ამხ. ჭეიშვილს: თუ ვაჟა-ფშაველას ენა ყველასათვის ასე კარგად გასაგებია, რატომღაა, რომ საკურო ზდება მის თხზულებათა ყოველ ტომს დავითოს ამ თხზულებაში ხმარებული ფშაური და ხეესურული სიტყვებისა და გამოთქმების ასახსნელი ვრცელი ლექსიკონი!

დაახლოვებით ასეთივე აზრისაა ამ საკითხში კრიტიკოსი გ. ქიქოძე. აქვე ვიტყვი, რომ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა თითქმის ყველა გამოცემას დართული აქვს გ. ქიქოძის შესავალი სტატიები. ამ სტატიებში ამხ. ქიქოძე სჯერდება ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა შინაარსის ობიექტივისტურ გადმოცემას და მის იდეალთა აღწერას, არ იძლევა მათს არავითარ კრიტიკულ შეფასებას. ამასთან ამხ. ქიქოძე გასაოცარ არათანამიმდევრობას იჩენს ვაჟა-ფშაველას პოეზიისა და პიროვნებისადმი თავის დამოკიდებულებაში. 1915 წელს დაწერილ და 1926 წელს ხელახლა გამოცემულ სტატიაში გ. ქიქოძე, შეიძლება ითქვას, ანადგურებს პოეტს. იგი წერს: „ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო. ვერც სემინარიის კურსმა, ვერც უნივერსიტეტის ლექციებმა თანამედროვე სული ვერ ჩაუღვეს. მისი მგრძობიარობა პრიმიტიული დარჩა, მისი ფანტაზია — ველური, მისი მორალი — საშუალო-საუყუროებრივი. მას არაფერი გაეგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი ნაციონალიზმისა. და ელექტრონისა, ორთქმავლისა და მანქანების ხანაში ის წარსულის აჩრდილს ჰგავდა თავისი ჩაფხუტით და თავისი რაინდობით“. საბჭოთა პერიოდის სტატიებში კი ამხ. ქიქოძე ვერც ერთ ჩრდილოვან მხარეს ვერ ამჩნევს ვაჟა-ფშაველას პოეზიისა და მსოფლმხედველობაში. მარქსისტი კრიტიკოსი ასე არ უნდა იქცეოდეს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობისა და ენის მცდარი შეფასება შედის სასკოლო სახელმძღვანელოებში და ინერგება ახალგაზრდა თაობაში.

აუცილებელია ბოლო მოვლის ასეთ არაკრიტიკულ დამოკიდებულებას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი.

ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოეტური ნაწარმოებები ქართული ლიტერატურის ძირითად ფონდში შევიდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ლიტერატურის მკოდნენი ვალდებული არიან დასახვონ საბჭოთა მკითხველს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას, ვაჟა-ფშაველას მეგვიდრობის სუსტი მხარეები და იდეური ჩამორჩენილობა, მისი პოეტური ენის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ენისა და ენათმეცნიერების განვითარებას ძლიერ აბრკოლებდა ბევრი ენათმეცნიერი. უცნაურია, მაგრამ კომუნისტ ენათმეცნიერებს, ნაცვლად იმისა, რომ გარკვეულიყვნენ მარის თეორიის უმაქნისობაში, თავმოსაწონ საქმედ მიიჩნდათ გამოცხადებინათ თავი მის მომხრედ. ისინი თავს ესხმოდნენ ყველას, ვინც ბედავდა მარის გაკრიტიკებას. ზოგიერთმა მათგანმა არა მარტო დისკუსიამდე, არამედ ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის ნაშრომთა გამოქვეყნების შემდეგაც ვერ უკუაგდო მთლიანად ძველი არამარქსისტული შეხედულებანი.

ყოველ მეცნიერების წარმომადგენლებს ახლა შეუძლიათ შენატროდნენ ენათმეცნიერებს, რომლებმაც ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომებში მიიღეს მტკიცე თეორიული საფუძველი და ნათელი პროგრამა შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისა. ენათმეცნიერთაგან ვინც ასეთ ვითარებაშიც არ ვერ დაქმნის თავის მუშაობას და არ შეუდგება ნაყოფიერ შრომას, ის საბჭოთა მეცნიერის სახელის ღირსი არ არის.

სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაყთა ერთ ნაწილში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა არაჯანსაღი ურთიერთობა. ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს ამხანაგურ დახმარებას უწყევდნენ და საერთო ძალღონათ უზრუნველყოფდნენ საქმის წარმატებას, ზოგიერთი მეცნიერი მუშაყი „ამუშავეებს“ და გასაქმანს არ აძლევს თავის ამხანაგს. რა თქმა უნდა, ამას საერთო არა აქვს რა ჯანსაღ კრიტიკასთან, ჯანსაღ შეჯიბრებასთან, რომლის პრინციპიც ის არის, რომ, როგორც დიდი სტალინი ვეასწავლის, „მოწინავეებმა ამხანაგური დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილებს, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა“.

მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ჩვენი მათემატიკოსების ურთიერთობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათემატიკური მეცნიერება საქართველოში დიდად განვითარდა. მან წარმოშვა ისეთი სახელები, როგორიც არიან რანზმაძე, მუსხელიშვილი, უფრო ახალგაზრდათაგან — კუპრაძე, ვეკუა და სხვები. მაგრამ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში წამყვან მეცნიერ მათემატიკოსთა შორის წარმოიხსნა ყრუ ბრძოლა, რომელსაც მეცნიერების განვითარების ინტერესებთან საერთო არა აქვს რა. კრიტიკა, კი არა, არამედ ერთმანეთის დისკრედიტაცია — აი მეთოდი, რომელსაც ზოგჯერ ეს ამხანაგები მიმართავენ. უნდა აღმოიფხვრას მათემატიკოსთა და მეცნიერთა სხვა ჯგუფებში უპრინციპო ბრძოლა, რომელზეც უსარგებლოდ იხარჯება ესოდენ ბევრი ძალა და დრო.

სამეცნიერო და შემოქმედებითის ორგანიზაციებში ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკა რომ ყოფილიყო გაჩაღებული, ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა. მაგრამ, ვგონებ, არსად არ იჩენენ ისეთ შეუწყნარებლობას კრიტიკობადმი, როგორც მწიარლთა და ჩვენი წამყვანი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლთა ერთ ნაწილში. კულტურის ბევრი მოღვაწე, ზოგი კომუნისტიც კი კრიტიკას მტკივნეულად იღებს.

495

არიან მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც თავიანთი თავი მიაჩნიათ „ფუტურ-მდებლად“ და ა. შ. და შოითხოვენ, რომ მათ განსაკუთრებულ პატივს მიაკენ. ამ ამხანაგებმა საჭირო დასკვნა უნდა გამოიტანონ ამხანაგ სტალინის შემდეგი სიტყვებიდან, რომლებითაც იგი მკაცრად გამოხატავს მარს სწორედ იმისათვის, რომ მას „...ენათმეცნიერებაში შეიტახა მარქსიზმისათვის შეუფერებელი კადნიერი, ყოყონი, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედავად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო“.

თბილისის კომიტეტმა და რაიკომებმა უნდა აამაღლონ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციების დონე. ამ პარტიულ ორგანიზაციებს კარგად უნდა ესმოდათ თავიანთი სპეციფიკური ამოცანები. მთავარი ყურადღება მათ უნდა მიაქციონ ინტელიგენციაში აღმზრდელობითს მუშაობას. საჭიროა უწყევადოთ საესებით მცდარი შეხედულება, რომ მეცნიერებს, რაკი მაღალკულტურული ადამიანები არიან, თითქოს არ ესაჭიროებათ აღზრდა. ბოლშევიკური აღზრდა ესაჭიროება ყველას, მით უმეტეს უპარტიო მეცნიერს ან იმ მეცნიერს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც პარტიაში შევიდა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ როგორც მთლიანად სამეცნიერო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი კავშირების, ისე ცალკეული მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების მუშაკების მუშაობის ნაკლოვანებათა მძაფრი კრიტიკის გაშლის საქმეს.

მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კულტურის დარგში მდგომარეობის გაშუქებასა და მუშაობის კრიტიკას ჩვენმა რესპუბლიკურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა. ეს საესებით აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა კიდევ უფრო სწრაფად ვითარდებოდეს.

როგორც სასიხარულო მოვლენა უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ წლებში მეცნიერების და წარმოების მუშაკთა მჭიდრო თანამეგობრობის მეოხებით ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს ახალი კონსტრუქციის მაღალი წარმადობის დაზგები და აპარატურები, შეიმუშავეს ახალი, უფრო გაუმჯობესებული წესი მაგარ შენადნობთა გამოდნობისა, გადაწყვიტეს მეტალურგიაში ლარიბი მარგანეცის მდნის გამოყენების პრობლემა. ჩვენი მეცნიერების და წარმოების ინჟინრების ამ ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისათვის. ეს მიღწევები სახელმწიფოს ათეული მილიონობით მანეთ ეკონომიას მისცემს.

ჩვენი რესპუბლიკა უკვე გახდა მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და დიდი ელექტროსადგურების რესპუბლიკა. ჩვენმა მეცნიერებმა გადაწყვიტეს როლი უნდა შეასრულონ საწარმოებში ტექნიკისა და ტექნოლოგიის განუწყვეტლივ გაუმჯობესების საქმეში. ამას ისინი მიიღწევენ, თუ ბოლშევიკურად მომთხოვნელი იქნებიან თავიანთი თავისადმი, თუ გამბედაობას გამოიჩენენ ახალი პრობლემების დაყენებასა და გადაწყვეტაში, თუ მჭიდროდ დაუკავშირდებიან წარმოებას, რადგან, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, — „მეცნიერებას სწორედ იმიტომ ეწოდება მეცნიერება, რომ იგი არ ცნობს ფეტიშებს, არ ეშინია ხელი აღმართოს დრომოკმულის, ძველის წინააღმდეგ და გულისხმიერად უგდებს ყურს გამოცდილებას, პრაქტიკის ხმას“.

21 ი ა ნ ვ ა რ ი

✱

ამ დღეს მოსკოვი
კვლავ გვახსენებს მწუხარე ამბავს
და ისმის ქვეყნად
თითქოს ერთი სუნთქვა გაბმული, —
დიდი თეატრის
გაბრწყინებულ, გაქედილ დარბაზს
შიაპურობს თვალყურს
დედა-მიწა სულგანაბული.

ამ დღეს ქვეყანა
კვლავ იხსენებს მწუხარე ამბავს,
გამარჯვებული,
გძირულ ზალხის მამულ-დედული;
ამ დღეს ჩინეთის
ომგადაბდილ, თოვლიან მთა-ბარს
საყვარელ ლენინს
მოაგონებს მთა ძე-დღნი.

ამ დღეს გმირული
კიმ ირ-სენის მამული მთელი,
მტრის ცეცხლის ალით
გადაშწვარი, ფერფლად ქცეული
სანგრების წყალში
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს...
სალუტის ბათქით
გაახათებს ზეცას სეული.

ამ დღეს გროტეოლს
გამოუხმობს ბერლინი მშვიდი,
ლენინის სიბრძნით
აივსება ზეცა ბერლინის;
ამ დღეს უეცრად
გარინდღემა ვარშავა დიდი, —
ბერუტის ხმაში
ილაღადებს სიტყვა ლენინის.

ამ დღეს — ქვეყანას
რომ აშორდეს კვლავ ცეცხლის ალი,
მოშორდხენ ერებს
ომის ახალ ცეცხლის გამჩენნი,
რომს ტოლიატი
მოაგონებს ლენინს და სტალინს,
პარიზს — შოტლენდი
ღვაწლმოსილი მარსელ კაშენი.

ამ დღეს საბჭოეთს
შემოჰხედავს მსოფლიო მთელი,
მოსკოვს, ლენინგრადს,
განათებულ თბილისს და ტალინს;
ამ დღეს მსოფლიო
მოიგონებს ვლადიმერ ლენინს,
ამ დღეს მსოფლიო
თვალს მიაპყრობს იოსებ სტალინს.

პ ი რ ი ს პ ი რ
ს ო ვ ა ნ ი *



უკვე დადამდა, სუფრაზე და შინაც
ლაშქები ანთეს... ქეიფი ნაშუალაშემდე
გაგრძელდა და, ბოლოს, ძალზე დამთე-
რალეებს, ზოგს მაგიდაზე ჩამოეძინა და
ზოგიც მდივებმა შინ და ნათესაე-მე-
ზობლებთან წაიყვანეს დასაძინებლად.
სუფრას მხოლოდ თამადა რაფიელ შა-
რაშიძე, ქაიხოსრო აბულაძე, არჩაილ და
სვიმონ წერეთლები, ოტია და ორაოდე
მოჭიფიფენი შერჩნენ. ნაშუალაშემდე
ზოგს ტახტებზე და ზოგსაც იატაკზე
გაუშალეს ლოგინი. მთვრალი კორნელი
გვიან ავიდა აივანზე, სადაც მას ტერე-
ზა და ბაბო შეეყარნენ. ბაბომ კორნელი
გაიხშო და ჩუმად ჰკითხა:

— კორნელი, გენაცვალე, მიხა მაჭა-
ვარიანი ცოლს მართლა გაეყარა?

— მიხასთან განა ქალი იცხოვრებს
და გასძლებს?

— რატომ?

— გარყვნილი აუტანელი კაცია და
ამიტომ.

მიხა მაჭავარიანი ბაბოს „აუტანელ
კაცად“ კი არა, ნამდვილ ეპიკაცად და
მიმზიდველ ადამიანად მიაჩნდა. კორნე-
ლის ბრიალა თვალები მიანათა, გაუღი-
მა და უთხრა:

— ჩუმად, არ გაიგონოს.

— შერე რა, გაიგონოს, პირში ვეტყ-
ვი... სად არის? — მოუტირებლად მიუ-
გო კორნელიმ.

ბაბომ ისევ ეშმაკურად გაუღიმა, გან-
ზე გაიხედა და ისევ ჩუმად უთხრა:

— აგერ, თინას ეკურკურება და
სიყვარულს უხსნის.

მიხა და თინა ვაზის ფოთლებით და-

ბურული და ჩაბნელებული აივნის ბო-
ლო კუთხეში ისხდნენ. კორნელი პირ-
დაპირ მათკენ წავიდა. მიხას თავზე და-
ადგა და ქალაქურად, აგდებულად
ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ, ვერანავე? რა ხე-
ლი გაქვს ამ კდემამოსილ ქალთან?

— დაიცა რა დროს ოხუნჯობაა, —
მიუგო მიხამ.

— განჯ ეოხუნჯობ, მართალს გე-
უბნები. თინა, მოშორდით ამ კაცს. ეგ
თქვენი ტოლი არ არის, — უთხრა კორ-
ნელიმ ქალს, ნაზად აკოცა ხელზე და
წამოაყენა.

— კორნელი, გეყოფა — გაჯავრდა
მიხა და წამოდგა.

— თავი გაანებე ამ გულუბრყვილო
და გულმართალ ქალს, შეე მაცდურო
და გარყვნილო კაცო? — ბოროტად და
ავად უთხრა კორნელიმ. მიხამ მრისხა-
ნედ შეხედა კორნელის და თავისი სათ-
ქმელი მოუტირებლად და მთელის ხმით
უთხრა:

— დაე, იცოდეს ყველამ, რომ მა-
ყაშვილებმა შენ პანდური ამოგარეს და
გამოგადგეს. დაე, იცოდეს ყველამ,
რომ ჩემზე უფრო გარყვნილი შენა
ხარ. შენი საყვარელი — როსკიბი ქალი
შარგარიტა ლეტცი გახლავს. ვერ მოატყ-
ულებ ამიერიდან ნინო მაყაშვილს სატრ-
ფრიალო წერილებითა და ლექსებით.
განა დაგიჯერა, უშენობას სიყვდილი
მიჯობსო, სარდაფიდან რომ სწერ-
დი, — ყვიროდა მთვრალი მხატვარი და
თვითონვე ადასტურებდა კორნელის
ეჭვებს, რომ იგი მისი გამცემი და მო-

* ვაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 12, 1950 წ.

ლალატე იყო. — მატყუარა, ქალაქუნა და გარყენილი შენ თვითონა ხარ... მაგრამ დარდი ნუ გაქვს, ამიერიდან ვეღარ მოატყუებ ჩემს ცოლის დას, რადგან მე ავუხილე მას თვალი... კოვზი ნაცარში ჩავივარდა და შურს ახლა ჩემზე იძიებ!

დედის, ნათესაეებისა და სტუმრების წინაშე თავი მოეჭრა კორნელის. მთვრალმა მხატვარმა მისი საიდუმლო გამოამჟღავნა და ეჭვები დაუდასტურა. ტყინში აუვარდა სისხლი კორნელის და მიხას უყვირა:

— ეშარა, გაჩუმდი, ვერანავ. პატიოსანი ხალხის სახლში ხარ, განა თავლაში!

— არა, აღარ გაეჩუმდები. მე შეტის ატანა აღარ შემიძლია... მეყოფა შენგან დაუსრულებელი შეურაცხყოფა და მუქარა. შორჩა, ჩვენ უნდა გავსწორდეთ.

— როგორ, მემუჭრები კიდევ?

— დიახ. ამდენხანს შენ მემუჭრებოდი, ახლა კი — მე. რას ატრიალებ მაგ თვალებს? შეგიშინდი, ია!..

— ღმერთს უშადლოდ, რომ ახლა მე შენი მასპინძელი ვარ. მაგრამ, როდესაც ჩვენ აქედან წავალთ და შენ ჩემი სტუმარი აღარ იქნები, დიხსომე: სურვილს შეგისრულებ და გაგისწორდები. უკანასკნელი სიტყვა და ტყვიაც მე შეეკუთვნის, — მიუგო კორნელიმ და რატომღაც ჯიბიდან ბრაუნინგი ამოიღო და აუღელვებლად შეათვალიერა, თითქოს მიხას ცდის და აშინებსო. თინამ იკივლა. ბაბომ ბანი მისცა. ქორივით ეცა კორნელის და ერთმანეთზე მიწეული ვაკეცები კიდევ უფრო გააგვიცა. აივანზე უმაღვე ბეგლარიც გაჩნდა. კორნელის მივარდა და რვეულვერის წართმევა დაუბირა. შეიქნა ერთი მიწეე-მოწეეა, დავიდაბა. ხალხი აივანზე გამოცვივდა.

— ნუ იჭერთ მაგ ქალაქუნას, მშინშარას! გამოუშვით, მაგაზე იარაღს როგორ ამოვიღებ! ყბებს დაუღუწავ, მაგ სალახანას, — იძახდა კორნელი.

ტერეზა შეილთან მიიჭრა და უყვირა: — გაჩუმდი, კორნელი! ნუ ხედავს გრცხვენია, სტუმრებს შეურაცხველად აყენებ? წადი აქედან. წადი ახლავე, თორემ თავს მოვიკლავ.

— თავს ნუ მოიკლავ, დედაჩემო... აჰა, მე შენ მივდივარ, — მოფერა დედას კორნელი და მერე კიბეზე უქუდოდ დაეშვა. სათიბი გაირბინა, ღობეზე გადახტა და დაღმართს დაადგა. მეზობლის ძაღლებმა ყეფა ატეხეს და გამოუდგნენ.

— მიშველე, ბაბო, სად უნდა იაროს მთვრალმა კაცმა ამ ღამით! მგლები დაპგლეჯენ ტყეში! — შეძრწუნდა ტერეზა.

ფრენჩითა და აზიური ჩექმებით გამოწყობილი ბეგლარი მყისვე გაიქცა, ისიც ღობეზე გადახტა და კორნელის გამოუდგა. ორღობეში დაღმართზე დაეწია, ხელი წაავლო მკლავში და ჰკითხა:

— კორნელი, სად მიდიხარ ამ ღამით?

— კარისმერეთში.

— როგორ გეკადრება, ბატონო? ამ უკუნ ღამეში შენ გაიგნებ გზას კარისმერეთისაკენ? ხრამში გადაიჩნებ. ძდინარეზე ვერ გახვალ. საცალფეხო ხიდზე ფეხი დაგიცდება და წყალში დაიხრჩობი, — უთხრა ბეგლარმა და წელში ეცა, კორნელი გაბრაზდა. ხელი წაავლო ოტიას მოურავს, მოიქნია და ეს ღონიერი, ძარღვიანი, მარდი და ამოდენა კაცი ნაფოტივით ისროლა და ღობეს მიახეთქა. გაოცდა ბეგლარი: ეს რა ძალა ჰქონია ხელეშშიო. მაგრამ მაინც დაეწია და ისევ ეცა, თანაც შეევედრა:

— მომკალი, ბატონო, მაგრამ გაშვებით ვერ გაგიშვებ.

— მომშორდი, რად გინდა თავი შემომკალა, — შესძახა კორნელიმ. ისევ მოიქნია და თხრილში გადაადგო. ახლა კი შეშინდა ბეგლარი და შორი-ახლოს გაჰყვა.

ამ დროს სათიბში მომავალი ფარ-



ნინი ადამიანი დაინახა ბეგლარმა. ფარნიანმა ჭიშკარი გააღო და გზაზე სირბილით წამოვიდა. ბეგლარმა იცნო.

— კორნელი, მომიცადე! — დაუძახა ბაბომ.

კორნელიმ ზმა არ გასცა და ისევ გზას გაუდგა. მაშინ ბაბო ბეგლარს მივარდა და უთხრა.

— არ გაუშვა, ბეგლარ, გააჩერე.

— არ იცდის. ვერ მოვერიე, კაცი კი არა რკინა ყოფილა, — მიუგო ბეგლარმა.

— მაგი ჩავა ქვეითად კარისმერეთში ამ ბემბეცო ღამით? მთერალია. გზა დაეზნევა ტყეში, მგლები დაგლეჯენ. არ გაუშვა, მთერალია, დაეწიე, ბეგლარ.

ბეგლარი ისევ გამოუდგა კორნელის მას ბაბოც მიჰყვა...

ჩქარი ნაბიჯით მიმავალ კორნელის ბეგლარი ისევ წელში ეცა. შეიქნა ჭიდაობა. კორნელიმ წამოიჩოქა, დათელა, მაგრამ ბეგლარი მაინც არ მოეშვა. ამ დროს ბაბომ მიუსწრო. ფარანი მიწაზე დადგა, კორნელის მოხეხია და უთხრა:

— მე და ოტიამ რა დავაშავეთ, კორნელი, ასე რომ დაგეწიხლუ და კარისმერეთში გარბიხარ?

— თქვენ რას გერჩით. მე იმ საღახანა და გარყვნილ მხატვართან მაქვს ჩემი ანგარიშები. ვერ მოვიცდი. ღამეს ვერ გავათევ ერთ ჭერქვეშ მასთან. უთუოდ შემომაკედება, — მიუგო კორნელიმ.

— ნეტავ არ ჩამოგეყვანა ის წყეულო. გარყვნილი და ქალებისმოყვარული კაცი ყოფილა. მერე, რა? მას სულაც არ გაგაკარებთ, წამოდი შენ ბიძია ელიზბართან გაათიე ღამე. ალიონზე გავისტუმრებთ კარისმერეთში ახლა შენ კი არა, ბეგლარიც ვერ ჩავა ქვეითად კარისმერეთში.

— ბეგლარი რა ჩემზე დიდი ვაჟკაცი და ბაყაყმდევი გგონია! აბა ნახე, თუ ვერ ჩავალ! — ისევ გაიწია და წასასვლელად მოემზადა კორნელი.

— უი, არა, შენ შემოგვევლე, კორ-

ნელი, — ისევ მოხეხია და ჩაიქნა კორნელი ბაბომ.

— თავი გამანებე, ბეგლარი, — ვერა, ვერ გაგანებებ. სულ ერთია, რომ წახვიდე, მე არ მოგშორდები. მაშინ ერთად ვიართო კარისმერეთამდე.

— აბა, რას ამბობ?

— არა, შინ ვერ მივბრუნდები. რა ვუთხრა ტერეზას? კორნელი მარტო წავიდა კარისმერეთში-თქო? რას ერჩი იმ ქვრივსა და ტანჯულ ქალს? კიბო მკირს, ჩემი დღეები დათვლილიაო, დაუჩემებია ახლა იმ საცოდავს. ვინ იცის, იქნებ მართალია, ხომ ზედავ, რა დასუსტებულია, — დაიწყო ბაბომ ტირილი.

კორნელი გაჩერდა ბაბო მიხვდა, მისმა ხერხმა რომ გასჭრა და კორნელის ისევ მოხეხია, აქვითინდა და უთხრა:

— გულშემოყრილი და გულწასული დავტოვე ის უბედური. მეშინია, არ მოკედეს.

ბოლოს, დედის ხსენებამ, ბაბოს ტარაღმა და ბეგლარის ხეწნა-მუღარამ გასჭრა. კორნელი დანებდა მათ და ელიზბარისას გაჰყვა.

ძმები ოტია და ელიზბარი გაყოფილი იყვნენ, რადგან რძლები — ბაბო და ელიზბარის შეუღლე შარიამი — ერთმანეთს ვერ ეგუებოდნენ, ჩხუბობდნენ და ძმებიც ერთმანეთს მტრად გადაჰციდეს.

მეორე დღეს კორნელის აღრე გამოვლიდა. წუხელ მიხასთან ჩხუბი და დიდობა მოაგონდა. ისიც მოაგონდა, ჩხუბი თინას გამო რომ დაიწყო. „ახლა ქალების ჭორს და მითქმა-მოთქმას რა გაუძლებსო“, — გაიფიქრა და ისევ შერცხვა, ერჩია მიწა გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა. საბანი თავზე წაიხურა და გაირინდა. მაგრამ მალე დედა, დეიდა

ელენე, ბიკოლა მარიამი და ბაბო მოვიდნენ, საწოლზე ჩამოუსხდნენ და საყვედურებით დაანელეს: „ჩვენა სტუმარს — მიხა მაქავარიანს თინიკო წერეთლის გამო რას ერჩოდი, თინიკო შენი საცოლე ზომ არ არისო“. ნინოს სახელი განზრახ არ უხსენებიათ. „შადლოზა ღმერთს, დათა ნიქარაძე, კოწია ერისთავი, ქორქაშვილი და წარჩინებული სტუმრები დასაძინებლად იყვენ წასული და სკანდალის მოწმენი მხოლოდ შინაურები ვიყავითო“. რაც უფრო დაწვრილებით უამბობდნენ დედა, დედა, მარიამი და ბაბო კორნელის წუხანდელი ჩხუბისა და უსიამოვნების შესახებ, მით უფრო სტანჯავდნენ მას. „რა დაგიშავა შენმა მეგობარმა, იმ მშვენიერმა კაცმა, მხატვარმა და მომღერალმა ისეთი, რევოლუციით რომ ემუქრებოდი და მოკვლას უპირებდიო“, ქაქანებდნენ ქალები. ისეთი დღე დააყენეს საცოდავს, თვითონვე კინალა მთავი მოავლევინეს. ქორიკ დაარზიეს: კორნელი ნინოს გაშორებია და ახლა თინა წერეთლის შერთვას აპირებსო.

კორნელი სასწრაფოდ წამოდგა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ღეღამ წინადადება მისცა, მიხას წინაშე ბოდიში მოეხადნა. კორნელი დარცხვენით შეიპარა ოტიას ეზოში. მიხა აივანზე იჯდა და რიონის ველსა და კავკასიონის ქედებს გასცქეროდა. მშვენიერი, მზიანი დღე იდგა და მთის მწვერვალები უღრუბლო ცის ტატნობზე დაბატულივით ჩანდა. მხატვარი გაბუტული დახვდა კორნელის და თვალი მორაიდა. კორნელიმ აბნეულად უთხრა:

— გუშინ მთვრალი ვიყავი, გაწყენინე თურმე, მიმიქარავს!.. ყურადღებას ნუ მიაქცევ.

მიხასაც ეს უნდოდა. სათვალე გაისწორა. ბეცი თვალებით შეხედა კორნელის, გაიღიმა და მიუგო:

— მაწყენინე კი არა, შეურაცხყოფა

მომაყენე. რა მოგივიდა, მიქო? ნინოს არ ჯერდები და ახლა თინაზე გუბნენ-ზეებს აცხადებ? გინგლიჩიშვილი

— თინა კი არა, ის არ გინდა... გთხოვ, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, — შევხვეწა დარცხვენილი კორნელი.

— შაბამ, გათავდა, მოიტა ხელი, — დაიძახა მხატვარმა და ცხენივით ჩაიხვიხვინა.

სტუმრები გვიან ადგნენ, პირი დაიბანეს და მორთულ-მოკაშმულნი კაქლის ხის ქვეშ გაშლილ სუფრაზე გამოცხადდნენ. გუშინდელი სკანდალის გამო თინა დარცხვენილი იყო და კორნელისა და მიხას დანახვისას წითლდებოდა და ელეთ-მელეთი მოსდიოდა.

ჩაისა და საუზმის შემდეგ, დათა ნიქარაძე, კოწია ერისთავი, ქორქაშვილი, რათილ შარაშიძე და ზოგნი კიდევ კარტისა და ნარდის თამაშით გაერთიხენ და ზოგნიც, დაბლა ვენახისაკენ გაეშურნენ.

ოტია თავისი ყავარჯნით სტუმრებს ვენახისაკენ გაუძღვა. ამ მამულს მდივნები „ნამინდერალს“ ეძახდნენ. ვაზით დაფენილი მთის კალთის ზევით, მამულის თავში, ჭიშკრის ახლოს, ვეება მუხა იდგა. მის ძირას უვაზო ფართო მინდორი მაღალი ბალახით იყო დაფარული და მას მთის ნაირნაირი ყვავილები ამკობდა და მატიტელა, ტყის ჩადუნა, ოქროსლილა, ენძელა და ბაია აფერადებდა. ზაფხულის ცხელ დღეებში მდივნებს ამ მუხის ძირას უყვარდათ ჩრდილში ჯდომა და წოლა. სხვაგან რომ ხალხი ტრიალებდა და ფოთოლი არ ირჩეოდა, აქ მუდამ ნიავე ქროდა და გრილოდა. რა გინდ მშვიდი ამინდი არ უნდა ყოფილიყო, მუხის კენწეროზე ფოთლები მაინც შრიალებდნენ, ხოლო ქარს ოდნავადაც რომ დაებერა, ვეება მუხის დავრავნილი ტოტები გრიალს იწყებდნენ. ძლიერი ქარის დროს კი ამბოპქრებული ზღვის ხმოვანებას გამოსცემდნენ. კორნელისაც ბავშვობის დროიდანვე უყვარდა ამ მუხის ძირას



გულადმა წოლა და ოცნება. იგი საათობით უგდებდა ყურს უზარმაზარი მუხის შრიალს და ბედისწერის წინასწარ მაცნე დოდონის მუხები აგონდებოდა. აქედან ხელისგულივით ჩანდა რიონის ველი, მთის ძირიდან ქუთაისსაც დაინახავდა კაცი. მოწმენდილ ამინდში კი თვალნათლივ ჩანდა რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის მთებიც.

ყველანი ვენახში შევიდნენ. და კრახუნისა და ცოლიკაურის მწიფე ყურძნის ქიმა დაიწყეს, მაგრამ უმაღვე გაძლნენ ყურძნით და მოყვიტდათ. მაინც არ ეშვებოდნენ ვაზებს, აკიდობენ გააკეთეს და მუხის ძირას, ბალახზე დაყარეს; თვითონ კი შინიდან მოტანილ და მოლზე გაფენილ ნოხებსა და კილობზე წამოწვენენ. მამაკაცები ცალკე იყვნენ და პოლიტიკაზე, მხატვრობასა და მწერლობაზე საუბრობდნენ, ქალები კი—მამაკაცების, განსაკუთრებით კორხელისა და მიხას ჩხუბის შესახებ კობობდნენ. მუხის ქვეშ წამოწოლილი კორხელი ასეთ ფიქრებს მისცემოდა: „არ მომწონს გუშინდელი ჩემი საქციელი, არც ზედაზენში საქეიფოდ ჩამოსული ხალხი, უსაქმო და მუქთახორა თავადები, მათთან ქეიფი, ლოთობა, უსაქმოდ თრევა და ძვირფასი დროის დაკარგვა. თუ დროზე არ შევიკავებ თავი, უთუოდ დავიდუბები. დღესვე წავალ აქედან. თბილისს უნდა გავწიო, თბილისს...“ — კორხელი აღრენილი იყო.

ამ დროს მიხა მუხასთან იღვა, სათვალეს ისწორებდა, ხის ქერქს ჩიჩქნიდა, ხოკოებს აძერუნდა და ათვალეირებდა. უცბად ყვირილი მორთო:

— კორხელი, მოდი, შეხედე მამალ ხარაბუხებს, როგორ ჩხუბობენ! რამდენი ხარაბუხები არიან!

კორხელიმ გრძელუღვაშიანი, რქიანი და წაბლისფერი ხარაბუხები დაინახა. ისინი გამეტებით ურქენდნენ ერთმანეთს. მიხა იძახოდა:

— დედალი ხარაბუხის გაბრაზობრივი და ჩხუბობენ მეტყველებით. ამათი თინიკო კი არა მტკიცე მტკიცეკობოდა მიხა ხოკოებით და ხარაბუხებით. მოულოდნელად ჩუმაღ უთხრა კორხელის:

— თინას ვერ დავითმობ, გეყოს ვინც დავითმე: ნინო ელოზე უფრო ათას წილ მომწონდა და მომწონს ახლაც. მაგრამ, რადგან შენ ჩემი მეგობარი ხარ, მე გვერდზე გავდექი.

— სვიმონ წერეთელი თავის მშეთუნახავ ქალს განა შენისთანა გლახაკს მიათხოვებს? — მიუგო კორხელიმ.

— დარდი ნუ გაქვს. ცოტა ხანს დამტოვეთ თინასთან, და აბა ნახეთ, თუ არ ამეკიდოს, — შენიშნა მიხამ. შუბლზე დაცვენილი თმა აიწია და პეპლებს გამოუღვა. იგი სადილობამდე პეპლებს დასდევდა. მათ უცხო და ფერადოვან ფრთებს ათვალეირებდა და თამბაქოს კოლოფში ალაგებდა. თანაც დაუსრულებლად და გულგამწყალებლად ღიღიხებდა: „მოხვეის ქალო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო“. მერე მუხის ქვეშ დაჯდა და განცვიფრებით მიამტერდა კილობზე ფეხმორთხმულ ოტიას, რომელიც დამცინავე ღიმილით უგდებდა ყურს პოლიტიკურ თემაზე მოკამათე ნასწავლ ხალხს: დათა მიქელაძეს, იონასა და სტეფანეს. იგი კარგ გუნებაზე იყო, რადგან დათა ნიეარაძე, კოწია ერისთავი, რაფიელ შარაშიძე, სვიმონ წერეთელი და სხვა თავადები ეწვივნენ. ძველი, სანატრელი დრო აგონდებოდა და ახლა უკვე აღარ ეშინოდა გლეხთა მოსალოდნელი აჯანყებისა. კამათით გატაცებულმა ოტიამ ვერ შენიშნა, რა გულმოდგინედ ხატავდა მას მიხა მამაკარიანი თავის ალბომში.

სურათის გადაღება



ეროვნული

„კარგად დაბატე, ოსტატო, უნაათო, შექთახორა თქვენი ნაერების კრებული. ეს მათი უყანასკნელი და სამარცხენო სურათია და სამხსოფროდ უნდა შევეუნაო ჩვენს მომღვენო თაობებს.“
იონა ჩხეიძე „მოგონებანი“.

I

სადილზე წარჩინებული თავადები — დათა ნიჟარაძე, კოწია ერისთავი და სხვანი კვლავ საპატიო ადგილზე დასვეს. თამადად ისევ გურული თავადი რაფიელ შარაშიძე აირჩიეს. მხატვარი მიხა მაჭავარიანიც თინას გვერდით იჯდა და ყანწებს სულმოუთქმელად სცილიდა. იონა და კორნელი კი არა სევამდნენ. როცა ქეიფი წამოვიდა ოტია და ქაიხოსრო ისევ ერთმანეთს გაეჯიბრებენ სიმღერაში.

სოფელში ზედიზედ გავარდა თოფი. თავადები შეშფოთდნენ. მალე გამოირაკვა, რომ მთვრალ მილიციელებს ნიშანში ესროლათ, რისთვისაც უფროსის — აქსენტის ლორთქიფანიძის რისხვა დაატყდათ თავზე. „შეშინებულმა ოტიამ კორნელის ძმას — სტეფანეს ჰკითხა:

— ამბობენ, რუსეთში ბოლშევიკები იმარჯვებენო, მართალია, ბოშო, ეს ამბავი?

— მართალია, — მიუგო სტეფანემ.

— ჰოდა, დავლუპულვართ თუმცა კორნელის და იონას რა უჭირთ, თავი ქულში აქეთ: ბოლშევიკების მხარს იჭერენი რამ დაგაწერინა, ბიჭო, მოთხრობა „გოჯასპირი“? — ჰკითხა ოტიამ კორნელის.

— სამართლიანობისა და სიმართლის საშინაბურმა, — მიუგო კორნელიმ.

ოტიას დათა ნიჟარაძე გამოეხმაურა, მასაც წაიკითხული ჰქონებოდა „გოჯასპირი“:

— ვერაფერი გამოიგია ამა ქვეყნისა. კორნელი, თქვენ ხომ ჩვენი ღვიძლი ხართ, ჩვენი ბუდიდან გამოსული?! როგორ გეკადრებათ ყაჩაღების, ბანდიტ-

ბის — ჩვენი დამაქცევრების ქება?! მიკვირს, ღმერთმანი!

— მართალია, მე თქვენი წრიდან გამოსული კაცი ვარ, მაგრამ ეს სრულიად არ მიშლის ხელს თეთრი შავეისაგან გაეარჩიო, დასაგმობი დავგმო და საქეში ვაქო. მომავლისაკენ და სინათლისაკენ ვისწრაფოდე და არა წარსულისაკენ, სიბნელისაკენ. თავისუფლების და ადამიანური ცხოვრების მოპოებისათვის მებრძოლ გლეხებს ყაჩაღებს და ბანდიტებს რომ ეძახით, საკვირველი ეს არის. ხალხის ხერცხა და ოთხმოცი წლის მოხუცი გლეხის გოჯასპირის ჩამოხრჩობა გახლავთ, ყაჩაღობა და ბანდიტობა, მიუგო კორნელიმ დათა ნიჟარაძეს.

— გოჯასპირის ჩამოხრჩობა არ შეგვრჩებაო, — მიჰმართა ოტიას რატომღაც იონამ.

— გოჯასპირის ჩამოხრჩობა მე ხომ არ მიბრძანებია? მე რას მერჩიან? — გაოცდა ოტია.

— შე კაცო, შენმა ცოლისძმამ დათა ყიფიანმა არ მოაკვლევინა გვარდიელებს თეოდე ტურიაშვილი და ჩამოაბრჩობინა გოჯასპირი? — ჰკითხა იონამ.

— ჰო და, დათა ყიფიანს და მთავრობას მოჰკითხონ, — ნიშნის მოგებით მიუგო ოტიამ.

— დათა ყიფიანს და სხვებსაც ცუდ საქმეს წაჰკიდებენ გოჯასპირის შვილი გიორგი და თეოდეს შვილიშვილი რაფდენი. ისინი უთუოდ შურს იძიებენ, — უთხრა იონამ ოტიას.

— ნუ სწუხდებით... გელაშვილების და ტურიაშვილების ჩვენ არ გვეშინია, — შედიდურად განაცხადა დათა ყიფიანმა.

— გელაშვილები და ტურიაშვილები მარტონი არ არიან. ხალხის განაჩენისა, უნდა გეშინოდეს, — შენიშნა იონამ.

ბაბომ ყური მოჰკრა იონას სიტყვებს, გაფითრდა და დაიწყო:

— ვინ იცის, იქნებ ახლაც, ჩემი კაკილას ნათლობაზეც თავს დაგვესხნენ გლეხები... ნუ გეშინია ოტია, — დაამშედა მან ქმარი, — კარისშერეთის მილიციის უფროსი აქვსენტი ლორთქიფანიძე აგერ არ გეყავს. ჩვენ ეზოგარემოს მისი მილიციელები ყარაულობენ. ესეც რომ არ იყოს, ამდენი დიდებული, ბრწყინვალე, ჩასილალებული და იარაღში ჩამჯდარი თავადი და აზნაური სტუმარი ჩამოვიდა ნათლობაზე და რისი უნდა გეშინოდეს?!

— თავი გაანებეთ მშრომელი გლეხობის ტანჯვას და საშიშიც არაფერა გექნებათ. ნუ ებლაუქებით სამემკვიდრო მიწა-წყალს. სულერთია არ შეგჩივებთ იგი. ბოლო მოეღება სხვინა შრომით თქვენ ფუფუნებას. ხელი გამოიღეთ, თვითონვე იმუშავეთ და ისე ირჩინეთ თავი, თორემ მუქთახრობა არ შეგჩივებთ და არამც თუ აქვსენტი ლორთქიფანიძის მილიცია, არამედ მთავრობის ჯარიც ვერ გიშველით.

ატყდა ერთი დავიდარება. ლეშის საკმელად და ლეინის ჩასახეთქათ ზედაზენში ჩამოსული თავადები თავს დაესხნენ იონას და გაათათხეს. იონას კორხელი მიეშველა, და ისეთი რამ თქვა, თავადები გააოცა, შეურაცხყო და მთლად შეაშფოთა:

— თქვენ არა გესმით და არც სცნობთ იმ დიდ ისტორიულ ამბავს, რომელიც რუსეთში 1917 წლის თებერვალს და ოქტომბერს მოხდა. ოქტომბრის რევოლუციამ, მშრომელი ხალხის რისხვამ, რუსეთს ქარიშხალივით გადაუარა, საქართველოს და ამიერკავკასიას შოაწყდა და მალე მთელ სამყაროსაც მოედება. რუსეთში დანთებული მსოფლიო ხანძარი დასწვავს და ძირბუღიანად ამოაგდებს მონობაზე აგებულ

ძველსა და დამყაყებულ სამყაროს და მის ნანგრევებზე თავისუფალ გლეხობად-ხიერი საზოგადოებას დასამყარებდა. ამოდ ფიქრობთ, რომ ის ქარიშხალი თითქო უვნებლად თავს გადაგივლით და ის ხანძარი არ დასწვავს თქვენ ძველ სამყოფელს და ბუდეებს. ამოდ ფიქრობთ, რომ თქვენ — მშრომელი და ღარიბი ხალხის ტანჯვითა და ოფლით გასუქებულნი და განცხრომაში მყოფნი, კვლავ ძველებურად, მუდამ ქეიფსა და ლხინში გაატარებთ ღროს და მამა-პაპურ უღარდელ და უქნარ ცხოვრებას... სასაცილოა ეს თქვენი ფიქრი. ასე მგონია თქვენ ბრმად და ყრუდ ცხოვრობთ დობებულ თქვენ ბნელ ბინებში. თქვენ უკვე აღარ გესმით არგაგონილი ქარიშხლის გუგუნი. თქვენ უკვე ვეღარ ხედავთ ეება ხანძარს. მე კი იმ ქარიშხლის გუგუნი და ხანძრის ბო-ბოქრობა მიტაცებს და მაჯადობს, რადგან მე საზოგადოების წინმსვლელობას და რევოლუციას ვეტრფი და არა რეგრესს და რეაქციას.

— ეს ნამდვილი ჩვენი მტერი ყოფილა, ჩვენს ბუდეში და სახლში გამოზრდილი, — იყვირა სვიმონ წერეთელმა. მას სხვა თავადებმაც მისცეს ბანი. მხოლოდ ქორქაშვილმა განაცხადა:

— ლანძღვა-გინების ნაცვლად, თავადებს ვერჩევ, ახალი თაობის ამ კაცის სიტყვას დავაკვირდეთ, ქუთა გამოვიჩინოთ და ხალხის ხმას და მოთხოვნილებას ანგარიში გავუწვიოთ, თორემ ცხოვრებიდან გარიყული აღმოჩნდებათ და მაშინ ახალი თაობის რისხვა მართლაც ქარიშხალივით თავს დაგვატყდება.

ატყდა ერთი ალიაქოთი, რომელიც ბაბომ და ტერეზამ ჩააქრეს და ოტია და თავადები იონას და კორნელის შეარიგეს, მაგრამ შერიგება დროებითი აღმოჩნდა... დათა ნიქარაძემ, კოწია ერისთავმა და ქორქაშვილმა კორნელის მიერ მათ თავზე სახარების წაკითხვა ითაკილეს, იწყინეს, გაბრაზდნენ და მა-

ლე სუფრა მიატოვეს და ქუთაისისაკენ გაემგზავრნენ. ზედაზენში ამ ჯგუფიდან მხოლოდ რაფიელ შარაშიძე დარჩა... ოტია, ბაბო, ტერეზა და ელენე სტიროდნენ და იონას და კორნელის უსაყვედურებდნენ: „ეს დიდებული და წარჩინებული ხალხი რისთვის გაგვიტყითო“. ლენიომ მაინც თავისი გააკეთა. მოჭეიფე ხალხი ისევ გამზიარულდა, დათვრა და სკანდალი მალე დაავიწყდათ.

სადილის შემდეგ ბაბომ ფოტოგრაფი მოიწვია და კორნელის და იონას სიტყვებით გულმოკლული და აწ გადამთვრალი და გაღუშოლი თავადები და ყველანი სურათის გადასაღებად აივნის წინ ეზოში მოიწვია.

ქალები სკამებზე დასვეს. მათ უკან, მეორე ხარისხოვანი მამაკაცები და შინაურები დადგნენ. ყველაზე მაღლა, პალატის სამირკველზე თხასავით შემდგარი, ჩოხაში გამოწყობილი მზარეული ირაკლი წულეისკირი ჩანდა. იგი კაცილას გამღელს, — ლამაზ ქალს სონას ეარშიყებოდა, ცალი ხელი სვეტისათვის მოველო, ხოლო მეორე ხელის თავკომბალა საჩვენებელ თითს მის წინ მდგარ ელიზბარის შვილებს — გიმნაზიის მეზუთე და შეექვსე კლასის ზოფაფეებს — თავში სცემდა და აცილებდა. ისე როგორ სტუმრები და მასპინძლები, ისიც მთვრალი იყო, მაგრამ ყველაზე მთვრალნი და სასაცილონი ქალების წინ მოღზე მჯდარი და წამოწოლილი ჩოხოსანი თავადები და აზნაურები იყვნენ. შუაში ოტია მდივანი რუმბივით დაგორებულიყო მოღზე, თავისი ხვანჯრიანი ლურჯი გალიფეთი. ქეჩის ჩექმინი ფეხი ფეხზე გადაედო. ხაკისფერი ფრენჩის ლილები გაეხსნა. მკეფარავით ჩასძინებოდა. მოწყვეტილი თავი ქეიფითა და უძილობით თვალუბამღერულ და თვალუბამიბნედილ, ზვინივით ზორბა და შავჩოხიანი კაცის — ელიზბარის ცოლის ძმის — არჩილ წერეთლის მუხლზე მიედო, ხოლო მწყერის

კერტუმოსავით პატარა და მსუქანი ხელები გაღვლილ მკეფარავანს ეკრძა. ცალ ხელში სახეზე მიფარებული დიდი ყანწი შერჩენოდა და უმოწყალოდ ხვრინავდა. მისი ცოლი ბაბო კი ქალთა წრეში, შუა ადგილას ამაყად ჩამჯდარიყო, ხელში წითელლოყებიანი ჩასუქებული ბავშვი კაკილა აეყვანა და მუხლებზე გაეჩერებინა. მარჯვნივ და მარცხნივ ტერეზა და ტერეზას ძმა — გრძელწვერა ელიზბარი ისხდნენ, ხოლო ტერეზას გვერდით — ელენე, დათა, სტეფანე და კატო. ელიზბარს თავი მოღრეცოდა, თვლემდა, მარცხენა თვალს ძალისძალად ახელდა და წარბი სასაცილოდ აეძვინა. იგი შავვერემანი, ზორბა და გულჩათხრობილი კაცი იყო. მხოლოდ გრძელი და ქალარა წვერით ჰგავდა ოტიას. გვერდით მისი მზეთუნახავი ცოლი და ცოლის ძმის-შვილი თინა ესხდნენ, თეთრი კოფითითა და ლურჯი კაბებით. თმა ახალ მოდაზე დაეკარცნათ, ჯილბათით გაეკეთებინათ და ოფოფებსა ჰგავდნენ. არჩილის გვერდით, მისი ძმა სვიმონ წერეთელი წამოწოლილიყო, ესეც ზორბა და აზოვანი კაცი. იგი შავი ჩოხით, მაღალი ბუხრის ქუდით და ოქროსფრად მოსვეადებული ნაწილით მორთულიყო. თავისი დის მუხლებზე მიედო თავი და ჩასძინებოდა. მას კაფანდარა კაცი კოწია ჩხვიძე მისჯდომოდა და ძილისაგან მოწყვეტილი, ორშიმოსმაგვარი პატარა თავი სვიმონის გოლიათურ მზარზე დაედო. ღრმა ძილში წასული მოღზე გულადმა გამოტოლი წულეიძე ცალი მხარით კოწიას მისწოლოდა, ცალით კი — ყიფიანს, სამხედრო ნიშნებით მორთულ, ჩოხით გამოწყობილ ოფიცერს. დათა ყიფიანი და ბოჭაული აქვსენტი ლორთქიფანიძე ძილგზიზღობდნენ და მრისხანედ აბრიალებდნენ დასისხლიანებულ თვალებს. არჩილ წერეთლის გვერდით თეთრი ჩოხით გამოწყობილი, გიორგის ჯერებით შემკული, თვალჩაღამებული და გამხდარი ქაიხოსრო აბულაძე დამ-

ჯდარიყო. იქვე ამაყად იჯდა მხარ-
გეკიანი ოთხმოცი წლის ვოლიათი, ლა-
ელაჟა მოხუცი — ნესტორ ჯაიანი, შა-
ვი ჩოხია და ბუხრის ქუდი. მას მოკ-
ლედ შეკრეკილი, თოვლივით თეთრი
წვერ-ულვაში ჰქონდა. მიუხედავად მი-
სი ასაკისა, იგი ჯერ კიდევ ჯაიანი,
მუხის კორძივით მაგარი, სწორუპოვარი
ლონის მქონე, შეუპოვარი მოჩხუბარი
და ღვინის მსმელი კაცი იყო. მრისხანე
სახე ჰქონდა. სტუმარს ყანწი აეწია და
ზემორაჟის მკვიდრი და ფალავანი ზე-
დაზენის მთებს მშვიდად და ამაყად გას-
ცქეროდა. მხატვარმა შეხედა და გასძა-
ხა: „გაგვიძებ, ბერო მინდიავე, მუხლი
ჩაიდგი მგლისაო“. ნესტორ ჯაიანის
გვერდით, მის მიერ ღვინის სმვაში და-
შარცხებული, ჩაქურით გამოწყობილი
გურული თავადი, რაფიელ შარაშიძე
და სხვა ჩოხოსანი თავადები თვლემდ-
ნენ. ქალებს უკან, ახალგაზრდათა შო-
რის იდგნენ მოურავი ბეგლარ სანიკიძე
და მისი შმა სილოვანი, რომელსაც
ფრენჩი და გალიფე ეცვა. ბეგლარი ჯა-
რიდან დაბრუნებულ ეფრეიტორს ჰგაე-
და. ახალგაზრდებს ატყუებდა, მეც
ახალთაობის კაცი ვარო, მაგრამ კორ-
ნელის რომ შეხედა, შეკრთა და თავისი
მომწევანო თვალეები უმაღლე მორიდა.
ამ ეშმაკმა და რკინის კაცმა, ვატყობ,
ყველაფერი იცის შე და ბაბოს შესახებ
და, ვაი, თუ შური იძიოსო“ — გაიფიქ-
რა. ყველაზე უკან, კორნელის გვერ-
დით, ვადასალები ხალხის გარეშე, იდგა
იონა ჩხეიძე, რომელსაც კალარა წვერი
და კეხიანი, ფართონესტოებიანი ცხვი-
რი ჰქონდა. იგი დამცინავად ილიმებო-
და. მედიდურად დასცქეროდა ზემოდან
მიწაზე დამსხდარ და წამოწოლილ, გა-
ლესილ თავადებსა და აზნაურებს, მის
გვერდით მდგარ კორნელის რაღაცას
ეჩურჩულებოდა და ფოტოგრაფს გას-
ძახობდა:

„კარგად დახატე, ოსტატო, უნიათო,
შექთახორა თავადებისა და აზნაურე-
ბის კრებული. ეს მათი უკანასკნელი

და სამარცხვინო სურათი და სამახსოვ-
როდ უნდა შეუენახოთ ჩვენს მამაქვე-
ნო თაობებსო“, რისთვისაც ცხელად და-
ატყდა თავს მღვიძარ თავადთა რისხვა.

2.

სალამოს წვიმა წამოვიდა და ვახშამი
აივანზე გამართეს მდივნებმა. ოტია და
ბაბო დღეს განსაკუთრებით კარგ ვუნე-
ბაზე იყვნენ.

გამოძინებული ოტია ისევ ქეიფისა
და ღვინის სმის ეშხზე მოვიდა. ზარი-
ვით რეკდა მისი ხმა ბაბომ კი თავისი
ცეკვით, სიმღერით და დაირის დაკვირთ
სტუმრები მოხიბლა. მამაკაცებს გაე-
ჯობრა ღვინის სმვაში. რაფიელ შარაში-
ძე ამოიღო ნიშანში და მას ეარსიყებო-
და, რის გამოც ოტიას მოურავი ბეგლარ
სანიკიძე ბრაზისაგან გულზე სიფედებო-
და. ხშირად გამოიხიმობდა ხოლმე ქალ-
ბატონს აივნიდან ოთახში და ტუქსავ-
და. ქალბატონი კი იინუნშიც არ ავღებ-
და მოურავის გაბრაზებას, ომაზიანი
ხმით ხარხარებდა, აივანზე გამორბოდა,
თამადას რაფიელ შარაშიძეს ისევ ღვი-
ნის სმვაში იწვევდა, შვე ბრიალა თვა-
ლებს შეანათებდა და გასძახობდა: „სად
გაეჩხირა, თამადავ, თქვენი ყანწი? გვა-
ლირსეთ სასმისი, თორემ ყელი გაგვიშ-
რაო“. მულებს არ მოსწონდათ მისი
საქციელი. ტერეზა ცალ წარბს ასწვე-
და და თვალით ანიშნებდა, რა აშბავ-
ში ხარ, დაწყნარდი, სირცხვილიაო. მაგ-
რამ ბაბო ახლა არც თავის საყვარელ
მულს ერიდებოდა, არ უჯერებდა. იგი
მოერალი და ავზნებული იყო. ჩაქურით
გამოწყობილ, აზოვან, სისხლსაცვსე და
მწითურ გურულ თავადს რაფიელ შარა-
შიძეს არ ეშვებოდა...

იმ დამეს იონას, სტეფანეს, კორნე-
ლისა და მიხას სასტუმროში იატაკზე
გაუშალეს ლოგინი. ბუმბულით გატენი-
ლი ლეიბები დაუგეს და აბრეშუმის
ახალი საბნები დაჰხურეს.

კორნელის ადრე გამოვლენა. თვალ-გახელილი იწვა, დერეფანში გუშინ ღამით მომხდარ სკანდალზე ფიქრობდა: „ოტია ლეშად ქცეულა, ოჯახი მთლად დანგრევი, ცოლი ღალატობს, ქალს ბავშვი მოურავისაგან შესძენია. დღესვე მივატოვებ ამ გახრწნილების ბუდეს და კარისშერეთსა და მერე თბილისისაკენ გავეწევო რა ოქრო დრო დავეკარგე უსაქმო ხალხთან ქეიფში!“ ამ ფიქრებში იყო კორნელი, როდესაც სასადილო ოთახის კარები წელა და ფრთხილად გააღო ვიღაცამ. კარებში გრძელწვერა მოხუცის მელოტი თავი გამოჩნდა. ტახტებსა და იატაკზე მძინარ სტუმრებს მოავლო თვალი. მერე გავლიძებული კორნელი დაინახა და გაუღიმა. მოცისფრო თვალები გულუბრყვილო ბავშვსავით აუციმციმდებენ და კორნელის ჩურჩულით გასაძახა, რათა სხვებს არ გაღვიძებოდა:

— გაიღვიძე, ჩემო საყვარელო დისწულო? სტეფანეს ძინავს? — გუშინდელი წყენის ნატამალიც კი არ შერჩენოდა მას.

— არა, ბიძია ოტია, — უთხრა სტეფანემ.

— რა დროს ძილია. შუადღემ მოატანა... შეჩვენებული იონა სად არის? — სიცილით ჰკითხა ოტიამ.

— იონას ამ დრომდე შენ გააჩერებ ლოგინში! მამლის ყვირილზე დგება. აღბათ, ეზოში დაბორილობს სადმე, — მიუგო სტეფანემ. გრძელწვერა მოხუცის მელოტი თავი წამით გაქრა და მალე ისევ გამოჩნდა კარებში. დასივებულ. შიშველი, და კოტოტა ფეხები ჩუსტებში შეედგა ოტიას. ხვანჯარიანი შარვალი და მყერდგაღეღილი პერანგი ჩაეცვა. ცალ ხელში არყით სავსე ბროლის სურა ეჭირა, მეორეში კი ჩურჩხელითა და დარჩეული თხილით სავსე თეფში ღიმილით წამოადგა თავს სტეფანეს და კორნელის და აღერსით სავსე, შემზარავი ხმით უთხრა:

— ნაქეიფარი ვართ და ამ დილით არაყი მოგვიხდება, ჩემო დისწულო დიაწულებო.

საკამი მოსწვია, ზედ სურა და თეფში დადგა და თვითონ სტეფანესა და კორნელის შორის ლეიბზე დაეშვა.

— ამდენი ქეიფიც არ გამოგონია, — უთხრა სტეფანემ და შუბლი მოისრისა.

— ჩემი ღვინო არ გაწყენს. ნამდვილი ყურძნის წვენია, იმ საყვარელი მამიჩემის სულს გეფიცები. ვიქეიფოთ, ჩემო დისწულო, მეტი რა შეგვრჩება. ჩემს ნაშრომსა და ნაოფლარს ეჭამ და ესეამ, სხვისას ხომ არა, ვინ იცის, ბოშო, იქნებ უკულმართად წავიდეს საქმე და, ისე როგორც რუსეთში, ჩვენშიც ბოლშევიკებმა გაიმარჯვონ, ადგილმამული წაგვართვან და ასე თითოვით დაგეტოვონ თავად-აზნაურები. ნუ გეშინია, კორნელი არ იდარდებს ჩვენს უბედურებას, — მიუგო სტეფანეს უკვე საფუძვლიანად ფეხმორთხმულმა ოტიამ და აკანკალებული ხელით ჩაასხა სურიდან კიქაში არაყი.

საბრალო მხატვარს ისევ მკედარივით ეძინა, თორემ არყის დანახვაზე სიხარულით ცას ეწეოდა.

კორნელი ექიმის გამოცდილი თვალით უცქერდა ახლა ოტიას ვეება ღიბს, მის ჩასუქებულ და ბებერი ხარით დანაკლებულ წითელ კისერს, დილგახსნილ პერანგში გამოჩენილ თეთრს, ფაფუკსა და ღონდლო სხეულს, მუთაქისოდენა დასივებულ ფეხებს, მის დასუსტებულ, დაავადებულ და აცრემლებულ უგონო თვალებს, მსუქან თეთრსა და აკანკალებულ პატარა ხელებს, ორშიმოს ტუჩივით მოწყობილ ბაგეს, რომლითაც აურაცხელი საპლანე ღვინო შეუხვრეპია თავისი ცხოვრების გზაზე ოტიას. ქეიფი და ღვინო ოტიასათვის აღდგომა იყო. გუშინდელი სკანდალი მას არ აღონებდა და არც აბსოვდა. კორნელის კი მის მაგივრად რცხენოდა: „აი როგორ მოშლის, დასცემს და პირუტყვად აქცევს ხოლმე დაუსრულებელი ღვინის

სმა და ლოთობა ადამიანს. ამას ახლა არც ნებისყოფა, არც თავმოყვარეობა და არც კაცობა გააჩნია. ნამდვილი ინვალიდია. რა თქმა უნდა, ჯანსაღი, სისხლსავე და ჯერ სულ ახალგაზრდა არსიყი ქალი — ბაბო ამის ტოლი არ არის. რა ქმრობა და მეგობრობა უნდა გაუწიოს ამ ლოთმა, მოშლილმა, გამო-

ჩერჩებულმა, ავადმყოფმა და გადაშენების გზაზე მდგარმა ქვეყნის კაცმა ახალგაზრდა და უცხოელმა? როგორ დაატყობს მისი ზორცი და სული? რა საამაყო და ჩინებული წინაპარი მყავს?!“ — ფიქრობდა კეშნით კორხელი.

დედა და შვილი

«ძლიერ არ მომწონს, მაშინებს, რომ ხარ პოეტი...
დაებერდი, დაჭაჩანაკი... შენ კი შორსა ხარ...
შინ ყოფილიყავ, ის სჯობდა... შენს მავალითზე დაერწმუნდი,
ფულის შოვნა და მოხვევა უჭირთ პოეტებს.»

ს. ესენინი «დედის წერილი»

1.

ტერეზა, იონა, კორნელი და მიხა ღამით ჩავიდნენ კარისმერეთში, დათა, ელენე, სტეფანე და კატო ზედაზენში დარჩნენ.

ღლით ადრე გაეღვიძა კორნელის, ფარდა ასწია და ფანჯარაში გაიხედა. ქოლგასავით გაშლილი, ვეება ცაცხვის ქვეშ, მწვანე მოღზე, ისევ მამალი ინდაურები გამოსულიყვნენ და ბრაზისაგან იფიფრებოდნენ. კორნელიმ მზით განათებულ მშვენიერ არე-მარესა და მთებს გახედა. მისი ქვრეტით დატყბა და მერმე ფარდა დაუშვა. სასთუმალთან, სკამზე ლედვის ფოთოლგადაფენილი ჯამი დაინახა, ჯამზე ისევ ახალდაკრეფილი ლედვი და ყურძენი იყო. კორნელიმ ხილი შექაშა და ხელი ფოთოლზე გაიხოცა. ადგა, შარვალი ჩაიცვა, ფეხი ჩუსტებში შესდგა და პერანგის ამარა ეზოში გავიდა.

ეზოში, ბებერი მსხლის ქვეშ, კვლავ შავებით მორთული დედამისი იჯდა და, ჩვეულებისამებრ, კრიალოსანს მარცვლიდა, კორნელი სამზარეულოს უკან გავიდა. მერე დედამ დაუძახა და ნაღველიანად უთხრა:

— ზედაზენში მომხდარი სკანდალის გამო მე ბევრი ვიფიქრე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ შენ და მიხა მოსისხლე მტრები ყოფილხართ. შენსა და ნინოს შორის დიდი განხეთქილება მომხდარა.

კორნელი დედის გვერდით წელმოწყვეტილი დაჯდა და მიუგო:

— არაფერი ისეთი არ მომხდარა. აბა რად გინდა იცოდე, დედაჩემო?

— როგორ თუ რად მინდა? მე დედა ვარ შენი. ჩემზე უკეთეს რჩევას ვერავინ მოგცემს... მითხარი, ნუ დამიმალავ.

კორნელიმ განზე გაიხედა და დარცხვინილი დაბალი ხმით დაიწყო:

— ნინო ექვს იღებს ერთ გერმანელ ქალზე. შენ იცნობ იმ ქალს.

— ვინ არის ის ქალი?

— მარგარიტა ლეტცი.

— მარგარიტა ლეტცი რა შენი საკადრისია! — უმალვე აიმრიზა ტერეზა, — იმ უზნეო ქალთან შენ რა ხელი გაქვს?!

— თვითონვე მიხვდები. მარგარიტამ, ჩემი თხოვნით, ჩემი სკოლის ამხანაგი ლეონ მერაბიანცი საპატიმროდან გამოაშვებინა სამხედრო მინისტრს.

ამიტომ ლეონმა მარგარიტა და მე დაგვატიყა რამდენჯერმე შინ და რესტორანშიაც.

— აი, ხომ ხედავ! ლეინო, ქალები და რესტორანი! ეს არის ჩემი უბედურება. მერე, რა მოხდა?

— მერე, როდესაც მაყაშვილები ამ ზაფხულს ქვიშხეთში გადაცილეს, მე და მიხა სადგურიდან ქალაქში დავბრუნდით და ვერის ხილთან ბაღში შევედით, იქ მარგარიტა და მისი მეგობარი ქალი მალაშვილი შეგვეხედნენ. მიხამ დაპატრონა ისინი რესტორანში და ერთად ვივახშმეთ.

— ისევ ლეინო, ქალები და რესტორანი... მერე?

— ვახშმის შემდეგ მიხამ წამოიყვანა ისინი და დამე ჩემს ოთახში გაათიეს... თუმცა ნინო უარყოფს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყოველივე ეს მიხამ ელოს უამბო, ელომ კი — ნინოს. და ატყდა ერთი დავიდარაბა, ჩხუბი და ისტერია...

— შე კვი კაცო, მრუშობას ნინო რომ არ გაატიებდა, ეს კარგად უნდა გცოდნოდა. მით უმეტეს ისეთი ამაყი და შენში შეყვარებული ქალი, როგორც ნინო მაყაშვილია. ცუდად ყოფილა საქმე. რა ჩინებული საბუთი მიგიცია სიყვარულისა ნინოსათვის! ყოჩაღ, ბიჭო. განა მოწინავე ადამიანმა, მწერალმა და წესიერმა კაცმა, ასეთი რამ უნდა იკადროს და ჩაიდინოს! არ მომწონს, მართალი ვითხრა, ეს ამბავი. იგი ცუდად გახასიათებს შენ...

— ეს ამბავი წუთიერი გატაცების შედეგია. ნინოსადმი ჩემ სიყვარულს იგი არ შეხებია...

— ყოველთვის მეშინოდა: კორნელი ლეინომ და ქალებმა არ გაიტაცოს-მეთქი. გაფრთხილებდი, უამრავ წერილს გწერდი, თავს გაბეზრებდი. და აი, ხომ ხედავ, რისიც მეშინოდა, სწორედ ის მოხდა. მე მქონდა იმის საბუთი, რომ გამეფრთხილებინე. მამაშენის მგალითი თვალწინ შედგა და ის არ მასვენებ-

და. ათასჯერ მითქვამს შენთვის, მამაშენს ჰგვებარ-მეთქი ხასილავი, მაშინ ახირებული, უნებისყოფო, თავშეუკავებელი, აფექტური და აგზნებული კაცი იყო. ვაი, ჩემს უბედურ დღეს...

კორნელი მიხედა, დედამ რომ ხელოვანო იგი და მანამდე არ მოეშვებოდა, სანამ სათქმელს სრულად არ ეტყოდა და ნოტაციების კითხვით არ გააბრუნებდა. ეგ სენი სჭირდა, თავისი დროისათვის კარგად აღზრდილ, განათლებულ და ნაკითხ ტერეზას, და აი, ისიც მოჰყვა და უსრულებელ ნოტაციებს:

— ჯერ კიდევ რუსთაველი ამბობდა: „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასაღარი“. ან კიდევ: „ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში“...

— ეს, დედა ჩემო, ეს ყოველივე მართალია, მაგრამ შოთას რომ ყური ვუგდოთ, ვის აკლია ჩვენს დროში ახლა მიჯნურთ ზნეობა? მე კი არა, ავით დიდმა გოეთემ, რომელმაც თავისი გენიალური წარმოსახვის გამო, ასე ღრმად და შესანიშნავად იცოდა მიტოვებულ ქალთა ტანჯვის ასახვა, ბირად ცხოვრებაში არა ერთი ქალის გული დაკოდა. მე კი ჯერ არც ერთი ქალისა და, მათ შორის, არც ნინოს გული არ დამიკონია. მე რომ მიკვირებ, ერთი ნინოსაც ვაუხინჯე კბილი. შენ რომ ვგონია, არც ისეთი იდეალური და რომანტიკულად განწყობილი ქალი ვახლავს ნინო. მე მასთან გაყრას არა ვდარდობ. იგი თავისი დედის მსგავსად ნივთიერი უზრუნველყოფის, სიმდიდრისა და ქონების მოყვარული, წვრილმანი, შეზღუდულ გრძნობისა და გონების, ფილისტერი ქალია, ელოსაებრ ისტერიით დაავადებული... დავიდალე ამდენი ცერემონიებით. მართალი თუ ვინდა, თავადებისა და, მათ შორის, მაყაშვილების დროც მოკვდა ისინი გადაგვარდნენ. ახლა სულ სხვა ხალხი მოდის და სულ სხვა ცხოვრება მკვიდრდება.

— ასე ნუ იტყვი... ყველას რად ჰკილა? მაგეთი ქალი სწორედ არ არის.

ნინო. შენ ნინოზე აღრენილი და გაბრა-
ზებული ყოფილხარ. გინდა თავი გაი-
მართლო და ქალს კი უდანაშაულოდ
ლანძღავ. არ ვარგა შეილო, იმის მტყი-
ცება, რაც თვითონვე არ გჯერა. რა
ხალზე და რა ცხოვრებაზე ლაპარაკობ?
ვინ აგირია გონება და ვინ დაგარწმუნა,
რომ მუშები და გლეხები ცხოვრებას
სამოთხედ აქცევენ? არა გრცხვენია,
ისეთი შეურაცხყოფა რომ მიაყენე, და-
თა ნიეარაძეს, კოწია ერისთავს და ქორ-
ქაშვილს? ნუთუ შენ მართლა გგონია,
რომ გელაშვილები, ტურაშვილები და
ენდელაძეები დაამყარებენ სოცია-
ლიზმს? მაგრამ ეს ახლა არ მაინტერე-
სებს. დრო დაგვანახებს... შენ ნინოს
წაჩხუბებინარ... შენი უზნეობის გასა-
მართლებლად ათას ვინმეს იმოწმებ.
მათ შორის გოეთესაც... ქალებისადმი
გოეთეს არასაკადრისი მოპყრობა და
უზნეო საქციელი შენ ვერ გაგამართ-
ლებს და საზოგადოებისთვისაც მიუღე-
ბელი დარჩება. საზოგადოება ყოველთ-
ვის ზნეობრივ საფუძველს ეყრდნობო-
და და, რა საზოგადოებაც არ უნდა დამ-
ყარდეს მომავალში, იგი მაინც ზნეობ-
რივ საფუძველს უნდა დაეყრდნოს...
ადამიანი, გონების კარნახისა და ზნეო-
ბის გარეშე თუ ცხოვრობს, მხოლოდ
გრძნობითა და ფანტაზიით ხელმძღვანე-
ლობს და მოქმედებს, უთუოდ დაიღუ-
პება, თუნდაც მწერალი და მხატვარი
იყოს იგი. ამის უამრავი მაგალითი არ-
სებობს. რაც შეეხება გოეთეს, მისი უზ-
ნეობა მე არ გამიგონია და, ჩემის აზ-
რით, მის გონებასა და გრძნობას შო-
რის პარაზონია სუფევდა.

— საუბედუროდ, მწერლებსა და
მხატვრებში გრძნობა სჭარბობს გონე-
ბას. მხატვარი ან მწერალი, თუ ვნებით
ხავსე, მგზნებარე და ხელოვნებაში
უსაზღვროდ შეყვარებული, თავისებუ-
რი და განსაკუთრებული პიროვნება არ
არის, ის მნიშვნელოვანს ვერაფერს შე-
კქმნის.

3. „ნათობა“ № 1

— იმ გზნებასა და დაუოკებელ გზე-
ბებს, გრძნობა და ფანტაზიით ხელმძღვანე-
ლებულ სიფაქიზემდე მიიყვანს. ადამიანს
ხეებისყოფა უღუნდება, იგი არა გონე-
ბის კარნახით, არამედ აფექტებით
ცხოვრობს, რაც ზშირად უზნეო და ცუდ
ნაბიჯს ადგმევინებს. ამით არის გამოწ-
ვეული შენი დაუღვარეო და მოუსვენა-
რი ცხოვრებაც, სასოწარკვეთილება,
ომში წასვლა და სიკვდილთან თამაში,
ღვინითა და ქალებით — წყევული მარ-
გარიტა ლეტციით გატაცება. ასეთი იყო
მამაშენიც. იგი ბუნებით მხატვარი იყო
და, სამედციინო დარგი კი დაამთავრა.
შენც მის კვალს მიჰყევები და გულა მიყ-
ვლება... როგორ შეათანხმებ შენ ლექ-
ციებზე სიარულს, პროექტურაში გვა-
მებზე მუშაობას, ვარჯიშობას და მწერ-
ლობას?! ნეტავი შენ მწერლობა არ და-
გეწყო და სხვა რაიმე ხელოვნებისათვის
მოგეკიდნა ხელი. ხელოვნებაში უანგა-
როდ და უსაზღვროდ შეყვარებული
ადამიანი, ისეთი, როგორიც იონა და
შენა ხართ, ვერ ერკვევა ცხოვრების
წერილთან და პრაქტიკულ საკითხებში...
ეს არის ჩემი უბედურება. შენა და იონა
მეოცნებე, ფანტაზიორები და პრაქტი-
კული საქმიანობისათვის გამოუსადეგა-
რი ადამიანები ხართ. იონამ დამლუპა
მე. მან აგაცდინა სწორ გზას და ახლა
ნარ-ეკლით მოფენილ გზას ადგები, და-
იმახსოვრე: შენც იონასავით მათხოვარი
იქნები, რადგან პოეტის, მწერლისა და
მხატვრის ქონება და ფული არავის გა-
უღვონია.

— ეგრე რად ამბობ, დედაჩემო! შე-
ნი სიტყვა წყევლასა ჰგავს, — შეძრწუნ-
და კორნელი.

— წყევლისაგან ღმერთმა დამიფა-
როს. მე ჩემ საოქმელს ვამბობ თუმ-
ცა, — დასძინა ტერეზამ, — სტეფანე
თუ პედაგოგი და ევგენი ჭირურგი არის,
რა ჯილა დამადგეს მერე! სტეფანე ცო-
ლის ნათესავეებსა და მოყვრებს გადაყ-
ვა. ევგენი პარიზშია და ისევ სწავლას

განაგრძობს. შენ კი, თვითონვე დახმარება და ხელისშეწყობა გინდა. მართო მე, ქერივმა და ოხერიმა ქალმა, რა გავაწყო, ისიც ამ არეულ დროში? შეხედე ამ სახლს, საძირკვლები უღებდა. აივანი თუ არ შევაკეთეთ, საცაა სვეტები გამოეცლება. სამზარეულო გადახარა, ბელელი და სასიმიხდეც ცალ გვერდზე წამოწოლილ ბებერს დაემსგავსა. განა ტყუილს ამბობს იულო დურგალი, „ნოვი ნადაო“ რომ იძახის! ჩვენი ვენახიც დაბერდა. ძლივსლა ისხამს ნაყოფს და ახალი ვაზები უნდა ჩაიყაროს. ვინ ითავებს და ვინ უპატრონებს ყოველივე ამას? შე დაბერდი და დავსუსტდი. ზედავ, როგორ გავხდი? ვატყობ, რაღაც სენი შემომეპარა, შვილო.

კორნელიმ ფერმკრთალ დედას შეხედა და გული ეტკინა. იგი შარშანს აქეთ მართლაც ძლიერ გამხდარიყო და მთლად გაჭაღარავებულიყო. თვალები ბუდეში ჩასცივივნოდა და უბეები ჩაღამებოდა. გრძელ სახეზე გრძელივე და კეხიანი ცხვირი შესამჩნევად გამოერჩეოდა.

— აი, ხომ ზედავ, — უთხრა ტერეზამ შვილს, თავი დახარა, საგრძობლად შეთხელებული, თეთრი თმა თხემზე გადაიწია და სიმსივნე უჩვენა. — ხომ გახსოვს, ეს სიმსივნე თხილის ოდენა იყო, ახლა კი კვერცხის ოდენა გახდა. მეშინია, კიბო არ იყოს.

კორნელიმ ხელი შეახო და იითებით მოსინჯა თმაგაცვენულ კანქვეშ მოძრავი სიმსივნე.

— ეს ცხიმივანი სიმსივნეა, ავთვისებ. ბიანი არ გეგონოს, დედაჩემო, — უთხრა კორნელიმ. მაინც ეწყინა ეს ხორცმეტი დედის ქალარა თავზე. ფეხზე წამოდგა და ანუგეშა, — ნუ შიშობ, ერთ წუთში ამოგიგდებს ქირურგი.

— შენც არ მომიკვდე შვილო, დანის ქვეშ მე არ დაეწევი. რაც მრსაველია, მომივიდეს. საკმაოდ მრავალს მომიხსოვდელი. ის არის მხოლოდ ნაველალო, რომ შენს ცოლშვილს ვერ მოვესწარი. შენს ცოლშვილს თუ მოვესწარები, შერე დამშვიდებით მოვეკვდები, „აკაქანია, ბაკაქანია, გისევამს-გიქამია, გზა გაგაქანიაო“, — ხომ გაგიგონია ეს ანდაზა?

— რა სიკვდილზე ლაპარაკობ?

— დაბერდი, შვილო, ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს. ეს სოკოსავით თავზე გაჩენილი სიმსივნე მაინც არ მომიწონს. ვაი თუ ამან მომიღოს ბოლო?! ამ გამწარებულ დროში სიცოცხლეც არა ღირს. ამიტომ არც მეშინია და არც მეხადვლება. ბოლოს, ხე რომ ზეა, ისიც კი ბერდება და ხმება. შეხედე ოდესღაც ტუბილი ნაყოფით მსხმოიარე ამ სანაქებო მსხალს. სულშთლად სოკო მოედო და ფითრმა შეჭამა.

კორნელიმ ბებერ მსხალს ახედა. ზეს ჩრდილოეთის მხრით, ტანზე ხავსი მოსდებოდა, თეთრი სოკოები ამოსვლოდა ხორცმეტივით და ხმობა შეპარვოდა. ტოტები კი მუქთამქამელ ფითრს დაეფარნა.

კორნელის ცუდად ენიშნა ყოველივე ეს.

ამ დროს ეზოში იონა შემოვიდა და ტერეზამ მაინც მოასწრო ეკითხნა შვილისათვის:

— მართალი მითხარი: შენსა და ნინოს შორის ჩხუბი როგორ დამთავრდა? საბოლოოდ გაეყარეთ და დაშორდით ერთმანეთს?

— ჩვენ არა ერთხელ გვიჩხუბნია, დედაჩემო, მაგრამ საქმე ისევე მორიგებით დამთავრებულა. ალბათ, ახლაც ასე მოხდება, — მიუგო კორნელიმ, თუმცა თავისი სიტყვები თვითონაც არა სჯეროდა.

(გაგრძილება იქნება)

ახალი წელი

★

ახალი წელი მოვიდა,
 მოაქვს ხეაფი და ბარაქა,
 კრემლის საათიც გვილოცავს,
 რეკავს სოფლად და ქალაქად.
 ვუმღეროთ მრავალეამიერ,
 ვუთხრათ მადლობა მრავალი,
 ვინც ხალხს უჩვენა გორიდან
 ცისკარი ამომავალი.
 ვუმღეროთ, ვინც ვეკაცურად
 შემუსრა მტერი აფთარი,
 ვინც მთელი ქვეყნის მზეა და
 მშვიდობის ბაირალტარი.
 ღრუბლებზე მაღლა ნავარდი,
 ვიდრე არწივებს სწყურიათ,
 ვიდრე სიტურფით თვალს ხიბლავს
 საქართველოს ცის ლაქვარდი,
 ვიდრე სხივების ციმციმით
 ვარსკვლავი მიწას დაცქერის,
 ვიდრე შხულის ხმა ისმის
 კლდიდან მომსკდარი ჩანჩქერის,
 ვიდრე არაგვი მორბის და,
 თევზს წყალი არ მოსწყინდება —
 სტალინს — მანამდე სიძღერა,
 სტალინის დროშას დიდება.
 ვადიდოთ, ვინც, აღამალა
 მსოფლიოს ყველა მშრომელი,
 ვის გულშიც ხალხის ტრფობაა
 ზღვასავით დაუშრობელი.

ვადიდოთ, ვინც მოგვიტანა
 ქვეყნად მუდმივი ვარდობა,
 ვინც ყამირს მისცა სიცოცხლე,
 ბერძენს — ახალგაზრდობა,
 ვუმღეროთ ტურფა ქართლ-კახეთს,
 მხარეს პერ-ღვინით ნაქებსა,
 მესხეთის ახალ ბაღნარებს,
 კოლხეთს ხელახლა ნაგებსა.
 ვუმღეროთ რაჭას, იმერეთს,
 ლეჩხუმის მთებს და მღელოსა,
 შიორ აჭარას, აფხაზეთს,
 გურია-სამეგრელოსა.
 ვუმღეროთ ყანებს, ნარინჯებს,
 ჩაის ბუჩქებს და ვაზებსა,
 ვუმღეროთ დედა-სამშობლოს
 თვალწარმტაც სილანაზესა.
 სამშობლო, ჩვენი სამშობლო
 დიადი ძმობის კერაა,
 ყველა ჩვევანის სიცოცხლე,
 ნატერა და გულის ძგერაა.
 ეოსურვით მშობელ ქვეყანას
 წინსვლა და მტკიცე მშვიდობა,
 ვუსურვოთ ყველგან მოესპოს
 ომი და უამინდობა.
 ახალი წელი მოვიდა,
 ღზენით გაეუღოთ კარები,
 მოაქვს მამულის დიდება,
 რეკავენ კრემლის ზარები.

ბაღაბოლილი პელი

★

ვერა, ვერ დავიჯერებ, რომ ამ ხალხში სადმე მიმაღული არ იყოს და სანეტარო შეხვედრის წუთებით გულათრთოლებული არ მეძებდეს, ნაზი მორცხვობით არ ელოდეს ჩემს ნახვას. არ მივივრის, თუ მას ჯერ კიდევ გაუბედაობის გრძნობები ბოჭავს. იქნებ ამ ზღვა ხალხში შორიდან მომკრა თვალი და უკვე ჩემსკენ მორბის. მაგრამ არა, ტყუილად ველავ; მატარებელი დაიძრა, ხალხი გაიფანტა, ის კი არსად ჩანს.

— რატომ არ უნდა დამხვედროდა მარინე?! მე ხომ ვაცნობე, რომ დღეს ჩამოვიდოდი?! განა ხუთი თვე ისეთი დიდი დროა, რომ უკვალოდ გაპქრეს ჩვენი სიყვარული? მე ხომ სულ თან მსდევდა მარინეს სახე, ძალას მმატებდა, მაღფრთოვანებდა... თუმცა უცნობის წერილმა სული ამიწეწა, შემაშფოთა და მარინეს, აღელვებულ გრძნობებს აყოლილმა, გულის ბოღმა დაუფარავად გავუმკლავნე; ამის შესახებ წერილს რომ ვწერდი, ასე მეგონა მისი ნათელი სახე თვალწინ მედგა, თან მსდევდა, გამწარებული ვეჩხუბებოდი. იქნებ მარინეს მოუსვლელიობის მიზეზი ჩემი წერილი იყოს.

* * *

სადგურიდან გამოვედი. ჩემს თვალწინ ჩვეული მიდამო სრულიად სახეშეცვლილი გადაიშალა; სადგურის ახალი შენობა უკვე დაუმთავრებიათ, ელექტროამწევეები განუწყვეტლივ ჯახჯახებენ, ახლად-აშენებული რკინის ხიდზე მანქანები დაპქრიან, თუჯის სვეტებზე ვერცხლის ბურთივით ჩამოუცი-

დნიათ ლამპიონები, ქუჩები მოასფალტებულია, სახლები შეკეთებულია, ზოგი შეთეთრებული, ზოგიც ცემენტით შელესილი.

მივეყვები გზას.

მარცხნივ, ჩვენი წარმოების დიდი შენობაა. შენობის ირგვლივ ხარიხები აღუმართავთ. შეკეთება გვიან დაუწყიათ; ალბათ ეს იმისი ბრალია, რომ მშენებლობის უფროსი გამოიცვალა, ხოლო პლატონ კორინთელი გვიან ინიშნა. შენობის წინ, ქუჩაზე ელნათური ჩამქრალა და ირგვლივ დამე ჩამონაბღულა.

უწინ, ასეთ დროს, ყოველთვის, მხოლოდ ზემოდან, მესამე სართულიდან, მარცხნივ ღიად დატოვებულ ფანჯრიდან, ელექტრონის შუქი გამოკრთოდა. ეს ლაღო ჯანდიერის ოთახი იყო. ის განგებ ტოვებდა სინათლეს ოთახში. ამით უნდოდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ დღედაღამ ვმუშაობო. ხშირად, ღამით, გვიან მოვიდოდა, ქუდს ოთახში შეინახავდა და შემდეგ აუცილებლად უფროსის კაბინეტის კარებს შეაღებდა; უფროსს თავს ანახვებდა, ზრდილობიანად შეეკითხებოდა, ხომ არაფერს დამავალებთო, და მერე კარებს ფრთხილად, ძალზე ფრთხილად, უხმაუროდ მიხურავდა, რომ უფროსის მყუდროება არ დაერღვია.

ლაღოს ოთახი ჩაბნელებული, რომ დავინახე. არ ვიცოდი რა მეფიქრა. მარინე მწერდა, რომ ავადყოფობის გამო ლაღო ჯანდიერმა შეგცვალაო. ის ამით მეტად კმაყოფილი იყო თურმე; ქედმაღლობაც დაუწყია, მძიმე-მძიმედ დადიოდა, უფრო ნაკლებად იღიმებო-

და, სიტყვას იშვიათად თუ ამბობდა, მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ თანამშრომლებს ხალამს არ აძლევდა, პირველად თვითონ მომესალმონ, მე უფროსი ვარო. თუ ვინმეს შეაქებდნენ, ჯანდიერი აუცილებლად ოდნავი გაღიჟინით, მაგრამ თავშეკავებული ღვარძლით გააბიბრებდა, გაჰკიცხავდა. თუ მას პირადად ვინმე შეაქებდა, შექებებს დამსახურებულად მიიღებდა და მაქებარს დინჯად უხდიდა მადლობას, იმაში, დარწმუნებული რომ ის, მართლაც ამის ღირსი იყო.

მარინე მწერდა — შენს ავადმყოფობაზე ყველა სწუხს. ლადო ჯანდიერსაც თურმე ისე უჭირავს თავი, თითქოს, შენზე ძალიან დარდობდეს და თანაც ასე მითხრა. — როგორ მენანებაო გაგა! რა ნიჭიერი ახალგაზრდა, რა ბრმა შემთხვევამ დაღუპა! ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ დაბე, უბედურმა შემთხვევამ, როგორ იმსხვერპლა ადამიანი?!.. ამბობენ, გაგა ისე ცუდად არის, რომ საექვოა, ჩვენთან მისი დაბრუნება. ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ ახლა შენ მარტო დარჩი და ვაი, თუ გაგასა და შენს მიერ დაწყებული მუშაობა დაზგის გადაკეთებაზე, ჩაგეშალოსო! — მე ვიგრძენი ის ფარული ღვარძლი, რაც ლადოს ამ სიტყვებს ალაპარაკებდა.

— მარინე! ჩემო, მარინე! მე მას პირველ შეხვედრისთანავე „ჩემი მარინე“ უწოდე. რომ იცოდეთ, რარიგად გაიტაცა ჩემი გული სიყვარულის პირველმა სევდამ. ეს მოხდა მშენებლობაზე მარინეს მოსვლის პირველ დღესვე, ეს ნამდვილად ასე იყო, არაფერს ვაჭარბებ. ალბათ, ეს სევდა იმანაც გამოიწვია, რომ სიყვარულის ძალა პირველად მხოლოდ მარინესთან შეხვედრისას განიცადა, თუმცა მარინესათვის ჯერ არაფერი მეთქვა. მაფიქრებდა ისიც, თუ რას მეტყვოდა ის თვითონ. აი, სწორედ გრძნობების ჰილილში მყოფს, ხან უტკბილესად გამიელვებდა ფიქრები

მასზე, ხან კი შემაშფოთებლად, მაგრამ მასთან სხვა საკითხებზეც საუბრობდა. ძალაუნებურად წამომცდებოდა „ჩემო მარინე“ და ის, რომ გაიღივებდა, გულზე მომეშვებოდა.

მარინეს მონაწერმა ძალზე ჩამაფიქრა, რა ღვარძლიანად უთქვამს ლადოს — საექვოა, ჩვენთან გაგას დაბრუნებაო. ვითომ რათაო?! ნუთუ, მართლაც ისე ცუდად ვიყავი, რომ ეს ეთქვა? ალბათ, ფიქრობს, გაგას ადგილი მე დამრჩებაო. ვიცი, როგორ შეძრწუნდებოდა მარინე ლადოს სიტყვებზე.

— : : —

გონებას არ შორდებოდა ოცნება იმ დღეზე, როდესაც მარინე დაზგის გადაკეთებით თავს ისახელებდა.

რომ იცოდეთ, რა ხალისით, რა დაუტყბრომელი შრომით დაიწყო მარინემ მუშაობა. მართალია, ის პირველად მეტად შემკრთალი იყო, რადგან ჩვენთან იწყებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას და ალღევებით იტყვოდა ხოლმე — განა ძალმიძს, ისეთი რამ გავაკეთო, რითაც შეიძლება წარმოებას რაიმე შევმატოვო.

— მარინე! მართალია, პირველად გაგიძნელდება, მაგრამ ნურაფრის გეშინია... უნდა გახსოვდეს, ცხოვრება ყველას შეუძლია, მაგრამ სიციცხლე ჩვენგან მეტს მოითხოვს... ჩვენ ყველა შენთან ვართ, ნურაფრის გეშინია! — გამშვიდებდი მას.

მართლაც, თანდათან შეეჩვია ის მშენებლობის რთულ სამუშაოებს... ყველგან ნახავდით მას, ყველგან ახალგაზრდული სული შეჰქონდა. შრომის ფერხულში ჩაბმული ყველას აზრს გულისყურით ისმენდა, შეხედულებებს არ მალავდა, გასაყიციხავს მოურიდებლად ჰკიცხავდა, თავს დასტრიალებდა ახლადამუშავებულ სახარატო საამქროს. აკვირდებოდა თვითოეული ხარატის მუშაობას, უბის წიგნაკში ინიშ-

ნავდა რაღაცას და თავისი აზრის სისწორეს გამოცდილ ოსტატებთან საუბრით ამოწმებდა.

მარინე მეტად გულისხმიერი იყო. მან თავისი ქცევით საამქროს თითოეულ მუშას შეაყვარა თავი. ამიტომ იყო, რომ ყველა სიყვარულით იხსენიებდა, ყველა პატივსა სცემდა.

მარინეს სწამდა — წარმოებაში რა სიძნელეც არ უნდა შეხვედროდა, დასძლევდა. ამაში ის თანდათან რწმუნდებოდა, იმიტომ, რომ ყოველ საქმეში საამქროს მუშები, როგორც ერთი კაცი, გვერდში ედგნენ. მახსოვს ამ იმედით იყო აღფრთოვანებული მარინე იმ დღეებშიაც, როდესაც მოულოდნელად მივიღეთ შეკვეთა ორთქლგამტარი მაღლისათვის ორთქლის გადამკეტი ბადროს დიდი რაოდენობითი დამზადებაზე. შეკვეთა სტალინოდან იყო მიღებული და მის დროულად დამზადებაზე დიდი მნიშვნელობის ქარხნის მშენებლობის დამთავრება იყო დამოკიდებული. შეკვეთა უნდა დაგვემზადებინა ათ თვეში. საეჭვო იყო ჩვენი საამქროს დაზგებით, ასეთ მცირე დროში, თუ შევასრულებდით მოცემულ გეგმას. ამან ძალიან ჩაგვაფიქრა. საქმე იმაში იყო, რომ ერთი დაზგა დღეში ოთხ ბადროს ამზადებდა. ეს კი ვერ უზრუნველყოფდა დაკვეთის დროზე შესრულებას. საჭირო იყო შრომისნაყოფიერების ერთიორად გადიდება.

გადიოდნენ დღეები.

საწარმოო თათბირებზე ბევრი საგულისხმო აზრები გამოსთქვეს. ზოგი მათგანი მოიწონეს და მაშინვე დანერგეს წარმოებაში, მაგრამ მაინც ვერ მიიღეს ისეთი შედეგი, რომელიც მნიშვნელოვან გარდატეხას მოახდენდა ბადროს დამზადების საქმეში.

ის, რაც გახალისებდა, ძალას გმატებდა, ალტაცების ფრთებს გასხამდა, ეს იყო ერთიანი სული, მტკიცე გადაწყვეტილება, შეკვეთა სასახლოდ დამთავრებინათ. ამას ყველა გრძნობდა.

სასიამოვნოდ განიცდიდა მარინეც ამ დიად ძალას ერთობის. მარინეც ეტყობოდა მარინეს, ვინ კიდეც რას! მარინეც თავის აზრებს, თავის შეხედულებებს მათ გულისხმიერად უზიარებდა, რომ იტყვიან, გულს გადაუშლიდა.

ერთხელ მარინე სახეგაბრწყინებული მოვიდა ჩემთან.

— გაგა! თუ არ დამცინებ, რაღაც მინდა გითხრა! — მითხრა აღულებულმა და უმაღლეს იგრძნო, რომ ეს არ უნდა ეთქვა. — მე მინდოდა... თუ სისულელეს ვიტყვი, ნუ მომერიდები...

მარინე ღელავდა. სიტყვებს ვერ ალაგებდა.

— მე დავუჯირდი ხარატებს. — ტუჩები გაუშრა, — ხარატმა დეტალი დაზგიდან ოთხჯერ უნდა ჩამოხსნას. მაშინ, როდესაც შეიძლებოდა ჩამოხსნილიყო ორჯერ, ამაზე ხომ ცოტა დრო არ იხარჯება?!.. ამოხარატება უხეში ნაწილების აგლეჯის შემდეგ, დაზგიდან ჩამოუხსნელად შეიძლება გაკეთდეს. ამასთან კარგი აქნებოდა დაზგასთან გაგვეკეთებია დეტალის მიმწოდებელი. ვფიქრობ, დაზგის მოტორის სიძლიერე თუ გადიდდა, ჩვენ შევძლებთ შრომის ნაყოფიერების გაზრდას. თუ ჩვენ ყოველივე ეს გავაკეთეთ, ბადროს უფრო მეტს დავამზადებთ. აი, ეს მინდოდა მეთქვა... შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ... თუ ვცდები, მირჩევნია შენთან გავწითლდე, ვინმემ სხვასთან.

მართალი გითხრათ, ახალგაზრდა გოგონას ჯერ კიდევ გამოუცდელ ინჟინერს, ასე გონიერული დასკვნების გამოტანა და ასეთი წინადადების წამოყენება თუ შეეძლო, არ მეგონა.

ამის შემდეგ ჩვენი სიყვარული უფრო მეტი შინაარსიანი და საინტერესო გახდა. ეს არ გამოპარვია ლადო ჯანდიერს. ის ყოველნაირად ცდილობდა მარინეს ყურადღება დაემსახურებინა, მაგრამ ხელაღდა, რომ მარინე მასთან ცივი და მიუკარებელი იყო და ეს მას

აბორიტებდა. ცდილობდა დაემცირებინა მარინე. ხელი შეეშალა მუშაობაში. სახელი გაეტეხა იმ საქმისათვის, რომელსაც მარინე აკეთებდა. ის, რასაც მარინე ფიქრობს, ცარიელი ფანტაზიაა და სხვა არაფერია. მარინემ გული არ გაიტეხა. პირიქით, მეტი მონდობებით მოკიდა ხელი თავის ოცნების განხორციელებას. გამარჯვების რწმენა ოდნავად არ შესცვლია. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვშორდებოდით დაზვას, ჩვენი აზრი, გონება დაზვას დატრიალებდა.

მარინეს წარმტაც სახეს იღუშალი ოცნება ამშვენებდა. ეს სახე მე არასოდეს არ დამავიწყდება. ის ყოველთვის თანმსდევდა. მაშინაც კი, როცა ლომკარის სატეხებიდან დაბრუნებისას ხეობაში ახლადგაყვანილი გზიდან ჩემი მანქანა გადაიჩეხა. იმ დღიდან ჩამოვშორდი მშენებლობას, ჩემს მეგობრებსა და ამხანაგებს, ჩემს საყვარელ საქმეს და შრომას.

— : —

ხუთი თვე გავიდა მის შემდეგ. ბევრი რამ შეიკვალა, მაგრამ ჩემი ფიქრები წინანდებურად დაზვას დასტრიალებდა. მე და მარინემ დაზვას მორტორი გამოვუცვალეთ, მასალის მომწოდებელიც კეთდებოდა, მაგრამ მერე? მერე კი მე საავადმყოფოს მკვდრულ სიჩუმეში გული მიწუხდა, რა მოხდა შემდეგ, რა წარმატებებს მიაღწია მარინემ, არაფერი ვიცი.

ტყუილი რა საკადრისია, ბევრჯერ ეყოფილვარ მეტისმეტად აღელვებული, იმის გამო, რომ მეგობრები, მათ შორის ჩემი მარინეც ერთხელაც არ ჩამოსულან თბილისში ჩემს სანახავად.

— ნუ თუ ყველას დავავიწყდი?! — ვფიქრობდი, მაგრამ რა ვიციოდი, თუ ეჭიმებს აუკრძალავთ მნახველების მოსვლა. გულის მღრღნელი ეჭვები მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ მორჩა, გათავდა, ბოლო მოეღო ჩემს მძივე

ავადმყოფობას; მე ისევ აქ ვარ გადაბოლილ ველზე, მანქანების ტყუილმა დაც სასახელო შრომის დღეობაში მოიწრთო ჩემი სული. აი, ხუთი თვის შემდეგ მე ისევ ვიხილე ჩემი მშობლიური კუთხე, მშობლიური ქალაქი, უკეთ მოწყობილი, გამშვენიერებული და გალამაზებული.

ყველაფერი მინდა მოვიგონო, ყველაფერი მინდა გონების თვლით წარმოვიდგინო... გამოჯანმთელებული ებრუნდები ჩემს საყვარელ სამუშაოზე. რა დამავიწყებს, თითქოს ეს გუშინ მომხდარიყოს... ყველაფერი ნათლად მახსოვს, თუ როგორ დაჰკრეს მიწას პირველი ბარი, და იმ დღიდან, მუდამ წყნარი, მშვიდი მიდამო, რა ძლიერად ახმაურდა... მოჰქონდათ აგური, ქვა და რკინა, ცემენტი თუ ხრეში, სხვადასხვა სისქისა და სიგრძის, ხის, რკინისა თუ თუჯის სვეტები, მანქანების ნაწილები. გაშენდა დამხმარე შენობები, გაჩნდნენ მშენებელთა ჯგუფები. მოვიდნენ შემონტაჟეები, ელექტრომემდღობელები, შემფიცვრელები და კალატოზები. ვინ იფიქრებდა, თუ ამ მწვანე ველს ქარხნის მიღები გადაბოლავდნენ, მაგრამ აი, მოვიდნენ მტკიცე ნების ადამიანები და სადამოს მწვანე ბინდებში, თუ შევარდისფრებულ განთიადისას, ციქარიან ამინდში, თუ თოვლსა და ჭყაპში შრომის გუგუნის, ორთქლმავლების ქშენა და კივილი განუწყვეტლოვ ახმაურებდა გადაბოლილ ველს.

მე მიყვარს ის, რადგან ის არის ჩემი პირველი სიხარული, ჩემი დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი გამოცდელი, ისე, როგორც ეს მარინესათვისაც შეიქნა. ამიტომ მიყვარს ეგრე ძლიერად მწვანე ველზე გაშლილი ახალი ქალაქი და ამიტომ მივისწრავი მისკენ ასე მოთმენლად. იქ მეგულება მარინე, ჩემი სიხარული და ჩემი პირველი სიყვარული. სადგურზე არ დამხვდა, იქნებ უჩემოდ ვერ გაართვა დაზვას თავი. მიკვირდა, რატომ არაფერი მომ-

წერა ამაზე, მაგრამ, ალბათ, უსახელო წერილზე ჩემი პასუხი ეწყინა. მე ხომ მარინე მკაცრად მოვიხსენიე, ისე რომ საქმის შინაარსი არ ვიცოდი, ვილაციის მონაწერს დაუფუჯრე და მარინეს თავმოყვარეობა შევლახე, მაგრამ ეს ხომ სიყვარულის გამო მომივიდა. ნუთუ ვერ მიხვდებოდა ამას მარინე? არა, ის უთუოდ იგრძნობდა ჩემს სულიერ ტკივილს... დიახ! ეს ასე იქნება, მაგრამ ვაი, თუ მართლაც ისეა, როგორც ვილაყ მწერს — იქნებ მართლა შეუყვარდა პლატონ კორინთელი, იქნებ მოესტყუვდი მისი სულის სიწრფელეში? იქნებ ფიქრობს დასახიჩრებულს როგორ გვეყუო. თუ ასე არ არის, რად არ დამხედა?! — აი, რა აზრები ამეკვიპატა და ჩქარი ნაბიჯით გავსწიე შინისაკენ.



უხალისოდ შევალე ოთახის კარები. სინათლე ავანთე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ოთახი ახლად მიღებულ და გაკრიალებული იყო. ვის შეძლო ეს ექნა?! გასაღები ვის ჰქონდა?

მაგიდასთან მივედი, იქ ხის ჩარჩოში ჩასმული მარინეს სურათი იდგა; იღიმებოდა მარინე, ნაზად და ნაღვლიანად. აი, ისე, როგორც მაშინ, როდესაც ჩემი აგზნებული გულის ზრახვანი გაუზიარე. ის იყო სურათი ავილე, მინდოდა მისი ცქერით დამეტკბარეიყავო, რომ ეზოს კარებთან აეტო გაჩერდა და ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ ღია კარებში ახოვანი ახალგაზრდა გამოჩნდა.

— ბოდიში, ამხანაგი გაგა თქვენ ბრძანდებით?! — მკითხა მან.

— დიახ, — მიუგე მე, — მობრძანდით.

მან ბარათი გადმომცა. კონვერტი სასწრაფოდ გავხსენი და ჯერ კიდევ წერილის კითხვა არ მქონდა დაწყებული, რომ შოფერმა მობოდიშებით, ძლიერ შეწუხებული ხმით მითხრა:

— ამხანაგო, გაგა! სიღვურზე ბევრი გეძებეთ, მაგრამ ვერ ვნახეთ. ამხანაგმა პლატონმა გამომგზავნა უთქმელი შესახვედრად და დამავალა მასთან წამეყვანეთ. იქ, რომ ვერ ვნახეთ, აქეთ გამოვსწიე. — ამ სიტყვებზე მას მადლობა გადაუხადე და წერილის კითხვა დავეწყე.

მარინე მწერდა: „სულითა და გულით შენთან ვარ, მაგრამ წამოსვლა არ შემძლია. დღეს ჩვენი ზეიშია და სასწრაფოდ მოდი. შენი მარინე“.

შინ რა გამაჩერებდა. უმაღ აეტოში ჩავეჯექი და ქარხანაში გავემგზავრე.

აი, გამოჩნდა ისიც — ელექტრონის შუქით განათებული თეთრი ცა, რომელსაც ღამის შავი ნისლი გადაურეკავს და თავს დაჰქათათებებს ახალ კორპუსებს. ქარხნების მრავალრიცხოვან საკვამლე მილებს გადაუბოლავს თვალუწვდენელი ველი, გადაუბოლავს იგი მინაცრული, ზოგჯერ მიცრეცილი თეთრი და მონაცრისფრო ბოლის ქულეებით, რომელიც თანდათან ლილისფერდება, თხელდება და ქრება.

აეტო ასფალტზე მისრიალებს.

მარცხნივ, თუ მარჯვნივ სამი, თუ ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლების კედლები თეთრად გამოკრთის; ქარხნის კორპუსები უზარმაზარ მთებივით წამოჩიქილან. რომელ ერთს უნდა შეხედო, რომელი ერთი უნდა დაიხსომოს უცნობმა თვალმა.

მანქანა კლუბთან გაჩერდა.

კარები შევალე.

აი, ისინი, ვისთანაც ერთად ვქმნიდით და ვაშენებდით ამ ქარხნებს, კორპუსებს, ამ ველს. ტრიბუნაზე მარინე დგას. შესვლისთანავე შემომანათა თვალეები. სახე წითლად აელანძა. ასე იცის სიხარულისა და აღტაცების დროს. მე ვგრძნობ მისი გულის ღელვასა და სიხარულს. იგი დაუფარავი სიამაყით და სიხარულით ლაპარაკობს თავის დაზგაზე.

— თუ წინათ, ერთ დღეში დაზგა ოთხ ბადროს ძლივს ამზადებდა, — ამბობდა მარინე, — ახლა დღეში შვიდ ბადროს ვამზადებთ! ამის შედეგად ათი თვის გეგმა ჩვენ ექვს თვეში შევასრულეთ. ეს გამარჯვება მთელი ჩვენი კოლექტივის გამარჯვებაა. მე აქ, დღეს, თქვენთან ერთად შემიძლია განვაცხადო, რომ თუ ხვალ, ზეგ, უფრო დიდ დავალებას მივიღებთ, მასაც წარმატებით დაესძლებთ!

მე უკვე სცენაზე ვარ, პლატონ კორინთელის გვერდით ვზივარ.

მარინე, როგორც კი სიტყვა დაამთავრა, სახე გაბრწყინებული მოვიდა ჩემთან და გვერდით მომიჯდა.

არა, ნამდვილად არ შემიძლია გამოგეთ ის გრძნობები, რომელსაც იმ წუთებში ჩვენ განვიცდიდით; ალტაცებისა და ბედნიერების გამოუთქმელმა გრძნობებმა გული ამივსო. მარინეს საყვარელ სახეს კვლავ ასე ახლოს ვხედავდი. რა მეკითხა არ ვიცოდი და ალბათ მარინეც ასეთი გრძნობებში იყო გახვეული.

სიტყვა პლატონ კორინთელმა აიღო. ის ლაპარაკობდა იმ გამირულ შრომაზე,

რომელსაც ექვსი თვის განმავლობაში ასე თავდადებით ეწეოდნენ კოლექტივი. დარბაზი დამბნული ყურადღებით ისმენდა ქარხნის დირექტორის სიტყვებს. ვათვლიერებ ნაცნობ სახეებს — თვალთ ლაღო ჯანდიერი მაცლია.

— კორინთელი დროზე მიუხვდა ლაღო ჯანდიერს! — დაბალი ხმით მითხრა მარინემ. — ყოყოჩებს, კარიერისტებს ჩვენთან ადგილი არ აქვთ. იგი გაათავისუფლეს. წასვლისას არ მინახავა, თორემ შემომელანძვებოდა. უსახელო წერილი, რომელიც შენ მივლე, თურმე მისი დაწერილი ყოფილა. დაზგის გადაკეთება სასაცილოდ არ ყოფნიდა. ყოველნაირად მიშლიდა ხელს.

მინდოდა დამემშვიდებინა მარინე, მაგრამ ჩვენი ყურადღება პლატონის სიტყვებმა მიიქცია; პლატონი ქებით იხსენიებდა მარინეს სასახელო საქმეს.

სიზარულის, ბედნიერებას და გამარჯვების გრძნობებში ჩაქსოვილი ზეიმის აღმაფრენი ტალღები გულის გასახარებლად გუგუნებდა.

ბონდო კეხელია

ახლა რუსთაველი მუშაობს იგი



მისაუბრია მე მასთან ხშირად,
ბევრჯერ ყანიდან მოსულა ჩემთან.
ის მისი გულთ სიცილს ნიშნავდა,
როს კბილებს თეთრად გამოაჩენდა.

მას ერქვა სოფლად მართალი კაცი
და იყო ალალ შრომით განთქმული.
ახალ ხეთწლედში, რუსთავეში როცა
დაიწყეს დიდი საქმე ქართული —

მან იქ პირველმა ისურვა წასვლა
და საფიქრალი ისღა რჩებოდა,
რომ საქართველოს ახალ ხერხემალს
მისი ძალღონე შემატებოდა.

წავიდა, შემდეგ არ შემხვედრია,
და დღეს უეცრად ქუჩაში ვნახე.
მე კოლმეურნე გლეხი მახსოვდა,
მაკვირვებს მისი მუშური სახე.

ის გამოცელიდა და სულ სხვა კაცი
სდგას ჩემთან ახლა ძარღვიან ხელით.
და საოცნებო სურათს მიხატავს
სოფლის ცხოვრების უბრალო მოქმელი.

ვესაუბრები და მის მაჯაზე
ითვლის საათი წკარუნით წუთებს.
მას გაზეთები უჭირავს ხელში,
ჯიბიდან უჩანს სათვალის ბუდე.



მშვიდობის მტრებზე როცა ზმას იღებს,
რისხდება მათი მკაცრი მძრახველი.
თვალებს უბრწყინებს, სახეს უნათებს
ხალხთა ნუგეშის დიდი სახელი.

და ელერს საამოდ სიტყვები მისი,
როგორც ჩიტების ჟივილ-ხივილი.
შეხედავს ზეცას და მოერევა
ჩვეულებრივი სათნო ღიმილი.

ქართულ მწყემსებს



ეშორდები თბილისს, გავიმარტოვებ,
გავხდები ქარში ღამენათევი,
როგორც ყაზბეგი მოგნახეთ ტოლებს,
თქვენს ძმაცაცობას მივემატები.
ვიელი ლერწმებში, სადაც ტახები
დაწრიალებენ, ფიცხლად დაბტიან.
ვიელი ღამეში ვარსკვლავთ თანხლებით,
ჩემთვის ტრამალი ოქროს ტახტია.
რომ ჩემი სული ძმობამ აღავსოს,
რომ გედგეთ ჭირში, ღზინში ძმობილი,
მეც შევებმები საქმეს სახალხოს,
მამულის ბედზე გულდანდობილი,
ვიელი თქვენსავით მთაში და ბარად,
ბიბინა მდელი სულს გამიქარვებს,
და ნაბიჯებით გავზომავ ჩქარა
მიდამოების სიგრძე-სიგანეს.
მოვალ, ფიქრები ველად ილტვიან,
სადაც წავიდეთ, დავცეთ კარავი,
ჩვენი თბილისი თუმცა დიდია,
არ დაგვივიწყებს აქაც არავის.

3. პამბარაია

უკა უკარლია



კომედია 4 მოქმედებად



მოქმედნი პირნი:

- უკა უნარდია — მერგოლური, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
 სოლომონ ფულარია — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შემდეგ მერგოლური.
 გვატი ტორონჯია — სეწობისა და ფერმის გამგე.
 ბაბი — გვატის ქალიშვილი.
 ფატი შელია — სტახნოველი ქალი.
 ცაბუ ჩხოლარია — სამკითხველის გამგე, შემდეგ კოლმეურნეობის მონაგარიშე.
 მდინა ხვარჭიალია — ხანშიშესული გასათხოვარი.
 გედეონ მოსიძე — კოლმეურნეობის მონაგარიშე.
 ამირან ჯღარკავა — კოლმეურნეობის პარტორგანიზციის მდივანი.
 კაკუ ფონხუა — მეფუტყრე.
 ჯონდი ხანაგუა — ბრიგადირი.
 ზიტუ ბეგია — კლუბის გამგე და რევისორი.
 რომანოზ ხიხაშუა — ფრონტელი.
 აღმასხანი — უჩას მამა.
 იაგორ გასვიანი — მოხუცი კოლმეურნე.
 ქალები და ვაჟები უკანასკნელ მოქმედებაში.
 მოქმედება წარმოებს 1947 წელს.

პირველი მოქმედება

კოლმეურნეობის „განახლების“ კანტორის სახლი, რომელსაც ჩაუდის პატარა წყარო. წყაროზე ხის ზოვირია გადებული. პეიზაჟი — ამწვანებული ჩაის პლანტაციები და მთა... გაზაფხული. თესვის პერიოდი. საღამოს ეამი. კანტორიდან გამოდან სოლომონი და ამირანი.

ამირანი — პასუხისმგებელი შენა ხარ. რა ექნათო, რომ იძახო, ამით საქმე არ გაკეთდება...

სოლომონი — აგერ, ბატონო, პარტორგანიზაციის მდივანი შენა ხარ, და რატომ არ იძულებხ ხალხს, რომ იმუშაოს?

ამირანი — იძულებას არაეინ გეთხოვს, შეგნებაზე უნდა ვიქონიოთ გავლენა.

სოლომონი — შეგნებაზე! შეგნებაზე! რა უნდა შეაგნებოთ რომანოზ ხიხაშუას? სულ გაღეშილი დადის და არაფერს არ აკეთებს.

ამირანი — შენ უნდა იქონიო იმაზე გავლენა. გააკეთე რამე?

სოლომონი — მგლის თავზე სახარების კითხვა ჩემთვის არაეის დაუვალეობა.



- ა მ ი რ ა ნ ი — გვატის ქალიშვილი ბაბი რატომ არ მუშაობს?
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — მე შენ გეკითხები, რატომ არ მუშაობს?
- ა მ ი რ ა ნ ი — ასე, ჩემო კარგო, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვხატავთ, გვატე შე-
დაც ვითხარი, მოხსენი-მეთქი, მაგრამ... ასეა გელეონ მოსინძის საქმეც.
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — რასაც შენ მეტყვი, ყველაფერი ისე თუ გავაკეთე, მაშინ შენ
იყავი თავმჯდომარე. მე არაფერი მცოდნია და ის არი.
- ა მ ი რ ა ნ ი — არ ვიცი, ძმავო ის კი ვიცი, რომ ჩვენი კოლმეურნეობა სა-
მარცხენო მდგომარეობაშია და მადლობას კაცი არ გვეტყვის... ვისაც
რამე შეუძლია, იმას ხელს არ ეუწყობთ. დაახლოების მაგიერ გულზე
ხელს ვკრავთ და უქნარები კი თავის ნებაზე დაფარულაშობენ. მე რა დაგი-
მალო და ყველაფერი უკვე მოვახსენე რაიკომის მდივანს...
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — ა, ბატონო, ამაში ყველა მარჯვე ხართ... მე ვერაფრით შე-
მაშინებ, ამირან ჯღარკავა, პატიოსნად ვმუშაობ და ვაკეთებ, რაც შე-
მიძლია.
- ა მ ი რ ა ნ ი — ეტყობა, მარტო პატიოსნება არ არის საკმარისი საქმის გასა-
ძლოლად. თვითდინებით მიდის ყველაფერი, ჩემო კარგო.
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — თუ ძმა ხარ, თავი დამანებე. მეყოფა ამდენი ჭკუის სწავ-
ლება, ჩემი საქმე მე ვიცი.
- (სოლომონი მიდის. ამირანი ბრუნდება კანტორაში, შემოღიან იაგორი და ალმასხანი).
- ი ა გ ო რ — აგერ ჩამოვჯდეთ ცოტა ხნით, ჩემო ალმასხან. ჩვენ მოხუცები
ვართ და უფლება გვაქვს ცოტა ადრე წამოვიდეთ სამუშაოდან. დღეს ხომ
შაბათია?
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — შენ თუ შეამჩნიე, სოლომონი და ამირანი რალაცაზე
აიშალნენ.
- ი ა გ ო რ ი — საიდან იცი, რომ აიშალნენ?
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ვერ ხედავდი, სოლომონმა ხელი როგორ ჩაიქნია?..
- ი ა გ ო რ ი — ჩემი თუთუნი მოსწიე, ალმასხან... ისეთია, გაგებარდება.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — შენ ნუ მომიკვდები, შენი თუთუნი ვერ აჯობებს ჩემს თუ-
თუნს... ნასახლარში მოვიყვანე, ამის მოწევას არაფერი სჯობია.
- ი ა გ ო რ ი — შენ ნუ მომიკვდები, არა ხარ მართალი... ჩემ თუთუნზე ლაპა-
რაყი არ გაგიგონია?
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — იაგორ! თუ ხათრი გაქვს, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.
- ი ა გ ო რ ი — ბატონი ზრძანდებოდე... რა ამის პასუხია და უჩას არ გინდა
შერთო ცოლი?
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — როგორ არ მინდა, ვეხვეწები...
- ი ა გ ო რ ი — კარგი შვილი მოგესწრო.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ნუ მეუბნები!.. ოთხი ორდენი დაიმსახურა ამ ომში... სასა-
ხელოდ ჩამოვიდა, მაგრამ რა?
- ი ა გ ო რ ი — როგორ თუ რა შე კაცო? პირველი მერგოლურია, კარგად მუშაობს.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ყანის თოხნაში, ჩემო იაგორ, ჩვენც არავინ გვეჯობნიადა,
მაგრამ რა გამოვიდა. ვფიქრობდი, დიდი კაცი იქნება-მეთქი, სასახელო...
დადი ჩუმი და ენას ვერ ამოალებინებ... გული კი შესტყვივა ჩვენს საქ-
მეზე...
- ი ა გ ო რ ი — ჩვენი კოლექტივი ასე რომ ჩამორჩა... სასირცხო საქმეა... ომის
შემდეგ ხალხი მოგვემატა... სწორედ ახლა ვერ ვასრულებთ გვემას...



- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — საქმეც მაგაშია, ჩემო იაგორ, ხალხი რომ მოგვემართა, ხალხს გაძლოლა უნდა. სოლომონ ფულარიას კი ჰგონია, ქრისტეს ნათქვამი იმაზე გამართლდება.
- ი ა გ ო რ ი — რომელ ნათქვამზე ამბობ?
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — უკანასკნელი პირველი იქნებაო. ჩემო იაგორ! სულიერად კმაყოფილი რომ ხარ, ლობიოც გასიამოვნებს, თუ არა ხარ კმაყოფილი სულიერად, შემწვარი ქათამიც არ შეგერგება... ასეთია ადამიანი...
- ი ა გ ო რ ი — სწორი ხარ, შენ ნუ მომიკვდები.
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — წაიღეთ, ჩემო იაგორ... კოლექტივს ისევ ახალგაზრდები მოუვლიან... ჩვენი სიტყვა დაჩლუნგებულ დანას ვაგს... ნაფოტსაც ვერ გასჭრის...
- ი ა გ ო რ ი — სცდები. მოხუცის სიტყვა სააკაძის ხმალზე ბასრია. გამოცდილების ფოლადით არის მოქედილი.
(კანტორიდან გ მოდის ა მ ი რ ა ნ ი).
- ა მ ი რ ა ნ ი — რატომ არ მიდიხართ სახლში? თუ ჯერ გინდათ ქვეყნის საქმეები გაარჩიოთ ამ კანტორასთან და მერე წახვალთ სახლებში, ან შეიძლება მოჰკრათ ყური რამე ახალ ამბავს?..
- ი ა გ ო რ ი — არის რამე ახალი ამბავი?
- ა მ ი რ ა ნ ი — ახალი ამბავი ყოველდღე მოფრინავს გვრიტივით. უჩას გადაეცი, ბიძია აღმასხან, ჩემთან შემოიაროს!
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — გვითხარი, თუ საიდუმლო არ არის?
- ა მ ი რ ა ნ ი — დროზე ყველაფერს გაიგებთ. უთქვენოდ ერთი ჩიტი არ გადაფრენილა ამ სოფლიდან.
(მიდის).
- ი ა გ ო რ ი — რა თქვა? ერთი ჩიტი არ გადაფრენილაო?
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — ვინმეს ხომ არ მიაფრენენ ჩვენი კოლექტივიდან, ჩემო იაგორ?
- ი ა გ ო რ ი — ამჟამად ამას ნიშნავდა, ვერ გავიგებთ ვითომ?
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — წამო, წამო. საიდუმლოს ყველაზე ადრე ჩვენ ვინ გუეტყვის? რას იხამ? უნდა მოითმინო. მოთმინებითაა შენითაო, ხომ გაგიგონია?
- (შემოდის ხ ი ტ უ).
- ხ ი ტ უ — მათესალებს გაუმარჯოს!
- ი ა გ ო რ ი — ვინ იყო, ბიჭო, მათესელა?
- ხ ი ტ უ — ერთი კაცი იყო. სამასი წელიწადი იცხოვრა.
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — დიდული! სამასი წელიწადი რამ გააძლებინა იმ ოჯახქორს ყორნის ჯიშის ხომ არ იყო?
- ი ა გ ო რ ი — დარდი არ ჰქონია...
- ხ ი ტ უ — თქვენ რა დარდი გაქვთ?
- ა ლ მ ა ს ხ ა ხ ი — უდარდელი კაცი სულელია, შეილო.
- ხ ი ტ უ — არ გინდათ ჩაეწეროთ ჩემ ანსამბლში?
- ი ა გ ო რ ი — ასამბია, ბიჭო, ამერიკაში არ არის?
- ხ ი ტ უ — ის ასამბლეაა, ბიძია იაგორ. მე კი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს ვაწყობ ჩვენ კლუბთან.
- ი ა გ ო რ ი — ცეკვისა და სიმღერისაო? ცეკვას რა მოწყობა უნდა? ტაშს რომ დაუკრავ, ყველა აცეკვდება.

- ხ ი ტ უ** — ყველას თავისი ფუნქცია აქვს.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი** — წამო, ჩემო იაგორ, თორემ ამათ ფუნქციას ვერ გავსაგებებ.
- (**ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი** და **ია გ ო რ ი** ვაღიან).
- ხ ი ტ უ** — მართლაც კარგი იქნება — კონცერტი გავმართო ალმასხან უჩარდიასი და იაგორ ვასილიანის მონაწილეობით.
- (**შემოდის ბ ა ბ ი**.)
- ბ ა ბ ი** — მამა არ გინახავს?
- ხ ი ტ უ** — ბაბი!
- ბ ა ბ ი** — ოცდახუთი წელია ბაბი ვარ, პირველად მხედავ?
- ხ ი ტ უ** — რა იყო, ქალო, ჯერ ენა არ ამომიღია და ჯორის ტლინკებივით დამაყარე სიტყვები?
- ბ ა ბ ი** — რომელ აკადემიაში ისწავლე ასეთი ნაზი სიტყვები?
- ხ ი ტ უ** — ეს სწავლაზე არაა დამოკიდებული, ნიჭია მთაყარი.
- ბ ა ბ ი** — მერე შენი ნიჭი ჯორის ტლინკებს ვერ სცილდება, ამხანაგო რეჟისორო?
- ხ ი ტ უ** — რეჟისორო, თუ არა არ მოგეწონები...
- ბ ა ბ ი** — რეჟისორი თუ არა, შენც მარჯანიშვილი მყავხარ. ერთი უხეირო პიესა დადგი და დარბაზში ყველას ეძინა. გაპნოტიზიორის დაწერილი ხომ არ იყო?
- ხ ი ტ უ** — ბაბი! იცი რა გითხრა?
- ბ ა ბ ი** — რას მეტყვი?
- ხ ი ტ უ** — ის გეყოფა, შენ რომ არაფერს აკეთებ, სხვის ნამუშევარს მაინც ნუ აკრიტიკებ?
- ბ ა ბ ი** — რა შენი საქმეა, ვმუშაობ თუ არა. ერთბაშად ხელებს დავიგლეჯ ახლა ჩაის კრეფაში? შენ რას მიკეთებ, ნეტავ ვიცი?
- ხ ი ტ უ** — შე ჩემი ფუნქცია მაქვს.
- (**ისმის რ ო მ ა ნ ო ზ ი ს** სიმღერა).
- ბ ა ბ ი** — აი, კიდევ ერთი ფუნქცია.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი** — (შემოდის სიმღერით):
- „რას მიჭეია, ვის მიჭეია,
შე ხომ რომანოზი მიჭეია,
ქალო ბევრჯერ შემიჭეია,
ღვინო უკეთესი კია“.
- შენს რეკონსტრუქციას ვენაცვალე ბაბი-ტორონჯია, ხიტუს ვფიცავარ. კარგი ქალიშვილი ხარ.
- ხ ი ტ უ** — რომელი ხახულის ხატი ვარ, ჩემს თავს რომ ფიცულობ?
- რ ო მ ა ნ ო ზ ი** — ხატი კი არა, ჯოჯოხეთის დიაკონს გავხარ, ბიჭო.
- „რას მიჭეია, ვის მიჭეია
შე ხომ რომანოზი მიჭეია.
(ხელს კიდებს **ბ ა ბ ი** ს).
- ბ ა ბ ი** — რომანოზ, გამიშვი თუ ძმა-ხარი!
- რ ო მ ა ნ ო ზ ი** — ხიტუსთან რას აკეთებდი? ხელი ხომ არ შეგიშალე? ბო-
დიში! დიდი ბოდიში!



ბ ა ბ ი — რას სულელობ? ახლა ისლა მაკლია, ხიტუსთან რომანი გავაზა.
 ხ ი ტ უ — არც მე ვაპირებ გავება, კდემამოსილო მანდილოსანო! შარქუნეშული
 ბ ა ბ ი — რომანოზ! ხელი გამიშვი! ზიზღიწიწიქქ

რომანოზი — ტორონჯი მტრედია. ხელი რომ გავიშვა, გაფრინდები.
 ხ ი ტ უ — გაუშვი! შენთვის იგი დიდი ხანია გაფრენილია.
 რომანოზი — შენც ასე გინდა, ჩემო ხიტუნია? აბა გაფრინდი ჩემო მერ-
 ცხალო. ინდოეთი მომიკითხე. ლამაზია, მაგრამ უკუყო.

(ბ ა ბ ი ვარბის).
 „ბაღში მერცხალი ქვივის...
 მამულს საუვარულო,
 შენ როდის აევაღლები“.

გვატი ტორონჯია არ გინახავს?
 ხ ი ტ უ — მის ქალიშვილს ვერ კითხე, მე რომ მომადექი?
 რომანოზი — ახლა გამახსენდა, რომ მჭირდება სასწრაფოდ. ხიტუ, წავი-
 დეთ, დავლიოთ, თუ ძმა ხარ.
 ხ ი ტ უ — შენ დალევა არ გაკლია.
 რომანოზი — სამაგიეროდ შენ გაკლია.

(მემოდან სოლომონი, გვატი და გედგონი).

სოლომონი — კიდევ მთვრალი ხარ, ბიჭო.
 რომანოზი — პატივეკემულ თავმჯდომარეს ვახლავარ, ბოდიში. დიდი
 ბოდიში...

სოლომონი — შენ აქ რას აკეთებ, ხიტუ?
 ხ ი ტ უ — ანსამბლის ჩამოყალიბებაზე დავდივარ.
 სოლომონი — მერე ანსამბლს კანტორაში აყალიბებ? არა, ძმაო, ყველანი
 არეულები ხართ! რა გეშველებათ, არ ვიცი! კი მაგრამ, რომანოზ, ორ
 თვეზე მეტია, რაც სოფელში დაბრუნდი, სანამდის უნდა ისეირნო? მუ-
 შაობას არ აპირებ?

რომანოზი — (სიმღერით) გაგიჟირდა უჩემოდ?
 სოლომონი — დედა მინც შეიცოდე. ჩაის კრეფაში წელი წყდება საწ-
 ყალს. სანამდის უნდა იძახო ჰარიარალო... რატომ უნდა იყო თითით
 საჩვენებელი ყველასათვის?

რომანოზი — ბოდიში! დიდი ბოდიში. ჰირივით მეზარება კუეის სწავლება.
 სოლომონი — არანაკლებ ჩვენც გვეზარება, ხალხი უსაქმოდ რომ დაყი-
 ლობს. სოციალიზმის ხანაში ეცხოვრობთ, ჩემო ბიძია, ძველი დრო კი არ
 არის, თავადები რომ უსაქმოდ დაფარფაშებდნენ. ყველამ უნდა იშრო-
 მოს.

რომანოზი — ბოდიში! რა შუაშია თავადები? პროვოკაციას მიწყობ? ოთხი
 წლის განმავლობაში სამშობლოსათვის სისხლი დამიდურია. მამაცურ
 ბრძოლისათვის ორდენები და მედლები დამიმსახურებია ჯილდოდ და
 თქვენ ნატაციებით მიმასპინძლებით? ხუთი წლის განმავლობაში არა-
 ფერი შეიცვალა? ოცულებს და ასეულებს გვენდობოდნენ ბრძოლაში
 გასაძლოად და თქვენ ისევ ჩემი ძველი თოხი დამახვედრეთ არა?

- გ ვ ა ტ ი — თქვენ მეტს არავის უბრძოლია, ამხანაგო რომანოზ?
- რ ო მ ა ხ ო ზ ი — ბოდიში! ეს ვინ არის? გვატი ტორონჯია! კოლეგიაში სწავლობის გამოვე. მე ვირთხებთან ბრძოლაზე არ ვამბობ! შენ ენა გააჩერე, გამოგვიჩაბებენ...
- გ ვ ა ტ ი — უბრძელი ხარ, ვილაცა ხარ, შენ ნუ მომიკვდები!
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — გვატი, გაჩუმდი! უჩა უჩარდიას შენზე ნაკლები არ უბრძოლია და შენზე მეტი ორდენები აქვს. მუშაობს, საუკეთესო მერგოლურია. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს საზღვარი აქვს... ყოველ ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს და ის უნდა შეასრულოს სოციალიზმის ხანაში.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — მეც ჩემი დანიშნულება მაქვს.
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — გეუბნები, შეწყვიტე ლეინის სმა-მეთქი შენთვის კარგი მინდა, იცოდე, თორემ ინანებ.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ერთბაშად თქვენ მუშაობთ და პირველ ადგილზე ხართ. თუმცა კი ხართ პირველ ადგილზე, მხოლოდ ბოლოდან.
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — შენისთანების წყალობითაა, ეს რომ გვემართება... წადი, წადი სახლში და დაისვენე...
- რ ო მ ა ხ ო ზ ი — აქამდის მეუბნებოდით, იმუშავეო, და ახლა დასასვენებლად მაგზავნი, ამხანაგო ფულარია?
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — გამოუსწორებელი ხარ... შენგან კაცი მისდღეში არ გამოვა.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — (მღერის).

„კაცი კაც დ თუ არ ვარგა,
მისი ფსი გროშიაო,
რას მიყეფა დღე და ღამე,
ცუფრუმელა გოშიაო“.

უთხარი გვატის, სამი ფუთი სიმინდი მომცეს.

- ს ო ლ ო მ ო ნ ი — იმუშავე და სიმინდიც გექნება და ყველაფერი.
- რ ო მ ა ხ ო ზ ი — სისხლი დამიღვრია სამშობლოსათვის და თქვენ სამ ფუთ სიმინდს არ შენდობით?
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — მერე იმისათვის იბრძოდა, აიძია, აქ ჩამოხვიდე და ჩვენ გაგვიშრო სისხლი? შენთან ლაპარაკი წყლის ნაყვია. წადი და სადაც გინდა იქ იშოვე სიმინდი!

(გაბრაზებული გადის).

- რ ო მ ა ხ ო ზ ი — სოლომონ ფულარია! მოკვდეს რომანოზ ზიხაშუა, თუ ეს შეგარჩიხო... თქვენც იმის კულები ხართ არა? მე თქვენ დაგიმტკიცებთ, თუ ვინ არის რომანოზი... ბოდიში! დიდი ბოდიში! (მღერის):

„სამი რამ მიყვარს მ ქვეყნად,
ლეინო, დუღუცი, ქალები,
ლეინოს ვსვამ, დუღუკს ვაყენებ,
ქალებო, ვენაცულებით...“

(მოდის. პაუზა).

- გ ვ ა ტ ი — ხიტუ, მე და გედეონი ჩაგეწერე ანსამბლში და წადი. დღეს აქ შეტს ვერავის იშოვი, ჭირიმე.
- ხ ი ტ უ — ანსამბლს მე პანაშვიდებისათვის კი არ ვაწყობ.
- (სწრაფად გადის, საიდანაც რ ო მ ა ნ ო ზ ი გავიდა).
- გ ვ დ ე ო ნ ი — ესეც საქმის კაცი მყავს



- გვატო — როგორც ვატყობ, ჰირიმე, ცა მოიღრუბლა, თუმცა არ ჩანს...
- გედეონი — რომ დაიჭუხებს, მერე გვიან იქნება... ამირანმა დაიწყო სიარული რაიკომში.
- გვატო — ყური ხომ არაფერზე მოგვიკრავს?
- გედეონი — ხომ იცი, ხალხის ამბავი. მითქმა-მოთქმა, ჭორი.
- გვატო — რას აქიანურებ დეკემბრის ღამესავით, თქვი თუ რამე იცი?
- გედეონი — ისეთი არაფერი. გვატომ საწყობი შექამაო. მისი ქალიშვილი ნაირნაირ ტანისამოსს იყვრავსო. სისულელე! რა ვიცი, რას არ ანბობენ...
- გვატო — და შენც ყველაფერს ამას ყურს უგდებ, ჰირიმე?
- გედეონი — ხალხი რომ ლაპარაკობს, ბამბით ხომ არ უნდა დავიცო ყურები?
- გვატო — შენ გგონია, ხალხი შენზე არ ლაპარაკობს, თუ?
- გედეონი — ჩემზე რა უნდა თქვან?
- გვატო — გედეონ მოსიძე მამა აბრამის ბატყანი არისო!
- გედეონი — გვატო! ასეთი ლაპარაკი ჩემთან არ გამოგადგება. თუ შენ ქოთანი ხარ, მე ციცი ვარ, არ დაგავიწყდეს.
- გვატო — ამ ქოთნიდან ბევრი ჩაზოხბილი გიხეთქია, მაგრამ, ვატყობ, უმადურობის წყალი გინდა გადაასხა პატივისცემას.
- გედეონი — არც შენ გაკლია ჩემგან სიყვითლე. ჩემი წყალობით ათი ვედრო ღვინო თხებს დაალევიან.
- გვატო — ერთ-ერთი თხა შენ იყავი, ჰირიმე, თუ არ ვცდები.
- გედეონი — ვიყავი, მაგრამ წვერი არა მაქვს, რომ ზედ ღვინო დამაჩნდეს.
- გვატო — აღბათ არც ცაცა ხაბურზანიას დააჩნდება, აბრეშუმის პარკისათვის ათი ღლის ნაცვლად ასათი შრომა დღე რომ ჩაუწერე, ნხოლოდ იმისათვის, სანდომიანი ქვრივიო...
- გედეონი — ვინ მოგახსენა?
- გვატო — ხალხი რომ ლაპარაკობს, ბამბით ხომ არ უნდა დავიცო ყურები?
- გედეონი — სისულელეა.
- გვატო — სიბრძნეა-მეთქი არც მე მითქვამს, მაგრამ ამ სისულელეს კიდევ სხვა რამეც დაემატება.
- გედეონი — მასალებს ამზადებ ჩემს წინააღმდეგ? კბილებს სინჯავ?
- გვატო — თმამ მილატა, თორემ კბილი არც ერთი არ მაკლია.
- გედეონი — არც მე ვარ კატის კნუტი, რომ თვალდახუტული დავდიოდე ქვეყანაზე.
- გვატო — რა ვიცი, ჯერ არავის დაუყვებია და შენ ჩხავი კატასავით. სოლომონს ჩვენ უნდა ამოვუღვეთ გვერდში, თორემ ის თუ წაბორძიკდა, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ.
- გედეონი — მეც ეს მინდოდა შენთვის მეთქვა და უცებ აპილბილდი. ისლა გვაკლია, ჩვენც წაიხიხუბოთ. საჩხუბარი რა გვაქვს?
- გვატო — მეც ამას ვამბობ, ჰირიმე! მე მომყვები და ქუას არ წააგებ.
- გედეონი — გაჩუმდი კაკუ მოდის. ჩვენი მეფეტყრე. ხომ იცი, რა მწარეა აქვს?
- (მეზღის კაკუ, ვბაშხვეული).
- კაკუ — სოლომონი აქ არის თუ იცი? ერთხელ მაინც არ უნდა მომაკითხოთ?



ვარკუნუსული
გინგლიქსეჰჰა

გვატი — კაკუ! ეს რაა, ყბა რომ შეგიხვევია?

კაკუ — ფუტკარებმა დამკბინეს.

გვატი — ცხრა წელიწადია ფუტკარებს უვლი და აქამდის ვერ გაგიცუნეს?

გედეონი — კარგად რომ გაიცნეს, სწორედ იმიტომ დაესიენ.

კაკუ — თქვენ რას იკბინებით შემოდგომის ბუხებივით. ჩემი საქმე ჯერ არავის დაუწუნებია.

გედეონი — საქმე თუ არა, ოფლი ჩამოგდის, თაფლის გაკეთებაში.

კაკუ — ზოგიერთი სხვის გაკეთებულზე თავის საქმეს აკეთებს.

გვატი — კაკუ. შენ რალაც შორს უკაცუნებ და უფრთხილდი, ბოლოს შენ არ ჩაგიკაკუნონ თავში..

კაკუ — მე რა მაქვს ჩასაკაცუნებელი? სულ ჰაერზე ვარ, ყვავილებში და ვარდებში. თუ ვინმეს კარებს მიუკაცუნეს, იმან იეთხოოს... ფუტკარმა თავის საქმე იცის. მას კაცი ვერ გაამტყუნებს ცულ რამეში.

გედეონი — ფუტკარი ფუტკარია, მაგრამ შენისთანა ხარაბულა რომ ეყოლება პატრონად, რა ხერი დაადგება?

კაკუ — ჩემი შენ გითხარით და გული მოგიკალიო, ნათქვამია.

გვატი — თუ ძმა ხარ, შენი ანდაზები გასიებულ ყბაზე დაიყარე, იქნებ მოგიშუშდეს.

კაკუ — ჩემი ყბა თქვენი ყბადასაღები არ გახლავთ.

(შემოდის მედინა).

გვატი — ეს ვინ არის, ვერ გიცანი, შე დაღუბულო მედინა, ეს რა ჩაგიცვამს?

მედინა — შენ დაიღუპე საცხა! ეს უკანასკნელი მოდაა!

გედეონი — უკანასკნელი რომ არის, ამას ჩვენი ვხედავთ.

მედინა — სოლომონი გიძახისო, რა უნდა ნეტავი?

გვატი — სოლომონს ჯერ არ ცალია. ლოდინი მოგიხდება.

(შემოდის ხიტუ. თავი ისე აქვს შეხვეული, მარტო თვალები და ტუჩები უჩანს.)

კაკუ — (მიდის ახლოს და აკვირდება) ხიტუ?

გედეონი — რა დაგეშართა, ბიჭო?

ხიტუ — (მთერალია) კაცი შემომელახა.

გვატი — კაცი შემოგელახა?

კაკუ — ვინ იყო ხიტუ ბეგია, ასე რომ მოგიბეგვია?..

(ცველანი იღინიამ).

ხიტუ — რა გაციინებთ? თქვენ რომანოზი ნახეთ, რა ვუყავი.

(შემოდის რომანოზი. ფეხზე იღვს დგას).

რომანოზი — (ძლივს მღერის) რას მიჭვია, ვის მიჭვია. (ხიტუ უცებ გაქრება საღლაც) სად არის ხიტუ?

მედინა — შენ დაიღუპე საცხა, რომანოზ, ხიტუს თავის გაქირვება არ ეყოფა?

რომანოზი — ბოდიში უნდა მოვიხადო... ბოდიში. მედინა ხარ. „სი ჭვირ ძეღიხა, სოთინ ვემედინა“. გათხოვდი, მედინა, შენს ქორწილში ღვინო დამალევენე.

(წაბორბილება. გვატი ანიშნებს მედინას წაიყვანოს).

მედინა — წამოდი... რომანოზ! გამაცილე, თუ ხათრი გაქვს...

რომანოზი — ეს გვატი არ არის?

მედინა — გვატია!

რომანოვი — არა! გვატი კი არა, კვატია, კვატი. ახ! შენ მედინა ხარ? ბო-
 დიში, დიდი ბოდიში! მედინა, სოთინ ვემედინა!

(მედინა ხელს ვაუერის და ძლივს მიჰყავს).

გედეოხი — ამის გამოსწორება მართლა ძნელია. სიმთვრალე უკვე ავად-
 მყოფობად გადაექცა.

კაკუ — ურიგო ყმაწვილი როდია. ვერ მოვეუარეთ! გულნატკენია

გვატი — ვისი ბრალია მერე? ძუძუმწოვარა ბავშვი კი არა მყავს. ყველამ თა-
 ვის თავს მოუტროს, ჭირიმე.

(შემოდის ჯონდი).

ჯონდი — სოლომონი აქ არის?

გედეოხი — აქ არის.

(შემოდის სოლომონი).

სოლომონი — რა იყო, ჯონდი?

ჯონდი — ასე ყოვლად შეუძლებელია მუშაობა, ამხანაგო სოლომონი! შუა-
 დღეზე ხარი წაშეკცა, არ იქნა მისი წამოყენება.

სოლომონი — მაშნორმაც ვერ დაგინახავს?

ჯონდი — როგორ დაგინახავდი?

სოლომონი — შენ მაინც რა დაგემართა, საუკეთესო ბრიგადირი ხარ. რა
 ღმერთი გიწყობათ ყველას?

ჯონდი — გვატი ტორონჯია საკვებს აფთიაქის სასწორით იძლევა. არ ყოფ-
 ნის ეს საკვები საჭონელს.

გვატი — ისევ გვატია დამნაშავე? დიდება შენდა ღმერთო! რამდენიც ნორ-
 მაა გამოყოფილი, იმდენს გაძლე, ჭირიმე, და ახლა მე შენს ხარებს მწუა-
 დებს ვერ მივართმევ.

სოლომონი — ვიღაცა წყალს შირვეს აქ, ჩემს კოლექტივში, მაგრამ მე
 იმას გამოვჩხრიკავ! გვატი, გედეონ, წამოდით ჩემთან.

(სამივე შედიან კანტორში).

ჯონდი — ხეტავი ვიცილდე ვის ჭირდება შენთან ბრძოლა? უთავო მუშაობის
 ბრალია ყველაფერი, ჩემო კარგო.

კაკუ — მე იმასთან საქმეზე მოვედი და ყურადღებაც არ მომაქცია. არა, ძმაო,
 ისევ ჩემ ფუტყრებს მოეხედო, ის აჯობებს.

(გადის. შემოდის ბაბი).

ბაბი — ჯონდი შენა ხარ?

ჯონდი — რა გინდა?

ბაბი — მესიამოვნება შენთან ლაპარაკი.

ჯონდი — შენი დასაციინი სახლში მონახე.

ბაბი — ჯონდი! არა გრცხვენია?

ჯონდი — სირცხვილი რომ იცილდე, უსაქმოდ არ ივლიდი.

ბაბი — რა ექნა, შეყვარებული ვარ.

ჯონდი — ვისზე?

ბაბი — ერთ ბრმა და ყრუზე.

ჯონდი — ასეთი ჩვენში არავინ შეგულება.

ბაბი — არის და არც ისე შორს.

ჯ ო ხ დ ი — თუ არის, შეგარგოს ღმერთმა, უკეთესის ღირსი არცა ხარ...

(სწრაფად მიდის).

ერეკლესული
ნიგელისკრძეპა

ბ ა ბ ი — ვხახოთ.

(შესტუმრის ბრახიანად მიმავალ ჯ ო ნ დ ი ს. შემოდის უ ჩ ა).

უ ჩ ა — ეტყობა, ვილაცას გაუჯავრებია ჯონდი.

ბ ა ბ ი — ექვიანობს.

უ ჩ ა — ეჭვი სიყვარულმა იცის.

ბ ა ბ ი — სამწუხაროდ ნამდვილი სიყვარული იშვიათია.

უ ჩ ა — ამ ბოლო დროს რაღაც ხშირად დადიხარ კანტორაში. მუშაობა ხომ არ გადასწყვიტე? თუმცა შენ მუშაობა რად გინდა? მამაშენი ხუთ ოჯახს შეინახავს, მერე გათხოვდები და ქმარი შეგინახავს.

ბ ა ბ ი — ქმარი შემიჩინავს, თუ მამაჩემი, ეს არავის ეკითხება! შენ რატომ არ თხოვლობ ცოლს? მგონი, დროა.

უ ჩ ა — საცოლე ვერ ვიშოვე.

ბ ა ბ ი — ქალი ბევრია ჩვენში.

უ ჩ ა — მე ერთი მინდა. იმას კი მე არ უნდოვარ.

ბ ა ბ ი — ვინ არის? მე გაგირიცხებ...

უ ჩ ა — მაშინ მაქანკალი უნდა შევიერთო.

ბ ა ბ ი — ჩემი გულის რაინდი რომ იყო, მაქანკლობას დავიწყებდი უსათუოდ.

უ ჩ ა — არის იმედი, რომ გავხდები?

ბ ა ბ ი — ჯერ არა! მერე რა მოხდება, არ ვიცი.

უ ჩ ა — ჩემი გული ჭრილობას შეჩვეულია. ადამიანს შეუძლია ქარიშხალს შეებრძოლოს, მაგრამ გრძნობის ტალღებზე ის უსუსური ნავია. შენ ყველაფერი იცი, რისი თქმა მინდა, პატარობიდან ეს გრძნობა ამეკვიატა და გულიდან ვერ ამოვიგლიჯე, რომ შეუბღალავ დარაჯად ვყოლოდი ჩემს თავმოყვარეობას. ხევწნა-მუდარით არ მინდა ნეტარება მოვიპოვო. საშუალება მქონდა სხვაგან მემუშაენა. არ წავედი. უფრო, ვერ წავედი, ვერ დაეტოვე ის არემარე, სადაც ჩემი ოცნების საგანი იმყოფება. რომელიც ცხარე ბრძოლებშიაც თვალწინ მედგა და მამხნევებდა.

ბ ა ბ ი — არ მეგონა, თუ ასეთი სიყვარული იცოდი. თუმცა მამაკაცებმა ლამაზი ლაპარაკი იცი.

უ ჩ ა — თუ ყველა მამაკაცს ერთი საზომით განსჯი, მაშინ ყოველგვარ ლაპარაკს ფასი ეკარგება. შენ სულ სხვანაირი ხარ, ვიდრე ისეთი, როგორც წარმოდგენილი ყავხარ ბევრს. არ გეწყინოს და შენც შენს თავს კარგად არ იცნობ. არასოდეს მე შენთან ასე არ მილაპარაკნია. ჯონდისთან დაგინახე და რატომღაც თავი ვერ შეეკიკე. მიზეზი გასაგებია. ახლა ჩემს გულს რაღაცა შეება მიეცა. სათქმელი რაც მქონდა, ყველაფერი გითხარი და თუ ოდესმე რაიმე სანანებელი გექნება, ბრალმდებელი მხოლოდ მე ვიქნები.

(სწრაფად მიდის. ბ ა ბ ი ვარინდული სდგას და შესტუმრის მიმავალ უ ჩ ა ს).

ბ ა ბ ი — როგორი აღგზნებული იყო? მისი სიტყვა ჯერ კაცს არ გაუგია.

(შემოდის მე დ ი ნ ა).

მ ე დ ი ნ ა — შენ დელიუპე საცბა, ბაბი! რავე გაშეშებული დგახარ. ვის უყურებ? კინოში არ მიდიხარ დღეს? ხიტუმ მითხრა, საზღვარგარეთული სუ-



რათიანო, რომ არ წავიდე, ჯავრით მოგვედები. წავედით ერთად, ბაბი.

ბ ა ბ ი — როდის იყო შენთან კინოში დაედილი? (სწრაფად მიდრეკილი)
მ ე დ ი ნ ა — უყურეთ ერთი ამას? ნუ წევ დაიყო, ქათამივით მზღლანქმწერხს
თაგვების ნასუფრალით დიდგულობ? უნდა გიხაროდეს, რომ გიყადრე,
აფსუს! რა დრო დაგიდგა მედინა ზვარწყალია! გვატი ტორონჯიას ქალა-
შვილი რას გიბედავს? მოვიკვდეს მედინა, თუ შენზე უკეთესი ქმარი არ
იშოვას.

(შემოდის ფ ა ტ ი).

ფ ა ტ ი — რამ გაგაცხარა, მედინა?

მ ე დ ი ნ ა — ფატი ხარ?

ფ ა ტ ი — შენ როგორ ფიქრობ? არა ვარ ფატი?

მ ე დ ი ნ ა — შენ დაიღუპე საცხა, ამას რა ფიქრი უნდა...

ფ ა ტ ი — რას მერჩი, ქალო, რატომ უნდა დავიღუპო... ჯონდომ მითხრა, კო-
რესპობდენტი ჩამოვიდაო... უნდა ვუთხრა შენს შესახებ, გაზეთში გაგ-
წერონ, რომ არ მუშაობ...

მ ე დ ი ნ ა — რაიო?

ფ ა ტ ი — შენი შემხედვარე სხვებიც არ მუშაობენ და ჩაის კრეფის გეგმას ვერ
ვასრულებთ. გეყოფა, გენაცვალე, რაც იფარფაშე.

მ ე დ ი ნ ა — მე რომ ჩამაცივდით ყველა, ბაბი ტორონჯიას რატომ არ ეუბ-
ნებით?..

ფ ა ტ ი — იმასაც ვეტყვით, ყოველ შემთხვევაში ბაბი სპეკულიაციას არ ეწე-
ვა... შენ ბევრი ცოდვები გაქვს. თავის დროზე დაუკვირდი, თორემ მოუ-
ნანიებელი ცოდვა დანაშაულის კარამდე მიგყვანს.

მ ე დ ი ნ ა — რა ცოდვები? რა თქვენი საქმეა მე რას ვაკეთებ? ხანდახან სა-
კასტუმე ჩამოუტანო ბიჭებს და შრომის საფასური ავიღო, ამას უძახით
სპეკულიანტობას? ყველამ საკუთარ თავს მიხედეთ, შენ გენაცვალე.

ფ ა ტ ი — მე რაც სათქმელი მქონდა, გითხარი, და აწი როგორც გინდა, ისე
მოიქეცი... (შედის კანტორაში).

მ ე დ ი ნ ა — შენ დაიღუპე საცხა... რომელი დეკანოზი შენ მყავხარ, სახარებას
რომ მიკითხავ... (შემოდის ჯ ო ნ დ ი) საუცხოო ტრიკო მაქვს, საკოს-
ტუმე, დაგხატავს.

ჯ ო ნ დ ი — დამხატავს?

მ ე დ ი ნ ა — პატროსნებას ვფიცავარ!

ჯ ო ნ დ ი — აბა ხატებს ჩააცივ!

(სწრაფად შედის კანტორაში).

მ ე დ ი ნ ა — როგორ იკბინება ყველა დღეს. ჰაერი ხომ არ შეიცვალა?

(გადის. ჰაუზი. გამოდიან ს ო ლ ო მ ო ნ ი, გ ვ ა ტ ი, ვ ე დ ე ო ნ ი, ჯ ო ნ დ ი, და
ფ ა ტ ი).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ასეა, ამას ხარი წაექცა, ის არ მუშაობს, მედინა ტრიკოებს
ყიდის, რომანოზი და ხიტუ ერთმანეთს ცხვირპირს ამტვრევენ. რა ეშმა-
კი შეგიჯდათ ყველას, ნეტავი ვიციოდე?..

(მანქანის ხმა. ყველანი ყურს უგდებენ). ნეტავ ვინ უნდა იყოს?

(შემოდის ა მ ი რ ა ნ ი კანტორის წინა ფსადის მხრიდან).

ა მ ი რ ა ნ ი — რაიკომის მდივანი ჩამოვიდა.



სოლომონი — რაიკომის მდივანი?

(მოდის სწრაფად. მას მიყვება ამირანი. პაუზა.)

ფატი — ვინმემ იცოდით, რაიკომის მდივანი რომ მოდიოდა?

გვატი — წერილს ხომ არ გამოგიგზავნიდა, ჩემო ფატი, ჩამოვდივართ.

ფატი — მე შეიძლება კიდევაც გამოგიგზავნოს წერილი. შენზე რა მოგახსენო.

გვატი — შენ, ნუ სწუხარ, კირიმე, არც ისეა საქმე. მე სწორედ ვიცოდი, რომ ჩამოდიოდა.

(მემოდის კაკუ.)

კაკუ — მართლა ჩამოვიდა რაიკომის მდივანი?

გედეონი — ჩამოვიდა და იკითხა, კაკუ ფოჩხუა სად არისო?

კაკუ — გედეონ მოსიძე ხომ იკითხა? ჩემთვის ესეც საკმარისია.

(მემოდის სოლომონი.)

სოლომონი — კარგია, აქ რომ ხართ! აბა, თქვენ იცით, სრულ 9 საათზე უნდა შევეკრიბოთ ხალხი. ყველა ბრიგადირს აცნობეთ. კოლექტივის საერთო კრებაა დანიშნული. აბა, ჯონდი გვატი, გედეონ, შენც ფატი, შენი ქალები მოგვიგვროვე. აბა, თქვენ იცით, სირცხვილს თუ არ მაქმევთ, არავინ დაგვაკლდეს.

ჯონდი — რა იყო, ასე სასწრაფო, დროზე ვერ შეგვატყობინეს?

სოლომონი — ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. მერე ვილაპარაკოთ...

შენც კაკუ დაგვეხმარე. წადი, კაცო, რას უღგებხართ.

ჯონდი — მივდივართ ბატონო, მივდივართ.

(ყველანი გადიან. სოლომონი შედის კანტორაში. პაუზა. მემოდინ ალმასხანი და იაგორი.)

ალმასხანი — რა ამბავია, ხიტუ, თუ იცი?

ხიტუ — რაიკომის მდივანი ჩამოვიდა, კოლმეურნეობის კრებაა დანიშნული. ყველა კრებაზეა დაძახებული.

ალმასხანი — რაიკომის მდივანი? აქ რაღაცა სხვა ამბავი უნდა იყოს?

იაგორი — სხვა ამბავი რა უნდა იყოს, შე, კაცო, რაიკომის მდივანი პირველად ხომ არ ჩამოდის?!

ალმასხანი — ეი, ნამდვილად ამას ნიშნავდა ამირანის სიტყვები, წედან რომ გვითხრა.

იაგორი — რა სიტყვები, ალმასხან?

ალმასხანი — იცი, იაგორ, რა გითხრა? სოლომონი და ამირანი რომ აიშალნენ, ეს უბრალო საქმე არაა, დამიჯერე.

(მემოდის უჩა.)

ალმასხანი — შეილო, უჩა, იცი, ვინ ჩამოვიდა?

უჩა — ვიცი შამა! ვიცი.

(შედის კანტორაში.)

იაგორი — ხომ ხედავ, ხალხი როგორი დარაზმული მოდის კრებაზე. წინათ, ჩვენს დროში, ყოველი კაცი თოკით იყო მოსაყვანი.

ალმასხანი — ეპ, ჩემო იაგორ, ახლა ხალხიც გამოიყვალა, მიწაც და პაერიც.

ჯონდი — იაგორ, ალმასხანი! კრებაზე არ მოდიხართ?

ალმასხანი — მოვდივართ, შეილო, მოვდივართ.

(გამოდინ კანტორიდან ამირანი და უჩა.)

უჩა — ამირან, ამ საქმეს დაფიქრება სჭირდება.

ამირანი — შენ ნუ სწუხარ! პარტიამ იცის, რასაც აკეთებს.

ფარდა.



მეორე მოქმედება

ქართველი
ბიზნისმენი

(იგივე სენა. გ.ზოდის ზიტუ და მიდის კანტორისაკენ. შეეფეთება ახლადშემოსულ მედინას).

მედიანა — ზიტუ! სად მიდიხარ?

ზიტუ — შეხ ჩემი რევიზორი ხომ არა ხარ?

მედიანა — მართალია, ბიჭო, ეს ამბავი?

ზიტუ — რა ამბავია?

მედიანა — სოლომონ ფულარია მართლა გაათავისუფლეს თავმჯდომარეობიდან, თუ ზუმრობენ?

ზიტუ — რომელი ზუმრობაა, შე ჭალო, მთელი ქვეყანა კრებაზე იყო.

მედიანა — ბერე, ბიჭო, უჩა უჩარდია აირჩიეს თავმჯდომარედ?

ზიტუ — მე ვისი ამრჩევი ვარ, ჩემთან რა გინდა?

მედიანა — შენ დაილუბე. სოლომონი ვერ გაუძღვია კოლექტივს და უჩა უჩარდია გაუძღვება? რა ხდება ამ ქვეყანაზე, შენ გენაცუალე! უჩა უჩარდია კოლექტივის თავმჯდომარე! მომკალით ახლა ვილაყამ და ის იქნება.

ზიტუ — შენ რა გაწუხებს, ნეტავი ვიციდე? ყანის თონით გაქვს წელი მოწყვეტილი თუ ჩაის კრეფით?

მედიანა — ჩემთვის, პირიქით, უყეტესია, ჩემო ზიტუნია: ამ ბოლო დროს სოლომონი ჩაკეზული იყო, იმუშავეო, ახლა უჩა სიტყვას ვერ გამიბედავს შენ ნუ მომიკვდები. კარგი ტრიკო მაქვს შენთვის, ზიტუ, საკოსტუმედ. დაგხატავს პირდაპირ. რევისორი ხარ, ბიჭო და კარგად თუ არ ჩაიცივი, კაცი არ მოგივა კლუბში.

ზიტუ — ერთბაშად, შენ რომ გაცვია ნაირნაირი ჩერები, ხალხი ბუზივით გეხვევა.

მედიანა — უკაცრავად შენთან. დიახ, შენისთანა ბიჭები, ბარე ორი დამინოქებია, ისე იხარა მედინამ.

ზიტუ — ფრანგული ჭიდაობა იცი თუ?

მედიანა — ჭიდაობა რა შუაშია, შენ დაილუბე საცხა! ერთ დროს შენც კი გინდოდა ჩემი შეცდენა, მაგრამ ვერ მოგართვი.

ზიტუ — მერე რატომ არ შეცდი, შე შეჩვენებულო, დამადნე კაცი. მთელი ღამეები არ მშინავს, სულ შენზე ვფიქრობ.

მედიანა — რას ფიქრობ ჩემზე, შენ დაილუბე საცხა!

ზიტუ — როდის დადგება ის დღე, რომ გამოჩნდება ვინმე რაინდი, შეუდრეკელი ვაჟკაცი და...

(პაუზა).

მედიანა — და მერე?

ზიტუ — შენს თავს მოგვაშორებს

(სწრაფად მიდის კლუბისაკენ).

მედიანა — ზიტუ ბეგია... ერთხელ კი მოგბეგვეს და ისე იცოცხლა მედინა ხვარწყალიამ...

(შემოდის ცაბუ).

ცაბუ — რა იყო, მედინა? ვინმემ ხომ არ გაგაბრაზა?

მ ე დ ი ხ ა — ცაბუ ხარ? შენ დაილუპე... სამკითხველოს გამგე ხარ და შენს დირექტორს ვერ წააქითხე ზრდილობის წიგნები? ერეკნულში

ც ა ბ უ — ხიტუზე ამბობ? ხიტუ ხომ შენი სიმპატია იყო? ბიბლშიც მინახს

მ ე დ ი ნ ა — შენ დაილუპე, ის იყო ჩემი სიმპატია, თუ მე ვიყავი მისი სიმპატია...

ც ა ბ უ — მართალია, შენ იყავი მისი სიმპატია. სულ შენზე ამბობდა, ცოტა ახალგაზრდა რომ იყოს, ცოლად შევირთავდიო.

მ ე დ ი ნ ა — როგორ? მე ბებერი ვარ?

ც ა ბ უ — არა! ბებერი როგორ ხარ. ჯერ ნორჩი ხარ, შე ქალო.

მ ე დ ი ნ ა — არც ნორჩი ვარ.

ც ა ბ უ — აბა რა ხარ, შე ოჯახაშენებულო!

(სწრაფად შედის ანტონში).

მ ე დ ი ნ ა — შენ დაილუპე! საცხა! ერთი შენც მყავხარ ძუძუთმწოვარა ბავშვი. ალუ! ამ ბოლო დროს რაღაც ძალიან მომადგინენ... პოლიტიკა ხომ არ შეიცვალა? სოლომონ ფულარია ლეთისნიერი კაცი იყო. იმას თუ ეს უქნეს, მე რას მიზამენ. არა, ჩემო მედინა, დროზე უნდა დაუყვირდე საქმის ვითარებას, თორემ ერთხელ ფეხი თუ მოიტეხე, მერე კაკალი კაცი არ იქნება შენი გამკითხავი.

(სწრაფად გადის. პაუზა, ისმის რომანოვის სიმღერა).

რო მ ა ნ ო შ ი — ბოდიში, დიდი ბოდიში. არაინ არის. სიცარიელეა, სრული სიცარიელე. (ჰაერში ხელს გაიქნევს) რა გქნა ახლა მე? ჩემთან რა გინდა სიცარიელე. რომ არ მშორდები, შე სიკვდილის კერძო. ჯიბით რომ დავათრევ ის არ გეყოფა სულში რომ ჩამიმკერ.

(შემოდის ხიტუ. დაინახავს რომანოვს).

ხ ი ტ უ — ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლიათ და სწორედ ეს არის. ეს მჭირდებოდა ახლა მე?

(უნდა შეუჩვენებოდ წაეიღეს).

რო მ ა ნ ო შ ი — (დაინახავს) ხიტუ!

(ხიტუ მიბრუნდება).

ხ ი ტ უ — რა გინდა?

რო მ ა ნ ო შ ი — სულგრძელობა დიდი ადამიანების ხვედრია, ეს უნდა იცოდე შენ.

ხ ი ტ უ — მე არა ვარ შენზე გულმოსული. უკვე გადამიარა.

რო მ ა ნ ო შ ი — (მღერის) — „რას მიქვია ვის მიქვია მე ხომ რომანოვი მქვია...“

ხ ი ტ უ — წამოდი ახლა. უხერხულია აქ სიმღერა. უჩა საქმეებს იბარებს.

რო მ ა ნ ო შ ი — გამიბედავს ვინმე რამეს თუ? უჩა ჩემი მეგობარია. გვატორობხვია მინდა... სიმინდი უნდა მომცეს.

ხ ი ტ უ — აცალე ხალხს სულის ამოთქმა... წამოდი, დამიჯერე.

რო მ ა ნ ო შ ი — შენ ფიქრობ ასე აჯობებს?

ხ ი ტ უ — ასე აჯობებს.

რო მ ა ნ ო შ ი — კარგი. წავიდეთ.

(მიდის).

- ბ ი ტ უ — კი მაგრამ, ასე უთენია სად დალიე ღვინო?
 ო ო მ ა ხ ო ზ ი — არაყი დავლიე... დილას ვაშლის არაყი ცხელქვეთის ქუჩაზე.
 ბევრჯერ შემიქია ღვინო უყეთესი კია“.
 (ვალიან. პაუზა. კანტორიდან გამოდის გვატი და გედეონი).
- გ ვ ა ტ ი — დაუფიქრებელი ხარ ხანდახან. ახლა ჩვენ უჩას რომ აშკარა ბრძოლა გამოუქცხადოთ, არ ივარგებს. პირიქით, ვინმე მაგარი კაცი რომ აერჩიათ, ჩვენთვის უარესი იყო. იყოს უჩა. ჩვენ ჩვენებურად მოუვლით ჩვენს საქმეს.
- გ ე დ ე ო ნ ი — კი მაგრამ რა სისულელე იყო უჩას არჩევა?
 გ ვ ა ტ ი — შენ არ მიეცი თვითონ ხმა?
 გ ე დ ე ო ნ ი — ყველამ მხარი დაუჭირა და მე სულელი ვარ ხალხის სურვილს წინ აღუდგე?
 გ ვ ა ტ ი — აბა ნუ ამბობ, სისულელე ჩაიდინესო. შენ მე მომყვეი ჭკუას არ წააგებ, ისე ცხონება ჰქონდეს მამაჩემს.
 (შემოდის კაკუ)
- კ ა კ უ — ჰაერი გამოიცვალა. მაგრამ თქვენ მაინც ერთად ხართ?
 გ ვ ა ტ ი — კაკუ! ენა მოკაცე, თორემ თათლი ვერ გიშველის.
 (გვატი და გედეონი სწრაფად მიდიან).
- კ ა კ უ — ჩემი თათლი თქვენც ბევრი გიჭამიათ, მაგრამ არა მგონია ბოლომდის შეგერგოთ.
 (ვალიანს უბრალოდ უბრალოდ)
- ც ა ბ უ — დილა მშვიდობისა, კაკუ!
 კ ა კ უ — გაგიმარჯოს, ჩემო ბიძია! გასათხოვარი ქალი ხარ და ქორწილს არ გინდა მომასწრო?
 ც ა ბ უ — ჯერ მე უნდა მოვესწრო, რომ შენ დაესწრო, ჩემო კაკუ!
 კ ა კ უ — არ გეწყინოს და მგონი უჩასკენ გეჭირა თვალი, მაგრამ უჩა ტორონჯის ბაღს უმიზნებს, რამდენად მე ვიცი.
 ც ა ბ უ — რა იცი?
 კ ა კ უ — უსწავლელი კაცი ვარ, მაგრამ რაც უწიგნოდ შეიძლება კაცმა იცოდეს, ყველაფერი ვიცი...
 ც ა ბ უ — არა, ჩემო კაკუ! სხვისი გული ძნელი გამოსაცნობია.
 (შემოდის ჯონდი).
- ჯ ო ნ დ ი — უჩა აქ არის?
 კ ა კ უ — ყახაში არ წასულხარ?
 ჯ ო ნ დ ი — ცაბუ, ერთ წუთს მომიცადე. (კაკუს) შენ ვისი ვეჭილი ხარ?
 კ ა კ უ — იმის, ვინც დააშავებს. შენზე აღრე მე მოვედი.
 (შემოდის კანტორ ში. პაუზა).
- ჯ ო ხ დ ი — არ გინდა პასუხი მომცე?
 ც ა ბ უ — პასუხი, რისი პასუხი, ჯონდი?
 ჯ ო ხ დ ი — შენი პასუხი დიდად სანუგეშო არ იყო, რამდენადაც მე გავიგე!
 ც ა ბ უ — სხვა პასუხი ჯერჯერობით არ იქნება, ჩემო ჯონდი!
 ჯ ო ნ დ ი — ჯერჯერობით არ იქნება? მამ შემიძლია იმედი ვიქონიო?
 ც ა ბ უ — პასუხის იმედი შეგიძლია იქონიო, მაგრამ ის პასუხი შენ განუგებ შეებს თუ არა, ამის პირობას ვერ მოგცემ.

ჯონდი — ცაბუ, იცი რა გითხრა, შენ კარგად მიცნობ, მე არ მიყვარს მტკბულმოკიბული ლაპარაკი. არ შემიძლია ზოგიერთივეთ მანქანის მძღველსა სიყვარულის დასამტკიცებლად.

ცაბუ — შენ ბაბის უყვარხარ, გირჩეუ იმას მოუარო.

ჯონდი — შენ თავზე ილაპარაკე, სხვაზე ნუ ზრუნავ.

ცაბუ — ჩემს თავზე უკვე გითხარი.

ჯონდი — მე შენ მიყვარხარ! ბაბი არ მიყვარს.

(ამ სიტყვებს მოესმენს, შეუმჩნევლად შემოსული ბაბი. ყველანი ერთმანეთს შეხედავენ. უხერხული პაუზა).

ცაბუ — ეს სიტყვები თვითონ მას მოახსენე.

(სწრაფად გადის).

ბაბი — (პაუზის შემდეგ) დღე და ღამე არ ძინავს ბაბი ტორონჯიას ჯონდი ხანაგუას სიყვარულით!

ჯონდი — ბაბი!

ბაბი — არ ახსენო ჩემი სახელი. სხვა ღირსება რომ არ გქონდა, ვიცოდი. მგონოა, ჰკუა მაინც გაქვს-მეთქი, მაგრამ ისიც არ გამოგაჩნდა. ერთის დამცირებით, მეორის გულს ვერ მოიგებ ვერასოდეს, ბრიგადირო. ხარებს მოუარე, ყანაში არ წაგეკცეს. ბაბი ტორონჯია უშენოდ მონახავს თავის გზას.

ჯონდი — ერთი სიტყვა მათქმევინე!

(გამოდის კაკუ კანტორიდან. მნიშვნელოვნად შეხედავს ორივეს და მიდის).

ბაბი — რა უნდა მითხრა იმის მტკი, რაც უკვე სთქვი. ორმოცი გული რომ მქონდეს, შენთვის ერთსაც არ გავიმეტებდი. შურსაც არ ვიძიებ შენზე, რადგან ამისათვის ძლიერი განცდა დამჭირდებოდა, რომლის ღირსი შენ არა ხარ. მაგრამ, როცა შენს მიერ შეურაცხველი ჩემს თავმოყვარეობას მოვიშუშებ, შენივე თვალებით დაგანახებენ შენს უბადრუეობას.

(სწრაფად გადის).

ჯონდი — ყველაფრის ღირსი ვარ. ამხელა ყაზახი რომ დაედგები გახურებულ მუშაობის დროს და არშიყობას მოვეყვები, რა ხეირი უნდა ენახო?

(მიდის. კანტორი და გამოდიან ამირახი, სოლომონი და უჩა).

ამირახი — პირველ ხანებში სოლომონი დაგეხმარება. პირად წყენას ბოლშევიკებმა არ უნდა მივაქციოთ ყურადღება.

სოლომონი — რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი. მე რომ რამე მცოდნოდა, არც მომსწინდნენ, შენ რომ სულ ჰკუას გეასწავლიდი, ა, ბატონო, ბურთი და მოედახი რატომ არ დაგეხმარები? ვალდებულებია ხარ. ჩემი დახმარება სრულიად ზედმეტია. მე ჩემს საქმეს გავაკეთებ.

ამირახი — სოლომონი! არ ვარგა ასეთი ლაპარაკი. ხომ გესმოდა საერთო კრებაზე რაიკომის მითითებები. კონკრეტული ღონისძიებები გვაქვს დასახული. ხალხმაც სამართლიანად გაგაკრიტიკა.

სოლომონი — კრიტიკა კრიტიკას გააჩნია. კრიტიკა ადვილია. შენ თვითონ მოწმე იყავი, ხალხს როგორ ვევედრებოდი.

ამირახი — არც ვედრებოდა და არც მუშტით არაფერი გაკეთებულა. ადამიანს სხვანაირი მიდგომა უნდა. ამის გარდა მარტო ზიხაშუა და მედინაზე



- არაა საქმე. ცალკეული შემთხვევები კი არ წყვეტენ საქმეს. უჩა ცხარტო-ვერაფერს გააკეთებს, თუ ჩვენ ყველანი გვერდში არ ამოვსდებით...
 სოლომონი — ამოუდევქი ბატონო გვერდში. ხელს ვინ გიშლის? მე ჩემი საქმე ცუდად არ მიმყავდა, მაგრამ არ დამაცალეთ და აწი ვნახოთ... ა... ბატონო... მე ხელს არ შეგიშლი.
- ამირანი — შენ ერთი არ გინდა გაიგო... კაცმა სიმაართლე რომ გითხრას, გწყინს.
- სოლომონი — ჩემ წყენას რაიკომში არ მორიდებიხარ და ახლა გერიდება?
 ამირანი — ცხოვრება ბედაუჩივით მიქრის, ჩემო სოლომონ, და შენ კი ფეხით მისდევდი უკან. ამიტომ ჩამორჩი. აი ნამდვილი, თუ გინდა, ეს არის... გავასწრო ცხოვრებამ, გენაცვალე... სხვაფრივ შენ არაფერი გაქვს დასაწუხი... მთავრობისა და პარტიის დადგენილება, ახლახან რომ გამოვიდა სოფლის მეურნეობისა და სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდებაზე, სულ ახალ მიზნებს გვისახავს... ძალიან რთულ მიზნებს... უნდა დავსძლიოთ არა გიქური მიდგომით. შენ რომ ვიყვარს, ხშირად, არამედ შრომის სწორი ორგანიზაციით. ამიტომ გეუბნებოდი ცხოვრება ბედაუჩივით მიქრის მეთქი...
- სოლომონი — იმასაც ვნახავ, რა ულაცებზე შეჯღებით შენ და უჩა და დაეწვეით ამ ბედაურს.
- ამირანი — ოღონდ არ დაგავიწყდეს, ძველი ბოლშევიკი ხარ და ისე მოიკეცი, როგორც შენს ღირსებას ეკადრება. საქმე უნდა გაინტერესებდეს და არა ის, თუ ვინ არის თავმჯდომარე და ვინ მერგოლური. გაიგე?
- სოლომონი — თუ ძმა ხარ, ახლა მაინც თავი დამანებე. მე ვიცი ჩემი ფუნქცია.

(ისმის რომანოვის და ხიტუს სიმღერა)

„რას მიქვია, ვის მიქვია
 მე ზომ რომანოვი მიქვია“.

- სოლომონი — ა, ბატონო! რა უნდა გაგვეთებინა ამისთანების ხელში ჩვენი რევისორიც აიყოლია.
- (მეზოდან გვატი და გვედგომი.)
- უჩა — ამხახავო გედეონ! შენ ახლა ყანაში უნდა იყო. შრომადღეების დარიცხვა მეტად რთულია და მნიშვნელოვანია.
- გედეონი — ვფიქრობ, ჩემი მოვალეობა საკმაოდ მესმის და გახსენება ზედმეტია.
- გვატი — იქნებ, მეც ყანაში უნდა ვიარო?
- უჩა — არც ეს იქნება ურიგო.
- გვატი — აბა რას გეტყვი იცი, ჩემო ბიძია? ახალი ცოცხის არ იყოს, ისეთ რამეს ნუ მოინდომებ, კაცს რომ არ უქნია. სოლომონ ფულარიას შენზე უკეთესად ესმოდა თავისი მოვალეობა.
- ამირანი — რატომ ლაპარაკობ ასე მკვახელ? სწორად შეგნიშნათ ამხანაგმა უჩამ. აქ საწყენი არაფერი იყო.
- გვატი — ამხანაგო ამირანი! თუ ჩვენ ახლა გკუის სწავლება გაკვირდება და მადლობა ღმერთს. მთელი ძალღონე საერთო საქმეს შევალეთ და კიდევ საყვედურები უნდა ვისმინოთ? შენ ნუ მომიკედები, ამის უფლება პერ მივეცემ უჩა უჩარდიას.



ა მ ი რ ა ნ ი — ის ხალხის მიერ არის არჩეული.

გ ვ ა ტ ი — ვიცი, ბატონო, ვიცი.

(შემოდის მ ე დ ი ნ ა).

მ ე დ ი ნ ა — უჩა! მომილოცავს თანამდებობა, შენ დაიღუპე საცხა!

უ ჩ ა — მოსალოცი აქ არაფერია. უკეთესია, მუშაობა დაიწყო.

მ ე დ ი ნ ა — რა მუშაობა? ხელებს დაეიგლეჯ ახლა ფატი შელისათვის ჩაიძვრა, ესლა. მაკლია. ხუთი თავმჯდომარე გამოვიცვალე, შენ გენაცვალე, მაგრამ მედინა არავისი კბილ-გასაკრავი არ ყოფილა.

ა მ ი რ ა ნ ი — ამხანაგო მედინა ბოროტად ნუ იყენებ ჩვენს მოთმინებას, რომელიც აქამდის გამოვიჩინეთ. დროა სწორ გზას დაადგე, თორემ მერე გვიან იქნება.

მ ე დ ი ნ ა — ამხანაგო ჯღარკავა! მოსათმენი და მოსაბოდიშებელი არაფერი მჭირს ჯერჯერობით... ნეტავ ფეხი მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავი. რავე ამისაღეთ ნერვები, თქვენ დაიღუპეთ.

(გაღის გაბრაზებული).

ა მ ი რ ა ნ ი — არაფერია. ამასაც ბოლო მოელება.

(შემოდის ფ ა ტ ი).

ფ ა ტ ი — ამხანაგო სოლომონ! თუმცა, ბოდიში, ამხანაგო, უჩა? მიშველეთ რა-მე, ჩემი ბრიგადის წევრები უგულოდ მუშაობენ. არავის არ უნდა მუშაობა. ვისაც რამეს ვეტყვი, პირში მომახლიან ბაბი ტორონჯია გამოპრაბჭული დაღის და ჩვენ თავს რაზე მოვიცვალეთო. რას არ ვეუბნები, არაფერი არ გაღის.

უ ჩ ა — მართლები არიან. ბაბიშაც უნდა იმუშაოს.

გ ვ ა ტ ი — რას ჩააცივდით, ჭირიმე, ამ ჩემს ქალიშვილს. (ფატის) შენც წაგიგრძელებია ენა და დედაკაცების ჭორებს აყოლიხარ?

ა მ ი რ ა ნ ი — ბაბის პირადი ინტერესი არავის აქვს, მაგრამ ხალხის აზრს ანგარიში უნდა გაუწიოთ.

უ ჩ ა — მართალია.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — რა ვქნა, მე ვერაფერი მოვახერხე და აწი ამათ იციან.

ფ ა ტ ი — ამხანაგო გვატი! მე ჭორების აყოლა არ ვიცი. არც არავის მივცემ ხეზას ასე შელაპარაკოს. რას ქვია ენა წაგიგრძელებია. მე საერთო საქმეზე ვზრუნავ და სრულიადაც არ მჭირდება ჭორების აყოლა.

ა მ ი რ ა ნ ი — არ ღირს ამაზე ლაპარაკი. წავიდეთ უჩა...

(ველანი გაღიან. გ ვ ა ტ ი და გ ე დ ე ო ნ ი ს გ რ და).

გ ვ ა ტ ი — ხომ ხედავ როგორ იმშვეს თავი?

გ ე დ ე ო ნ ი — მაგას არ გეუბნებოდი?

გ ვ ა ტ ი — არაფერია. ბოლოს და ბოლოს კოლექტივის ძარღვი ჩვენა ვართ. თუ ჩვენ გადავიმტერა, ფეხს მალე მოიტეხს და ახალი თავმჯდომარე გვეყოლება საძებარი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ შენი გვატო...

გ ე დ ე ო ნ ი — ძალიან შეეცდი, რომ შენი კანდიდატურა არ დეასახელე.

გ ვ ა ტ ი — სუ! გაჩუმდი! ჯერ არ იყო ეს საჭირო. ნაადრევია, როცა საჭირო იქნება, თვითონ მიხვდები, ან მე მიგახვედრებ. გავიაროთ ჩვენც ყანაში.



- მე დ ე ო ნ ი — ახლა ჯიბრზე არ წავალ. ისლა მაყლია ახლა, თქვენ უჩარ-
დიასი შეეშინდათ. ისეთ ხასიათზე ვარ, წავედეთ სასადილოში და შევალ
ხელმძღვანელობა დაელოცოთ.
- გ ვ ა ტ ი — არა! სასადილოში ახლა ჩვენ ერთად, ვინმემ რომ დაგვიწახოს, არ
ივარგებს. ჩემთან წამოდი საწყობში, ღვინოს იქაც ვიშოვით.
- მე დ ე ო ნ ი — ეს მოსაზრება სწორია. ამბობენ უჩას ბაბი უყვარსო.
- გ ვ ა ტ ი — ისლა მაყლია ახლა აღმასხანის შვილი სიძელ შემოვიყვანო ჩემს
ოჯახში. (გაღიან. შემოდიან აღმასხანი და იაგორი).
- ი ა გ ო რ ი — აწი, ჩემო აღმასხან, კაცი ვერ გაგვიბედავს, ყანაში რატომ არა
ხართო.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — არ მიხარია უჩას წამოწევა. ვიცი თავს ვერ გაართმევს და
გაილანძღება. ამათ ხელში ცხვარმა რა უნდა გააყეთოს?
- ი ა გ ო რ ი — ხომ გაგიგონია, ცხვარი ცხვარიო, მაგრამ თუ გაცხარდა ცხა-
რიო.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ახლა სოლომონიც დაუწყებს ჩიჩქნას. არ გაეხარდება სხვის
ხელში რომ საქმე გამოსწორდეს.
- ი ა გ ო რ ი — რა ვიცი პარტიამ წამოაყენა და ხალხმა ხომ იცის, ვის ირჩევს.
(შემოდის მე დ ი ნ ა).
- მ ე დ ი ხ ა — არა! როგორ გამიბედეს ასეთი ლაპარაკი? ვისი რა საქმეა, მე რას
ვაკეთებ? ვიპარავ რამეს? ანუ ცუდ ყოფაქცევას დამწამებენ? ვერ მო-
ვისიკებებ, სანამდის მაგრად არ გამოგილანძღავ იმ ამირან ფლარკავას.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — რამ გაგაცხარა, მე დ ინ ა?
- მ ე დ ი ხ ა — შენი შვილიც კარგი ვაჟბატონია. ჩაილაპარაკა ჩუმად, უნდა იმუ-
შაო... არავის უფლება არა აქვს ძალით მამუშაოს კოლექტივში. მე
კახოხები კარგათ ვიცი. დიას!
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — თუ საჭირო შეიქნა, გაიძულებენ.
- მ ე დ ი ხ ა — ერთი უყურეთ ამას? შვილი თავმჯდომარე მყავსო და როგორი
ლაპარაკი დაიწყო?
(შემოდის ხ ი ტ უ, მთერალი).
- ხ ი ტ უ — მხცოვანთა საბჭოს გაუმარჯოს!
(შემოდიან უ ჩ ა, ს ო ლ ო მ ო ნ ი, ა მ ი რ ა ნ ი, ფ ა ტ ი).
- უ ჩ ა — ხიტუ! ხომ გითხრა ამირანმა, სახლში წადიო! მთერალი ნუ მოდიხა-
რო? თუ ყურს გაკლია? (აღმასხანს და იაგორს) თქვენ ყანაში მიდიო-
დით და აქამდის ვერ მიღწიეთ?
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — მივდივართ შვილო, მივდივართ.
(გაღიან).
- ხ ი ტ უ — მე უპარტიო ვარ და ამირანის თქმა ჩემთვის კანონი არ არის, ამხა-
ნაგო თავმჯდომარე. ამის გარდა, მე იშვიათად ვთვრები. ამის გარდა, მე
მაქვს ჩემი ფუნქცია და იმას თავის დროზე ვასრულებ. ამის გარდა, შე-
ხიშვნა არ მიყვარს. მე თვითონ ვაძლევ სხვას შენიშვნას.
- უ ჩ ა — კლუბი კოლმეურნეობას ეკუთვნის.
- მ ე დ ი ხ ა — ხიტუ მართალია, ვისი რა საქმეა, სვამს თუ არა?

უჩა — შენი რიგი რომ დადგება მაშინ ილაპარაკე.

(მემოლის გვატი და გედეონი).

მედიხა — უყურეთ ამას? როგორ ამოიღო ხმა?

უჩა — (მტკიცედ და ხმამაღლა). მორჩა! მედინა ზეარწყალია წინადადებს გაძლევ გაიხადო ეს ზიზილაპილები დაუყოვნებლივ და შელიას განკარგულებაში წახვიდე სამუშაოდ.

მედიხა — დაბალი ლობე მნახე? ხიტუ ბეგია დათვრა და მე უნდა დაეისაჯო? ბარემ ციხეში ჩამსვი.

უჩა — სიტყვებს დაუყვირდი! მუშაობა სასჯელი არ არის, კარგად არ მიცნობ. ამიტომ გირჩევ რასაც გეტყვი გააკეთო, თორემ როცა გამიცნობ, მერე კიდევაც რომ დამიჯერო გვიან იქნება. შენ უნდა იხევეუბოდე მამუშავეთო, მაგრამ მიხედვრა გაკლია. ბევრი ცოდვები გაქვს და სწორედ ბეჯითი შრომით შეგიძლია შენი დანაშაული გამოისყიდო. კარგად დაფიქრდი! ამას მე გეუბნები, უჩა უჩარდია. მე ხუმრობა არ მიყვარს. მორჩა! რაც ვთქვი ის გათავებულია. წადი ეხლავე და გამოიცვალე ეს ხარახურა.

მედიხა — უჩა! შენ დაიღუპე საცხა! ჩემს მეტი ვერავინ ნახე?

უჩა — გადაეჩვიე ამ სულელურ სიტყვასაც „შენ დაიღუპე“! ადამიანურად ილაპარაკე. დროს ნუ მართმევ! შენთან გაეთათვე ლაპარაკი. ნახევარ საათს გაძლევ. მორჩა!

სოლომონი — ოღონდ იმუშაოს და ზეალიდან იყოს.

უჩა — სათათბიროთ საკითხი არ დამისევამს, ამხანაგო სოლომონ. (მედიხას) აბა სწრაფად!

(მედიხა მძიმედ ვლის).

გვატი — უჩა მართალია. ასე უნდა.

უჩა — (გვატის) მე თქვენთვისაც არ მითხოვნია, ჩემს სიტყვას ბეჭედი დაარტყით მეთქი. ფატი! შემიდგინე ქალების სია, ვისაც მუშაობის უნარი აქვს. ჩაის მთელი ფართობი დაჰყავი უბნებად და ყოველ უბანს თავისი ჯგუფი მიუჩინე, ჯგუფებს დაუნიშნე თავისი ხელმძღვანელები. სოც-შეჯიბრება გამოაცხადეთ. ამაში ამირანი დაგვეხმარება. ეს ყველაფერი დღესვე გააკეთე, რომ ზეალ დიდიდან შევედგეთ განზორციელებას. სიაში შეიტანე გვატის ქალიშვილიც.

გვატი — ჩემი ქალიშვილი არ იმუშავენს. არც ჭირდება.

უჩა — იმუშავენს. წადი ფატი. ვინც არ გამოვა სამუშაოდ იმათი სია მომიტანე ცხრის ნახევარმდე ზუსტად. გამოენახე საშუალებას, გაეაგებინო ყველას, თუ რას ნიშნავს საზოგადო საქმის უგულვებელყოფა. მორჩა!

ფატი — მივდივარ.

(ვლის).

გვატი — არ ივარგებს უჩა უჩარდია ასეთი ძალადობა.

უჩა — ბოროტმოქმედების წინააღმდეგ მხოლოდ ძალადობა არსებობს.

გედეონი — ბაბის არასოდეს არ უმუშავენია და ამასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რა საუბროა ჯიუტობა.

უჩა — გედეონ! შენ შენი საქმე ვერ დაგიყენებია კარგად და სხვის საქმეში ნუ ერევი?



- გ ე დ ე ო ნ ი — ნურას უკაცრავად! ჩემი საქმე მე დაყენებული მაქვს სარკე-საით.
- უ ჩ ა — ამ სარკეში ჩვენ უკვე ჩაიხედეთ და ძალიან უხეირო გაშრულგან. საქმეებს გადააბარებ ცაბუ ჩხოლარიას. შენ კი თავისუფალი ხარ შენი თანამდებობიდან. ეს გადაწყვეტილება მტკიცეა. ჯონდი ხანაგუას ბრიგადაში იმუშავებ კოლმეურნედ. ნაკლები დრო გექნება, ზედმეტი ყურადღება გამოიჩინო ქვრივებისადმი და ახუნდარია დალაქს შრომა დღეებით პირი აპარსეინო.
- გ ე დ ე ო ნ ი — ჩემი მოხსნა ასე ადვილი არ არის, ამხანაგო უჩარღია.
- უ ჩ ა — ვინ თქვა ადვილიაო? პირიქით, ძალიან შეწუხნდა ზოგიერთი, ეს აზრი რომ გამოეთქვი.
- გ ე დ ე ო ნ ი — სამკითხველოს გამგემ რა იცის ანგარიშის საქმე?
- უ ჩ ა — იცის. უმუშავნია. რაც არ იცის, ისწავლის.
- გ ე დ ე ო ნ ი — თანამდებობა შეგიძლია წამართვა, მაგრამ კოლმეურნედ ვერ გამგზავნი ძალით.
- უ ჩ ა — ძალით ვერა... მაგრამ ამირანი ავიხსნით, რომ შენთვის ასე აჯობებს. თან ეცადე საუკეთესო კოლმეურნე გახდე. ეს უკვე ჩემი გულწრფელი რჩევაა. ამხანაგო სოლომონ, თქვენ, როგორც გეუბნებოდით, ჩემ რგოლს ჩაიბარებთ.
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — როგორც ვხედავ ჩემი დახმარება არ გქირდება. მე წავალ.
- უ ჩ ა — შეგიძლიანთ.
- (ს ო ლ ო მ ო ნ ი გაღის).
- ხ ი ტ უ — (ოდნავ გამოფხიზლებული) ვი მაგრამ ცაბუ ჩხოლარია რომ წამართვით, მე არ მეკითხებით, ღირექტორს?
- უ ჩ ა — შენს საქმესაც მალე გავარკვევთ.
- (შედან კანტორაში).
- ხ ი ტ უ — ჩემი საქმე რა გასარკვევია, ნეტავ ვიცოდე.
- გ ვ ა ტ ი — ხიტუ! ჩემი რჩევაა წახვიდე და გამოიძინო. ფხიზელი უფრო გვერკვევი ყველაფერში.
- ხ ი ტ უ — ერთხელ მაინც სიმათლეს მეუბნები და არ დაგიჯერო, ცოდვი იქნება...
- (ვაღის. პაუზა).
- გ ე დ ე ო ნ ი — ესაა შენი დაპირება? მე გამომყევი და ქუას არ წააგებო? როგორ ჩაგივარდა ენა?
- გ ვ ა ტ ი — ვინ ყოფილა კაცო ეს? როგორ არწივივით გაშალა ფრთები. ყველა არ დაგვანია? მე თვითონ ბეწვზე ვარ ჩამოკიდებული და შენ რა უნდა დაგეხმარო? ეს რა მოვისმინე, ჭირიმე. ბაბის რო უთხრა, იმუშავეო, ხომ გაგებუტავს ყველას.
- გ ე დ ე ო ნ ი — შენ ბაბიზე ფიქრობ და ჩემი ამბავი სულ არ გაწუხებს.
- გ ვ ა ტ ი — შენი ამბავი გარკვეულია.
- გ ე დ ე ო ნ ი — როგორ? ასე ადვილად უნდა დაუთმო? რას ამბობ?
- გ ვ ა ტ ი — რამდენად მე მესმის, წინააღმდეგობა არ ივარგებს. ხომ გაგიგონია „სადაც არა სჯობს, გაცლა ჯობსო“.



გ ე დ ე ო ნ ი — შენ ახლა ანდაზებით გინდა მანუგემო?

(ვადის).

გ ვ ა ტ ი — (ჩაფიქრების შემდეგ) ანდაზები! ანდაზები! (შემოდის მედინა). მედინა! ძალიან გშვენივს ეს ტანისამოსი. აქამდის ჩაგეცეა შე ქალო, ასე თუ ღაგხატავდა.

მ ე დ ი ნ ა — გვატი! შენი ხუმრობის გუნებაზე ვარ ახლა მე? რა მაკრეფივებს ჩაის? რას ჩამაცივდნენ. სულ არ დავლევ ამ ჩაის და ის იქნება.

გ ვ ა ტ ი — შენ თუ არ დალევ, სხვა დალევს. მაგაზე სწუხარ?

მ ე დ ი ნ ა — რა ვქნა ახლა, მე, ვერ მეტყვი?

გ ვ ა ტ ი — წადი ფატისთან და ის გეტყვის ყველაფერს. მე ჩემი დარდი მეყოფა.

მ ე დ ი ნ ა — თუ არ ვიმუშავებ, მართლა გადამასახლებს უჩა?

გ ვ ა ტ ი — თვითონ არ გადაგასახლებს, მაგრამ ისე მოგიწყობს საქმეს, რომ სხვები გადაგასახლებენ.

მ ე დ ი ნ ა — შენ დაილუბე! ეს სულ ერთი არ არის?

(შემოდინ ც ა ბ უ ლ ა ხ ი ტ უ).

ც ა ბ უ — უჩა აქ არის?

გ ვ ა ტ ი — აქ არის. შენ გიცდიან.

(ც ა ბ უ შედის კანტორაში).

მ ე დ ი ნ ა — ხიტუ! გამოფხიზლებულხარ...

ხ ი ტ უ — ხედავ, მალე ყველა გამოფხიზლდებით. მედინა! შენ ხარ? ვერ გიცანი. ნამეტანი გაკოტრებული სახე მიგიღია.

მ ე დ ი ნ ა — თუ ხათრი გაქვს დამანებე თავი.

(მოდის უნისაყენ. შემოდის კ ა კ უ).

კ ა კ უ — როგორ იაქესავით დგახარ, ბიჭო?

ხ ი ტ უ — არც შენ მყავხარ დღეშაშვით გამართული.

კ ა კ უ — რა იყო? რა მინაბებული ხმით ლაპარაკობ? მთერალი ხომ არ ხარ?

ხ ი ტ უ — ვიყავი ჩემო კაკუ. მაგრამ უჩამ ყველა ისე მოგვეცევა, რომ ბახუსის ძლიერება ჰაერში აფრინდა.

კ ა კ უ — რა იყო? უჩა რომ არ არის ასეთი კაცი?

ხ ი ტ უ — არ არისო? მალე შენს ზურგზე ნახავ როგორი კაცია... შენს ფუტკრებსაც მიწვდება ყელში.

კ ა კ უ — ჩემს ფუტკრებს რას ერჩი. შხამიანი ნესტარი აქვთ, მაგრამ ტკბილ ნაყოფს იძლევიან. შენ ისინი ნახე, ვინც ტკბილი სიტყვებით შხამს ანთხვენ თავის გარშემო.

ხ ი ტ უ — ჩემზე ამბობ?

კ ა კ უ — შენზე რატომ? შენ არც ცული შეგიძლია და არც კარგი.

ხ ი ტ უ — მეხუმრები კაკუ ფონხუა?

კ ა კ უ — შენ კარგად იცი, ვიზე ვლაპარაკობ.

ხ ი ტ უ — გედეონი მოხსნა.

კ ა კ უ — გაფიცებ ყველაფერს?

ხ ი ტ უ — ფიცი კია არა წმიდა გიორგი ვერ უშველის აწი გედეონს.

კ ა კ უ — ვიცოდი, რომ უჩა გაუძღვება საქმეს.

ხ ი ტ უ — გაჩუმდი თუ ძმა ხარ. არაფერი არ იცოდი.

(გამოდის უ ჩ ა.)

უ ჩ ა — ხიტუ! შენ კიდევ აქა ხარ?

ხ ი ტ უ — მინდოდა მეკითხა ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის შესახებ, განვაგრძო მუშაობა თუ არა?

უ ჩ ა — არაერთარი ანსამბლი. მოხსენება დაამზადე კლუბის მთელი მუშაობის შესახებ და ხვალ დილას მომიტანე. კოლმეურნეობა ჩამორჩენილია და მთელი ძალები უნდა დაერაზმოთ, რომ საპატიო შედეგს მივაღწიოთ. ჩვენ დღეს დამარცხებულები ვართ. მღერის და ცეკვავს მხოლოდ გამარჯვებული.

აბა წადი ახლავე. ჩემი აზრი უკვე გითხარი.

(ხ ი ტ უ გადის).

კაკუ, შედი კანტორაში და დამიცადე. შენთან საქმე მაქვს...

კ ა კ უ — კი ბატონო სიამოვნებით.

(შედის კანტორაში. შემოდის ბ ა ბ ი).

ბ ა ბ ი — შენ თქვი მე ვიმუშაო?

უ ჩ ა — მე ვთქვი. შენ პირადად როგორ ფიქრობ? შეიძლება ახლა აღამიანი არაფერს აკეთებდეს?

ბ ა ბ ი — შური გინდა იძიო?

უ ჩ ა — განა რაშე დამიშავე?

ბ ა ბ ი — რატომ არ დაგიშავე?

უ ჩ ა — რაში გამოიხატება ჩემი შურისძიება? განა იმაში, რომ სურვილი გამოვსთქვი, ბაბი იმუშავეს მეთქი? შენ ყოველდღიურად კიბუხლობ შრომის ფრონტზე მიღწეულ გამარჯვებებზე და ჩვენი ქვეყნის სახელოვან აღამიანებზე. მეც სწორედ მინდა შენც გახდე სახელოვანი ქალიშვილი, სასახელო შვილი ჩვენი ქვეყნისა. შენ შეგიძლია გამარჯვება მოიპოვო და არ იყო ყველას გასაკიცხი, ბაბი რატომ არ მუშაობსო. თუ ჩემი გულწრფელი სურვილი შურისძიებად მიგაჩნია, აგრე იყოს, მტკიცებას არ დაგიწყებ. სათქმელი რაც მქონდა ყველაფერი გითხარი, დანარჩენი შენ თითონ გადასწყვიტე, როგორც გსურდეს.

(მიდის).

ბ ა ბ ი — (დგას უძრავად და შესცქერის მიმავალ უჩას)

გ ვ ა ტ ი — ვის უყურებ ასე შვილო? გითხრეს რამე?

(შემოდის გ ვ ა ტ ი).

ბ ა ბ ი — რა უნდა ვთქვათ?

გ ვ ა ტ ი — შენ ნუ ლეღავ! თბილისში გაგაგზავნი. სადაც გინდა იქ გაგზავნი, მაგრამ ჩაის მაინც არ მოგაკრეფინებ...

ბ ა ბ ი — რატომ?

გ ვ ა ტ ი — როგორ თუ რატომ?



ეროვნული
წიგლმწირობის
კავშირები

ბ ა ბ ი — ხვალ დილიდან ვიწყებ მუშაობას.

გ ვ ა ტ ი — შენ იწყებ მუშაობას?

ბ ა ბ ი — (მტკიცედ!) ღიას მე! მე ვიწყებ მუშაობას.

- (სწრაფად გადის).

გ ვ ა ტ ი — (გაშეშებული შესტკერის მიმავალ ბაბის) ქვეყანაზე მართლა არსებულა სასწაული...

ფ ა რ ღ ა

მესამე მოქმედება

ოვე სენა. ვრძელ სკამზე განიხლები ზის ხ ი ტ უ. რ ო მ ა ნ ო ზ ი ფხიზელია. ნერვიულად დღის იჭით-აქეთ. პაუზა.

ხ ი ტ უ — (ერკვევა) ჩვენ საქმეს ნერვიულობა ვერ უშველის. მაინც არ მესმის, როგორ ბედავს ასეთი ნაბიჯების გადადგმას? უბრძანა სასაბილოს გამგეს ღვინო არავის დააღვეინოს კვირა დღის გარდა. რას მიყურებ? ყველაფერი შენი ბრალია. შენი გულისათვის მეც არ მასმევენ ღვინოს. შენი გულისათვის მეც შავი დღე დამადგა.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — როცა გეხვეწებოდნენ, მაშინ არ სევამდი. გასათხოვარ ქალივით ინაზებოდი, ახლა მოგინდა ღვინო?

ხ ი ტ უ — კაცის ბუნება ასეთი ყოფილა. რასაც აუკრძალავ, სულ ის უნდა.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — რევისორი ხარ და კაცის ბუნება აქამდის უნდა გცოდნოდო. შენ სხვას რა უნდა ასწავლო, როცა უბრალო ჰეშმარიტება აქამდის ვერ შეგითვისებია.

ხ ი ტ უ — რა ვიცი ქვეყანა შენ მოიარე და ღვინის მეტი არაფერი ჩამოგიტანია. ამ ჰეშმარიტებას კი სასაბილოს გამგე ყოველდღე კვარტებით არიგებს.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — ხიტუ! თავი დამანებე, ახლა აქ მე სხვა მიზნით ვარ მოსული. შენი ფილოსოფიის თავი არა მაქვს. მე უჩასთან მაქვს საქმე. ჯერ იმას უნდა გაუფსწორდე.

ხ ი ტ უ — შენზე ნაკლები საქმე არც მე მაქვს მასთან.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — შენ რა გინდა?

ხ ი ტ უ — მომხსნა. მოხსენება წარუდგინე. გაეცნო ჩემს მუშაობას.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — მე ეს არ ვიცოდი.

ხ ი ტ უ — საიდან გეცოდინება. ფხიზელი მისდღეში არ ხარ და მთერალს მე კი არა ქვეყანა ფეხებზე გკიდია. მე სულელმა უჩას რჩევას ყურადღება არ მივაქციე.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — აბა ვინ არის ახლა კლუბში?

ხ ი ტ უ — საქმეები ამირანს გადააბარა ღრობებით.

რ ო მ ა ნ ო ზ ი — ახლა რას აკეთებ აბა?

ხ ი ტ უ — რას ვაკეთებ? რასაც შენ აკეთებ... ჰამლეტი უნდა ვითამაშო „ყოფნა არ ყოფნა... აი რა არის საკითხავი.“

რ ო მ ა ნ ო ზ ი — ნერვები მეშლება, ხიტუ. შენი მონოლოგების ხასიათზე არა ვარ! არა! როგორ გაბედა მაინც? იმას ვინ კითხავს ღვინის აკრძალვას.



რომელი ამერიკის პრეზიდენტი ისა მყავს, რომ კურზულში მშრალი კარცხეული გინჯლიქიძე

- ბ ი ტ უ — შენ ვერც სველი კანონი გამოგადგება.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ყველასათვის უთქვამს, რომანოზს ღვინო არ დააღვინოთ, თორემ ბედს გაწყველინებთო.
- ბ ი ტ უ — ეს უკვე ნამეტანია. (უკანასკნელ სიტყვებს უსმენდა გვატი, რომელიც შეუძმნევლად შემოვიდა). გვატი, მოდი აქ, როგორ შეუძმნევლად შემოსულხარ. უჩარდიას მოგზავნილი ხომ არა ხარ?
- გ ვ ა ტ ი — შენ ცოტა ენა დაიმოკლე, ჭირიმე. მოგზავნილიც შენა ხარ და მალე გასაგზავნიც. ისე კი კუდი არ მაბია, დავინახავთ თუ არა დავაქციენო.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — არც ისეა საქმე ჩემო გვატი. საკმაოდ კუდიანი ხარ, მაგრამ ისე მოხერხებულად გვაქვს ის კუდი ჩანიღბული, რომ ჯერჯერობით უჩარდიას მათრახი არ მოხვედრია.
- გ ვ ა ტ ი — ფხიზელი რომ ხარ, ამიტომ ოხუნჯობ ასე უცბილოდ?
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — არა, უჩარდიას „პლომბი“ მაქვს კბილებში გაკეთებული. შენ ეს მითხარი, სიმინდს მაძლევ თუ არა სესხად ახალ მოსავლამდე?
- გ ვ ა ტ ი — რომელი მამულის მოსავლიდან გინდა სესხი გადაიხადო?
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ეს ჩემი საქმეა.
- გ ვ ა ტ ი — უჩას განკარგულება მომიტანე და თუ გინდა ნახევარი საწყობი წაიღე.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ახლა დაჯიქირდა ასეთი ქალაღი?
- გ ვ ა ტ ი — სიტუაცია შეიცვალა, ჭირიმე.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — შენ როგორ ფიქრობ? უჩას დავუჩოქებ სიმინდის გული-სათვის? კაცი გამეტებული მყავს სასიკვდილოდ და იმას შევეხვეწები?
- ბ ი ტ უ — ძალიანაც რომ ეხვეწო, არ მოგცემს. ტყუილად ძარღვებს ნუ იშლი.
- (შემოდიან უჩა, ფატი, ცაბუ, ამირანი)
- უ ჩ ა — ისეთი ხალხი მოგროვილხართ, თითქოს „შეთქმულეზას აწყობთ!
- გ ვ ა ტ ი — მე ტყუილად მდებ ასეთ ბრალს. პირიქით, კოლექტივის ინტერესებს ვიცავ. რომანოზი სიმინდს მთხოვს და უარს ვეუბნები.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — (ყვირილით) ბოლოს და ბოლოს...
- უ ჩ ა — (დინჯად) დაიცა, ჯერ მე მაქვს შენთან სალაპარაკო. (გვატის) სამ ფუთ სიმინდს მისცემ კოლექტივის ფონდიდან ამხანაგ ხიხაშუას. ამხანაგო ცაბუ, ქალაღი გააფორმეთ და დღესვე მისცემთ სესხის სახით.
- გ ვ ა ტ ი — რომელ მოსავლიდან გადიხდის ნეტავი ვიცოდე.
- უ ჩ ა — ეს თქვენ არ გეხებათ. ახლა, რომანოზ, მე შენთან სათხოვნელი მაქვს.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ჩემთან? სათხოვნელი? ღვინო არ დავლიო, არა?
- უ ჩ ა — არა, სხვა რამე. მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი სტეფანე წირღვა მოვხსენით. საერთო სოცშეჯიბრებაში სიგლაზე გამოიჩინა...
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — მერე მე რა შუაში ვარ?
- უ ჩ ა — იმის მაგივრად ბრიგადის ხელმძღვანელობა შენ უნდა ჩაიბარო.
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — მე? ბრიგადის ხელმძღვანელი?
- უ ჩ ა — რა გაგიკვირდა? ახალგაზრდა, ჯანმრთელი ყმაწვილი კაცი ხარ. მკერდი შეგიშვერია მტრისათვის. სამშობლოსათვის თავი გაგიწირავს და მაშინ არ შეგშინებია. მედგრად გიბრძოლია და დამსახურებული ჯილდოც

- მიგიღია. დღეს კი ჩვენ ბრძოლა შრომის ფრონტზე გვაქვს. აქაც უნდა გავანადგუროთ მტრები, რომ სახელოვანი გამარჯვება მოგვხვდეთ!
- რომანოზი — რომელ აქაურ მტრებზე ამბობ?
- უჩა — უგეგმობაზე, უყარათობაზე, უვიცობაზე, სიზარმაცეზე და მრავალ სხვაზე.
- რომანოზი — კი მაგრამ ბრიგადირობას ცოდნა უნდა, გამოცდილება.
- უჩა — დაგეხმარებით. ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი თვით ცხოვრებაა, ჩემო რომანოზ, მხოლოდ საჭიროა მტკიცე მონდომება და გულწრფელი სურვილი. ჩვენი კოლექტივი ჩამორჩენილია. უკვე არის ნიშნები წინ წაყვით ჩვენი საქმე. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს. რაიონში საუკეთესო ადგილი უნდა დაევიწროთ. ამ სასახლო ბრძოლაში დამეხმარე. მეგობრები ვართ. ბაბი ტორონჯიას არაფერი გაუკეთებია წინათ. (მიუთითებს გვატიზე) მუშაობა არ უნდოდა. ახლა საუკეთესო სტახანოველი გახდა და სულ მალე ჩვენს ფაქტის გაუმკლავდება.
- ფატი — მოწაფის გამარჯვება, მასწავლებლისათვის სასიხარულოა.
- უჩა — სწორია, მამ შევთანხმდეთ. ხვალ დღის რიყრაყიდან შეუდგები შენს მოვალეობას. ამირანს ვთხოვ დაგეხმაროს.
- ამირანი — ცხადია დაგეხმარები.
- რომანოზი — უკვე გადასწყვიტე და ჩემგან პასუხი არ გინდა?
- უჩა — ვიცი უარს არ მეტყვი. რაც შეეხება ღვინის სმას, ნუ დალევ, თავისუფალ დროს ერთად დავლიოთ. ვნახოთ, ვინ უფრო მეტს დალევს. მამ ასე, ახლა წადით შენ, ცაბუ და გვატი. სიმინდის საქმე მოაგვარეთ ეხლავე. ხვალ ამისათვის დრო არ გექნება.
- რომანოზი — უჩა! იცი რას გეტყვი? მართლა ვაყვაცი ყოფილხარ ძმაო. (ხელს ჩამოართმევს. ერთმანეთს გადაჰკოცნიან) მოგვკდე, თუ გიღალატო.
(რომანოზი, გვატი და ცაბუ გადიან)
- უჩა — ხიტუ! ვიცი, შენც ნაწყენი იქნები.
- ხიტუ — სრულიადაც არა. სამსახურს ყოველთვის ვიშოვნო. სახვეწარი რა მაქვს, სხვაგან წავალ.
- უჩა — ვერსად ვერ წახვალ.
- ხიტუ — რას ქვია ვერ წავალ? ბაწრით დამაბამ თუ?
- უჩა — საქმით დაგაბამ.
- ხიტუ — ძალადობა ხომ არ არის?
- უჩა — მოვალეობის შეგნება და არა ძალადობა. ჩვენი სოფლის შვილი ხარ. შენც უნდა შეგტკიოდეს გული ჩვენ საქმეზე, ამას ამბობს პარტია.
- ხიტუ — მე პარტიისათვის არ მიღალატია. მინდა ის გავაკეთო, რისი მოწოდებაც მაქვს...
- უჩა — ჩვენი მოწოდება ხალხის სამსახურია. შენც დამეხმარე.
- ხიტუ — რაში?
- უჩა — მოდი გულახდილად ვილაპარაკოთ.
- ხიტუ — ბატონი ბრძანდები, ვილაპარაკოთ.
- უჩა — რამდენი წელიწადია კლუბში ხარ?
- ხიტუ — ორი წელიწადი.
- უჩა — მერე ამ ორი წლის განმავლობაში ორი რიგინი საღამო თუ გაგამართავს ჩვენი კოლმეურნეობისათვის.

- ხ ი ტ უ** — ორი კი არა ათი დადგმის პროექტი წარვადგინე გამგეობაში, მაგრამ მხარი არავენ დამიჭირა.
- უ ჩ ა** — ოტელო და ჰამლეტის პროექტები არა? ეროვნული
განმანათლებლებს
- ხ ი ტ უ** — რატომაც არა? შექსპირი პირველად ბანძაში დაიდგა. ბიბლიისა და წლის წინათ... ვენეციელი ვაჟარი... ახლა სომ კულტურა უფრო წინ წავიდა.
- უ ჩ ა** — სწორეთ ამიტომ არის საჭირო, კულტურას მეტი სიფხიზლით მოვეპყრათ. არ უნდა წავეპოტინოთ იმას, რაც ჩვენ ძალღონეს აღვმატება. პატარა საქმე გავაკეთოთ ჯობია დიდი ოსტატობით, ვიდრე დიდ საქმეს უმეცრების დაღი დავასვათ. გამიგე?
- ხ ი ტ უ** — გაგებით კი გავიგე, მაგრამ შემოქმედებაში გამბედაობაც არის საჭირო.
- უ ჩ ა** — დონ-კიხოტის გამბედაობა, არა? არა ხარ მართალი... ჩვენს კოლმე-ურნეს კულტურული დასვენება სჭირდება... მძიმე შრომის შემდეგ ის მოითხოვს სულეერ საზრდოსაც. ცხოვრება წინ მიდის... ფანტაზიებით იმას ვერ გააკვირვებ. ჩვენი ცხოვრება უნდა უჩვენო... ჩვენი სინამდვილე, მხოლოდ მხატვრულად. მაშინ ის გაიგებს... მაშინ ხელოვნება მიზანს მიაღწევს...
- ხ ი ტ უ** — მე ეს ყველაფერი ვიცი...
- უ ჩ ა** — თუ იცი რა გააკეთე? ორი წლის განმავლობაში ერთი რიგიანი რჩევა თუ მიეცი კოლექტივს. მარტო კლუბის საქმეებით ხომ არ უნდა ჩაიკეტო, გისწავლია... ცოდნა მიგილია... მერე? ამ ცოდნას გამოყენება უნდა...
- ხ ი ტ უ** — თქვენ ჩაისა და სიმინდის მეტი არაფერი გწამთ.
- უ ჩ ა** — ცდები. შენ არც ჩაი გწამს და არც კლუბი... შევიხედოთ ერთი შენს კლუბში. სასულე ორკესტრის ინსტრუმენტები სხვენზე ყრია უპატრონოდ... ჩონგურებს სიმები დაწყვეტილი აქვს და კუთხეშია მიყრილი. კლუბის შენობას მარტო საგანგებო კრებების დროს ახვეტინებ... სცენაზე არავითარი აქსესუარები არ გაგაჩნია... ფარდა ჩამოხეულია სინათლე მოწყობილი არა გაქვს... ეს არის ზრუნვა კულტურაზე. არა, ჩემო ხიტუ, ბოლშევიკებს ასეთი მუშაობის სტილი არა გეჩვევია...
- ხ ი ტ უ** — ერთი მეც მათქმევინე ჩემი სათქმელი.
- უ ჩ ა** — არა, ჩემო ხიტუ! ორი წელიწადია კლუბში ხარ და ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი გითქვამს საქმით, ახლა რა უნდა მითხრა.
- ხ ი ტ უ** — უჩა გამიგონე.
- უ ჩ ა** — ახლა მე გამიგონე და ჰკუთას არ წააგებ... ხეალ დილით ურმებს ვაგზავნი რაიონში. იქ დაბევებული გვაქვს სასუქი, აზოტი. ყველაფერი გაფორმებულია, მაგრამ კაცია საჭირო ამ საქმეს გაუძღვეს. სასუქის რაოდენობა განსაზღვრულია და აშკარად გლეჯა იქნება. ვინც გამპრიაზობას, გამოიჩენს ის დროულად მიაღწევს მიზანს. მე არ მცალია. ერთი წუთითაც ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან. ჩემ მაგივრად შენ წახვალ.
- ხ ი ტ უ** — მე რევისორი ვარ და ნაკელი გინდა მაზიდვინო?
- უ ჩ ა** — მერწმუნე, შენი საუკეთესო დადგმა ეს იქნება ამჟამად. დამიჯერე, არ ინანებ.
- ხ ი ტ უ** — რას მიშვრები უჩა! გინდა მომჯაყო მთელ სოფელში? არ გეყოფა, რაც მიქენი?

უჩა — ვიცი უარს არ მეტყვი და ტყუილად მაქარგინებ ღროს. შეუთანხმდი დუტუ ხანციას. ის ხელმძღვანელობს ურმებს. ცაბუსაგან...
 ნებებს და ფულს. გავათავეთ, შენს მეტი იქ არავინ არ ჰყარვებს. შენ ვიცი ვის რა უნდა დავავალო.

ხიტუ — ჯადოსანი ხარ, თუ ადამიანი? უარი მინდა გითხრა და ვერ გეუბნები... რა გაეწყობა. ამასაც ვეცი...

უჩა — წადი, მოემზადე. კლუბზე და დადგმებზე მერე ვილაპარაკოთ.

(ხიტუ მიდის).

ფატო — უცნაური ხარ. რა კარგი მიდგომა იცი. კაცი უარს ვერ გეტყვის. პირდაპირ წაღმა დააბრუნე ჩვენი კოლექტივი.

უჩა — ქება ნადრევეია. ხომ გაგიგონია:

„წიწილებს შემოდგომით ითვლიანო“. შემოდგომაზე ვნახოთ!

ფატო — ანდაზა იმასაც ამბობს „მომავალ ვაქაცს რაინდობა აქვანშიაც შეეტყობა“. ამინდიც გეწყალობს.

უჩა — ამინდი, ამინდია, მაგრამ ამინდსაც შესაფერი გამოყენება უნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ავლადიდება სასწაულებრივ გავადიდოთ, ომის გამჩალებლების გულის გასახეთქად.

ფატო — შენ ფიქრობ ომის საშიშროება არის?

უჩა — გაგიგონია, ძალი როცა გეგულება, ხელში ჯოხი გეჭიროსო.

ფატო — სწორი ხარ უჩა!

უჩა — წავიდეთ ჩემო ფატი. ჩაის გეგმაში ცოტა შესწორება მინდა შევიტანო და საბოლოოთ დავაზუსტოთ.

ამირანი — უჩა ყველაფერი კარგია, მაგრამ გვატი ტორონჯიას რა ვუყოთ?

უჩა — შევეუთანხმოთ რაიკომს და მოერჩეთ ამ საქმეს.

(შედიან კანტორაში. გამოდის ბაბი. უკან მოჰყვება ჯონდი).

ჯონდი — ბაბი!

ბაბი — რა გინდა? რაღა ამ კანტორასთან ამოიღე ენა?

ჯონდი — შენ უკვე აალაპარაკე მთელი სოფელი. შენ უკვე აალაპარაკე ჩემი გულიც.

ბაბი — რა უნდა სთქვას შენმა გულმა?

ჯონდი — რომ შენ შეუყვარდი.

ბაბი — შეუყვარდი? მარტის თვესავით ცვალებადი და თაღლითი ყოფილა, შენი გული. ის ტუტუცი აქ ცაბუს უხსნიდა სიყვარულს და აცხადებდა ბაბი არ მიყვარსო. ახლა აზრი შეიცვალა?

ჯონდი — შეიცვალა. ცხოვრება განუწყვეტელი ცვალებადობაა. რად გეკვირს ჩემშიაც მომხმდარიყო ცვლილება. ვიცი მოგწონდი — არა მგონია შენს გულში ნაპერწკალი მაინც არ დარჩენილიყო. მომავალში ეს ნაპერწკალი გაღვივდება და ჩვენც ბედნიერები ვიქნებით.

ბაბი — ცხოვრების სიბრძნე შეგისწავლია, მაგრამ ერთი ჭეშმარიტება ხელიდან გაგიშვია.

ჯონდი — სახელდობრ?

ბაბი — გამქრალ გრძნობის ნანგრევებზე ნაპერწკალი არასოდეს არ რჩება. ეს წესი მხოლოდ მაგარი ჯიშის შეშისათვის არის დარჩენილი და ისიც ერთი ღამის განმავლობაში.



ჯონდი — ბაბი! (ამ დროს შემოდის კაკუ. პაუზა) კაკუ! როგორ ლაღლივით დადიხარ? ყოველთვის უდროვო დროს იცი გამოჩენა? *უჩარდია*
 ბაბი — რატომ უდროვო დროს? ასე დროულად კაკუს ფეხს მჩხვნივს გამს. (გადის).

კაკუ — კარგი ფრინველი კი აგყვანია მიზანში და კარგ მონადირეს ჩემის-თანა წერო ხელს რას შეუშლის?

ჯონდი — მართლა წერო ხარ. წვერი ქალარა რომ არ გქონდეს სხვანაირად მოგელაპარაკებოდი.

კაკუ — უწვერო რომ ვიყო, ამაზე მეტს რას მაკადრებდი ჩემო ბიძია. მიწაზე თუ მაგრად დგახარ, ნიავე ვერ წაგაქცევს.

(შემოდის სოლომონი და გედეონი.)

სოლომონი — პაექრობა ხომ არ გაქვთ გამართული. კაკუ ფოხსუას ლაპარაკში კაცი ვერ მოუგებს, მაგრამ თაფლის საქმეში ვერაფერი გვახეირა.

კაკუ — რა ვენა, ჩემო სოლომონ, უხეირობა რომ არ იყოს, ქვეყანაზე ხეირს ვინ დააფასებდა?

სოლომონი — მეც იმას ვამბობ. მხოლოდ უხეირობა შენგან დაიწყო.

კაკუ — როგორც ირკვევა მართო ჩვენი ბრალიც არ ყოფილა.

გედეონი — თუ ხათრი გაქვს ენა გააჩერე. შენ მაინც რა გაქვს სალაპარაკო. ჯონდიმ რომ თქვას კიდევ მესმის.

კაკუ — რას მიწყრები, ჩემო ბიძია, ჩემი ლაპარაკით არავისთვის არაფერი დამიშავებია და გლახა კაცობა უსიტყვოდაც შეიძლება. (შედის კანტორაში).

სოლომონი — ცუდი კაცი არ არის, რატომ აწყენინე? ჯონდი! რაღაც მოწყენილობა გეტყობა? შეყვარებული ხომ არა ხარ?

ჯონდი — თუნდაც ასე იყოს, უფლება არა მაქვს?

სოლომონი — პირიქით, ქორწილში ყანწებს დავატრიალებთ ხანჯლებით.

გედეონი — მე კი თოხის ტრიალით ისე ვარ მოწყვეტილი, რომ ერთი ქიქა დამალევიწო. ჯონდის ხარივით დაგებერტყები მიწაზე.

ჯონდი — წაქცეულ ხარს ადვილად აყენებს კაცი, მაგრამ წაქცეული კაცის აყენება ერთობ ძნელი ყოფილა, შენს მაგალითს რომ უყურებ.

გედეონი — არავისი წამოყენება არ მჭირდება. ცხოვრება კიბეა. ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის. მაგრამ თუ ვინმე ჩამოვარდა, რამეს მოიტეხს.

სოლომონი — დაანებეთ თავი ამისთანა ლაპარაკს. ჩემთან მაინც ნუ ამბობთ.

(შემოდის აშირანი.)

აშირანი — ჯონდი, სოლომონ, კარგია აქ ყოფილხართ. უჩა ვთხოვთ — ერთი წუთით.

(სოლომონი და ჯონდი კანტორაში შედიან.)

გედეონი — მე უკვე კაცს არ უნდევარ. ცხვირით რომ მათხრევიწოს მიწა უჩა უჩარდიამ ღირსი ვარ.

(შემოდის გვატი.)

გვატი — ოცნება დაიწყე?

გედეონი — შენს ხელში ცოცხალი რომ ვარ არ გიკვირს?

- გვატი — რა დაგიშვე ბიჭო? ღმერთი არ გწამს? ახლა ყველა ამბობს, გედონი რა კარგად მუშაობსო. წინათ ყველა ლაპარაკობდა გედონის ლეტობსო. ნეტავი მე ვიყო შენს მდგომარეობაში. გედონის
- გედონი — ვინაა ნეტავი ხელს რომ გიშლის?
- გვატი — უნა უჩემოდ ერთ წუთს ვერ ძლებს. რა არ გამაკეთებინა, რომ იცოდე. ყველა გზები შემიკრა და თავისუფალ სუნთქვას ვერ ვახერხებ.
- გედონი — გაწყვეტილა ხალხი ქვეყანაზე და ის არის?
- გვატი — ყველა ერთნაირი ტყეში ხე არ არის, ჭირიმე. ახლა მაინც კაცი ვერ დამაყვედრის, შენი ქალიშვილი არაფერს აკეთებსო. ვენაცვალე ბაბის! მასახელა.

(შემოდის ჯონდი.)

- ჯონდი — გვატი! უნა გთხოვს. შენც გედონ. (ორივენი შედიან კანტორაში. ჯონდი აპირებს სახლისაკენ წასვლას, მაგრამ ამ დროს შემოდის ცაბუ).
- ცაბუ — ჯონდი! საით მიდიხარ ასე სწრაფად!
- ჯონდი — შენთვის ეს სრულიად არ უნდა იყოს საინტერესო.
- ცაბუ — თუ ტყუობი, მაშინ კი. თუ არა და შენ ჩემთვის ყოველთვის საინტერესო ხარ.
- ჯონდი — საყვირველია. უნა გიყვარდა მაშინ, როცა უბრალო მერგოლური იყო. ახლა ის კოლექტივის თანმჯდომარეა. ამის გარდა, ისეთი დიდი ღირსებები გამოამჟღავნა, რომ მის მეტოქეებსაც არ შეუძლიანთ სიმართლის წინაშე თვალები დახუჭონ. შენც მოწყენილად იჯექი სამკითხველოში და დღეს მთელი კოლექტივის ბედობალი ჩაგაბარა. დაგაწინაურა. ამის შეზღვევ წარმოდგენილი მაქვს როგორ ხარ გატაცებული მისი სიყვარულით.
- ცაბუ — ეს! ცხოვრება უცნაურია.
- ჯონდი — რა შუაშია ცხოვრება?
- ცაბუ — გულახდილად გითხრა?
- ჯონდი — აბა სიცრუე რომ მითხრა, რათ მინდა.
- ცაბუ — ჯონდი! შენ ხანდისხან მანკიანი სულისკვეთება გახასიათებს. სოლომონის დროს საუკეთესო ბრიგადირად ითვლებოდი, მაგრამ მაშინ კოლექტივი სუსტად მუშაობდა.
- ჯონდი — იმის თქმა გინდა, რომ უარესს ვჯობნიდი.
- ცაბუ — შეიძლება ასეც იყოს. ახლა, როცა უნას წყალობით მთელი კოლექტივის ძალონე დაიძაბა და რაიონის პირველობისათვის ვიბრძვით, შენს მუშაობას ენტუზიაზმი არ ეტყობა. არ ეტყობა ისეთი ხალისი, რომელიც გულწრფელ მებრძოლს ახასიათებს.
- ჯონდი — ჩემი ბრიგადა ცუდად არ მუშაობს.
- ცაბუ — ჯერ არ მუშაობს ცუდად, მხოლოდ მე ვამბობ, რომ უკეთესად შეგიძლია იმუშაო.
- ჯონდი — ცაბუ, მუშაობაზე შენი ლექციები კი არ მინდა. მე სულ სხვაზე გელაპარაკები.
- ცაბუ — მაგ საკითხში ჩემო ჯონდო შენ ორ სკამზე ზიხარ და ვმიშობ, ბოლოს, არც ერთი სკამი არ შეგრჩება.
- ჯონდი — როგორც ვატყობ მართლა მწვევარით მემართება. ორ კურდღელს გამოვეყიდე და მგონი ორივე ტყეში გარბის.



ც ა ბ უ — ამიტომ პირველი გრძნობის კურდღელს გამოედევნე და არ მოეშვა, სანამ არ დაიჭერ.

ჯ ო ნ დ ი — ჩემი პირველი გრძნობა შენ იყავი.

ც ა ბ უ — ამის დამტკიცება სჭირდება.

ჯ ო ნ დ ი — როცა ვაგიჟებით მიყვარდი, მაშინ ცივი წყალი ვადამასხი. ახლა გინდა ხელახლა ამაფორიაჟო? ან ჰო, ან არა, აი ჩემი კითხვა.

ც ა ბ უ — არც ჰო და არც არა, აი ჩემი პაჭუხი.

ჯ ო ნ დ ი — (ავზნებით) ცაბუ!

(ამ დროს კანტორიდან გამოდის კ ა კ უ).

ჯ ო ნ დ ი — (რომ დაინახავს კაცუს, კინალამ გული წაუფეა). გინახავს ვინმეს ასეთი შემოჩენილი?

კ ა კ უ — ეზუჭავ, ბატონო თვალებს. კი მაგრამ შე ოჯახაშენებულო „პოდ-რათად“ ხომ არ ავიღია არშიყობა? (შემოდის მედინა, ოღნაე მოკაყული). ა, ბატონო. მე რომ არ შემოვსულიყავი, ეს მაინც მოგისწრებდათ...

მ ე დ ი ნ ა — შენ დეიდ... შენ რა გითხრა. მოსასწრები რა მაქვს; მე რაც დღე მომესწრო ის არ მეყოფა?

ც ა ბ უ — სასწრაფოდ გადის (ჯონდი ბრაზიანად შეხედავს კაცუს და გაყვება ცაბუს. პაუზა).

(შემოდის ხ ი ტ უ).

ხ ი ტ უ — ასეთი თაიგული როგორ მოგროვდით?

მ ე დ ი ნ ა — ეკალი გვაკლდა, შენც მოხვედი.

ხ ი ტ უ — (ირონიულად) შენისთანა ნორჩი ყვავილის ეკალი თუ ვიქნები, რა მიჭირს.

მ ე დ ი ნ ა — რა ვიცი, კლუბიდან კი გამოგაგდეს და სხვა ხელობა შენი არავის უნახავს.

ხ ი ტ უ — შენ რომელ პარლამენტში აგირჩიეს ნეტა ვიცოდე. ყველა სახელმწიფოების დროშები რომ გეცვა, მაშინ შენთვის მარში არ დაუკრავს კაცს, და ახლა ჩაის ბუჩქებით ყოყონობ?

მ ე დ ი ნ ა — რა ვიცი ჩემო ხიტუ! შენი სიყვარულისაგან გულწასული ქალები არ მინახავს და სცენაზე ვინმეს თუ გადაეხვეოდი, უჩა უჩარდიამ ამის საშუალებაც მოგისპო.

ხ ი ტ უ — ჩემო მედინა, შენ დარდი ნუ გაქვს. ჩემზე ნუ წუხარ. მე კლუბში კიდევ ვიქნები. ჯერჯერობით კი რაიონიდან სასუქი უნდა მოეზიდო ნიადაგი გაგინოყიერო.

მ ე დ ი ნ ა — მადლობა ღმერთს! ხელობა გიმოვნია და ისიც სასახელო...

ხ ი ტ უ — ხელობა ადამიანს არ ამცირებს პატარაც რომ იყოს, მხოლოდ პატარა ადამიანი დიდ ხელობასაც გააფუჭებს.

მ ე დ ი ნ ა — მადლობა ღმერთს, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც წამოგცდა ხეირიანი აზრი.

ხ ი ტ უ — დაგვიანებული სიბრძნე ჯობია, ნაადრევ სისულელეს, ჩემო მედოკო! (შემოდის უ ჩ ა, ს ო ლ ო მ ო ნ ი, გ ვ ა ტ ი, ფ ა ტ ი, გ ვ დ ე ო ნ და ა მ ი რ ა ნ ი).

უ ჩ ა — აქ რა კრება ვაგიჟართათ. ხიტუ, ცაბუ მონახე თუ ხათრი გაქვს და გააფორმეთ საბუთები. ხომ მზათა ხარ?



ხ ი ტ უ — მზათა ვარ, ამზანავო უჩა.

(გაღიან მელინა, ხ ი ტ უ კ ა კ უ ც აბირებს წასვლის).

უ ჩ ა — კაკუ, შენ დარჩი.

გ ვ ა ტ ი — უჩა უჩარდია არ იფაქრო, შენით იწყება და შენით თავდება ამ ქვეყნად ყველაფერი...

უ ჩ ა — რათ გინდა ჩემთან ასეთი ლაპარაკი? აქამდის მოგეცი საშუალება გამოსწორებულიყავი. ტყუილად ფიქრობ კაცის გაფუჭება მიხაროდეს. აღამიანი უდიდესი განძია, ბელადის სიტყვით.

გ ვ ა ტ ი — შენი მოქმედებიდან ეს არ ჩანს. ჯერ ჩამაცივდი, ქალიშვილი რატომ არ მუშაობსო. ახლა მე მომადექი?

უ ჩ ა — ბევრ რამეში შენს ქალიშვილს უმადლოდე. არ მინდა ყველაფრის თქმა. მაშ ასე, საწყობს და ფერმას კაკუს გადააბარებ.

კ ა კ უ — მე?

უ ჩ ა — რა იყო? შენ ბევრი თავისუფალი დრო გაქვს, რადგან ფუტკრები უშენოდ მუშაობენ. ამასაც გააკეთებ, მხოლოდ საოხტუნჯოდ ნაკლები, დრო გექნება.

კ ა კ უ — კი მაგრამ, ვერ შევძლებ, დავიბნევი.

უ ჩ ა — ცაბუ დაგვეხმარება. ის იქნება მთავარი პასუხისმგებელი. რაც შეეხება დაბნევას, ამის საშუალებას არ მოგცემთ. ამ შემთხვევაში შენი პატიოსნება უფრო გეჭირდება.

გ ვ ა ტ ი — გამოდის, რომ მე უპატიოსნოდ ვმუშაობდი. კითხვით აგერ გელეონ მოსიძეს.

(გ ე დ ე ო ნ ი შეიჭმუნება).

უ ჩ ა — სასამართლოში რომ ვიყოთ, მაშინ დავკითხავთ მოწმეებს, ახლა კი რაც ვიცი, იმის საბუთი არ მჭირდება. ეს საკითხი გადაწყვეტილია. ამირან, შევადგინოთ კომისია, სოლომონიც შეიყვანე კომისიაში. აღრიცხეთ ყველაფერი და აქტით ჩააბარეთ კაკუს საწყობი და ფერმა.

გ ვ ა ტ ი — რაიკომში ვიჩივლებ, ამას ასე არ დავტოვებ. ისე იცოცხლა გვატიტორონჯიამ.

უ ჩ ა — დამნაშავეს უჩივიან. შენი მოხსნა კი დანაშაული არ არის! გადაფურცლე შენი მოღვაწეობის წიგნი და იმაში დარწმუნდები. მაშ ასე ამირან, კომისიას შენ უხელმძღვანელე.

გ ვ ა ტ ი — რა გაეწყობა, ბატონი ბრძანდებით.

(გ ვ ა ტ ი მიდის).

უ ჩ ა — აბა სოლომონ, როგორც მოვილაპარაკეთ, შენც გელეონ.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — სიტყვის ღალატი არ გეჩვევია. ვეცდები.

გ ე დ ე ო ნ ი — გვაკეთებთ აუცილებლად.

ს ო ლ ო მ ო ნ ი — წავიდეთ გელეონ. ნახვამდის. (სოლომონი და გელეონი გადიან).

(შემოდის ბ ა ბ ი).

ბ ა ბ ი — უჩა!

უ ჩ ა — ბაბი!

ბ ა ბ ი — სათხოვრად არ მოვსულვარ. მე დიდი ხანია მინდოდა, მაშაყმს. საწყობისათვის თავი დაენებებია. ბევრი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა მომწონდა. მაგრამ მამა შეწუხებულია. იმედი მაქვს ისეთ ჩიტი მოსცხო ჩვენს ოჯახს.

უ ჩ ა — ეს ჩემთვისაც უდიდესი უბედურება იქნებოდა...

ბ ა ბ ი — შენთვის რატომ?

უ ჩ ა — შენ უკეთ იცი რატომ!

ფ ა რ დ ა

მეოთხე მოქმედება

იგივე დეორაკია. სცენ ზე არიან: ხ ი ტ უ, რომელიც ხატავს იატაკზე დაფენილ კედლის გაზეთის დაფას, მას ეხმარებიან ბ ა ბ ი და მ ე დ ი ნ ა. რ ო მ ა ნ ო ზ ი და გ ე დ ე ო ნ ი კედლის გაზეთის ჩამოსაკიდებელ დგამს ასრულებენ, სცენ ზე არიან აგრეთვე სხვა ახლოგარდები, რომლებიც ამ საქმეს სხვადასხვა სახით ეხმარებიან. ფარდის ახლისას ისმის სცენაზე მყოფთა ხელი, შელოდიური სიმღერა.

(კანტორიდან გამოდის ა მ ი რ ა ნ ი).

ა მ ი რ ა ნ ი — (ხელში უჭირავს ორი ქაღალდი. რომანოზი სწრაფად მიდის ამირანთან). რომანოზ!

რ ო მ ა ნ ო ზ ი — რა იყო?

ა მ ი რ ა ნ ი — ეს წერილი გაუშვი... ეს არ უნდა. ახლა იმას საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს. გვატი უკვე ორი თვეა მოხსნილია...

რ ო მ ა ნ ო ზ ი — მეც ასე ვფიქრობ.

(გამოართმევს).

ა მ ი რ ა ნ ი — ხიტუ, აბა შენ იცი! ნახევარ საათში მზად იყოს...

ხ ი ტ უ — დარდი ნუ გაქვს... ეხლავე მზად იქნება... ვადას არ გადაეცილებთ...

ა მ ი რ ა ნ ი — აბა თქვენ იცით! (მედის ისევე კანტორაში. სიმღერა განახლებდა. შემოდიან კოხტად ჩაქმულნი ალმასხანი და იაგორი).

ი ა გ ო რ ი — ხომ ხედავ ალმასხან! რა კარგად გაუყეთებიათ კლუბი?

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — მართლა კარგად გაუყეთებიათ... კინალამ ვერ ვიცანი.

ი ა გ ო რ ი — უჩას ხელი ვველაფერს დაეტყო... რა კარგი პიანინო უყილია თურმე კლუბისათვის... ხიტუ გახარებულია...

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — გაწვალებული იყო და რატომ არ გაეხარდება...

ი ა გ ო რ ი — უჩამ კარგი ქნა ხიტუ რომ დააბრუნა კლუბის გამგედ.

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — დაიმსახურა.

ი ა გ ო რ ი — ესენი კედლის გაზეთს უშეებენ მგონი... ჩვენზე ხომ არაფერი დაწერეს ცუდი?..

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — რას ვაშაევბთ, ჩემო იაგორ! რისთვის უნდა გაგვლანძღონ. ჩვენს წილ საქმეს კარგად ვასრულებთ და ახლა მე და შენ იმ მთას ვერ გადავაგორებთ შეორე მხარეზე.

ი ა გ ო რ ი — მართალი ხარ... გასაკიცხი ჩვენს კოლექტივში უკვე ძალიან ცოტა დარჩა... უჩა ააშენოს ღმერთმა სულზე მოგვისწრო...

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — მოდგმა ბატონო, მოდგმა... ჩემი თუთუნი როგორ მოგეწონა იაგორ?

- ი ა გ ო რ ი — წარმოიდგინე შენი თუთუნი ჯობია ჩემ თუთუნს.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — არა ხარ მართალი იაგორს!, შენი თუთუნი უფროსია ჩემ თუთუნს, აშკარად...
- ი ა გ ო რ ი — რატომ იცი დაჩემება ალმასხანს... შენისთანა თუთუნი ჯერ არ მომიწევია...
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — შენისთანა თუთუნი არც მახსოვს, რაც დავიბადე ამ ქვეყანაზე, შენ ნუ მომიკვლები...
- ი ა გ ო რ ი — შენს თავს ვფიცავ. შენისთანა თუთუნი ქვეყანაზე არ მოიპოვება... ამ საქმეში მე დიდი გამოცდილება მაქვს.
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — არა ხარ მართალი.
- ი ა გ ო რ ი — შენ არა ხარ მართალი.
- ხ ი ტ უ — რა იყო კაცო... ეს თუთუნის საკითხი აქამდის ვერ მოაგვარეთ? რა განხუბებთ?..
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ჩვენ ვჩხუბობთ თუ?
- ი ა გ ო რ ი — რა გვაქვს საჩხუბარი...
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — ბიძია იაგორ! ხელს გვიშლი... ხომ ხედავთ, საქმეს ვაკეთებთ...
- ი ა გ ო რ ი — საქმეს რომ აკეთებ, ამასაც ამის შვილს უნდა უმადლოდეს ბიძია რომანოზ!
- ბ ა ბ ი — უჩიას მადლიერი ბევრია...
- მ ე დ ი ნ ა — ბევრიაო?... სახრჩობელაზე ბაწრით ვიყავი ჩამოკიდებული, უჩიას რომ არ მოესწრო... რა ვეცაკედი ყოფილა იმის მამა ვაცხონე...
- ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — რას მიშვრები ქალო. ჯერ არ მოგმკვლადარეარ, ცხონებას რობ მიგზავნი!
- მ ე დ ი ნ ა — რომ მოკვდები, მერე არ გინდა ცხონება?
- გ ე დ ე ო ნ ი — იქნებ არ აპირებს სიკვდილს?
- ი ა გ ო რ ი — ხიტუ ამბობს, ერთი მათუსელა იყოვო, სამასი წელიწადი უცხოვრია... ჩვენ რა დავაშავეთ?
- ხ ი ტ უ — თქვენ რომ სამასი წელიწადი იცხოვროთ, ცაბუ ჩხოლარიას რა ეშველება... ამათი შრომა-დღევების აღრიცხვაში სული ამოხდება.
- გ ე დ ე ო ნ ი — ოღონდ იცოცხლონ სამასი წელიწადი და შრომა-დღევებს სულ მოეშვებიან...
- მ ე დ ი ნ ა — კი მაგრამ ამ სამას წელიწადს ალმასხანს და იაგორს რომ ურიგებთ, ჩვენ გვაწყენს თუ?
- ხ ი ტ უ — ჩემო მედინა! ჩაის კრეფას სამასი წელიწადი კი არა, შენ ორ წელიწადს ვერ გაუძლებ, როგორც ვატყობ.
- მ ე დ ი ნ ა — შენ დაიღუპე! სამასი კი არა რამდენიმე წელიწადში ისეთი აპარატები შემოვა, რომ თვითონ დაკრეფს ჩაის „კროკაზე“ რომ დააჭერ ხელს...
- რ ო მ ა ნ ო ზ ი — მედინა კი ატომის თვითმფრინავში ჩაჯდება და აევა ათასი მეტრის სიმაღლით ლებარდეს მთაზე... ჰაერში ატომკაფეში ჩაის დალევს... მექსიკაში ამავე დღეს ატომრესტორანში ისაძილებს, აფრიკაში მიიპუნებთან ივახშმებს... და იმავე საღამოს ატომგემით ოჩამჩირეში ჩამოვა...
- მ ე დ ი ნ ა — ისე იცოცხლა მედინამ, ატომავეტოში მალე ჩაგაჯინო და ობსკურიცაში გაგაფრიალო.

ბ ა ბ ი — კი მაგრამ ხელს უშლით ხიტუს... ცოტა გეცალეთ...
 ხ ი ტ უ — ილაპარაკონ... მე ძალიან მიყვარს თანტაზიები...
 გ ე დ ე ო ნ ი — ამაში ჩვენ დიდა ხანია დავრწმუნდით.
 რ ო მ ა ნ ო ზ ი — აბა! გეყოფათ ხუმრობა...
 ხ ი ტ უ — უკვე მზად არის.

ეროვნული
 გინგლინიმეპა

(გაზეთს აკრავს).

ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ხომ გაიგონე?
 ი ა გ ო რ ი — ზღაპრები...
 ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი — ეს ზღაპრები, ნახევრად მართალი იქნება...
 ი ა გ ო რ ი — ჩვენ ვერ მოვესწრებით ჩემო ალმასხან და მერე რა იქნება
 ღმერთმა იცის...
 ხ ი ტ უ — მზად არის... ახლა წავიდეთ კლუბში... რეპეტიციის დროა... თქვენც
 წამოდით ალმასხან და იაგორ! სიმღერაში მაინც დაგვეხმარეთ.
 ი ა გ ო რ ი — ბიძა ხიტუ. უღვიწოდ, რა გვამღერებს...
 რ ო მ ა ნ ო ზ ი — თქვენ კი არა, უკვე მე ვმღერი უღვიწოდ, ჩემო იაგორ! წა-
 ვიდეთ, წავიდეთ კლუბში...

(იაგორ და ალმასხანი წამოიწყებენ: ელისა... ელისა... ვრადა... ყველანი შედიან.
 კლუბში. პაუზა. შეშლის ჯ ო ნ დ ი და შეხედება კანტორიდან გამოსულ ც ა ბ უ ს კ

ჯ ო ნ დ ი — ცაბუ!
 ც ა ბ უ — რა იყო?
 ჯ ო ნ დ ი — სად მიგეჩქარება?
 ც ა ბ უ — ალბათ საქმე მაქვს... რა გინდა მითხრა?
 ჯ ო ნ დ ი — მე მაინტერესებს ძალიან, ახლა მაინც რას იტყვი?
 ც ა ბ უ — რაზე ამბობ?
 ჯ ო ნ დ ი — ასეთი მოსავალი მარტო უჩას მიეწერათ, თუ ასეთ შესანიშნავ
 ამინდებს, როგორც არასოდეს არ ყოფილა...
 ც ა ბ უ — ამინდი წინთაც ყოფილა, მაგრამ სიმინდის ღეროს ხუთი ტარო არ
 გამოიხსამს. მიწის დამუშავება, სასუქი, შრომის სწორი ორგანიზაცია...
 ამას შენ ყველაფერს გეყარდს უხვევ.
 ჯ ო ნ დ ი — ამას არც მე უარეყოფ. უჩა კარგი თავმჯდომარეა... მაგრამ არც
 ბრიგადირები ყავდა ცუდი. მხოლოდ ერთ ბრიგადირს სიყვარულში ბედი
 არ წყალობს. მით უმეტეს ასეთ მოსავალს კარგი ქორწილიც მოუხდებ-
 ბოდა.
 ც ა ბ უ — ჯონდი! ამასვე ეუბნებოდი ბაბის? მე კარგად ვიცი.
 ჯ ო ნ დ ი — მართალია... სიმტკიცე ვერ გამოვიჩინე... ახლა უკვე ბაბი ჩემ-
 თვის დაკარგულია... სირყვას გაძლეე იმას არ გაეყარო...
 ც ა ბ უ — ერთი მზარე გაგიცუდდა და ახლა მეორეს სინჯავ, არა?
 ჯ ო ნ დ ი — ცაბუ! შენი მონა მორჩილი ვიქნები. ჩვენ ბედნიერ ოჯახს შევ-
 ქმნით... არასოდეს ასეთი გულწრფელი არ ვყოფილვარ, როგორც ახლა...
 შენ თვითონ ამბობ შემცდარ გზაზე ედგავარ... გამომიწოდე ხელი, რომ
 შევეძლო ჩემი სულისკვეთობის გამოსწორება... თორემ გადავიკარგები...
 სულ წავალ აქედან და დამნაშავე შენ იქნები.
 ც ა ბ უ — იცი რას გიტყვი. ჩემო ჯონდი, კარგად დაფიქრდი, როცა დაერწმუნ-
 დები შენს სიმტკიცეში მხოლოდ მაშინ შეიძლება, ჩემი თანაგრძნობა
 მოიბოვო.



ჯონდი — ცეცხლი გამიჩინე და მიდიხარ.

ცაბუ — მაგ ცეცხლს მოთმინების წყალი გადაასხი და გულზე დაგვამე...
დება მოსავლის აღებამდე.

(ცალს. შემოდის გვატი.)

ჯონდი — გვატი!

გვატი — გაგვიკვირდა?

ჯონდი — თვენახევარზე მეტია, არ გამოჩენილხარ... სად დაიკარგე?

გვეტი — მაციებდა.

ჯონდი — ციებამ ასე, როგორ დაგაგდო?

გვატი — ციებას რომ უსიამოვნება დაემატება, ღოღოც წააქცევს ჭირიმე.

ჯონდი — რა მოხდა შე კაცო! საწყობის გამგის თანამდებობა რა სახარბი-
ელოა, ასე განიცდი? თუმცა სასარგებლო ადგილი კი იყო.

გვატი — ადგილი ყველა სასარგებლოა, თუ კაცი ჭკვიანად მოიხმარს.

ჯონდი — ამაში შენ კაცი ჭკუას ვერ გასწავლის.

გვატი — ჩემს მაგიერად გამგეობაში ხიხაშუა შეიყვანეთ, არა?

ჯონდი — ასეა.

გვატი — მე მეგობრის ვითომ ხიხაშუა?

ჯონდი — ალბათ...

გვატი — ზომ იცი მეჭოთხე ქოთანს ყურს სადაც უნდა იქ გამოაბამს...

ჯონდი — გვატი, შენ ისევ ძველებურად, შენებურად სჯი და ეს ორი თვე
დასვენება როგორც ვატყობ, არაფერში დაგტყობია!

გვატი — ჯონდი! არ მესმის შენი ლაპარაკი. ბევრი ხინა დაველივ და ყურს
მაკლია.

ჯონდი — რა ვიცი, წინათ ფოთლების შრიალიც არ გამოგებარებოდა და...

გვატი — შენც მართალი ხარ ჩემო ჯონდი — სასიამოვნო ამბავს ყრუც ვაი-
გებს! სიბერემდე სიჭაჩლეს ელოდო, სწორედ ჩემზე გამართლდა.

ჯონდი — ამიტომ ჩემო გვატი ზალხს არ უნდა გაეჭყე, ის უფრო გამკურ-
ნალეხს.

გვატი — მართალი ხარ, მართალი, ჩემო ჯონდი! მაჯობეთ ჭირიმე, რა გი-
პასუხო. მხოლოდ ერთად ერთი ნუგეში ის არის, ბაბი გამომადგა სასახე-
ლო ქალიშვილი.

ჯონდი — და სასახელო სიძესაც შემოგიყვანს სახლში ჩემო გვატი.

გვატი — რას იზამ, ბედს კაცი ვერ გაეჭყევა.

(მედან კლბში. შემოდის კაკუ. შემდეგ ცაბუ.)

ცაბუ — კაკუ! რას ეძებ ასე გამწარებით გაზეთში?

კაკუ — რა ვიცი... უნაკლო კაცი მვეყანაზე არ არსებობს და იქნებ ჩემზე
დაწერეს რამე?

ცაბუ — გეშინია?

კაკუ — ასეა ჩემო ცაბუ ადამიანი... ვადამეტებულ ქებაზე უარს არ იტყვის
და ნამდვილ კრიტიკაზე კი საყვედურით აგავსებს...

ცაბუ — ამ გაზეთში შენზე არაფერია, მხოლოდ წერია მალე დაიწყება უხვი
მოსავლის აღება და საწყობები მზად უნდა გექონდესო.

კაკუ — წელს რომ მოსავალია, რომელ საწყობში გინდა დაეატიო... მეც ამა-
ზე არ ვიხეოქავ ოაჟს?



- ც ა ბ უ — რამე ღონისძიება უნდა მივიღოთ... უჩას უნდა მოველაპარაკოთ...
 კ ა კ უ — მე ბევრი ვიფიქრე და თავში არაფერი მომდის... ორ კვირებში კი
 სარაიებს ვერ ავაშენებთ, ძალიანაც რომ გვინდოდეს...
 ც ა ბ უ — აი აგერ მოდიან, მოველაპარაკოთ...
 (მემოდან უჩა, სოლომონი, ფატი).
 უ ჩ ა — ოჰო! უკვე გამოქიმეთ კედლის გაზეთი... მომწონს დავალებას რომ
 დროზე ასრულებენ... რას იტყვით სოლომონ, ხომ კარგი კედლის გაზე-
 თია...
 ს ო ლ ო მ ო ნ ი — კარგი უნდა იყოს, თუ არ ვცდები... თუ შინაარსი გარეგნო-
 ბას ამართლებს.
 უ ჩ ა — ეს ადამიანში არ არის ხშირად შეწყობილი, თორემ გაზეთში შეიძლება
 მოხდეს... კაკუ! როგორ არის საქმე... დღეს კვირაა და ისვენებ არა?
 კ ა კ უ — ამ წუთში მოვედით მე და ცაბუ... სად მცალია დასასვენებლად, სა-
 ქონელს კვირას თუ არ აჭამე, ორშაბათს არაფერს გაგიკეთებს.
 ფ ა ტ ი — საქონელი კი არა ადამიანიც ასეა ჩემო კაკუ... ჰამა ყოველდღე კირ-
 დება. (კანტორიდან გამოდის ამირანი).
 ც ა ბ უ — ამხანაგო უჩა! კაკუ ძალიან წუხს... უხვი მოსავალი მოდისო და საწ-
 ყობი ვერ დაიტევსო.
 (კლუბიდან გამოდის გედეონი და რომანოზი).
 უ ჩ ა — საწყობი? არაფერია. ამ საკითხს მოუველით... კარგი გაზეთია, რომა-
 ნოზ კარგი.
 რ ო მ ა ნ ო ზ ი — ვეცადეთ, რაც შეგვეძლო...
 უ ჩ ა — ერთი საკითხი მაქვს, ამხანაგებო და ბარემ გადავწყვიტოთ... კანტო-
 რაში ცხელა და აქ მგონა არავინ შეგვიშლის ხელს... ხიტუს ისე ყავს
 ხალხი ჩაგდებული ხელში, რომ ადვილად არ მისცემს ამოსუნთქვის საშუა-
 ლებას... ტაბასკარის ბოგირის შესახებ და ბოგირთან მისასვლელი გზა
 რომ არის ნახევარი კილომეტრი დაახლოებით. რა უსაშველო შეიქნა ეს
 ხიდი... ურმები შიგ ვარდებიან, მანქანები და ყველაფერი...
 ს ო ლ ო მ ო ნ ი — გადაეყვი იმ ბოგირს, მაგრამ არაფერი ეშველა... რამდენ-
 ჯერ ვიყავი რაიამასკომში... გვიბრდებოდენ ამ კვარტალში შევიტანთ,
 იმ კვარტალში შევიტანთო ტაბასკარის ბოგირის რემონტს, მაგრამ კვარ-
 ტალი, კვარტალს მისდევდა და ბოგირი კი ხელუხლებელი რჩებოდა.
 უ ჩ ა — მე არ წაეალ რაიამასკომში... ჩვენი ძალებით გადაკეთოთ...
 რ ო მ ა ნ ო ზ ი — როგორ ჩვენი ძალებით?
 უ ჩ ა — ხე-ტყის მასალა გვაქვს... დრო გვაქვს მოსავლის აღებამდე. შრომა ხე-
 ლი ჩვენა ვართ... ხელ დღეში გადაკეთებთ ყველაფერს. მე და რომანოზს
 გაგიკეთებია და გვინახავს ისეთი ამბები ფრონტზე, რომ ეს ჩვენთვის
 წკიბურტის გარტყმა... ქალებიც დაგვეხმარებინან.
 ფ ა ტ ი — რატომაც არა? ჯერ ჯერობით თავისუფალი დრო გვაქვს და დაგეხ-
 მარებით. მე ძალიან მომწონს ეს აზრი.
 უ ჩ ა — აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. საკითხი გადაწყვეტილია. ზე-
 გიდან ვიწყებთ ლაშქრობას. ყველამ ურმები მოამზადეთ ხელ დილისა-
 თვის სილა და ქვების მოსაზიდად.

კ ა კ უ — ხელა?
 უ ჩ ა — ამ საქმეს ვანდობ სოლომონს, ზვალე... თორემ საქმის გადადება, საქ-
 მის ნახიარად დამარხვას ნიშნავს ჩემო კაკუ. აი რა სულ დამავიწყდა

მეტქვა. საბარგო ავტომანქანა რაიონში მოვიდა უკვე და ხელს დილას წახვალ მისაღებად რომანოზ.

ეროვნული
ზინზღინიყინქა

ფ ა ტ ი — ახალი მანქანა?

უ ჩ ა — ცხადია ახალი... იმ მანქანით ხე-ტყეს გადავზიდაეთ. ხიდის მშენებლობას მე და ამირანი უხელმძღვანელებთ! კაჟუც დაგვეხმარება ურმების მომზადებაში. ფატი: ქალების საკითხი აიღე თავზე.

(სწრაფად მიდის. დანარჩენები მას მიყვებიან).

რ ა დ ი ო ს ხ მ ა — ყურადღება! მოისმინეთ ადგილობრივი გადაცემა... მოისმინეთ ადგილობრივი გადაცემა...

(ველანი გამოდინ კლუბიდან და კანტორიდან გადაცემის მოსასმენად).

დიდი ჭყონის რაიონში, როგორც მთელ სამეგრელოში და დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია სიმინდისა და დამხმარე კულტურების უმაგალითო მოსავალი. ჩვენმა რაიონმა ჩაის კრეფის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა ორასი პროცენტით. ამ ზაზით აღსანიშნავია ფატი შელიას ბრიგადა კოლმეურნეობა „განახლებიდან“, რომელსაც თავმჯდომარეობს უჩა უჩარდია!.. (ტაში რადიოს მსმენელთა უჩას და ფატის მიმართ).

ა მ ი რ ა ნ ი — დაიცადეთ... მოუსმინეთ.

რ ა დ ი ო ს ხ მ ა — შემდეგ მოდის კოლმეურნეობა „განთიადის“ ცილა გაგუას ბრიგადა. ზემოთაღნიშნულმა ბრიგადებმა გამოავლინეს წელს ჩაის კრეფის სტახანოველთა ახალი კადრები: მათ შორის აღსანიშნავია „განახლებიდან“ ბაბი გვატის ასული ტორონჯია და — „განთიადიდან“ ნელი ადამია, რომელთაც მთავრობის დიდგენილების საფუძველზე დაიმსახურეს ლენინის ორდენები. (ტაში ბაბის მიმართ). მოსავლის აღება დაიწყება ორ კვირაში და კოლმეურნეები მომზადებული უნდა შეხედნენ უხვი მოსავლის აღებას... შრომის ორგანიზაციის საკითხში, კოლმეურნეობა „განახლებამ“, რომელიც შარშან ჩამორჩენილი იყო, წელს მოულოდნელი ნაბიჯები გადადგა... აღსანიშნავია მოხსენებული კოლმეურნეობის ბრიგადირები: რომანოზ ხიხაშუა ამირან ჯღარკაეა და ჯონდი ხანაგუა... (ტაში) ადგილობრივი გადაცემა დამთავრებულია... რამოდენიმე წუთის შემდეგ მოისმინეთ გადაცემა თბილისიდან...

(საერთო მილოცვები).

გ ვ ა ტ ი — მე მიხარია, შეილო ბაბი შენი გამარჯვება... თუ მამაშენმა ვერ გამართლა კოლექტივის იმედი, შენ მაინც ასახელე შენი ოჯახი... ღირსეული ქალიშვილი ხარ შეილო და ღირსეული ქმარიც გერგება...

უ ჩ ა — მომილოცავს ბაბი! შენი ბედნიერება მე მიხარია.

ბ ა ბ ი — ჩემი ბედნიერება უშენოთ არ იქნება!

უ ჩ ა — მაშ მეც მოსალოცი ვყოფილვარ!

ბ ა ბ ი — ასე გამოდის!

მ ე დ ი ნ ა — რა შესაფერი ხართ ერთმანეთისათვის თქვენ დაიღუბეთ საცხა!

ბ ა ბ ი — არა თუ?

მ ე დ ი ნ ა — მართალს ამბობ მაგას ბაბი? ჩემი კუბო ნახეთ, თუ არ გატყობდით მარა, ხმამალა თქმის მეშინოდა, მედინა ჭორებს ავრცელებსო.

ა მ ი რ ა ნ ი — უჩა! შეგვიძლია მოგილოცოთ?

უ ნ ი ა — შეგიძლიათ, ამხანაგებო...

(ღველა ულოცავს).

ქართული
ბიბლიოთეკა

* ლ მ ა ს ხ ა ნ ი — მიმიშვით, ხალხო... თუ არ ვცდები ჩემი შვილი უნდა იყოს.
(აკოცებს უჩას, შემდეგ ბაბის). თქვენ იხარეთ ჩემო შვილებო...

ბ ი ტ უ — რა შეიქენი შე კაცო, ყველაფერში რომ წინ გვისწრებ. მოულოდნე-
ლად ეს რა სპექტაკლი მოგვიწვე.

„უჩარდია უჩა კონი“.

(საცემო პარია... ცაყავენ კაკუ და შედინა. ხერთო მხიარულების დროს ეშ-
ვება ფარდა).

რუსლან და ლიუდმილა

*

ქება მისამე

ამაოდ ჩრდილში იმალებოდით
 წყნარ და ბედნიერ მეგობართათვის,
 მაგრამ ფარული ვერ დარჩებოდით
 მკაცრთა და შურით სავსე

თვალათვის,
 ჩემო ლექსებო და ჩემო სიტყვაჲ
 ჩემთვის დაუსევამს ასეთი კითხვა
 კრიტიკოსს მკლესა და ფერწასულსა:
 მე ქალწულსა და მთავრის ასულსა
 რისთვის ვუწოდებ რუსლანის ცოლსა?
 ხომ არ დაეცინი ამ გმირთა ტოლსა?
 მკითხველო, ნახე ეს სილამაზე,
 ეს ბოროტების ბეჭედი შავი
 რა გიპასუხო მე შენ ამაზე,
 მითხარ, ზოილო, ასწიე თავი!
 სირცხვილისაგან წითლდები ვგონებ
 მე საკამათოდ არ შემწევს ღონე...
 ჩემს სიმართლეში დარწმუნებული,
 ვარჩევ, რომ ვიყო დადუმებული.
 შენ კი ნაწყენსა ალბათ, კლიმენე,
 ძირს თვალთა შექი დაგიფენია...
 შენ შეგიწირა მსხვერპლად ჰიმენემ,
 რომელიც მეტად მოსაწყენია.
 შენ დაგისველდა, მე ვხედავ, თვალი,—
 ჩემს ლექსს დაეტყო ცრემლები

კვალი...
 ვარდის ელფერი ღაწვს დასდებია;
 ოხრავ... ეგ ოხერა გასაგებია!
 ქმარო, დაგტანჯოს ეჭვი მაღულმა:
 უკვე ამურმა და სინანულმა
 ურთიერთ შორის შეჰკრეს პირობა.
 მაშ დაგვანახე მოხდენილობა
 თავზე ახალი სამკაულისა!

დილას მოეხსნა ბანგი რულისა
 დამეულ მთების მწვერვალებისთვის.

ციხე-დარბაზი კი მღუმარებდა.
 შეურაცხყოფას ვერ იქარვებდა
 და საკუთარი მრისხანებისთვის
 ველარ მოედო ჩერნამორს ბოლო.
 ეცვა უქუდოს ხალათი მხოლოდ
 მოქარგული და უცხო ფერისა.
 ის ამთქნარებდა საწოლში მყოფი.
 მღუმარე მონებს მოველო რგოლი
 გარშემო მისი თეთრი წვერისა.
 ზედ მოძრაობდნენ მათი ხელები,
 რომ დაეეარცხნათ სავარცხელებით.
 თანაც რომ ეგარძო მის გულს შევბანი,
 რომ გადაჰყოფდა ჭირი და ბნედა,
 აღმოსავლური სურნელებანი
 დაუსრულებელ უღვაშთა ზედან
 ესხმოდნენ... უცებ თავაწეული
 ღია საკმელში გველი ფრთიანი
 შემოშრიალდა რკინის ფხიანი
 და, რამდენიმე რგოლად ხვეული,
 წარსდგა, ნაინად გადაქცეული,
 გაოცებული ჯუჯას წინაშე.
 „მოგესალმები, სთქვა, შენს ბინაში,
 ჩემს თანამომქმეს დიდად ქებულსა,
 შენ, ჩერნამორად სახელდებულსა,
 რომლის არ მქონდა პირადი ცნობა;
 კავშირს გავაბამთ ამიერიდან,
 რადგან იღუმალ ბედისწერითა
 ჩვენ გავგეჩენია საერთო მტრობა:
 გქონდეს ლოდინი დიდი ვნებისა;
 გადაგებურავს ნისლი სამყოფელს;
 მე კი ვებრძვი ჩემს შეურაცხყოფელს,
 მტანჯავს წყურვილი შურის ვებისა“.

მას ჩერნამორი უცქერის ღხენით
 და ეუბნება თარსი და ფლიდი:
 „ნაინა! ჩემთვის კავშირი შენი

ზედნიერება იქნება დიდი.

გაეუმკლავდებით ომში ფინელსა, —
მის წინ დაფრთხობას როლი ვაპირებ,

რას განმიმზადებს მე საშინელსა

ისეთი სუსტი მოპირდაპირე?

იყოს ჩემი სვე შენთვის ცნობილი:

სპეტაკი წვერი კეთილშობილი

განა ჩერნამორს ამაოდ შევინს?

ვიღრე მის თმასა, ფაქიზად ფენილს,

მტერი არ მოპკვეთს მახვილის პირით,

ვერ ჩამიფუშავს მე ქვეყნად გმირი

ვერცერთ განზრახვას ჯადოქარულსა.

დაიღუპება რუსლანი მალე;

ლიუდმილა კი დღეს არა — ხვალე

დაემონება ჩემს სიყვარულსა“.

კუდურმა ქალმა, ეს რომ ისმინა,

დასამოწმებლად წაისისინა:

„ჰო, კაბუკ რუსლანს დაღუპვა ელის!“

მერე ძირს დაჰკრა ღონიერად ფეხი,

სახე მიიღო კვლავ შავი გველის

და სარკმელიდან გაფრინდა გრეხით.

ფარჩის ხალათით გაბრწყინებულსა,

ჯადო-ქალისგან გამხნეებულსა,

ჯუჯას დაეტყო სახეზე ფერი

და ტყვის ხელახლა ნახვა ინება,

რომ კვლავ მიაბრთვას თავისი წვერი,

მიუძღვნას ტრფობა და მორჩილება.

მორთული, თვალში იმედის სხივით,

გრძელწვერა ღელავს ტყვისკენ

წასული.

მან გაიარა დარბაზთა მწყარივი,

მაგრამ ვერ ნახა ვერსად ასული!

გზა ვააგრძელა, ბალში გავიდა.

ათვალიერა იგი თავიდან

ბოლომდე, მაგრამ მთაჟარის ქალი

აღარსად იყო... არ სჩანდა კვალი!

რა ენა ასწერს მის შემფოთებას,

მის აბრთოლებას, იმის გოდებას?

ათიქოს ჩაუქრა სინათლე დღესა.

გაისმა მისი ველური კენესა:

„აქეთ მონებო, აქეთ ირბინეთ!

მყის ლიუდმილა აღმომიჩინეთ!

საჩქაროდ! თორემ, ვფიცავ ჩემს მუნსა,

ვერ მოახერხებთ თქვენ თავის

შველას, —

აი, ამ წვერით დაგაღრჩობთ ყველას!“

მკითხველო, გინდა გიამბოთ, ანა,

სად გაჰქრა ქალი ესოდენ ჩქარა?

მთელ დამეს იგი თვის ბედს

ჰკვირობდა —

ხან იცნოდა, ხან კი სტიროდა.

ქალს აშინებდა იმისი წვერი.

სასაცილოა თან ჯუჯა — იცის.

ხოლო ძმობა და საერთო პერი

არ ემარჯვება შიშსა და სიცილს.

დილით ის, მკვირცხლი, ჰაეროვანი,

ადგა, სარკესთან მიიქრა ხელად;

ტურფა მზრებიდან თმა ოქროვანი

მან უნებურად ასწია ნელა,

უნებურადვე კულული სქელი

დაიწნა კოხტად საკუთარ ხელით.

სამოსი, აქ რომ ჩააცვს გუშინ,

შემთხვევით ნახა, კუთხეში ეწყო,

ჩაიცვა, იგრძნო ტყვილი სულში,

უნდოდა ბედშავს ტირილი ეწყო;

ატირდა კიდევ, და მიანც თვალი

ვერ მოაშორა სარკეს მკენესარმა.

მერე ღიმილით შეირბა ქალი —

აზრმა მოხიბლა ის უეცარმა:

სურვილი იყო ცათა სწორისა

ქელი ესინჯა ჩერნამორისა.

ქალწულს აქ ვერაინ შეაელებს თვალსა,

აქ მას ვერაინ შემოუხტება...!

ხოლო ჩვიდმეტი წლის ლამაზ ქალსა

რომელი ქელი არ მოუხდება?

მორთვა-მოკაზმვა არ არის ცული,

ლალობს ასული, წამით შეებული:

მან დაიხურა გვერდულად ქელი,

წინ უკანა მხრით მობრუნებული.

მერე რა მოხდა? ო, საოცარმა!

არა სჩანს ქალი სარკის მინაში;

იხურავს წალმა და მის წინაშე

იგი დადგება, როგორც ოცნება.

ისევ უკულმა — არა სჩანს კვალად.

მოიხდის — ჩნდება! „მშვენიერია!

ხელში ჩავიგდე მისნური ძალა;

აწ ჩემი მტერი რაღა მტერია!

გამისწორდება მე საქმე მრუდი!“

ამბობს ის დაწვებ შეწითლებული.

მან დაიხურა ჯადოქრის ქელი
თავზე უკლმა შებრუნებული.

აწ რუსლანისკენ წარემართოთ გზანი.
სირცხვილი არის, ამდენი ხანი
ვანდომით ქუდის, წვერის ცქერასა,
გმირი კი ვანდოთ ბედისწერასა.
როცა როგდაი ისროლა წყალში
ტყე განვლო იმან უღრანი, ვრცელი;
გამოჩნდა დილით იმის წინ ველი,
გამოხვეული სხივების ალში.
მან უნებლიეთ დაიწყო ძრწოლა:
ამ ველზე დიდი ყოფილა ბრძოლა.
აქა-იქ მოსჩანს ყვითელი ძვალი,
და გარს ბორცვებზე მიმობნეული
ბექთარი, ფარი, კაპარკი, ნალი
ქანგით შეკმული და გალეული.
აგერაც ხელის ძვლებშია ხმალი,
იქ ზუჩს ნახევრად ბალახი კმაღავს,
და ამჩნევს თვალი შიგ თავის ქალას.
ჩონჩხად ქცეული ვეება გმირი,
მისივე ცხენით რომ დამხობილა,
სჩანს ეგერ, შუბის და ისრის პირი
იქვე მიწაში ღრმად ჩარკობილა.
მათ სურო ეკერის მშვიდობიანი...
ამ ყრუ უდაბნოს, ღუმილის მკველსა,
თუ გადაურბენს ქარი ფრთიანი...
მალლიდან ზეცა ნათელმზიანი
დასჩერებია სიკვდილის ველსა.

ველს დასცქერს ნალვლით საცხე
თვალითა

და ისმის მისი აღმონაკენისი:
«ო, ველო, ველო, მკვდართა ძვალთა
ვის მიერა ხარ შენ მონათესი?
გთელავდა ვისი მშფოთვარე ცხენი,
სასტიკი ომი რომ თავედებოდა?
აქ ვინ დალია გმირულად დღენი?
ზეცას ვედრება ვისი სწვდებოდა?
ველო, ღუმილი ყრუ მიძინების
და დავიწყების ბალახი გამოსავს...
მარადი ღამე ეამთა დინების
ჩემს ხსენებასაც ასევე მოსრავს!
ალბათ მდუმარე გორაკის თხემზე
კუბო დაიდგმის მხნე რუსლანისა,
და სიმთა ეღერა ბაიანისა.
ალარას იტყვის შემდეგში ჩემზე!»

მერე იფიქრა: მოყმისთვის რიგი
არის ბექთარის და ხმლის ტარება...
ბოლონდელ ბრძოლის შემდეგ კი იგი
უიარაღოდ დაიარება.

მოვლო მან ველი დაღუმებული:
ბუჩქებში, სადაც აწყვია ძვლები,
პყრია აბჯარი ქანგმოდებული,
მუზარადები დაფშენილი, ხმლები,
ის ექებს ჯავშანს და იარაღსა.
გამოედღედა ქვეებს და ბალახსა:
გაისმა ველზე ირგვლივ ხმაური —
რკინის, ფოლადის ხმა საცნაური.
პოვა ბექთარი, ჩაჩქანი, ფარი,
მაგრამ ხმლის ნახვა აღმოჩნდა ძნელი.
რუსლანმა ბევრ ხმალს მოჰკიდა
ხელი, —

იყო მოკლე და მჩატე, ვით ქარი.
თავად კი იყო ბრგე მეომარი,
არა ისეთი, ახლა რომ არი.
გასაქარვებლად კმუნეა-დარდისა
შუბი აილო მან ფოლადისა,
ტანზე ჩაიცვა ჯავჯე მაგარი
და წინ წავიდა გზაზე დამდგარი.

შორს ჩაიფერფლა ცის დასავალი,
ბინდის ლეჩაქში ეხვევა მზარე;
ლურჯდებდა ღრუბლის ქულა მრავალი,
მოოქროვილი ამოდის მთვარე;
გმირი ბილიკით მიემართება
თავის ფიქრებში გართული, მშვიდი;
უკვე წყვდიადი ირგვლივ მყარდება,
წინ შავად მოსჩანს გორაკი დიდი,
იქ საშინელი ზვრინვის ხმებია.
გმირს ახლოს მისვლა არ ეძნელება...
ფშვინავს თვით ბორცვი —

საკვირველებია!
სულ ახლოს მიდის, მისჩერებია,
არცა შემერთალა, არც დაბნეულა;
ცხენი კი ყურებს სცქვეტს შინეულად,
ფრთხის, უკან იხვევს გაუბედავი.
და ყალყზე დგება ლაგმის მკენეტავი.
უცებ გორაკი, ნათელი მთვარით
ნისლში ფერმერთალად გაშუქებული,
ირკვევა; გმირი, პირისპირ მდგარი,
სასწაულს ხედავს გაოცებულნი.
რა გასაკვირი სანახავია:

გორაკის ნაცვლად მის წინ თავია
ვეება თვალნი დაშულან ძილით;
ხვრინავს, მუზარადს არხევს ფრთიანსა.
ფრთები კი, მაღლა ცალცალკე შლილი,
ხეებსა ჰგეანან ფოთლებიანსა.
ეს შესაზარი რაღაც შევინება
სდგას დადუმებულ უდაბნოს პირსა;
წინ აღმართვია ახლა ის გმირსა,
ვით დიდი ლანდი, თუ მოჩვენება.

თავი ახლოდან ათვალეირა,
მას არ ენახა მსგავსი რამ დღემდე;
გარს მოუარა და შუბი შემდეგ
შეუღიტირა ცხვირში ძლიერად.
გამოახილა თვალი და ღმეკით
იგერიებდა შერკობილ ჩხირსა,
დააცემინა ქუჩილით ცხვირსა,
და ქარმა, მტერისა და კენჭის ხვეკით,
ველს გაღურბინა გამალებითა.
წარბ-წამწამიდან, უღვაშებიდან
ბუების გუნდი მაღლა აფრინდა.
ცხენი გაშლილი ძუა-ფაფრითა
ახტა, ჭიხინით გაიჯირითა
ისე, რომ ლამის უნაგირიდან
ძირს დასცა მოყმე დაფრთხობამ მისმა.
ამდროს იქ დიდი ყვირილი ისმა:
„საით გარბიხარ? მობრუნდი, ღლაპო!
ახლავე მინდა, რომ გადავყლაპო!“
მაშინ რუსლანმა ზიზლით და წყენით
მყის შეაყენა მშფოთვარე ცხენი
და გაიცირა, როს მიუბრუნდა.
„აბა მაცნობე სურვილი შენი“,
მას გადმოსძახა წარბშეკვრით თავმა:
„აი სტუმარიც ამგვარი უნდა!

მომშორდი, ჭირმა წაგიღოს შავმა!
ღამეა ახლა და მეძინება“.
მაგრამ შეერთომა და შეშინება
გაბედულ რუსლანს არა სჩვეოდა —
ოგი თავს მკვახედ ედავებოდა:
„თავო უტვინო, ამოკლე ენა!
ძველი ანდაზა თუ იცი შენა,
რომელიც შენი შესაფერია:
დიდი თავია — ცალიერია.
აი, მოვდივარ, არ უსტეგნ გზაში.
მოვალ და სეირს გიჩვენებ მაშინ!“

აქ უდიდესად განრისხებულნი,
შეხუთულ ბრაზით აღმფრთხილებულნი,
იბერებოდა თავი; თვალებმა
გაუხდა როგორც ნაკვერჩხალები,
ჩარბებზე ქაფი მიმოსდებოდა,
ყური და პირი იორთქლებოდა, —
და უცებ მისკენ წასულ ჭაბუკსა
სულს შეუბერავს, პირით ნაბუქსა.
ამაოდ ცხენი თვალმინაბული,
თავჩაღუნული, მკერდაძაბული,
მიარღვევს წვიმას, ქარს და სინეღეს —
ის ველარ იტანს ამდენ სიძნელეს
და შინაქამი განზე მიჭენობს,
შორს ველზე სადმე რომ დაისვენოს.
ჭაბუკი ცდილობს შეტევას კვალად, —
ვერ მოახერხა, არ ჰყოფნის ძალა.
თავს უკუჭკეცვა მისი ახარებს
და, როგორც გიგი, ისე ხარხარებს,
მისძახის: „აი, ვაჟაკი, გმირი!
საით მირბიხარ, იბრუნე პირი,
ნუ მიჩინდრიკობ შენის ფარხმლითა,
მალხინე თუნდაც ერთის დარტყმითა,
სანამ ფეხს ადგამს ეგ შენი ცხენი“.
ასეთი მყრალი, ბინძური ენით
ის დასცინოდა უებრო გმირსა.
ჭაბუკს კი ბრაზით სისხლი უშრება,
ისევე იმისკენ იბრუნებს პირსა,
უსიტყვოდ შუბით დაემუჭრება,
ზე ასწევს, მერე წამართავს წინა,
და მოცახტახე პირბასრი რკინა
შიგ შეერკობა უწმინდურ ენას.
მყის შემზარავი პირიდან დენას
დაიწყებს სისხლი, ვით ლელე შავი.
ისე გაოცდა, გამწარდა თავი,
რომ ჭაბუკს ჩუმად მისჩერებოდა,
ხრავდა რკინასა და ფითრდებოდა.
ამგვარად, მშვიდად აღელვებული,
ზოგჯერ შუაგულ ჩვენი სცენისა
ჩერდება სტეენით გაყრუებელი
ცუდი ქურუმი მეღპოშენისა.
თვალთ უბნელდება, ვერაფერს ხედავს,
როლი სრულებით დაჰვიწყებია,
თავის აწეას ველარა ჰხედავს
ყუჩდება, სახე გაჰფითრებია, —
გარს კი დაცინვით ილიმებთან...
მოყმე სარგებლობს ამ წუთებითა —

სასტიკი თავის გაბრუნებითა,
 ზე შემართული მტკიცე მარჯვენით
 მიჰქრის იმისკენ, ვით შევარდენი,
 და მიძიმე ხელჯავს ლოყაში

სთხლიშავს.

სისხლი გადესხმის ბალახს და ქვიშას.

თავი შეირყა, მოკლემა ტუჩი,
 გაგორდა ის და იმისი ზუჩი.

იქ, სადაც უმალ თავი ეყუდა,
 ხედავს, ვეება გაბრწყინდა ხმალი,

და სიხარულმა ლამის შეხუთა
 ჩვენი რუსლანი მარჯვე და მალი.

ხმალს წაეტანა შენახურები
 და თავისაკენ გაქანდა გმირი;

უნდა დააჭრას იმ თავს ყურები,
 უნდა მოჰკვეთოს უწმინდურს ცხვირი!

ხმალი მზადა აქვს მოყმეს დიდებულს,
 რომ შეამოწმოს ძალა მკლავისა,

მაგრამ უეცრად მას, გაოცებულს,
 კენესა, მუდარა ესმა თავისა...

დაბლა დაუშვა მან ხმალი ნელა
 რისხვა სასტიკი დაუცხრა ხელად.

ჭაბუკის სულში ერთბაშად ჰქრება
 ზურისძიების წყურვილის კვალი.

ასე დაბლობში ყინული დნება
 შუადღის ცხელი სხივების ძალით.

„მართლად შემარისზე და გამაშავე,
 სთქვა ოხვრით თავმა: ცხადლივ

მაჩვენა,

გმირო უბადლო, შენმა მარჯვენამა,
 რომ შენს წინაშე ვარ დამნაშავე.

აწ რომ გემონო, ჩემი ვალია;
 გთხოვ, შენც აღმოჩნდე დიდსულოვანი.

ჩემი ბედი ხომ სატიარალია:
 მეც ვიყავ მოყმე სახელოვანი!

მოსისხლე მტერთან ბრძოლა მშვენიოდა,
 და მქონდა ბევრი გასახარელი,

ვიღრე მეტოქედ გამიჩნდებოდა
 ჩემი უმცროსი ძმა სახარელი.

ო, ჩერნამორი, ცბიერი, მყარალი!
 თურმე შავი დღე მისგან მეწერა!

ვაი, იმ ჩემი ოჯახის ბრალი,
 რომ დაეხადა ჯუჯა გრძელწვერა!

ჩემი სიკეთე ექცა მას დარდად,
 ჩემი ბრგე ტანი გულს უღონებდა,

ბუნებით ავი, ის, შურის გარდა,
 აქ სხვას ვერაფერს მოიგონებდა

ვეება ვიყავ, მაღალი დიდად,
 მაგრამ თან სადა, სულით მზიანი;

იგი კი იყო სულ ერთი ციდა,
 ჭაჯრით ავი და ჭკუიანი.

უნდა იცოდე ამასთან ერთად,
 რომ ჯადოსნური ძალა აქვს წვერში;

მეღუნევია თავი მას ღმერთად,
 საშიშროებას არ ხედავს მტერში;

იგი ჭირთაგან უზრუნველია,
 ვიღრე იმისი წვერი-მრთელია.

და აი ერთხელ მან ვითომც მშურად
 მითხრა, მიზანი მაქვს დასახული

მნიშვნელოვანი — გაუწყებ, თუ რა:
 ჩემგან შავს წიგნში არის ნახული

ცნობა, რომ ერთი წყნარი ზღვის პირას,
 აღმოსავლეთში, დიდი მთის ძირას,

მტკიცე სარდაფში ჩაეკტილია
 ხმალი, ის ჭირი და სიკვდილია

ჩვენთვის — მე გულზე ცეცხლი
 მეღება —

თურმე იმ ხმალით მოიკვეთება
 ჩემი წვერები და შენი თავი.

თუ ჩვენ არ გვინდა ვიყოთ ძლეული,
 ხელთ უნდა ვიგდოთ ხმალი წყეული“.

ჯუჯას მივუთხვე: „გახლოვარ მზადა,
 წამოვალ, მხოლოდ მითხარი, სადა?“

მხარზე გავიდე მე ფიჭვის მორი,
 მეორეზე კი ჯუჯა დავისვი,

რათა მესმინა თათბირი სწორი,
 სადაც არ მქონდა ნდობა თავისა.

ჩვენ ხომ წინ გველო გზა შორეული,
 გავეშურეთ და, ღეთის დახმარებით,

იყო ჩვენს მიერ ის გალეული
 დაუბრკოლებლივ და დაჩქარებით.

მთას იქით ვნახეთ სარდაფი მდგარი,
 შევლეწე მისი მაგარი კარი

და მოვიპოვე მასში მდებარე
 მე ხმალი იგი სხივთა მგზნებარე.

მაგრამ მომექცა მე ბედი ავად:
 ჩვენს შორის ატყდა აქ უცებ დაეა,

ჩვენი ცილობა შეეხებოდა
 იმას, თუ ხმალი ვისა რგებოდა.

ვღაობდით, ჯუჯა გაცხარდა დიდად,
 მლანძღავდა; სხვა რომ ვერა იღონა,

ერთი რამ ზრიცი გამოიგონა
და საუბარი დამიწყო მშვიდად.
— სჯობს დაეანებოთ ამ დავას თავი,
მე მეუბნება ძმა გულით შავი:
ვერას მივალწევთ ჩხუბით, ვერასა,
მშვიდ გზას გვაკისრებს ჩვენ ძმობის
ვალი;

მოდი, მივენდოთ ბედისწერასა,
მან ერთს ჩვენთაგანს დაჰკიდოს ხმალი.
მიწას დავადოთ ორივემ ყური
(რას არ იგონებს მტრობა და შური!)
ვისაც ხმა ესმას უმალ ზარისა,
ამ იარაღის, მზისა დარისა,
იყოს პატრონი უცილობელი, —
და ჩერნამორი, ამის მთხრობელი,
მიწას პირველი შეეხო მკერდით;
გაებრიყვდი, დავწეე მეც იმის
გვერდით.

ვწევარ, ჩქამიც კი ვერ გავიგონე.
ძმის მოტყუების ხერხებს ვიგონებ,
მაგრამ დავრჩი თვით მოტყუებულნი:
ის, ბოროტებით გულადგზნებული,
ზეზე წამოდგა ჩუმჩუმად, კრძალვით,
შემომიარა უჩინიდან მალეით,
და მომიღირა ხმალი წყეულმა;

იწივლა რკინამ შემოქნეულმა,
ვერც კი მოვასწარ მომჭერს ხელში
რომ თავი მომჭრა იმ ქალაქსა,
თავმა კი რაღაც ჯადოსნურ ძალით
სული ცოცხალი შეინარჩუნა.
ეკალმა შთანთქა ჩემი სხეული,
იგი, უდროოდ ბიწად ქცეული,
დარჩა იმ ადგილს დაუმარხავი,
მაგრამ, ბოროტი საქმის მჩარხავი,
ჯუჯა ეცადა — შორეთიდანა
ამ უღაბნოში გადმომიყვანა
ჩემსავე ტანსა მოშორებული.
მან დამაკისრა დარაჯის ვალი —
უნდა დამეცვა აქ მე ეს ხმალი,
აწ შენგან ძალით მოპოვებული.
მოყმევ! ბედია მფარველი შენი,
წაილე ხმალი, იარე ლხენით!
და თუ კი საღმე, გმირო ძლიერო,
შეხედები ჯუჯას იმ საძაგელსა,
უშრეტის ცეცხლით ჩემს დამდაგველსა,
გადაუხადე სამაგიერო!
მაშინ ვიქნები მე ბედნიერი,
სიყვილის მივიჩნევ საამურ ძილად,
გავხედები შენი მე მადლიერი,
დამავიწყდება მე შენი სილა“.

ქება მიმოსხე

მადლობა ქვეყნის შემომქმედს! —

ხშირად

მე ვიმეორებ, და მიხარიათ,
რომ დღეს მისნობა მეღავენდება ძვირად,
და ჯადოქრები ცოტა არიან.
თანაც — პატივი მათ და დიდება! —
როლი იციან გადაკიდება
ქორწინების დროს. ჯადოსნურ ძალით
სხეები არიან ახლა ცნობილი:
ნაზი ღიმილი, ცისფერი თვალი
და ხმა სიამით დამატკობელი...
ო, მეგობრებო, სიფრთხილე მეტი!
მუხანათთა და ცბიერთა ჭკერტით
ნუ დაგესხმებათ თქვენ თავზე რეტი,
ჩემებრ მონახეთ წყნარი კიდენი
და იმათ ჯადოს გაერიდენით.

შენ, პოეზიის მწვე სხივოსანო,
ფარულ ხილვათა ტკბილო მგოსანო,
ჩემი ყრმა მუხის მფარველო,
მზრდელი!

ვისაც ოცნება და სიყვარული,
ქაჯთა სამყარო ჯადოქარული,
სამარის ბინდი, ედემის მდელი,
გზიბლავს, — ო, წყაროვ დიდ სიკეთისა,
შენ, ორფეუსო ჩრდილოეთისა,
შემინდე ახლა შენს გზას დიდებულს
რომ გაჰყვა ჩემი ოცნების რაში,
რომ ჩემი მუხის ქნარს ახირებულს
ვამხილებ ლამაზ ტყუილის თქმამი.

ძმობილნო, ვიცით ჩვენ კაცი ავი,
ძველად ქაჯისგან ამღები ვალთა;
ჯერ დაუწინდა თავისი თავი,



მერე სულელები საკუთარ ქალთა.
 ვიცით მან ბოლოს ლოცვით და
 მარცხით,
 ქერივ-ობოლთათვის უხვ დახმარებით
 და ცოდვის წრფელი აღიარებით
 მფარველი ჰპოვა მაცხოვრის სახით;
 ვიცით, ვით მოკვდა, და ვითარ ძილსა
 მიეცა მისი თორმეტი ქალი,
 ჩვენ გვაყენებდა სახეზე ჩრდილსა
 იმ ლამეთაგან შეკრული რკალი;
 გეხიბლავდა ხილვა გასაკვირველი,
 პირქუში ქაჯი, რისხვა ციური,
 ცოდვილის ტანჯვა ამქვეყნიური
 და უცოდველთა სევდა პირველი.
 იმათთან ერთად ვიცრმელებოდით,
 ვხვერავედით კოშკის კედლებს და
 კარსა,
 და სიყვარულით ვაკვირდებოდით
 უშფოთველ ძილს და ტყვეობას
 წყნარსა;
 მოვეუწოდებდით გულით ვადიმსა,
 ეხარობდით მათი თვალის ახელით;
 ხშირად მონოხნებს ცრემლდანაწვემსა
 მამის კუბოშიდე თან ვეახელით...
 თუ კი ეს იყო სიკრუ მტკნარი,
 მე ვით შევალო სიმართლის კარი?

ქაბუკი რატმირ სულ წინ ვიდოდა.
 სამხრეთისაკენ სასწრაფოდ წასულს,
 ეგონა, ვიდრე მზე ჩავიდოდა,
 დაეწეოდა ის მთავრის ასულს.

დღეს ეღებოდა თანდათან ბოლო;
 მისჩერებოდა — ამაოდ მხოლოდ —
 შორეულ ნისლეებს ყმაწვილი გმირი:
 უღაბნოს ჰგებანდა მდინარის პირი.
 ტყეს უბრწყინავდა ჯერ კიდევ თავი.
 ქაბუკმა განვლო კლდეები შავი
 და ხეთა შორის ადგილს ეძებდა,
 სადაც იმ ლამით მოისვენებდა.
 იგი თანდათან გამოდის ველად,
 სურათი ხიბლავს უცებ ხილული:
 კლდოვან მალღობზე სდგას, თითქოს
 მცველად,
 ციხე-დარბაზი თავდაკბილული.
 განმარტოებით, ვით ზღვაში გედი,

იქ დადის ქალი გადმოღმა მხედვი;
 მას მიჰფენია შუქი დაფენსა
 ირგვლივ სიმღერა მისი გაისმის.

„ძირს გაშლილ ველზე უკვე ლამეა;
 ტალღებმა გრილი მოჰბერეს ქარი.
 ყმაწვილო მგზავრო, ძილის ჟამია!
 შენ შეგიფარებს ეს კოშკი წყნარი.“

„შვებას იძლიევა აქ ლამის თევა,
 ზოლო ნადიმში დღე გადის მთელი.
 მამ მეგობრული ისმინე წვევა, —
 ყმაწვილო მგზავრო, მობრძანდი,
 გელით!

„ნახე ნარნარი აქ წელთა რბევა,
 ნაზი ღიმილი და კოცნა მწველი
 მამ იღუმალი ისმინე წვევა, —
 ყმაწვილო მგზავრო, მობრძანდი,
 გელით!

„რა იწყონ დილით სხივებმა ფრქვევა,
 ღვინით დაელოცოთ გზა შენი გრძელი.
 მამ სამშვიდობო ისმინე წვევა, —
 ყმაწვილო მგზავრო, მობრძანდი,
 გელით.“

„ძირს გაშლილ ველზე უკვე ლამეა;
 ტალღებმა გრილი მოჰბერეს ქარი,
 ყმაწვილო მგზავრო, ძილის ჟამია!
 შენ შეგიფარებს ეს კოშკი წყნარი.“

გაისმის ქალის ეს მოწოდება:
 რატმირიც მიდის განცეფრებოლი:
 უკვე კიშკართან ვაქვს ელოდება
 ლამაზ ქალწულთა მთელი კრებული.
 ვით უზარიანთ მისვლა ხანისა!
 მას მომხიბლავი შესცქერის თვალი
 თითოეული იმათგანისა.
 ცხენს ჩამოართმევს მყის ორი ქალი.
 კარი გაელო დარბაზებისა,
 ამაღა შეჰყვა ლამაზებისა,
 ერთი მუზარადს მოხდის ფრთიანსა,
 ერთია ჯავშნის გახდის მსურველი,
 ვინ ხმალს წაიღებს, ვინ ფარს
 მტკრიანსა,
 და შეუცვალეს მთლად საჭურველი

მას ნებივრული სამოსელითა.
 მაგრამ ჯერ იგი მიჰყავთ ხელითა
 დიდებულ რუსულ აბანოს კართან.
 ისმის შხვილი ორთქლიან ღვართა
 და შადრევნები მოსჩქეფენ გრილი.
 ძვირფასი ხალი ძირსაა შლილი,
 მასზე დადლილი ხანი მიწვება,
 ორთქლი გარს უვლის და იცრიცება.
 მორცხვი ვნებისგან თავდახრილები
 და სანახევროდ ტანგახდილები,
 ნაზი, უსიტყვო მზრუნველობითა,
 გალაღებულნი ფარულ ტრფობითა,
 ვაქს არსებანი, თითქოს ცისანი,
 ხალისიანად გარს ეხვევიან.
 ზოგს იმის თავზე დაურხვევია
 ნორჩი რტოები არყის ხისანი,
 და მათგან მოჰქრის ნიავე ცხელი.
 ზოგი ასხურებს მზრუნველის ხელით
 ვარდის წყალს იმის დაქანცულ სხეულს,
 ზოგიც შავს თმასა, ლამაზად ხვეულს,
 უზელავს უცხო სურნელებითა.
 აღტაცებული, მთვრალი ვნებითა,
 იფიწყებს იგი ლიუდმილასა,
 ვის გამოც ღვრიდა ცრემლს იმ
 დილასა.

გაძღვიებთა ტკბილი სურვილი,
 გარს თვალთახედვას ახეტიალებს,
 და სანეტარო წუთის წყურვილით
 ჭაბუკის გულში ცეცხლი ბრიალებს.
 მაგრამ შენ მათთვის გროშის გადახდაც
 დიბა-ხავერდით მოსილი ჩნდება,
 და ულამაზეს ქალწულთა რიგი
 იმასთან ერთად ნადიმზე სხდება.
 მე ჰომეროსი არ ვარ ახალი:
 კარგად იმისი ლექსი მაღალი
 სუფრას ამკობდა ვაჟაკებისას —
 ქაფსა და წკრიალს ღრმა თასებისას.
 ვარჩევ, რომ ვიყო მე პარნის დარი —
 დაუღვევარად ვაეღვრო ქნარი,
 ვაქო სიტიტვლე ღამით ფარული,
 ალერსი, კონა და სიყვარული!
 მთვარე დაჰნათის ციხე-გალავანს;
 მე ვაკვირდები კოშკს შორეულსა,
 სადაც ბინა აქვს ცალკე ფალავანს
 ვნებით მიბნედილს, ძილმორეულსა.
 მის ღაწევებს, შებლსა, მთლიანად სახებს,

რაღაც სიზმარი აღმურში ახვევს/
 ბაგე გახსნია ჭაბუკის ქვეშევრდომსა
 კონას თუ ელის დამარჯვებულსა
 ღელავს რატმირი, ის ძილში ოხრავს,
 უცქერის, ხედავს მათ მიხრა-მოხრას,
 საბანს იხუტებს წაფარებულსა.
 მაგრამ უეცრად იღება კარი,
 და იატაკსა ნაბიჯი ჩქარი
 ააჭრიალებს ღრმა სიწყნარეში;
 გაიციმციმა ქალმა მთვარეში.
 აბა, სიზმარო, შორს გასწით ფრენით!
 გამოიღვიძე — ღამეა შენი!
 მიიღე რაც კი მოგწყურებია!
 მიუხალოვდა მძინარეს ქალი:
 ვაქს მოუხუტავს ნებვივრად თვალი;
 საბანი დაბლა ჩასცურებია.
 სდგას ქალი მის წინ უძრავი, მშვიდი,
 იმგვარად, როგორ დიანა ფლიდი
 წინაშე თავის ძვირფას მწყემსისა.
 ჭაბუკისაკენ თავს დასწევს ისა,
 მუხლით სარეცელს დაებჯინება,
 მერე ცახცახით ზედ ეფინება,
 კონას აჩუქებს მხურვალეს, ტკბილსა
 და მით ბედნიერს დაურღვევს ძილსა...

ო, მეგობრებო, უმანკო ქნარი,
 დამიღუმღება მე მალე, მჯერა;
 ხმა ჩამიწყდება ისედაც წყნარი.
 თუ არ შეეწყვიტე რატმირზე მღერა.
 სიტყვის არ ძალმიძს აქ გაგრძელება,
 სკირდება რუსლანს აწ მიშველება,
 რუსლანს, ყოველგვარ ნიკით
 შემკულსა,
 სულით გმირსა და მიჯნურს
 ერთგულსა.
 სასტიკი ომით ძალგამოლეულს,
 ბუმბერაზ თავქვეშ მას მიეძინა.
 მაგრამ მალე ცის კიდეს შორეულს
 რიქრატის შუქი შემოეფინა.
 გათენდა: კონა კამკამა სხივის
 ბანჯგვლიან თავზე თრთისა და ღვივის.
 რუსლანი დგება, და სწრაფი ცხენი
 წინ გააქანებს მას თითქოს ფრენით.
 დრო გარბის; ყვითლად სჩანან ველები,
 ხეებსა სწყდება ფოთოლი მკენარო:

გაუწყდნენ თითქოს ტყეს

ფრინველები, —
 ხმას უხშობს იმათ მსტირნავე ქარი.
 შემოაჩხვევია ბურუსი სქელი
 ბორცვებს, გორაკებს ტიტველს და
 ვერანს,
 ზამთარი მოდის, — რუსლანი ქველი
 ჩრდილოეთისკენ მიაფრენს მერანს.
 დღე-მუდამ ჰირი ახალი ზედება:
 ხან დიდ ფალავანს შეებრძოლება,
 ხანაც ბუმბერაზს გაეტოლება,
 ხან კუდიან ქალს შიგ თმაში სწვდება.
 ხან მთვარიანში ჰაბუჯი წყნარი,
 თითქოს ნახათ სიზმარი მტკნარი,
 ხედავს: ხეებზე მსხდარნი ალები,
 ნისლის კაბების აფრიალებით,
 თვისკენ იწვევენ მას, უცხო გმირსა,
 და მათ ღიმილი უმშვენებს პირსა...
 მაგრამ მას იცავს ფარული ძალა,
 და მოყმე რჩება უვნები კვალად;
 სურვილთა მიმართ იგი ჯალათობს,
 ის მხოლოდ ერთ ქალს მიიჩნევს ქალად,
 მათ ლიუდმილას ვით უღალატოს?!

თვალშეუდგამი უკვე სხვისაგან,
 ფარული ჯუჯას თავდასხმისაგან,
 თილისმურ ჭედის შემწეობითა,
 რასა იქმს ახლა მთავარის ქალი,
 მოშორებული საყვარელს ძალით?
 იგი, აღსაყვ მწარე გრძნობითა,
 სეირნობს ბაღში მარტოდ შეთენილი,
 და მძიმე ოხვრით რუსლანს იგონებს,
 ხანაც, ოცნებით გადაფრენილი
 სამშობლოსაკენ, გულში იკონებს
 მამას და ძმებსა; ის ხედავს ნათლად
 ნორჩ ღობილებს და მოხუც
 გამდელებს
 და მით გაბზარულ თვის გულს
 ამრთელებს,
 თითქოს ტყვედ იგი არც იყოს მართლა.
 მაგრამ, სიციხადით უცებ ძლეული,
 გაქრება ხილვა სიზმარეული,
 და კვლავ მარტოა მთავრის ასული,
 ბედუქუდმართი და დანავსული
 შეყვარებული ჯუჯას კაცები
 დღე-ღამ ეძებენ ქალს გატაცებით

ყველგან — დარბაზთა და ბაღთა შინა
 სითკენ წავიდა, საღ ჰოვავაჟიწყულა
 ხშირად ძახილით ყელი სტყუნიანქა
 მაგრამ პასუხი არა სმენიათ.
 ვართობაც ხოლმე მით უხდებოდა
 ლიუდმილასა: ჯადოსნურ ბაღში
 ზოგჯერ უქუდოდ გამოჩნდებოდა
 და — აქეთ, აქეთ! — იძახდა მაშინ:
 გაიქცეოდა იმისკენ ყველა,
 ის კი საჩქაროდ განზე დგებოდა
 და, უჩინარი თვალთათვის, ხელად
 მღვერებს ხელიდან გაუსხლტებოდა.
 სხანდა იმისი იქ ყოფნის კვალი:
 ზოგჯერ ხეხილთა ოქრო და ლალი
 შერხეულ ტოტებს მოსცილდებოდა,
 ხან მწვანე წალკოტს ეშხეფებოდა
 წვეთებად წყაროს კაჟკაჟა წყალი.
 მაშინ ხედავდა ყველა, რომ ქალი
 უსმელ-უქმელი არა რჩებოდა.
 ნაძვის თუ არყის ხეზე ასული,
 გარირდებული დაზვერვას მტრულსა,
 ღამით წუთიერს ეძებდა რულსა,
 მაგრამ საბრალო მთავრის ასული
 და ცხელი ცრემლი ღვარად სდიოდა.
 მხოლოდ ხანდახან, რომ თენდებოდა,
 ქმარს მოუხმობდა, ბედს უჩიოდა
 მას თვალი ძილით ეხუტებოდა.
 გაეღებოდა რა დილას კარი,
 იგი ჩანჩქერის წინ იყო მდგარი
 და პირს იბანდა ცივი წყალითა.
 ერთხელ ჯუჯამაც თავის თვალთა
 ციხე-კოშკიდან შენიშნა დილით,
 რომ უჩინარი ხელები ფრთხილი
 წალკოტს ნამავდა ჩანჩქერის წვეთებით
 ასე, მწუხარე სულსკვეთებით
 ბალის ზეივნებს თავს აფარებდა
 და ერთფეროვან დროს ატარებდა
 ახალ ღამემდე. ზოგჯერ საღამოს
 ყურსაც მოჰკრავდნენ მის ხმას საამოს,
 იყო მიზეზი დღევის დიდისა
 ზოგჯერ გვირგვინი ძირს დადებული,
 ხან ცხვირსაზოცი გადაგდებული,
 ხანაც ნახევი სპარსულ რიდისა.
 გულდადაგულსა ტრფიალის ალით
 ჩერნამორს ბოღმა აწვება ყელში;

მან გადასწყვიტა როგორმე ძალით
მთავრის ასული ჩაიგდოს ხელში.
ასე ლემნოსის კოკლმა მკედელმა
გვირგვინდადგმულმა ციტარეს ხელით,
მისსავ სიტურფეს გაუბა ქსელი,
და ღმერთების წრემ, მალლით

მკვრეტელმა,

ვერ შეიკავა სიცილი ნელი,
როცა კიბრიდემ უჩინ-მაჩინად
ნაზი ფანდები გამოაჩინა...

ერთხელ ქალწული, მოწყენით მჯდარი,
ღროს იგონებდა წარსულს შურიითა
და მარმარილოს ფანიატურიდან
უკვრეტდა, თუ ვით არხვედა ქარი
ხის რტოებს მინდვრის ყვავილთა
ზემოთ.

უცებ მოესმა: „ძვირფასო ჩემო!“
და იქვე რუსლანს მოაელო თვალი.
მისი მიმოხრა, ტანაყრილობა...

მაგრამ სახეზე აქვს ფერი მკრთალი,
ხოლო თეძოზე უჩანს კრილობა.

ქალი შეტოკდა, იცნო — ის არი!

„ო, რუსლან, რუსლან!“ და, ვით ისარი,
გაჭანდა ქმრისკენ ტანჯვით ვნებული
და ეუბნება აცრემლებული:

„შენ ხარ... დაქრილი... რა მოგივიდა?“
თანაც აეკრა ლერწამივითა,

მაგრამ, — ო, ღმერთო, — ჩეენება
ჰკრება!

შეტოკდა ქალი, რა ემატიება?
მას ფხელი ბადე გარს უხედავდა
და ხელად ქუდი თავდასაფარდა
ხმა საშინელი დაანთხევს შხამსა:
„ჩემია იგი!“ და იმავ წამსა
თვალწინ დაუდგა მას წვერი გრძელი...
ერთი შეჰკვივლა იქ მთავრის შვილმა
და ძირს დაეცა... უგრძობმა ძილმა
მყისვე მოხვია უბედურს ხელი.

ნეტავ საწყალ ქალს რა ეშველება?
ან რა მოუვა? — საშინელება!
ათრთოლებული ხელით წყეული
ცდილობს დაიპყრას ტურფა სხეული.
ნუთუ მსხვერპლია ის ამ ქირისა?
ჩუ... ხმა გაისმა იქ საყვირისა,
და ჩერნამორსა ეძახის ვილაც.
შიშით შეპყრობილს, მთლად

ფერწასულსა

ვინ უხმობს ჯუჯას? იგი ასულსა
კვლავ ქუდს ახურაეს თავზე, ვით
ჯილას.

საყვირის ხმა კი სულ ძლიერდება,
და ჯუჯაც მეტ ხანს ველარ ჩერდება:
გაფრინდა ის, და წვერი ფიფინა
მხარზე ხელაკვრით გადაიფინა.

თარგმანი კონსტანტინე ვიზინაძე

(დასასრული იქნება)

ლიტერატურა და სინამდვილე*



ევწინი რაღაც ფოკისა და ქრისტეფორ კოლუმუს ხსოვნას, რომლებმაც იცოდნენ, რომ ლიტერატურა განუყოფელია ადამიანის განთავისუფლებისათვის ბრძოლისაგან და რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შესწირეს ამ ცოდნის დაცვას, იბრძოდნენ რა ფრანკოსა და ფაშისთვის წინააღმდეგ ესპანეთისა და კაცობრიობის თავისუფლებისათვის.

ყველა ლიტერატურული სკოლა, სტილი და მიმართულება, როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც, აღმოცენდა ობიექტური სინამდვილისადმი მწერლის ან მწერალთა ჯგუფის გარკვეული დამოკიდებულების საფუძველზე. როგორადაც არ უნდა უწოდებდნენ თავისათვის ეს ლიტერატურული სკოლები და მიმართულებები, მათი არსის განსაზღვრისათვის საკმაო გამოვარკვევით მწერლის დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

* ეს წერილი ქართულად თარგმნილია იმ ტექსტიდან, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ნოი მირის“ 1950 წლის მეთორმეტე ნომერში, სადაც მას წამყვანებული აქვს რედაქციის შემდეგი შენიშვნა:

„მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პოუარდ ფასტი ცნობილია მთელი მსოფლიოსთვის როგორც აქტუური მებრძოლი ამერიკელი ფაშისთვის წინააღმდეგ — მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მთელ მსოფლიოში. ასეთვე მგზნებარე მებრძოლად წარმოგვიდგება პოუარდ ფასტი თავის ახალ წიგნში „ლიტერატურა და სინამდვილე“, რომელიც გამოქვეყნებულია 1950 წელს და რომელშიაც იგი გამოდის როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურის თეორეტიკოსი.

ფასტის წიგნში ყველაფერი უდავო არ არის. მაგრამ მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ მას აქვს მებრძოლი მ-დრეკილება და მიზანსწრაფობა, ავი გაბედულად აყენებს და პრინციპულად მწირობად სწევებს უმნიშვნელოვანეს საკითხებს,

რომელიმე სხვა კრიტიკიუმიტ მიდგომა მხოლოდ ართულებს და აბნელებს საკითხს და წარმოშობს ისეთ ფილოსოფიურ სისტემებს, რომლებშიაც ბუნდოვანება და უმეცრება პრინციპად არის გადაქცეული. სულელური აზრების ამ დაბურდული და ჭუჭყიანი მორგვის გახსნა-გარკვევა ძნელია, მაგრამ თუ ამას არ გავაკეთებთ, თუ მზის სინათლეზე არ გამოვიტანთ ყოველ ჭუჭყიან ძაფს, ჩვენ ვერ შევსძლებთ ამერიკული ლიტერატურის გახრწნის

მათ შორის — კაბიტალისტური ქვეყნების თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის ცენტრალურ პრობლემას — სოციალისტური რეალიზმის საკითხს.

ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში ფასტის წიგნი დაიჭერს თავის ადგილს როგორც კომუნიტარტიკოსის პირველი სერიოზული ცდა ანალიზს გაუყეთოს ამერიკულ ლიტერატურას და დასახოს მისი შემდგომი განვითარების გზები.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ წიგნის შემოკლებულ თარგმანს*.

ფასტის წიგნი არ შეიძლება ინტერესსმოკლებული იყოს ქართველი მკითხველისათვის. იგი არა მარტო წარმოადგენს მოგვეცემა ამერიკული ლიტერატურის თანამედროვე მდომარეობაზე, არამედ დაგვანახებს იმასაც, თუ რა ძლიერად იცილებს ფებს ამერიკის პროგრესულ მწერლობაში ლიტერატურის თეორიის პრინციპულ-ლენინური პრინციპები.

ამ პროცესის შეჩერებას, რაც ესოდენ თვალნათლივ ჩვენს დროში. იმ საზოგადოებაში, რომელსაც აჩანაგებს წინააღმდეგობანი, რომელიც იხრჩობა საკუთარი ეკონომიკის ქაოსში და საზარელ მსოფლიო ომში ეძებს თავისი ხსნის საშუალებას, — ლიტერატურა — თავის უმეტეს ნაწილში — ბუნებრივია, არ შეიძლება ჯანსაღი იყოს. ამერიკის მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურა დაავადებულია, მძიმედ დაავადებულია; პროგრესულ ძალთა მხოლოდ საერთო აღორძინებას შეუძლია განკურნოს ის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს აღორძინება უკვე დაიწყო, და ამიტომ ფრიად დროულია გამოვიკვლიოთ დაავადების ბუნება, რათა მკურნალობა გახდეს გააზრებული და მიზანსწრაფული.

უმეტესი ადგილი ამ შენიშვნებში დამოკიდებული აქვს სინამდვილისადმი ლიტერატურის დამოკიდებულებას პრობლემებს, აგრეთვე რეალისტური მეთოდის, როგორც ცხოვრების მართლად გამოხატვის საშუალების, — მნიშვნელობას.

მე საეხებით შეგნებული მაქვს, რომ ეს ნარკვევი მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისია ამ პრობლემათა დამუშავებისა; მაგრამ ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს. ლიტერატურისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება — თანამედროვეობის საკუთრებო საკითხია; ჩვენ ეცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როდესაც მთელმა კაცობრიობამ უნდა გარკვეოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, და მწერალი კულში კი არ უნდა მისჩინალებდეს, არამედ პირველ რიგში მიდიოდეს; მისი ამოცანა — გაურკვეოს ხალხის ფართო მასებს სინამდვილის არსი, ამაშია მისი ხელოვნება და მისი დიდება. რადგან თვით ბუნება მისი ხელობისა საშუალებას აძლევს მას გამოხატოს ადამიანის იმედის და შიშის, ტანჯვისა და გამარჯვების იდუმალი აზრი. მაგრამ

ამისათვის იგი უნდა ხელაღდეს რეალურ ქვეყნიერებას და მისი მნიშვნელობის მოჩვენებას. *სინამდვილე*

— : : —

მე ოდესღაც რამდენიმედ არა თავზიანად ვუწოდებ თანამედროვე რეაქციულ კულტურას „კულტურის ნებვის გროვა“. და აი ამ კულტურის ნებვის გროვის მწვერვალის ძლიერ ახლოს ზის ფრანც კაფკა, ერთ-ერთი ყველაზე პატივდებული ღმერთი იმ უცნაურ ოლიმპზე, რომელიც აღმართევერეთოდებულმა „ახალმა კრიტიკოსებმა“ და მათმა ტროცკისტულმა კოლეგებმა. დღეს ამერიკაში ფრანც კაფკას დიდად აფასებენ და ბევრს კითხულობენ, ათეულ სქელტანიან აღმანახებსა და ჟურნალებში მას გუნდრუკს უკმევენ, ხოლო მისი მდარე და ვაცვეთილი პროზა ცამდე აპყავთ, როგორც ღირსეული ნიმუში წაბადვისა. ჩვენთვისაც ის უპველად საინტერესოა, რადგან მოჩვენებითი სამყაროს, კაცობრიობის აბუნად ავდებისა და გამახარაგების სამყაროს შემოქმედთა შორის ფრანც კაფკას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამიტომ ღირს ჩაუკვირდეთ იმას, თუ რამ აიყვანა ის ასე მაღლა.

კაფკის ნაწარმოებთა შორის ამერიკაში თითქმის ყველაზე მეტად ცნობილია მისი რომანი „მეტამორფოზები“, რომელშიაც ფრიად დაწერილებით არის მოთხრობილი, თუ როგორ გაიდვიდა ერთხელ დილით გერმანელმა კომივიაჟერმა და აღმოაჩინა, რომ ის ფურნის ხოჭოა.

თუმცა კაფკის რომანი დაწერილია სატირის პრეტენზიით, მაგრამ წარსულის სატირიკოსების ნაწარმოებთაგან იგი განსხვავდება მით, რომ წერის ზერხი კაფკისათვის საშუალებისაგან იქცევა თვითმიზნად, ესე იგი ავტორი გამოხატავს სატირიკულ სიტუაციას არა ფიგურალურად, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. ვფიქრობთ, როცა ავ-

ტორმა ხელი მოჰკიდა კალამს, თავის-თავი დაარწმუნა მის მიერვე შექმნილი ფანტასტიკური სამყაროს რეალობაში. მოვიყვან რომანის პირველ ორ აბზაცს:

„ერთხელ დილით, როდესაც ღრმა ძილის შემდეგ გამოვღვიძა, გრეგორ ზამსამ აღმოაჩინა, რომ ის გადაიქცა ვეებერთელა პარაზიტად.

იგი იწვა პირალმა, ჯაქმანივით მაგარ ზურგზე, და, როდესაც ცოტათი თავი წამოსწია, შეეძლო დაენახა სიმრგვალე თავისი უზარმაზარი მიხაკისფერი მუცლისა, რომელიც დაყოფილი იყო ნაწილებად. საბანი არ ჩერდებოდა ამ გასლიპულ ბორცვზე, ხოლო გრეგორის ფეხები, ასევე უბადრუკი და გაწერილებული თავის წინანდელ ზომასთან შედარებით, უმწეოდ მოძრაობდნენ მის თვალწინ“.

ამ ნაწყვეტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმ ზიზღზე, რომელსაც იწვევს კაფკის რომანი და ეს ზიზღი სწორედ იქმნება მით, რომ სიტუაცია გამოხატულია პირდაპირ მნიშვნელობით. როგორც არ უნდა იყოს კაფკის განზრახვა, მას სატირა არ დაუწერია. სატირა ეს არის ირონიის გამოყენება იმისთვის, რომ მხალეული იქნას ტირანია, მანკიერება, სისულელე და გონების სიჩლუნგე; სწორედ ამით სატირა განუყრელია სინამდვილისაგან. მაგრამ კაფკა თავის რომანში სულაც არ ფიქრობს მხილებას; მას სურს დაამტკიცოს მხოლოდ ერთი რამ: ვარკვეული მოდგმის ადამიანები იმდენად გვიან ხოქოს, რომ არაფერი იქნება გასაკვირველი, თუ ერთ მშვენიერ დილას გაიღვიძებენ ისინი და აღმოაჩენენ, რომ გარდაქმნა მართლაც მოხდა. და მთელი რომანის მანძილზე, რომელშიაც მოთხრობილია აუარებელი წერიმალე ამბები ფურნის ზოქოდ გადაქცეული კაცის ცხოვრებიდან, კაფკა კლაკ და კლაკ ამტკიცებს ამ აზრს.

კაფკის წიგნი მკითხველში იწვევს ზიზღისა და გულის რევების გრძნობას.

მაგრამ როგორი იყო ავტორის მიზანი? იგი მხოლოდ სწვევტს უნდა მივუძღვათ: ადამიანი უდრის ფურნის ზიზღს. ველის ღირებულება უდრის მეორის ღირებულებას, ისინი თანაბარმნიშვნელოვანი და ურთიერთშემცველნი არიან, — და აი ჩვენს წინაშე „პარტიზან რევიუს“ „ახალი კრიტიკოსების“ „ახალი პოეტების“ და „აუანგარდის“ მთელი უბადრუკი ფილოსოფია.

მაგრამ ფილოსოფია სასოწარკვეთილებისა, ფილოსოფია თავისთავის და სიციხის შექმლებისა, ქადაგება მისტიციზმისა, ქადაგება ზიზღისა საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი თავისთავად არ წარმოიშვება. ფორმულა, რომ ადამიანი უდრის ფურნის ზოქოს, მმართველი კლასის ფართო პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი პუნქტია. ეს პროგრამა გულისხმობს ობიექტური სინამდვილის განზრახ გაბუნდოვანებას და დამახინჯებას. თუმცა ლიტერატურაში კიდევაც ცდილობენ ამ უხამსი მოღვაწეობის დაფარვას მაღალფარდოვანი თურმინოლოგიით, მაგრამ არსებითად ის არაფრით განსხვავდება საფრანგეთში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის — მისტერ ბულიტის მოღვაწეობისაგან, ბულიტისა, რომელმაც ანტიამერიკული მოღვაწეობის გამომკვლევ კომისიაში განაცხადა, რომ, მისი აზრით, რუსები, როცა ისინი განსაკუთრებით მშვიდნი არიან, სკამენ თავიანთ ბავშვებს.

რა განსხვავებულებაც უნდა იყოს ბულიტისა და კაფკის გულისწაღილი, მათი მოღვაწეობის პოლიტიკური აზრი ერთი და იგივეა, და ორივე, თითოეული თავის ყაიდაზე, ხელს უწყობს ამერიკული კულტურის დაარღვევას. ჩვენ არ შეგვიძლია შევადგასოთ ლიტერატურა მხოლოდ სტილისტური ვარტუოზობისა და თხრობის ემოციურობის გათვალისწინებით; ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უფრო ფართო და იმავე დროს უფრო ზუსტი კრიტერიუმები.

ჩვენი საზოგადოებრივი მხარეა იყოს მხოლოდ სიმართლე.

— : —

საეკვოა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სხვა მოვლენა ისე იყოს დაბნელებული, ისე იყოს გარემოცული ფანტასტიკური წარმოდგენებით და ისე იყოს გაუხამსებელი იფფასიანი სნობიზმით, როგორც შემოქმედებითი პროცესია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მწერლებს ექსპლოატაციას უწევს ისევე, როგორც ყველა სხვა კატეგორიის მშრომელს, მაგრამ, თავიანთი ხელობის სპეციფიკის გამო, მწერლები უფრო ადვილად სიცრუის ბაღეში ებმებიან, ვიდრე იძულებას ემორჩილებიან. თავისი ფინანსიური მდგომარეობით მწერალი წერილი გადასწერის თანაბარია, მაგრამ რადგან მისი კალამი შეიძლება ათასჯერ უფრო საშიში აღმოჩნდეს, ვიდრე გადასწერის კალამი, მისთვის შექმნილია ერთგვარი მისტიკური სამყარო, სიზმრების სამყარო, რომელშიაც იგი სულით ყველაზე მეტად მეფობს, თუმცა მისი ქისა ცალიერია.

ცხადია, გამონაკლისს შეადგენენ ის მწერლები, რომლებმაც თავისთავი მიჰყიდეს მონოპოლისტურ კაპიტალს და იქნენ მის დაქირავებულ აგენტებად— იჩემებენ ისინი მხატვრულობას, როგორც კენეტ რობერტი, აუხამსებენ და აუუღვარებლებენ ბიბლიას, როგორც ურსლერი და დეგლასი, სწერენ პრეტენზიულ და სძაბელ სცენარებს, როგორც ბენ ჰეკტი, თუ არ იჩემებენ არაერთარ მხატვრულობასა და ისტორიულ სიმართლეს და იქნენ რეაქციას მლიქვნელ იარაღად, როგორც არტურ შლუზინგერი, რომელმაც დაამტყიცა ეს თავისი უკანასკნელი ცუდად და აჩქარებით დაწერილი წიგნით „სასა-

ცოცხლო ცენტრით“. ნუგეის მთელი ამ გროვის მწვერვლიდან მისი მხარე ტურ შლუზინგერიდან არუარდ კაემურამდე, „ჯორნალ ამერიკენში“ მოკალათებულ ამ შხამის მთხვევლამდე, მოქმედებს უხვი გასამრჯელოს დაღმავალი სკალა ოსტატობისა და იმ უტიფრობის შესაფერად, რაც კი შეუძლია ჩაიღინოს მწერალმა.

ამ მოჩვენებითი სამყაროდან სინამდვილე განდევნილია აუცილებლობის გამო; სინამდვილე საშიშია: იგი იწვევს დრტინევას, იწვევს იმის დაქინებულ სურვილს, რომ გარკვეულ იქნას მებრძოლი ძალების ჰეშმარიტი ბუნება, იგი შეიცავს უკმაყოფილებას, რომელსაც შეუძლია იფეთქოს მოგიზგიზე ცეცხლად, და, უწინარეს ყოვლისა, იგი მოითხოვს პარტიულობას, რადგან სიმართლე, როგორც ეს ქვემოთ იქნება დამტყიცებული, ყოველთვის პარტიულია.

და ის, ვინც დღევანდელი ამერიკის ბატონ-პატრონთა მითითებით სწერს, აუცილებლად სცდება სამყაროს ჰეშმარიტი შემეცნების გზას და ადგება იმ მრუდე გზას, რომელსაც სიტყვის სრული მნიშვნელობით მიჰყავს... არსად. ამით მწერალი თავისთავს სთიშავს ცხოვრებისაგან, და რაკი იქ, სადაც არ არის ცხოვრება, არის მხოლოდ სიკვდილი, ასეთი მწერალი ბუნებრივად ხდება სიკვდილის პათოლოგიურ მომლერლად. მაგალითისათვის ავიღოთ ლექსები მისტერ პლუციკისა, ერთერთი ჩვენი „ახალი პოეტისა“, რომელსაც ესოდენ აქებენ „ახალი კრიტიკოსები“. მისტერ პლუციკი შედარებით ნაკლებ ცნობილი „ახალი პოეტია“, მაგრამ მე ავირჩიე სწორედ ის, იმიტომ რომ მან ახლახან გამოუშვა თავისი ლექსების კრებული — „პროტის ასპექტები“. ამ კრებულში მისტერ პლუციკი მომხიბვლელი ღიმილით აცხადებს:

ეძიე სიტყვა, მღუმარებას რომ ჰკავდეს ძლიერ —
 შეტყვევება ზომ, ვით სიცოცხლე, ყოფნის ბოღვაა —
 და მალე მიხვალ არარამდე — მთლად არარამდე —
 მის მკვიდრ სახემდე, რითაც შენ ზარ მოტყუებულა.

სიტყვა უსაზო, უსურნელო და უფერადო,
 გული—საათი გამდმებულ წიკ-წიკს გარეშე,
 ხელშესახებად უსხეულო გეძახის უნიით
 შენ გელოდება ყოფნა, ბოლო, პირველ სიცოცხლე.

ეს სტრიქონები, — იქ სადაც მათ რაიმე აზრი აქვთ, — მოგვაგონებენ თოთხმეტი წლის ბავშვის ფილოსოფიას, ძალიან ცუდი ლექსით გამოთქმულს. თუ თქვენ ვახსოვთ, მარკ ტვენს „ტომ სოიერში“ მოჰყავს შუადსავლეთელი მოსწავლე გოგონას თხზულება, რომელშიაც სწორედ ეს ფილოსოფიაა გამოთქმული პროზად, რაც მისტერ პლუციკის ლექსებზე უფრო გულუბრყვილოდ როდი ედერს. თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორის მცირე ასაკს და იმას, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გადაღებული ვიქტორიანული ტრადიცია, მაშინ ეს არც ისე ცუდია. მარკ ტვენის მოსწავლე გოგონამ განაცხადა თავის თხზულებაში, რომელიც მან ნამდვილად დასწერა და შემდეგ ნება დართო გამოეყენებინა მწერალს „ტომ სოიერში“:

„მაგრამ დროთა ვითარებაში მან აღმოაჩინა, რომ ამ ბრწყინვალე გარეგნობის ქვეშ იმალება ამოუებათა ამოება; ქება-დიდება, რაც ოდესღაც ატყვევებდა მის სულს, ახლა მხოლოდ აბრაზებდა მას; საბალო დარბაზებმა მისთვის დაჰკარგეს მომხიბვლელობა; შერყეული ჯანმრთელობითა და გაბოროტებული გულით ის გარბის შორს, დაწმუნებული იმაში, რომ ამქვეყნიური სიამოვნებანი ვერ დააკმაყოფილებს მისი სულის მისწრაფებებს.“

მე სრულიადაც არ ვფიქრობ მიზანში ამოვიღო პლუციკი, — მით უმეტეს, რომ მე მას სულაც არ ვიცნობ, მაგრამ სისულელეს, რასაც იგი სწერს, იმეორებენ ათეულობით სხვა „ახალი პოე-

ტები“. ფრად დამახასიათებელია, რომ პლუციკის ლექსების წიგნი გამოქვეყნებულია არა რომელიმე კერძო პოეტური ღუქნის მიერ, არამედ ზარბერის დიდი გამომცემლობის მიერ, და სწორედ ამ ლექსების გამო კრიტიკოსმა „ნიუ იორკ ტაიმსიდან“ შესაძლებლად მიიჩნია ეთქვა: „იგი (პლუციკი) ამუშავებს ერთ-ერთ ყველაზე ძველ პოეტურ თემას დიდი ძალით, მკვეთრი თავისებურებით და ნამდვილი სიახლით“.

უნდა ვთქვა, რომ თუ ეს სოახლეა, მაშინ მე არასოდეს არ მიყნოსავს დამპალი თევზის სუნის; გარდა ამისა, მსურს შევეკითხო კრიტიკოსს „ტაიმსიდან“ და გამომცემლობის რედაქტორს: დაფიქრდენ თუ არა ისინი იმაზე, რომ პლუციკი მოწიფული კაცია და არა ყმაწვილი? თუ არ დაფიქრდენ, რა მოუვიდა მათ მხატვრულ ალღოს? როგორ ეკიდებიან ისინი რეალურ სამყაროს, სადაც სიცოცხლე არის არა „ყოფნის ბოღვა“, არამედ თამამი, დიდებული, მღელვარე და მშვენიერი მოძრაობა წინ, სადაც იბრძვიან და კედებიან ადამიანები თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, სადაც ადამიანები ისწრაფვიან შეიცნონ, აშენონ და შექმნან?

ეს, რასაკვირველია, უაღრესად რიტორიული საკითხია. არც პლუციკი, არც კრიტიკოსი „ტაიმსიდან“ და არც გამომცემლობის რედაქტორები ორიგინალურები არ არიან თავიანთი დამოკიდებულებით ცხოვრებისადმი. ისინი მოექტნენ ჩიხში, სადაც ყოველთვის შეჰყავს ადამიანი სინამდვილის უარყოფას.

იგივე კრიტიკოსი „ტაიმსიდან“ მეო-

რე თანამედროვე პოეტის ჯონ პერსის შესახებ ამტკიცებს, რომ მან არაფრისა-

ზე ვაშენებდი არააზე, მჩქეფარე წყალზე, შე აწ დაეწვები ცისტრინებში და ცარიელი ვიქნევი სარეცლად უოველზე სიცილიერზე,

პოემა მართლაც შექმნილია „არაფრისაგან“ და მასში იმდენივე სიდიადეა, რამდენიც ბავშვების დასაყურებელ დილინში: „ბე-ე, ბე-ე, შავო ბატკანო“.

„ახალი პოეტების“ ყველა ლექსი მოყვანილი ლექსების შესაფერია, და ისინი სავსეა უხამსობით, მდარე ხარისხის პესიმიზმით. მათი კითხვა ისევე უხერხულია, როგორც საპირფარეშოს კედლებზე მიწერილი უხამსი ლექსების კითხვა. თუნდაც ეს სულელური და ცუდად გაკეთებული ლექსები გამოხაჯილისადაც რომ შეადგენდნენ, მაინც ღირდა მათზე შეჩერება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი სულაც არ არიან გამოხაჯილისი, პირიქით, ისინი ტიპურია თანამედროვე ბურჟუაზიული პოეზიისათვის და ჩინებულად გამოხატავენ მრავალი და მრავალი მწერლის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. ეს არის სწორედ უარის თქმა წინსვლაზე და საერთოდ ყოველგვარ მოქმედებაზე, უარის თქმა, რაც ასე კარგად ეთანხმება მისტიკურ წარმოდგენებს შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი პ რ ო ც ე ს ე, როგორც ისეთ რამეზე, რომელიც თითქოს აუცილებლობის გამო აშორებს შემოქმედს ობიექტურ სამყაროს. ის გარემოება, რომ ეს „ინდივიდუალისტური“ შემოქმედება — მხოლოდ უსუსური ბავშვური ტიტინია, როგორც ჩანს, არავის აშფოთებს, და ეს სავსებით გასაგებია, რადგან კრიტიკიუმს, ისე როგორც თვით ხელოვნებასაც, განსაზღვრავს სინამდვილე.

მაგრამ საქმე მართა საოცრად ცუდ პოეტურ ფორმაში, ამ ლექსების ტრაფარეტულობასა და გაცვეთილობაში როდია. აზრის გახრწნა, ბუნდოვანება, უსაგნო პესიმიზმი, სიკვდილის აკეი-

გან შექმნა უდიდესი პოემა⁴, და მოკავის ასეთი ლექსი: **პოემა⁴, და მოკავის ასეთი ლექსი:**
 პოემა⁴, და მოკავის ასეთი ლექსი:
 პოემა⁴, და მოკავის ასეთი ლექსი:

მშრალ და ფხვიერ სილის გროვაზე; ხომალდების პნელ ტრიუმფებში, სადაც კაცი ვრძნობს სიდიადეს.

ტებული იდეა — მჩქეფარე ახალგაზრდობაში! — ყოველგვარი სინამდვილისაგან განდგომა, — ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ ცხოვრების უარყოფა აუცილებლად იწყებს ხელოვნების დაშლასა და გახრწნას.

ეს გახრწნა ლიტერატურის ჩარჩოებით როდი იფარგლება; პოეზია გამოხატავს მას უშუალოდ და თვალსაჩინოდ, მაგრამ ჩვენს დროში, ეს გახრწნა, მეტად თუ ნაკლებად, თავს იჩენს ამერიკული კულტურის ყველა დარგში, მისი მყრალი სუნი ტრიალებს რომანეზშიც, კინოფილმებშიც, ჟურნალებშიც, რადიოგადაცემებშიც და ტელევიზიურ გადაცემებშიც.

ამ გახრწნას ისე აშკარად და საძაგლად თავი არსად უჩენია, როგორც იმაში, რომ კონგრესის ბიბლიოთეკის პრეზიდენტი ფაშისტ პოეტს — ეზრა პაუნდს, რომლის ლექსები, როგორც ლეი უნტერმაიერმა თქვა მშვილობის მომხრეთა კონგრესზე ნიუ-იორკში 1949 წელს, „განსაკუთრებით ცუდი ყოველმხრივ“.

მხოლოდ მას შეუძლია შექმნას ბელოვნების ნაწარმოები, ვინც ზედაც ცხოვრების სიმართლეს, — და ლიტერატურა იფურჩქნება ან იღუპება ამ უნარის შესაბამისად. ფაშიზმი ყოველთვის მოქმედებს იწყებს შეტევით სიმართლის წინააღმდეგ. და თუ მწერარალი არ ებრძვის ფაშიზმს აშკარად, თუ არ უწყევს მას წინააღმდეგობას, ასეთ მწერალს მსხვერპლად მიაქვს თავისი ხელოვნება. არ შეიძლება რაღაც აბსტრაქტულმა შ ე მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი პ რ ო ც ე ს ე მ ა დიაკავოს ცოცხალი სინამდვილის ადგილი.

ჩვენ დავინახეთ, რომ „ახალი ესტეტიზმი“ ორი გზით შორდება სინამდვილეს. პირველი გზა წარსულ თაობაში გვიწევს ფრანც კაფკამ: ეს არის ადამიანისადმი დაუფარავი ზიზღის, გულგრილობისა და მორალური დეგრადაციის ნარევი, რასაც ადამიანისა და ფურნის ხოჭოს გათანაბრებამდე მივყვართ. მეორე გზა, რომელსაც მიჰყვებიან „ახალი პოეტები“, იწყება ცხოვრების უარყოფით და უქველად მიდის სიკვდილის პათოლოგიურ შექებაზე. ორივე შემთხვევაში სინამდვილისგან განდგომას თან ახლავს დაცემა ლიტერატურული შემოქმედებისა, თუნდაც იგი შევადგასთ, როგორც ეს „ახალ პოეტებს“ სურთ, მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით. აზრის სიცხადე იკარგება და ბოლოსდაბოლოს სრულიად ქრება; ოსტატობის ღონე ეცემა; უხამსობა იქცევა კანონად; ირაციონალურობა — უმაღლეს ღირსებად; ყოველგვარი მოქმედება უარყოფილია.

ეს მოვლენები შეიძლება დავინახოთ არა მარტო ვიწრო ლიტერატურულ წრეებში, არამედ რამდენიმედ სხვა ფორმით ფართო მასისათვის გათვალისწინებულ ლიტერატურულ პროდუქციაშიც. რამდენადაც ჩვეულებრივი მკითხველი არ არის მისადაგებული „ახალი პოეტების“ პრეტენზიულ აბაღუბდასთან და მას ძალიან მალე შეუძლია უკუაგდოს ამგვარი ნაჯღაბნი, რადგან არ სურს ხარჯოს დასვენების იშვიათი წუთები ასეთ რამეებზე, — ამის გამო მას ასაზრდოებენ ასეთივე საძაგელი დომხალით, მხოლოდ უფრო შეჩვეული ქურკლიდან. წიგნის გაცენიანი კლუბები ყელთამდე ავსებენ მას განსაკუთრებული ხასიათის ლიტერატურით, რაც მოუთხრობს ისეთ ქვეყანაზე, რომელიც არასდროს არ არსებულა და არც შეიძლება არსებობდეს; კინოში აჩვენებენ ან იდიოტიზმამდე მისულ სენტიმენტალურ სურათებს, ან ისეთ უხემ სურათებს, გამსჭვალულთ ადა-

მიანისადმი ზიზღითა და ყოველგვარი მორალის უარყოფით, *ჩინური* იცოდა თვით მესამე რაინდ „ნატონა რასამ“. თეატრი ცდილობს დაფაროს შინაარსის უბადრუეობა ტექნიკის სრულყოფილობით; მაგრამ, როგორც უკვე პოეზიის მაგალითზე დავინახეთ, ფორმალური ოსტატობა, როცა შინაარსი უბადრუეია, საოცარი სისწრაფით ქრება. რადიო და ტელევიზორი გადაცემები არც კი იჩენებენ მხატვრულობას.

ყოველივე ეს უნდა გავიგოთ და ავხსნათ; ამის ახსნა კი შეიძლება იმის გარკვევით, თუ რა დამოკიდებულებაა შინა ლიტერატურა სინამდვილესთან. მხატვარი, რომელიც უარყოფს კავშირს ლიტერატურასა და ცხოვრებას შორის, ადვილად ექცევა ფაშისმის ბრწყალებში; ის, ვისაც ეს კავშირი გაეგება და ენაც მას აღიარებს, არა მარტო ხელს უწყობს დემოკრატიული ძალების ბრძოლას, არამედ დაღუპვისაგან გადაარჩენს თავის ტალანტს. ამ საკითხში არ უნდა იყოს არავითარი გაუგებრობა სახელწოდებებისა და თერმინების გამო. საქმე იარლიკებში კი არ არის, რომელთა მიკუთვნება ასე უყვართ რეაქციონერებს, არამედ რეალურ ფაქტებში, ცხოვრების სიმართლეში.

სიმართლე მწერლის უმნიშვნელოვანესი იარაღია. მაგრამ ვინა იგი ყველა მწერლისთვის არის ხელმისაწვდომი? რასაკვირველია, არა. თვით ყველაზე მეტად თავგამოდებული დამცველები ჩვენი ეგრეთწოდებული „თავისუფალი პრესისა“ ვერ დაასახელებენ ამ პრესის წყაროდ სიმართლეს, და სიმართლის პარტიულობა არასდროს არ ყოფილა ისე ამკარად გამოშვეურებული, როგორც ეს იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების სასამართლო პროცესზე. ფოლი სკვერზე ნიუ-იორკში ფედერალურმა სასამართლომ ბრალდება წაუყენა დილაქტიკურ მატერია-

ლიზმს, რაც სინამდვილის კვშმარტი შემეცნების საშუალებას წარმოადგენს; ხუთი წლის პატიმრობა და დიდი ჯარიმა მოელოდა თითოეულს, ვისაც სასამართლო დაუმტკიცებდა ამ მეთოდის გამოყენებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს სასამართლო პროცესი არის არსებითი ნაწილი ამერიკული რეაქციის შეტევისა სიმართლის წინააღმდეგ, და ეს შეტევა, თავისი შინაარსით, ძლიერ ახლოს გვაგონებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც თავის დროზე მიიღეს ჩვენმა მონათმფლობელებმა: სიკვდილით დაისაჯოს ყველა, ვინც გაბედავს ზანგებს შეასწავლოს წერაკითხვა. განათლება—სინამდვილის, ესე იგი სიმართლის მიწვდომის საშუალებაა. სიმართლე ყოველთვის მუქარაა ტირანისა და რეაქციისათვის; ამიტომ დღევანდელ ამერიკაში სიმართლე აკრძალულია.

— : —

შემოქმედებითი პროცესი განზოგადებაა და არა ასლის გადმოღება. მწერალმა უნდა შეარჩიოს ფაქტები, მას არ შეუძლია უბრალოდ ჩამოთვალოს ისინი. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ძალის ტალანტი გააჩნია მწერალს, მას შეუძლია შექმნას ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ მაშინ, თუ ამაღლებს სინამდვილეს, თუ უამრავ არარსებით დეტალებში არჩევს იმას, რაც ცხოვრების სიმართლეს შეადგენს. ეს სიმართლე არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული, სტატიური, საბოლოო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენ ვიცხოვრებდით აბსოლუტური სტატუს-ქვოს სამყაროში, უმოძრაო, უიმედო და უპროგრესო სამყაროში. სიმართლის შემეცნება ხდება მხოლოდ ისტორიულად, თვითეული მოვლენის წარსულისა და მომავლის გათვალისწინებით.

მაგალითისთვის ვნახოთ, როგორ აისახება ლიტერატურაში ისეთი მოვლენა, როგორიცაა გაფიცვა. ძნელი

წარმოსადგენია მწერლის ინსტიტუტური, გაუზარებელი გამოცდილება გაფიცვის ფაქტზე, თუ მხედველობაში არ გვეყვლება მჯღაბნელი, რომელსაც მთელ თავის ცხოვრებაში არ უცდია გაეზრებინა რაიმე. კინოაპარატს შეეძლო აღებეჭდა გაფიცვა, როგორც რაღაც აბსტრაქცია, მაგრამ ეს არ იქნება არც ხელოვნება, არც სიმართლე. იმისათვის, რომ შექმნათ ხელოვნების ნაწარმოები, გაფიცვა უნდა განიხილოთ როგორც ნაწილი ისტორიული პროცესისა, — და მაშინ მწერლის დამოკიდებულება მისადმი როდი იქნება ნეიტრალური.

ქარხნის მეპატრონისათვის გაფიცვა— ეს არის უკანონო ხელყოფა მის საკუთრებასა და შემოსავალზე. მუშისა და მისი ოჯახისათვის გაფიცვა სიკვდილს იცოცხლის საკითხია. ადგილობრივი გაზეთისათვის გაფიცვა საზოგადოებრივი უბედურებაა. ზოგიერთი მომხმარებლისათვის იგი უზერხელობაა; და ასე და ამგვარად. თავისთავად ცხადია, რომ სიმართლე ვაშლი არ არის, რომლის მოწყვეტა ყოველ გამვლელს შეუძლია. სიმართლე ან ერთ მხარეზეა, ან მეორე მხარეზე, და იმისათვის, რომ მწერალმა შესძლოს გაარკვიოს, რაშია სიმართლე, მან უნდა აირჩიოს ან ერთი ან მეორე მხარე. სიმართლე პარტიულია, სიმართლე ნეიტრალური არ არის.

მეორე მაგალითად ავიღოთ ის, თუ როგორ განმარტავენ თანამედროვე ლიტერატურაში ზანგების საკითხს. ოქტავეუს რომი კოენის მიერ შესრულებულ დამკინავ კარიკატურებსა და შირლი გრეხემის მიერ შესრულებულ გამირულ პორტრეტებს შორის მთელი უფსკრულია; შეიძლება ისინი ორივე ლაპარაკობდეს სიმართლეს? შეიძლება ერთდამივე დროს ზანგი იყოს უმეცარი, უგონო ველურიც და მამაცი, ჭკვიანი და ნიჭიერი კაციც? განა საკმაოა უშუალო აღქმა იმისათვის, რომ გავარკვიოთ ზანგების ჩაგვრის ფესვები? თავის

წიგნში — „ზანგების განთავისუფლება“ — პარი პეივული ამბობს:

„ზანგების საკითხი შეერთებულ შტატებში თავისი წარმომოხებით აგრარული საკითხია. ეს საკითხი ეხება ჩაგრული გლეხობის პრობლემას, გლეხობისა, რომელიც ცხოვრობს საბევარო პირობებში, ზედამხედველთა მათრახის ქვეშ, ვალების გამო იმყოფება მონის მდგომარეობაში, განიცდის მიწის ქრონიკულ ნაკლებობას და პირადად დამოკიდებულია სხვებზე, ესე იგი ცხოვრობს პლანტატორული სისტემის, მონათმფლობელობის გადანაშთების პირობებში... მონათმფლობელური ბარბაროსობა მეოცე საუკუნის „განათლებული“ კაპიტალისტური კულტურის ცენტრში — ამერიკული „რასიული პრობლემის“ არსი“.

ეს არ არის საყოველთაოდ აღიარებული შეხედულება ამერიკაში ზანგთა ჩაგრვის მიზეზებზე; ეს არის სპეციფიკური მარქსისტული შეხედულება. მაგრამ განა ეს თვალსაზრისი არ გვაძლევს ზანგთა საკითხის არსის სწორ გაგებას? და განა მწერალს, რომელიც უარყოფს იმას, რომ ზანგები ამერიკაში ცხოვრობენ კოლონიური ხალხის მდგომარეობაში, ნაციონალური ჩაგრვის პირობებში, — შეუძლია შექმნას რეალისტური ნაწარმოები, რა ფაქტებიც არ უნდა გვიჩვენოს ზანგთა ცხოვრებებიდან?

ზანგი მწერალი ქალი ენი პეტრი თავის წიგნში — „ქუჩა“ — სიმპაიით აღწერს ნიუ-იორკის ზანგთა უბანში — ხარლემში მცხოვრები ერთი ზანგი ოჯახის ცხოვრებას. სინიდისიერმა და ნიკიერმა მწერალმა ქალმა მაინც ვერ შესძლო თავისი თემის დაძლევა, რადგან მან ვერ გამოიჩინა ისტორიული გაგება თემისა. იგი ცდილობს თავისი გმირების ყოველმხრივ დახატვას, მაგრამ განიცდის მარცხს, რადგან თავისი გმირების ცხოვრებაში ვერ ხედავს იმედის მცირეოდენ შექსაც კი იმდე-

ნად, რამდენადაც მწერალი ქალი სცოდავს ცხოვრების სიმართლეს. შემაჯოთ, ამდენადვე იგი სცოდავს მხატვრული ფორმის მიმართაც.

უფრო კერძო მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ რიჩარდ რაიტის ავტობიოგრაფიის „შავი ბიჭის“ პირველი ტომიდან. რიჩარდ რაიტი ამ წიგნში ხატავს არასიმპათიურ სახეს თავის პაპასი, რომელიც მას არ უყვარდა. რაიტი გაკვრით იხსენიებს, რომ მოხუცი ყოველთვის დებდა თავისი საწოლის ახლოს გატენილ ძველისძველ თოფს, რათა მზად ყოფილიყო, თუ კვლავ დაიწყებოდა რევოლუტორული რაიტი ამაზე ზიზლით წერს; მაგრამ ეს ჩრდილს აყენებს არა მისი პაპას სახეს, არამედ თვით ავტორს. რა მშვენიერი და ამალელებელი მოსჩანს ეს მებრძოლი მოხუცი ზანგი, რომელსაც იმდენად მტკიცედ სწამს თავისი ხალხის განთავისუფლება, რომ არც დროს და არც ტანჯვას არ შეუძლია შეარყიოს მისი რწმენა! და ამ ერთი მოხუცი ზანგის მგზნებარე რწმენაში რაოდენი სიმართლეა მთელი ზანგი ხალხის ტანჯვისა და იმედის შესახებ! სწორედ ასე, ისტორიულ ასპექტში, უნდა დაეინახოთ სიმართლე; და სწორედ ეს ისტორიული გაგება განიცდის გააფთრებულ თავდასხმებს ამერიკული რეაქციის მხრივ. საქიროა აღინიშნოს, რომ რიჩარდ რაიტი, რომელიც ოდესღაც თვით იყო ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი, გახდა რენეგატი და უშიშარი ადგილი დაიკავა კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის მტრების ბანაკში. მაგრამ, გაიქცა რა დეზერტირად თავისუფლებისათვის მებრძოლთა არმიიდან, მან დაჰკარგა მთელი თავისი სამწერლო ოსტატობა, რასაც დამაჯერებლად მოწმობენ მისი უკანასკნელი თხზულებები.

არც ერთი ადამიანი არ შეიძლება დარჩეს ჩვენი დროის დიადი, ყოვლის-მომცველი სიმართლის მიღმა, და არც ერთ მწერალს არ შეუძლია შექმნას თავისი გმირის მართალი პორტრეტი, თუ იგი თვით არ შეიცნობს ამ სიმართლეს.

— : —

დღევანდელი დღის სინამდვილე განუმეორებელია; იგი მემკვიდრეობითად არის დაკავშირებული გუშინდელი დღის სინამდვილესთან, ისე როგორც თვით იგი მემკვიდრეობითად იქნება დაკავშირებული ხვალისდღელ დღესთან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც არ ეკუთვნის არც გუშინდელ არც ხვალისდღელ დღეს.

იცილება სინამდვილე და უნდა იცვლებოდეს კრიტიკიკობით; არ არის და არც შეიძლება იყოს მარადიული კრიტიკიკობები.

ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში კლასიკური ლიტერატურას უშეებენ და კითხულობენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში, არ ეწინააღმდეგება ამას, რადგან საბჭოთა კავშირში კლასიკური მემკვიდრეობის შეფასება ხდება კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით, ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე, — მატერიალისტური კრიტიკა აღორძინებს ყოველივე საუკეთესოს, რაც შექმნილი იყო წარსულში.

კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს პრომეთეს; იმ დროს, როდესაც მონობა იქნება შორეული და სამწუხარო მოგონება, სპარტაკის სახე წინანდებურად აუღელვებს ადამიანებს გულს. ამაზე კარგად თქვა ვ. ი. ჯერომმა თავის წიგნში „კულტურის როლი სამყაროს შეცვლაში“.

„როცა კირკეგარდის, კაფკის, ჰეიდეგერის და მისთანათა „მკვდრეთით აღდგენის“ აზრს ვამხელთ, ჩვენ არავითარ შემთხვევაში ზურგს არ ვაქცევთ ლიტერატურულ ტრადიციას. ჩვენ,

მარქსისტები, გულმოდგინედ ვიცავთ და ვინახავთ ყოველივე საქმიანობის, რაც კი არსებობს წარსულში, ვინაიდან ჩვენ ვდგევართ ადამიანთა იმ ცოდნის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ურღვევ საძირკველზე, რაც შეიქმნა არა მარტო კაპიტალიზმის დროს, არამედ უფრო ადრეც — ფეოდალურ და მონათმფლობელურ საზოგადოებაში. ჩვენ ვაფასებთ წარსულს დიდ ადამიანებს იმ განძისათვის, რაც მათ შეიტანეს კაცობრიობის პროგრესის საქმეში, და არ ვიყენებთ ისტორიული პირობებით წარმოშობილ მათ შეზღუდულობას დღევანდელი საზოგადოების პორიზონტის შესამცირებლად. მარქსისა და ლენინის კვალდაკვალ ჩვენ ხაზს ვუსვამთ კულტურული განვითარების მემკვიდრეობითობას.

ამ მემკვიდრეობის მიღება ხდება დიალექტიკური მეთოდით შესრულებული კრიტიკული ანალიზით, რაც განსაზღვრავს იმას, თუ რა უნდა მივიღოთ და რა უნდა უარვყოთ. და ამიტომ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაში შედის ის, რაც დაგროვილია საუკუნეებით, რაც ხელს უწყობს სინამდვილის გაგების გაფართოებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი შეგნების განვითარებას პროგრესის გზით. და ამიტომ კულტურული მემკვიდრეობისათვის ბრძოლა ჩვენთვის განუყოფელია ხალხის მომავალი მონაპოვარისათვის ბრძოლისაგან. ჩვენს ბრძოლაში ჩვენ უნდა დავიცვათ და შევინახოთ ყოველივე საუკეთესო, რაც იყო შექმნილი წარსულში“.

— : —

ლენინი ამბობს: „კლასება ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, მათი დამოკიდებუ-

ლებით (მეტ წილად კანონებში ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ დამოკიდებულებით) წარმოების საშუალებებთან, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, მაშასადამე, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ ნაწილის მიღების წესითა და ოდენობით, რაც მათ გააჩნიათ. კლასები, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა, საზოგადოებრივი მეურნეობის განსაზღვრულ წყობაში მათი ადგილების სხვადასხვაობის მეშვეობით“.

მარქსისტები აღიარებენ, რომ მთელი ისტორია, რასაც ჩვენამდე წერილობითი წყაროებით მოუღწევია, დაწყებული ცივილიზაციის განთიადიდან, არის კლასთა ბრძოლის ისტორია. ისინი ცნობენ, რომ შეიძლება კლასთა ბრძოლის მეცნიერული ახსნა, და მისი ისტორია გაყოფილია სამ ისტორიულ ფაზად — მონათფლობელურ, ფეოდალურ და კაპიტალისტურ ფაზად; თითოეულ ამ ფაზაში კლასების ურთიერთობა განისაზღვრება საწარმოო ძალების დონით. მარქსისტები აღიარებენ, რომ კაპიტალიზმი ადგილს დაუთმობს სოციალიზმს, რომლის უმაღლესი სტადია არის კომუნისმი, და კლასობრივ ჩაგვრას ბოლოს მოუღებს მუშათა კლასი, ერთადერთი კლასი, რომელსაც შესწევს უნარი გაათავისუფლოს თავისთავი და ერთხელ და სამუდამოდ კაცობრიობა იხსნას კლასობრივი ექსპლოატაციის ყველა ბოროტებისაგან. მარქსისტები აღიარებენ, რომ იმას, რასაც ენგელსი კაცობრიობის წინაისტორიას უწოდებდა, ბოლო მოეღება კომუნისტური პარტიის — მუშათა კლასის პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

თუ წერილობითი წყაროებით ჩვენამდე მოღწეული მთელი ისტორია არის კლასების ისტორია, მთელი ლიტერატურა, გარდა სოციალისტური სა-

ზოგადოების ლიტერატურისა, არის კლასობრივი ლიტერატურა. ჩვენამდე აც ყოველი ქვეყნის განატრეხულ იდეოლოგიას წარმოადგენს გაბატონებული კლასის იდეოლოგია, ბუნებრივია, რომ ამ ქვეყნის ლიტერატურის დიდმა ნაწილმა უნდა ასახოს ეს იდეოლოგია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის დროს არ შეიძლება იყოს პროტესტის ლიტერატურა: პირიქით, კაპიტალიზმი წარმოშობს საკმაოდ ვრცელ ლიტერატურას, რომელიც პროტესტს გამოხატავს უშუალოდ ან ქარაგმულად — სატირის ფორმაში. მაგრამ ეს ლიტერატურა არ შეიძლება იყოს გაბატონებული მიმართულება კაპიტალისტური საზოგადოების ლიტერატურაში.

ალბერტ მალცი თავის წერილში — „მწერალი — ხალხის სინიდისი“ — ამბობს:

„ლიტერატურის ისტორიაში სჭარბობენ ის მწერლები, რომლებმაც თავიანთ ცხოვრებასა და შემოქმედებაში გამოიჩინეს გულშემატკივრობა და სიყვარული ადამიანებისადმი, და არა ის მწერლები, რომლებიც ადამიანების მიმართ იჩენენ ცინიზმს; სჭარბობენ ისეთი მწერლები, რომლებიც აშკარად ემხრობოდნენ თავის მოწინავე, ზოგჯერ რადიკალურ საზოგადოებრივ მოძრაობასაც კი. ისინი არ შეადგენენ ლიტერატურის მთელ ისტორიას, მაგრამ განსაზღვრავენ მის ძირითად ტენდენციას. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მწერლები, ისე როგორც ყველა ადამიანი, ეხმარებიან სხვა ადამიანების ტანჯვას. რა მასალა უნდა გამოიყენოს მწერალმა, თუ არა თავის მოქმეთა ცხოვრება? და თუ მას მგრძნობიარე გული, მახვილი გონება და გამჭრიახი თვალი აქვს, როგორ შეუძლია გვერდი აუქციოს არასრულყოფილი ქვეყნის გამოხატვას ან ამოიგლიჯოს გულიდან მისწრაფება მისი გაუმჯობესებისა?“

ეს მგზნებარედ და გულწრფელად არის ნათქვამი; მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. იყო მრავალი მწერალი როგორც ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებში, რომლებიც „იჩენდნენ გულშემატკივრობასა და სიყვარულს ადამიანების მიმართ“, მაგრამ ისინი არასდროს არ განსაზღვრავდნენ განვითარებული კაპიტალიზმის ლიტერატურის ძირითად ტენდენციას, და ახლა ისინი ძლიერ ცოტანი არიან. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ თანამედროვე ამერიკის ლიტერატურას განსაზღვრავენ ის მწერლები, რომლებიც იჩენენ სიყვარულს ყოველის შემდეგ დოლარისადმი და გულშემატკივრობას საკუთარი ტყავისადმი.

მე არ ვიცი, რამდენად მგრძობიარეა მათი გული და რამდენად მახვილია მათი გონება, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ მათ ნაწარმოებებს — რომანია ის თუ პიესა, კინოფილმი თუ რადიოგადაცემა, — გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, — არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ ნამდვილი ქვეყნისადმი, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, და სიმართლისადმი იმ ძალების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ ამ ქვეყანაში.

თუმცა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წარსულში უფრო მეტი მწერალი, ვიდრე ახლა, ცდილობდა შეხებოდა სინამდვილეს, მაგრამ ისინი ყოველთვის უმცირესობაში მყოფი შეამბოხენი იყვნენ, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის სდევნიდნენ. ალბერტ მალცი უფრო ახლოს იქნებოდა ქეშმარიტებასთან, რომ ვთქვა, რომ ამ მწერლების წიგნები, მიუხედავად მათი შედარებითი მცირერიცხოვნებისა, არამეტოე ცოცხლობენ, არამედ დროთა ვითარებაში ამარცხებენ ლიტერატურულ ნაგავს, — როგორც ამას ეხედეთ „რკინის ქუსლის“ მაგალითზე, რომელსაც აქამდე კითხულობენ და ხშირად უშეებენ ახალ-ახალ გამოცემად; ეს იმ დროს, როდესაც „მის

კვალდაკვალ“, რომელიც პირველი გამოცემისას ათეული მილიონების ღირებულებად გავრცელდა, დღეს უკვლავსაგან დავიწყებულა.

„სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, — ამბობს მალცი, — მწერლები, ისე როგორც ყველა ადამიანი, ეხმარებიან სხვა ადამიანების ტანჯვას. რა მასალა უნდა გამოიყენოს მწერალმა, თუ არა თავის მოძმეთა ცხოვრება?“

საუბედუროდ, ეს არც ასე იოლად და უბრალოდ ხდება. თორემ ამერიკელი ლიტერატურა დღეს არ გადიქცეოდა დამყაყებულ ჰაობად. საქმე ეხება არა მარტო მოძმეთა ცხოვრების გამოყენებას მასალად, არამედ იმას, რომ ეს ცხოვრება დაინახოთ რეალური სინამდვილის ასპექტში. სწორედ ამით განსხვავდება ხელოვნება სენტიმენტალური ჩმახვისაგან, რასაც რადიოგადაცემებსა, კინოფილმებსა და რომანებში ცხოვრების გამოსახვად ასალებენ.

მე იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ დღეს სინამდვილის შეცნობა უფრო ძნელია, ვიდრე წარსულში იყო; მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს ახალ სინამდვილესთან. ჩვენ ვცხოვრობთ კლასობრივი საზოგადოების დასასრულის ისტორიულ ეპოქაში. საქმე ეხება არა ახალ ექსპლოატატორულ კლასს, რომელიც იბრძვის მიხრწნილი, დრომოკმული კლასის წინააღმდეგ; საქმე ეხება არა პროგრესულ კაპიტალიზმს, რომელიც იბრძვის ფეოდალიზმის მოსასპობად. საქმე ეხება მუშათა კლასს, რომელიც აიღებს რა ხელში სახელმწიფო ძალაუფლებას და გაიყოლებს რა თავის გზაზე ხალხის ფართო მასებს, ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს კლასობრივ საზოგადოებას; საქმე ეხება არა რაღაც გაურკვეველ მომავალს, რომელიც დადგება ათი ან ორმოცდაათი წლის შემდეგ, — არამედ ეს მომავალი უკვე ცოცხლობს აწმყოში.

შეხედეთ ისტორიის მსვლელობას იმ ოცდათორმეტი წლის განმავლობაში,

რომელიც გავიდა 1917 წლიდან. მანამდე დედამიწის ზურგზე არსად არ ყოფილა სოციალისტური საზოგადოება. 220 მილიონი ადამიანი საბჭოთა კავშირში და 60 მილიონი ადამიანი აღმოსავლეთ ევროპაში ცხოვრობს სოციალიზმის პირობებში ან სოციალიზმზე გადასვლის პირობებში. მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის სოციალიზმისაკენ. ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მალაის ნახევარკუნძულზე, ინდონეზიაში, ინდოეთში, საბერძნეთში სათავეში უდგანან კომუნისტები. საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტური პარტიები — ამ ქვეყნების უდიდესი პარტიებია. 20 მილიონზე¹ მეტი ადამიანი არის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიური, წევრი, ასეული მილიონი ადამიანი მიჰყვება მათ.

თუ სამი ათეული წლის წინათ ვერც ტერორმა, ვერც იმპერიალიზმის შეიარაღებულმა ძლიერებამ ვერ შესძლო მოესპო მარქსისტები, ახლა მარქსისტების გამარჯვება გარდუვალია. ყველა ისტორიულ ეპოქათა შორის — კაპიტალიზმის ეპოქა ყველაზე ხანმოკლეა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წინააღმდეგობანი, რომლებიც აჩანაგებენ მას, მეტად მწვავე და აშკარაა. და თანამედროვეობის ძირითადად, გარდუვალ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ კაპიტალიზმი ჩამოდის ისტორიის სცენიდან და მის ნაცვლად ადის უკლასო საზოგადოება.

ასეთია ჩვენი დროის სინამდვილე, და მას განსაზღვრავს ძლიერი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა კავშირი არსებობს, და ვერაუთარი ძალა დედამიწის ზურგზე ვერ შესცვლის მისი არსებობის ფაქტს.

ოცდაათი წლის წინათ, რეჟესესე-კლანკოლნ სტედენსმა ინახუდუდსსწრქმმეტირი, მან სთქვა: „მე ვნახე მომავალი; ის გზას იკაფავს“. ახლა შეიძლება ითქვას: „მე ვნახე მომავალი, ის გარდუვალია“.

აზრი იმ სიძულვილისა, რასაც საბჭოთა კავშირისა და კომუნისმისადმი იჩენენ, მდგომარეობას ამ მომავლის უარყოფაში. საბჭოთა კავშირისა და კომუნისმის მტრები — ლიტერატურისა და ყოველგვარი ხელოვნების მოსისხლე მტრებია — არა მარტო იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ რეაქციას, არამედ იმიტომაც, რომ ისინი უარყოფენ იმ ძირითადს, რაც განსაზღვრავს თანამედროვეობის სოციალურ სინამდვილეს.

უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ დღეს არ შეიძლება სინამდვილის შეცნობა თუ აშკარად არ ჩადგებით ანტიფაშისტური ძალების რიგებში. ის კამპანია, რომელიც ომის შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმმა დაიწყო საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და კოლონიური ხალხების ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, უცილობლად ასაბუთებს იმას, რომ სიმართლე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ მხარეზე. როდესაც გამოცხადდა ტრუმენის დოქტრინა და მოქმედება დაიწყო მარშალის გეგმა, როდესაც „ატომური ბომბი“ იქცა ამერიკის ახალ „ოქროს სტანდარტად“ და დაიწყო სახელმწიფო მოსამსახურეთა „ლოიალურობის“ შემოწმება, როდესაც ამერიკა ერთ ხელში ატლანტიკის პაქტით და მეორე ხელში ატომური ბომბით, — დაადგა ფაშისმის დამლუპველ გზას, ამერიკის კულტურა საბოლოოდ იქცა იმპერიალისტური რეაქციის სარკედ. და ამ კულტურაში უკვე აღარ არის ადგილი არც სიმართლისათვის და არც სინამდვილისათვის.

1. ავტორის მიერ წერილის ამ ნაწილში მოყვანილი ციფრები არა ზუსტია („ნოვე მირის“ რედაქციის შენიშვნა).

— :: —

აქ მე საჭიროდ მიმანია შევეხო რეალისტურ მეთოდის საკითხს ლიტერატურაში და შევეცადო განვსაზღვრო რა იგულისხმება ბურჟუაზიულ რეალიზმში და რა იგულისხმება სოციალისტურ რეალიზმში.

ლიტერატურის კრიტიკოსები, როგორც ყოველგვარი კრიტიკოსები, ხშირად იმით კმაყოფილდებიან, რომ ყველაფერს აკრავენ იზრლიყს; მათ უყვართ სახელწოდებები, ეტიკეტები და კათეგორიები, დიდი სკოლები და პატარა სკოლები. ერთს ისინი უწოდებენ ემპისტენციალისტს, მეორეს — ნატურალისტს, მესამეს — ჰემანისტს, მეოთხეს — სურეალისტს და ასე და ამგვარად დაუსრულებლივ. საერთო შეხედულებით, ასეთი მრავალმხრივი და „ღრმა“ ანალიზი ნამდვილად არის მხოლოდ ფანდი, რაც იმას ემსახურება, რომ თავი დაიღწიონ პასუხისმგებლობას დამოუკიდებელი და ლოგიკური აზროვნებისათვის. ეს არის მაღალფარდოვანი ფრაზიორული აბდაუბდა, რის მეოხებითაც სინამდვილე შეცვლილია მაგიური და მისტკური ფორმულებით. ასეთი მწერლების შესახებ ვ. ი. ჯერომი თავის წიგნში — „კულტურის როლი სამყაროს შეცვლაში“ სწერდა:

„ბურჟუაზია ცდილობს თავის სამსახურში ჩაიყენოს კულტურული ძალები ვითომდა არაკლასობრივ საფუძველზე. მმართველი კლასი ისწრაფვის დაუმალოს მასებს ნამდვილი ურთიერთდამოკიდებულება კულტურასა და საზოგადოებას შორის და ამ მიზნით იგი ტყუილს ფსევდოფილოსოფიური ფრაზეოლოგიის აბლაბუდაში ხეივს. ლიტერატურაში — და საერთოდ ხელოვნებაში, სადაც ფორმა ასე დიდ როლს ასრულებს, ბურჟუაზიული ცრუფილოსოფია უფრო ადვილად იქი-

დებს ფეხს, ვიდრე კულტურის სხვა დარგებში. იმის საჭიროებას, რომ ლოგიკური გამართლება მოუხაზონ მრავალმხრივად საზოგადოებრივ წყობილებას, და მარქსისტულ კრიტიკის სულ უფრო და უფრო მძლავრი შეტევა თანამედროვე ცხოვრებისა და აზრის ყველა სფეროში — ბურჟუაზიას აიძულებს მეტი თავგამოდებით იქადაგოს იდეალიზმი, რასაც ფარავს ორანჯოვანი, კომპრომისული „ნეიტრალური“ ფილოსოფიური თეორიებით, როგორცაა, მაგალითად: პრაგმატიზმი, ინსტრუმენტალიზმი, ლოგიკური პოზიტივიზმი და ასე შემდეგ“.

ლიტერატურის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ მწერლები, რომელთაც უნარი არ შესწევთ, არ სურთ ან ეშინათ გაუმართონ ბრძოლა სინამდვილეს, თავიანთ შემოქმედებას აშორებენ ცხოვრებას და, ილია ერენბურგის სიტყვებით რომ ვთქვათ, იქცევიან სიზმრების ფაბრიკად. მაგრამ ხელოვნება არასდროს არ იქმნებოდა სიზმრებისაგან; დიდი და უპკნობი ხელოვნება ყოველთვის იყო ანარეკლი რეალური სინამდვილისა, მხატვრის გენიით განზოგადებულისა და გარდაქმნილისა.

გარდა რეალისტური მეთოდისა, არ არის სხვა მეთოდი, რომლითაც შეიძლება ბოდეხს ნამდვილი ხელოვნების შექმნა.

მწერალმა უნდა შეარჩიოს ფაქტები; ცხოვრების ფართო ტილოსაგან ფაქტების ეს შერჩევა, რომლის შედეგად ქალაქზე იწერება სიტყვათა პუკარები, არის სწორედ ის, რასაც ლიტერატურაში ეწოდება შემოქმედებითი პროცესი. შერჩევის ამ პროცესს განსაზღვრავს მწერლის მხატვრი აზროვნება, სტილი და — უწინარეს ყოველისა — მსოფლმხედველობა.

არცერთი მწერალი არ იმეორებს ბუნებას; ეს შეუძლებელია. მწერალი,

რომელიც თავის ამოცანად დაისახავს მიჰყვეს კვალდაკვალ კაცს თუნდაც ერთ დღეს — გადაიტანოს ქალაღზე ყველაფერი, რაც შეემთხვა ამ კაცს ამ ერთ დღეს, ყველაფერი, რითაც გართული იყო მისი აზრი, ყველაფერი, რაც მან ნახა, გასინჯა, შეიგრძნო, შეამჩნია, ყველაფერი, რაც მან სთქვა, ყველაფერი, რაც მან მოიგონა, — ასეთი მწერალი ასეულ ფურცელ ქალაღს გაავსებს და ვერ დაამთავრებს თავის შრომას; რომც შესძლოს თავისი შრომის ბოლომდე მიყვანა, ეს იქნებოდა არა ხელოვნების ნაწარმოები, არამედ უმნიშვნელო და უაზრო მენამეცეობა.

რეალიზმს არაფერი აქვს საერთო ხელოვნებისადმი გაუბრალოებულ, მექანიკურ მიდგომასთან, რაც ხელოვნებას აცლის ყოველივე ცოცხალ ელემენტს უაღმაფრენო ცრურეალიზმის გულისათვის. რეალიზმი არ არის უნიჭობის ან ტექნიკური უსუსურობის გამართლება. რეალიზმი — ეს არ არის თხუნელას მიერ მიწის თხრა; ეს არ არის მდიდარი და ხატოვანი ხალხური ენის შეცვლა ბულვარული გაზეთების მყვირალა და უაზრო ვარგონით; ეს არ არის ბორკილები, რასაც „შემარცხენები“ აღებენ ხელოვნებას; ეს არ არის მხატვრული აღლოს შეცვლა ღოგმებით, ლექსებისა — ლათიებით, შთაგონებული შემოქმედებისა — მხამზარეული ნიმუშებით. რეალიზმი — ეს არ არის შემოქმედებითი გააზრების შეცვლა ფაქტების შეჯამებით, არც მათი მექანიკური შერჩევით. რეალიზმი არ არის სიყვარულის, სინაზის და გრძნობის მტერი, — უმაღლივი მათი მსახურია.

რეალიზმი — ეს არის თვით ცხოვრების არეკლა ლიტერატურაში. ეს არის კიბე, რომელსაც ვარსკვლავებისაკენ აყვავართ; ის არის გზა ისეთი ხელოვნებისაკენ, რომელიც ადამიანმა არასდროს არ იცოდა და რომელზედაც მას არასდროს არ უოცნებია. შეი-

ძლება განა მწერალი იყოს იმდენად ბეცი, რომ დაეჭედეს იმაში, რომ ეცობრიობა, რომელმაც ფაქტებისა და კმნა ისეთი გაციკროვნებული მოპავალი, რაზედაც ადამიანები ფიქრსაც კი ვერ ბედავდნენ, — შექმნის ადამიანის სახელოვან გამარჯვებათა ღირსეულ ლიტერატურას?

თანამედროვე ამერიკის პოეზია „დახეწილი“ და უშინაარსო ხმაურია, ასეთივეა კრიტიკაც. მაგრამ თუ პოეზიიდან გადავალთ პროზაზე, პროზიდან თეატრზე, შემდეგ კინოზე და რადიოზე — ყველგან ენახავთ იმავე დაცემულობას უფრო აშკარა და უხვეშ ფორმაში.

იბეჭდება რომანი, და გამოცემული ჯერ კიდევ მის გამოსულამდე აცხადებს „პაბლიშერს უიკლიში“, რომ ეს წიგნი იქნება დიდი მოვლენა; იგი უკვე არჩეულია წიგნის რომელიმე კლუბის მიერ; მისი რეკლამისათვის გადაღებულია ათი ათასი დოლარი; მას ყოველმხრივ გაახმაურებენ; ის იქნება ერთი პირველთაგანი „ბესტ-სელლერში“. ასეთი რეკლამის შედეგად კრიტიკოსების უმეტესობა — და ზოგჯერ ყველა ბურჟუაზიული კრიტიკოსი — იწყებს ამ წიგნის კება-დიდებას. ყოველ კრიტიკოსს სურს გაუსწროს თავის მოქიშპებებს, და ყოველი შემდგომ გამოსული კრიტიკოსი ცდილობს უფრო დიდი ხობა შეასხას წიგნს, რადგან ცნობილია, მაგალითად, რომ კლიფტონ ფელიმენს შეუძლია უწოდოს ამ რომანს ჩვენი დროის უდიდესი წიგნი, როგორც არაერთხელ უწოდა მან ასე სხვა წიგნებს. ისეთმა სიტყვებმა, როგორცაა „შშვენიერი“, „დიდებული“, „ბრწყინვალე“, „მონუმენტური“ და სხვ. დაპყარგეს ყოველგვარი აზრი, ასეთი შტამპები, როგორცაა „ყურადღების ღირსი ნაწარმოებია“, უკვე აღარავის აკმაყოფილებს. ყველა გაფაციცებით ეძებს ახალ სიტყვებს მდარე ხარისხის, პორნოგრაფიული, ფსევდოისტორიული

ბოდვის შესაქებად, ყოველივე იმის შესაქებად, რითაც ავსებულა დღეს ამერიკის წიგნის ბაზარი. ყოველგვარი წარმოდგენა ხარისხზე ქრება.

მაგალითად, ქრისტესა და მის თანამედროვეებზე არსებულ უამრავ წიგნთა შორის მორიგ წიგნს გამოიმკვმელი ასე უკეთებს რეკლამას „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე:

„ამერიკელ მეთხველებს ვთავაზობთ რომანს ბარაბისა და ქრისტეს წინაშე მისი მგზნებარე აღსარების შესახებ; ეს ბიბლიური ისტორიის უდიდესი წარმოსახვაა, კანადის კრიტიკოსების მიერ აღიარებული „კეთილშობილ, ბრძნულ და მაღალმატერულ წიგნად“, რომელიც თვით „დიდ მეთევზესაც“ კი სჯობნის“.

მეტი რაღა ითქმის! „დიდი მეთევზე“ უხამსი და ვულგარული რომანია ერთ-ერთი მოციქულის შესახებ, ყოველი მორწმუნე კაცის შეურაცხყოფელი. და როგორც ვხედავთ, მას მეორე ადგილი უჭირავს „ბესტ-სილლერის“ სიაში. ეს წიგნიც ასეთივე გამოთქმებით შეაქვს.

ამ უგონობაში არის თავისი სისტემა. იმ კრიტიკიდან, რომელიც ყველას აჯობებს ზოტბის შესხმაში, ალბათ, ციტატებს მოიყვანენ დიდ რეკლამებში; ხოლო ის, ვისი კრიტიკიდანაც ციტატები მოჰყავთ, უკვე ცნობილი პირია. გარდა ამისა, გამოიმკვმლებს, რომლებიც ბევრ ფულს ხარჯავენ რეკლამებზე, არ უყვართ მსჯავრის დამდები და მგმობელი კრიტიკა. — ცხადია, თუ საქმე არ ეხება პროგრესული ან კომუნისტი მწერალის ნაწარმოებებს. „ამ თვის საუკეთესო წიგნის კვლების“ მეოხებით და სხვა ზერხებით, რასაც სიმდიდრე და დიდება მოაქვს, შექმნილია არა მოკრიტიკე კრიტიკოსთა მთელი იერარქიამათი ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ გაიგონ ლიტერატურა, არამედ იმაში, რომ იეპკონ ლიტერატურით; ასე-

დაც იქცევიან.

მაგრამ ამას საფუძველზე უდევს კულტურის დონის დამაბრუნებელი სინამდვილისაგან მოწყვეტა.

ამერიკის მმართველი კლასი, რომლის გაფაშისტება ძლიერ სწრაფად მიმდინარეობს, ცდილობს გარდაქმნას მთელი ამერიკული კულტურა მსგავსად თავის სახიერებისა, რაც არავითარ შემთხვევაში მიმზიდველი არ არის. ჩვენი დროის სოციალური სინამდვილის ძირითად შინაარსს—სოციალიზმზე გადასვლას, ამ უდიდეს სიკეთეს იმ სიკეთეთა შორის, რაც კი ოდესმე სცოდნია კაცობრიობას, — გაცოფებული პროპაგანდის მეოხებით აცხადებენ ბოროტებად; მაგრამ, რაკი კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობა იგრძნობა ცხოვრების ყველა სფეროში, აქაც, ამერიკაშიც, ამერიკის მმართველი კლასისათვის საქულველი გახდა ცხოვრების ყველა სფერო. აკრძალვა ვრცელდება თვით ცხოვრებაზეც, და ლიტერატურას აიძულებენ უარი თქვას თავისი ძალების ერთადერთ წყაროზე.

შეუძლია თუ არა მხატვარს იყოს რეალისტი ასეთ პირობებში, ან როგორი უნდა იყოს რეალიზმი ჩვენს ლიტერატურაში? ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტოთ ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული კრიტერიუმების საფუძველზე. ამისათვის ჩვენ არა მარტო უნდა უარვყოთ, არამედ უღმობლად უნდა ვამხილოთ ყალბი, მახინჯი კრიტერიუმები, რომლებიც მოქმედებენ თანამედროვე ამერიკაში, — როგორც ლიტერატურული ჟურნალების გაფაქიზებულ ატმოსფეროში, ისე „დიდი ბიზნესის“ მკეთებელ გამოიმკვმლობათა უფრო უხეშ გარემოში.

— : —

რეალიზმის ერთ-ერთი ყველაზე არასწორი განმარტება მდგომარეობს იმაში, რომ მთელ პრობლემას აქცევენ მხოლოდ ფორმის პრობლემად, — შინა-

არსს კი საეხებით უგულვებელყოფენ. ისე არაფერი არ აბუნდოვანებს ამ საკითხს, როგორც ასეთი ფორმალისტური შეხედულება ლიტერატურაზე; ეს შეხედულება ავულგარულებს თვით ცნებას — „რეალიზმი“. რეალიზმი — ეს არის მრავალი ფაქტიდან ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ი მ ა რ თ ლ ი ს გამოყვანა, ამ სიმართლის განსახიერება როგორც საერთო განაზრწი, ისე დეტალებშიაც; ეს სრულიადაც არ არის მწერლის მიერ არჩეული სტილისა და ფორმის საკითხი, თუ სტილი, ფორმა, ტექნიკა — უწოდეთ როგორც ესურთ — გამოყენებულია შინაგანი სიცილიერისა და ცხოვრების უცოდინარობის დასაფარავად, მაშინ თვით ფორმა აუცილებლად ირღვევა. ეს არსად ისე თვალნათლივ არ გამომკვლავნებულა, როგორც ირვინ შოუს შემოქმედებაში, ამ მეტად ნაყოფიერი მწერლის შემოქმედებაში, რომელმაც შესძლო თითქმის ყველა თავის წიგნში მდუმარებით აევილო გვერდი სინამდვილის პრობლემათის. ირვინ შოუმ დაიწყო მართალი პიესით — „დამარხეთ მკვდრები“ და მოთხრობით „მეხლეაური ბრემენიდან“, რომელშიაც მან გვიჩვენა ფაშიზმის სიმხეცე და თვითნებობა. მაგრამ შემდეგ, ალბათ, აღმოაჩინა, რომ დიალოგის აგების ხერხი და სტილისტურა ვირტუოზობა მას მეტ შემოსაყალს მისცემს, თუ შეუდგება შემოქმედებას ისე, თითქოს დროისა და სივრცის გარეშე იყოს. მისი კალმიდან გამოდის მოთხრობა მოთხრობაზე, პიესა პიესაზე, დიდი სამხედრო რომანიც, მაგრამ რამდენადაც უმნიშვნელო ხდება შინაარსი, იმდენად სწრაფად ირღვევა ფორმა. ვინაიდან ირვინ შოუ ადამიანებზე სწერს ისე, რომ ნამდვილად არც კი გაეგება ადამიანები, მას სულ უფრო და უფრო უძნელდება ცოცხალი ადამიანების იმედების, შიშისა და თვით მათი მეტყველების გამოსახვა. ეს ძალიან სამწუხაროა, იმიტომ, რომ ირვინ

შოუს გააჩნია დიდი ნიჭი და ის გაქვრიახი ხედავ, რაზედაც უფრო უფლებად ალბერტ მალიცი. საუბრებშიც კი უფრო ცოტაა, და თუ ირვინ შოუ არ მიუბრუნდება რეალურ სამყაროს, რომელშიაც ის ცხოვრობს, აუცილებლად დაადგება უნაყოფობის იმ გზას, რომელსაც უკვე მოჰყვება სტეინბეკი.

ფორმისა და შინაარსის ერთიანობა — რეალიზმის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, აქ არის აგრეთვე ვულგარიზაციაში გადავარდნის დიდი საშიშროება, რადგან სრულიად არ არის სწორი ის, რომ შინაარსი ავტომატურად განსაზღვრავს ფორმას. ისეთი მწერალი, როგორც ირვინ შოუა, — ლიტერატურული ფორმის ვირტუოზია, მაგრამ ტექნიკური ოსტატობა ჯერ კიდევ არ არის ხელოვნება, და მართო ტექნიკური ოსტატობით არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების შექმნა. ექვს გარეშეა, რომ მხატვრული ნაწარმოები წარმოუდგენელია ტექნიკური ოსტატობის გარკვეული დონის გარეშე; მაგრამ ტექნიკა, ისე როგორც სინამდვილის გაგება, შეიძლება იდგეს სხვადასხვა დონეზე. და მათ, ვისაც ორივე ეს თვისება გააჩნია უდიდესი ძალით, ჩვენ ვუწოდებთ გენიოსებს.

მარქსისტები არ უარყოფენ ფორმას, რადგან მათ რომ ფორმა უარყონ, მაშინ ხელოვნებაც უნდა უარყონ. ჩვენ უარყოფთ მხოლოდ შინაარსის შეცოლას ფორმით, ფორმის იდეალიზაციას; ჩვენ უარყოფთ ფორმის წინაშე წერილმან, უმეცარ ქედისმოხრას, ფორმის რაღაც მისტიკური კულტის შექმნას; ამას ჩვენ კატეგორიულად უარყოფთ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ფორმას არ აქვს შინაარსისაგან განცალკევებული არსებობის უფლება, ისე როგორც ადამიანის კანს არ შეუძლია სიცოცხლე და სუნთქვა, თუ მის შიგნით არ იმალება ადამიანის კუნთები, ნერვები და სისხლი.

ინგლისური და ამერიკული ლიტე-

რატურის ისტორიაში არასდროს ისე მკვეთრი არ ყოფილა ფორმალიზმის სიბტომები, როგორც უკანასკნელ ათწლეულშია. გულუბრყვილო გაუბრალოება იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ თითქოს რომელიღაც რეაქციონერები თავს იყრიან თათბირზე და ადგენენ: — შემოღებულ იქნას ფორმალიზმი; ასევე გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რეაქციონერთა რამდენიმედ საგრძნობ რაოდენობას საერთოდ გაეგებოდეს ფორმალიზმის პრობლემა. იმისათვის, რომ მიესალმონ ფორმალიზმს და განდევნონ და შეავიწროონ რეალიზმი, რეაქციონერებისათვის არ არის საჭირო გაეგებოდეს, თუ რა არის ფორმალიზმი; რადგან თვით ცხოვრება უკანასკნელს მათ ამას. სწორედ იმიტომ, რომ ბურჟუაზიულმა წყობილებამ წარმოშვა მუშათა კლასი, რომელიც აუცილებლად მოსპობს ამ წყობილებას, — რეალიზმში იმალება მუქარა მმართველი კლასისათვის; სოციალიზმის ძალების ზრდასთან ერთად იზრდება მუქარაც, ამიტომ რეალიზმს კრძალავენ. ფორმალიზმი მოქმედობს როგორც გამაბრუებელი საშუალება „ახალ პოეზიაშიც“, ახალ „ბესტ-სელლერშიც“ და იმ სისაძაგლეშიც, რასაც პოლიუდი კინოფილმებად ასაღებს. ფორმალიზმი დაიწინებთ გაურბის ცხოვრებას და ამით იგი ასუსტებს ხალხის წინააღმდეგობის ძალას, იგი ცდილობს დააბნიოს ხალხი; იგი არღვევს ზელოვნებას და, მაშასადამე, არღვევს ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას, რომლითაც ხალხს შეუძლია შეიცინოს სიმაართე.

ფორმალიზმი — ეს მარტო ლიტერატურული პრობლემა როდია; ეს რომ ასე იყოს, მაშინ მხატვარსა და მოქალაქეს შეეძლო ცალ-ცალკე არსებობა. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მწერალი ტორო განცალკევებული მოქალაქე ტოროსაგან; ასევე შეიძლება ითქვას ბრაინტზე, ემერსონზე, უიტმენზე, ლონდონზე, ფრანკ ნორისზე და ბევრ

სხვაზე. ფორმალიზმის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი განუხრებლად მიისწრაფის მხატვარ-ლიტერატორს მოქალაქეს. ხოლო მწერალი, რომელიც აღარ არის მოქალაქე, აუცილებლად აღარც მხატვარია.

თანამედროვე ამერიკელ მწერალს, — მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, — ბირად ცხოვრებაში, მეშობაში, პოლიტიკურ მოღვაწეობაში მხოლოდ ერთი რამ სურს: დაამტკიცოს, რომ ის არ არის კომუნისტი, რომ ის აზროვნობს არა კომუნისტურად, ხოლო ეს ჩვეულებრივად იმას ნიშნავს, რომ იგი საერთოდ არ აზროვნობს. ამ ცოტახნის წინათ გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა თქვა უილიამ საროიანზე: „იგი სწერს ღარიბებზე მდიდრებისათვის“. ეს სიტყვები სავსებით უდგება ჯონ დოს-პასოს, ერთ-ერთ „ყოფილ კომუნისტს“, კაპიტალიზმის წინაშე ახლანდელი მლიქვნელი ამერიკელი ინტელიგენციის ტიპურ ფიგურას.

დიდი ხნის წინათ დოს-პასოსი თავის თავს თვლიდა პროგრესულ მწერლად; მას შემდეგ მან გაიარა პოლიტიკური რენეგატისა და შემოქმედებითი გადაგვარების ფრიალ საგულისხმო და ტიპიური გზა. მისი უკანასკნელი წიგნი „დიდი გეგმები“ ეხება რუზეველტის „ახალს კურსს“. მთელი წიგნი გამსჭვალულია გაცოფებული, პათოლოგიური სიძულვილით ახალი კურსის მოღვაწეებისადმი; პროგრესის მცირეოდენი ნიშანიც კი ააფთრებს დოს-პასოსს. აშკარა ფაშიზმად გადაქცეულმა ამერიკელმა რეაქციამ, კათოლიციზმმა და შეასაუფუნებრივმა ბნელეთის მოციქულობამ გაიკვლიეს გზა მისტერ დოს-პასოსის გულისაკენ, — და ზოგიერთ კონსერვატორ კრიტიკოსსაც კი გაუძნელდა მისი ახალი ნაწარმოების მონელება. იძულებული გახდნენ ელიტრებიანთ, რომ იოს-პასოსმა უსაძაგლესი წიგნი დასწერა.

გაეიხსენოთ ერსკინ კოლდუელის შე-

მოქმედება ოცდაათიან წლებში: „აქრი უფალი ღმერთისა“ — ნიჭიერად დაწერილი წიგნია, მიუხედავად ყველა მისი ნაკლოვანებისა; არ შეიძლება და ასეთი წიგნის დაწერა, თუ ავტორი პროგრესული მოძრაობიდან შორს იქნებოდა. მაშინ მხატვარი და მოქალაქე შედუღებული იყო, რამაც წარმოშვა ფორმისა და შინაარსის შედუღება.

დაახლოებით იმავე დროს კოლდუელმა დასწერა მოთხრობა „კენდიმენ ბიჩემი“ — ზანგი მუშის შესახებ, მუშისა, რომელიც კვირის დამლევს ჯიბეში ჩაიწყობს მიღებულ ხელფასს და მიემგზავრება ქალაქში, რათა დრო გაატაროს თავის გოგოსთან და ცოტა კიდევ გადაჰკრას. კოლდუელი კარგად აღწერს ამ კაცის ჯანმრთელობასა და დონეს, მის ენერგიასა და ხალისიანობას. ზანგი ჩადის ქალაქში, შედის სამიკიტნოში, — და აქ, სრულიად უშიზოდ, შერიფი ჰკლავს მას. ამ უაზრო ტრაგიკული სიკვდილის სურათში კოლდუელმა შესძლო გადმოეცა ზანგის რწმენა საბოლოო გამარჯვებისა, ზანგი ხალხის მზარდი ძალებისა. მაშინ, როდესაც კოლდუელი ამუშავებდა თავის თემას, იგი დიდ ოსტატობას აღწევდა. ახლა თვით ბურჟუაზიული კრიტიკოსებიც კი, რომლებიც მხატვრული თვალსაზრისით ბევრს არაფერს მოითხოვენ, კოლდუელის უკანასკნელ წიგნებს მაკულატურას უწოდებენ. საქმე იმაში კი არ არის, რომ კოლდუელმა დაჰკარგა თავისი ნიჭი, — მან დაჰკარგა კავშირი სინამდვილესთან. და მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, თუ იგი მიუბრუნდება ჩვენი დროის ახალ სინამდვილეს, შესძლებს შექმნას სრულფასოვანი მოქმედი ნაწარმი და იმისა, რომ დოლი აბრახუნოს.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება კეშმარიტ რეალიზმსა და ზერელე „რეალიზმს“ შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველი ყოველთვის ბრძოლის შედეგია, მეორე კი უარის თქმაა ბრძოლაზე. თვით საუკეთესო დროშიაც კი სიმაართლე არასდროს არ ეკიდა, როგორც მწიფე ნაყოფი, მომლოდინე იმისა, რომ ვინმე მოსწყვეტდა მას. სიმაართლეს ბრძოლით იპოვებენ და ყოველთვის ბრძოლით მოიპოვებენ, რომელ საზოგადოებაზედაც უნდა იყოს ლაპარაკი; იცულება მხოლოდ ბრძოლის ფორმა. დღეს მწერალმა პირდაპირ ბრძოლით უნდა აიღოს სინამდვილე. იმიტომ რომ ბურჟუაზიული რეალიზმი, რაც შესაძლებელი იყო ცოტახნის წინათ, დღეს სულ უფრო და უფრო შეზღუდული ხდება. ამჟამად ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ძალა — სოციალისტური რეალიზმი, და უკვე ცხადია, რომ იგი შექმნის ახალ ლიტერატურას — ახალი მსოფლმხედველობის საფუძველზე — რომელიც მოითხოვს ახალ კრიტერიუმებს.

სოციალისტური რეალიზმი ჯერ მხოლოდ იბადება, ჯერ მხოლოდ მისი ყლორტები მოსჩანს. მაგრამ უკვე დადგა დრო შევისწავლოთ იგი, რადგან ყლორტები გვპირდებიან ძალოვან ხეს.

თარგმანი ლ. კალანდარიძისა

(დასასრული იქნება)



ჩხუბთის თაქისუფლებისათვის გვარძოლი იულიუს ფუჩიკი

*

გაძონენილი ჩეხი კომუნისტი შვერ-ლის იულიუს ფუჩიკის სახელი განსაკუთრებით ცნობილი შეიქნა მისი წიგნის — „რეპორტაჟი სახრჩობელაზე“ — გამოსკლის შემდეგ. ამ წიგნის ავტორი შეიყვარა მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობამ, შეიყვარეს იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს ეწევიან შეუღრაველ ბრძოლას ომის ახალ გამჩაღებლებთან. იულიუს ფუჩიკი გახდა მაგალითი გმირობისა და მამაცობის, გამძლეობისა და ნებისყოფის სიმტკიცისა. ამიტომ იულიუს ფუჩიკის ნარკვევებისა და სტატიების კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა. (Юлиус Фучик. Избранные очерки и статьи. М. 1950).

კრებულში მოთავსებული მასალების მიხედვით ჩვენ წარმოგვიდგება მგზნებარე ჩეხი პარტიოტის ნათელი სახე, ამ კრებულის მიხედვით შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იულიუს ფუჩიკზე, როგორც ჩეხეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეზე, ჩეხეთის ლიტერატურისა და კულტურის საუკეთესო წარმომადგენელზე.

ჩეხეთის ისტორიის მეცნიერული შესწავლა, მისი მარქსისტული დამუშავება ახლა ხდება. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია იძლეოდა მეტად ტენდენციურ და არასწორ მოსაზრებებს მთელი რიგი საკითხების გაშუქებისას, უკან სწევდა ჩეხი ხალხის დიად როლს ჩეხეთის ისტორიაში და ამით ხელს უწყობდა ყველა ჯურის დამპყრობლებსა და კოლონიზატორებს, რათა უმოწყაოდ ეძარცვათ ჩეხი ხალხი. იულიუს

ფუჩიკი თავის სტატიებსა და ნარკვევებში აგვიწერს ჩეხი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. ფუჩიკს კარგად ესმის ჩეხი ხალხის დამსახურება ჩეხეთის ნაციონალური კულტურის შექმნაში, თავის სტატიაში გამოჩენილი ჩეხი პოეტის, შვერლისა და ჟურნალისტის იან ნერუდას (1834—1897 წ. წ.) შესახებ. ფუჩიკს მოჰყავს თვით ნერუდას სიტყვები: „ყველაფერი ის, რითაც განთქმულია ისტორიაში ჩეხი ხალხი, არ წარმოადგენს მაღალი წრეების დამსახურებას. ერის მთელი სამხედრო და კულტურული დიდება შექმნილია ხალხის შრომით. ხალხის წყალობით გახდა შესაძლებელი ჩვენი აღმავლობა“ (გვ. 182).

იულიუს ფუჩიკი, რომელიც დაულავად იბრძოდა ჩეხი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი თავისუფლებისათვის, მოუწოდებდა ყველა პროგრესულად მოაზროვნე თანამემამულეს, რათა ებრძონათ იმისათვის, რომ ხალხს მინიჭებოდა ისეთივე თავისუფლება, როგორც ამას მიაღწიეს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა ხალხების ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მათი შრომითი აღმავლობა დიდი შთაბგონებელი მაგალითი იყო და არის თავისუფლების მოყვარე ჩეხი ხალხისათვის.

ჩეხი ხალხი ცნობილია თავისი რევოლუციური წარსულით. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში ჩეხეთში ადგილი ჰქონდა ისეთ დიდ სახალხო რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც ისტორიაში შევიდა ჰუსიტური მოძრაობის სახე-

ლით. ამ მოძრაობას მარქსისტული ისტორიოგრაფია სთვლის ნამდვილ სახალხო რევოლუციად, ხოლო ამ მოძრაობის ბელადს იან ჰუსს კი — ახალი დროის რევოლუციონერად. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ჰუსისა და ჰუსელების მოღვაწეობა დაეკინებია და იგი წარმოედგინა მხოლოდ როგორც კათოლიკური ეკლესიის რეფორმატორი, ეს კი იმიტომ, რომ ხალხს არ შეეცნო თავისი ძლიერება და არ აღმდგარიყო არსებულის წინააღმდეგ, როგორც ეს მოხდა მე-15 საუკუნეში იან ჰუსის მიმდევართა უშუალო ხელმძღვანელობით. შემთხვევითი არ არის, რომ ამ მოძრაობის ხელმძღვანელებს უდიდესი დაფასება აქვთ ახალ სახალხო-დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში. ამჟამად პრაღის სცენაზე იდგმება პიესა „იან ჰუსი“, პრაღაში აღმართულია ჰუსისტური ომების მთავარსარდლის იან ჯიეკას ძეგლი, ქალაქ თაბორში გახსნილია მუზეუმი, რომელიც მოგვითხრობს ჰუსელების გმირული ბრძოლების შესახებ, ხოლო ერთ-ერთ თვალსაჩინო ჰუსელი სარდლის — იან როგაჩისადმი მიძღვნილმა კინო-ფილმმა („იან როგაჩი“) საბჭოთა კინო-გერანებიც წარმატებით მოიარა.

იულიუს ფუჩიკი ჯერ კიდევ 1930 წელს აღნიშნავდა ჰუსისტური მოძრაობის რევოლუციურ ხასიათს. თვალსაჩინო ჩეხი მწერლის, მრავალი ისტორიული რომანებისა და მოთხრობების ავტორის ალოიზ ირასეკის (1851 — 1930) გარდაცვალების გამო დაწერილ სტატიაში, იულიუს ფუჩიკი, არჩევს რა ირასეკის იმ ისტორიულ ნაწარმოებებს, რომელიც ეხება ჰუსისტურ პერიოდს ჩეხეთში, ამ პერიოდს უწოდებს ჩეხეთის „ყველაზე სახელოვან პერიოდს“ (გვ. 170), ხოლო ჰუსისტურ მოძრაობას — „რევოლუციურ ჰუსისტურ მოძრაობას“ (გვ. 171).

იულიუს ფუჩიკის ეს მოსაზრება და-

დასტურებულია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის *ბრძოლის კლიმენტ გოტვალდის* სიტყვებსა და ნაწერებში. კლიმენტ გოტვალდი, იბილავედა რა 1941 წელს ჩეხი ხალხის ბრძოლას გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ, იხსენიებდა თაბორელთა გამანთავისუფლებელ გმირულ ბრძოლებს და აღნიშნავდა: „ჩეხთა წინაპრებმა, ჰუსელებმა და თაბორელებმა, მე-15 საუკუნეში არაერთხელ გაანადგურეს სასტიკად დღევანდელ ფაშისტთა წინაპრები — გერმანულ რაინდთა რაზმები — და შერცხვენილებს შიერეკებოდნენ თავის ქვეყნიდან“.

იმავე 1941 წელს, როდესაც გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ ჩეხი ხალხი მამაცურ ბრძოლას ეწეოდა, იულიუს ფუჩიკი ჩეხ კომუნისტთა არალეგალურ გაზეთში „რუდე პრაგოში“ ათავსებს სტატიას, სადაც სწერს: „ჩვენი ხალხი, გამობრძმედილი მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში, არის ხალხი ჰუსისა და ეიეკასი, პროკოპი შიშველისა და კომენსკისა... არის ხალხი თავისუფლებისათვის განწირულთა და მებრძოლთა. თავისუფლების გარეშე მას არ შეუძლია სიცოცხლე: „და ხალხთან ერთად წინ, და მასთან ერთად სულ წინ და წინ!“

ჯალათები მოდიოდნენ და ქრებოდნენ ისტორიის სიღრმეში, ხოლო დაუმარცხებელი ხალხი ცოცხლობდა, იზრდებოდა და ამტკიცებდა თავის ძალებს. იგი ვერ გაატეხა ვერც ჯვაროსანთა მთელს ევროპაში შეკრებილმა რაზმებმა, ვერც სტარომესტის მოედანზე დასჯამ ბელოგორის ბრძოლის შემდეგ, იგი ვერ გაატეხა ვერც მრავალსაუკუნოვანმა მონობამ“ (გვ. 147).

იულიუს ფუჩიკი ისტორიული წარსულის გმირულ ამბებს იხსენებს იმიტომ, რომ გერმანულ ფაშისტთა ბატონობის ქვეშ მოქცეულ ჩეხ ხალხს შემატოს სიმამაცე, გამძლეობა. მას ახსოვს

აღიზიანების სიტყვები: „აუცილებელია მიმართო ჩვენს ისტორიას, რადგანაც ვინც არ იცის გუშინდელი დღე, მას არ ესმის დღევანდელი. ცხოვრების ჯაჭვში თანამედროვეობის რგოლები დაკავშირებულია წარსულის რგოლებთან. და ყველაფერი, რაც ყოფილა, მკვდარი წარსული როდია. მებრძოლები წაივდნენ, მაგრამ ბრძოლა დარჩა“ (გვ. 162 — 163). მოჰყავდა რა ირასეის ეს ციტატა, ფუჩიკი ამით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ბრძოლა, რომელიც დაიწყო ჩეხმა პატრიოტებმა საუკუნეების წინათ, არ შეწყდებოდა მანამ, ვიდრე ხალხი არ მოიპოვებდა თავისუფლებას.

მაშინ, როდესაც მიუნხენის შეთანხმების შედეგად (1938 წ. 30 სექტემბერი) ჩეხეთი მოექცა ფაშისტთა ულულქეშ, ზოგიერთი დემოგოგიურად აღნიშნავენ, რომ ჩეხი ხალხი დაადგა მორალური დაცემის გზას და მისი ხსნა მორალური კატასტროფისაგან შეუძლებელია მხოლოდ „ნაციონალური ერთიანობის“ პროფაშისტურ პარტიას.

ერთი მათგანი—რედოლფ კაპეკი, ამბობდა, რომ ჩეხი ხალხი მორალური კატასტროფის გზაზე დგას და მომავლისათვის სასიკვდილოდ არის განწირული. რა სურდათ კაპეკებს? მათ სურდათ, რომ ხალხს დაეკარგა მოშველისა და თავისი ძალის რწმენა, დაეყარა იარაღი და მთლიანად ჩაეარდნო იყო ფაშისტთა მორჩილებაში. ისინი ჰყიდნენ ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს. მიუნხენის შემდეგ ჩეხეთში კომუნისტურადი პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ერთიანობა, თავისი კავშირი ხალხთან და განუხრებლად ეწეოდა თანმიმდევრულ გმირულ ბრძოლას ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია ამხელდა ყველა მათ, ვინც დალატობდა ხალხს, სამშობლოს. იულიუს ფუჩიკი ერთი იმათგანი იყო, ვინც მთელს ენერჯიას და უნარს ახმარდა

ქვეყნისა და სამშობლოს ინტერესებს. მან ერთ-ერთმა პირველმა ჩეხულმა ხმა ჩეხეთში რედოლფმა შექმნილი ქაქათა მათთა წინააღმდეგ. ხალხის მწუხარება, — წერდა ფუჩიკი, — რაც გამოწვეულია მით, რომ იგი მოექცევა ფაშისტთა ულულქეშ, არ ნიშნავს იმას თითქოს იგი მორალური კატასტროფის გზაზე იდგეს.

არაერთი სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა ჩეხეთის ისტორიაში, მაგრამ მტრებმა მაინც ვერ გატეხეს ჩეხი ხალხი. აღნიშნავდა რა ჩეხი ხალხის სიმტკიცეს ფაშისტთა ბატონობის დროს, იულიუს ფუჩიკი წერდა: „ჩეხებმა ამჟამად გამოავლინეს ასეთი მაღალი თვისებები იმიტომ, რომ ჩეხებს აქვთ ძლიერ თავისებური ისტორია. ჩეხებმა ეს თვისებები გამოავლინეს იმიტომ, რომ მათ უკვე აქვთ ისტორიული გამოცდილება, რომელსაც არავინ შეიშურებდა, მაგრამ რაც ჩვენთვის ახლა ასე სასარგებლო შეიქმნა. მოიგონეთ მხოლოდ რა ანსხვევებს ჩვენს ისტორიას მის გმირულ პერიოდებს ჰყავდათ ისეთი მოაზროვნეები, რომელნიც იბრძოდნენ სამართლიანი კანონის დასამყარებლად. სიმართლისათვის ჩვენ მრავალი გამარჯვება მოვიპოვეთ და არაერთი დამარცხება განვიცადეთ. მაგრამ თუ ჩვენ ვიყავით დამარცხებულნი, ჩვენი ისტორია არ ჩერდებოდა, რადგან ჩეხი ხალხი ცოცხლობდა. პირველად როდი ცდილობენ ჩვენს დასამარცხებას. პირველად როდი ელიან ჩვენს მორალურ კატასტროფას, რაც იქნებოდა ჩვენი საბოლოო სიკვდილი. მაგრამ ვერც ერთი მტერი ვერ ეღიროს ჩვენს აღსასრულს. ისინი, ვინც გვასამარცხდნენ, არა მარტო დასამარცხდნენ, არამედ დიდიხანია დაიწვევბასაც მიეცნენ.

დამარცხების დროს ჩეხი ხალხი იძენდა გამოცდილებას, რომელიც ასე გამოსადევი გაბდა ახლა ჩვენთვის; ჩეხებმა ისწავლეს, თუ როგორ არ უნდა დაეცნენ გამარჯვებულთა სამადლოდ, არ და-

ეცნენ სულით, სჯეროდეთ სიძარტულე მამინაც კი თუ იგი გათელილია მტრებისაგან, ზედავდენ თავის საუკეთესო მომავალს. აი რატომ არ დაეცა ჩეხი ხალხი მორალურად თვით ბელოგორის კატასტროფის შემდეგ, თუმცა დიდხანს ცხოვრობდა სამინელ უღელქვეშ. იგი არ გამხდარა დემორალიზებული იმიტომ, რომ უსმენდა არა ვილემ სლავატს, რომელიც ურჩევდა მას შეგუებოდა რეაქციულ ვენას და ერთგულად ემსახურა მისთვის, არამედ ყურს უგდებდა იან კომენსკის ხმას: „გაივლის ბედკრული დრო და ყველაფერი, რასაც შენ ჰგეგმობდი, კვლავ დავიბრუნდება შენ, ჩეხო ხალხო!“ (გვ. 118 — 119).

ვილემ სლავატი იყო ჩეხი ფეოდალი, რომელმაც ოცდაათწლიანი ომების დროს თავის ქვეყნისა და ხალხის ინტერესები მიჰყვიდა ჰაბსბურგებს; ეს ის პერიოდი იყო, როდესაც, კლ. გოტვალდის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყანაში მძვინვარებდნენ მოთრეული შპარცელები“.

ჩეხი ხალხი რომ თვით გამხდარიყო თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი ამაზე ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დასაწყისში ოცხებობდა დიდი ჩეხი პატრიოტი იან ჰუსი. იგი ამბობდა რომ ჩეხი ხალხი თავის ქვეყანაში „უნდა იყოს ამაღლებული და უნდა იდგეს სათავეში, და არა კულში მისჩანჩალებდეს“. შემდეგ: „ჩეხი ხალხი თავის მიწაზე უნდა მპართავდეს ქვეყანას მშვიდობიანად ტეტონთა მხრივ ყოველგვარ ჩარევის გარეშე“. ამასვე ამბობდა ოცდაათწლიანი ომების დროს ქვეყნიდან განდევნილი დიდი ჩეხი პატრიოტი, თანამედროვე დრდაქტივის ფუძემდებელი იან ამოს კომენსკი (1592 — 1670). იულიუს ფუჩიკი წერს, „ეს რწმენა ცოცხლობდა ხალხში მთელი სამასი წლის მანძილზე, იგი დავიწყებული არ ყოფილა პირველი რესპუბლიკის ოცი წლის მანძილზე, და იგი მთელის ძალით ცოცხლობს ახლაც. აი რატომ არ შეიძლება ლაპარაკი ჩეხი ხალხის უიმე-

ლობაზე, სასოწარკვეთაზე და ზნეობრივ კატასტროფაზე. არაფერია მსგავსი ჩვენში არ არის. არ შეძლებს ცხოვრობს, რომ ერთი პიროვნება ცხოვრობს რამდენიმე ათეულ წელს და ამიტომ იგი ყოველთვის ვერ ასწრებს ხალხთა ისტორიის მთლიანად შესწავლას თავის მოქმედებებში. სამაგიეროდ, ხალხი ცხოვრობს ათასწლიანად, ეს არის მყარი ორგანიზმი, მის მახსოვრობაში ინახება მთელი მისი გამოცდილებანი და ძარღვებში მუდამ უჩქეფს წითელი სისხლი. ერთეულ პიროვნებას მოკლე მახსოვრობა აქვს, ხალხი არაფერს არ ივიწყებს. ცალკეულ ადამიანებს შეუძლიათ აუგად ახსენონ ჩვენი წარსული, ხალხი ამას ვერ გააკეთებს. ცალკეულ ადამიანებში შეიძლება დიანახონ ან შეიძლება მოისურვონ არ დიანახონ უკეთესი მომავალი, ხალხს კი მუდამ ექნება მისწრაფება მისკენ...“ (გვ. 119).

ოდიფანვე ჩეხი ხალხს იდებურად ზელმძღვანელობდა ჩეხეთის ინტელიგენციის ის პროგრესული ნაწილი, რომელიც მკიდრო კავშირში იყო ხალხთა მასებთან, ან თვით იყო ხალხის დაბალი წრებიდან გამოსული. მისთვის ყველაზე მაღლა იდგა ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობის ინტერესები. მაგალითად, მე-15 საუკუნის „რევოლუციური ჰუსიტური მოძრაობის“ სულისჩამდგმელი ჩეხეთის ინტელიგენციის წარმომადგენელი იყვნენ. თვით იან ჰუსი, ბელადი და მამამთავარი მთელი ამ მოძრაობისა, პრადის უნივერსიტეტის პროფესორი-დოქტორი და რექტორი იყო, თავის დროისათვის მეტად განვითარებული და შუა საუკუნეობრივი ევროპის თვალსაჩინო მეცნიერი. ჰუსიტური მოძრაობის მეორე გამოჩენილი მოღვაწე, თავის დროისათვის ჩინებული ორატორი, იან ჰუსის ლირსეული მოწაფე და თანამებრძოლი იერონიმე პრადელი აგრეთვე პრადის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ჰუსიტური მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე იან ესენი-

ცი პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი, თავისუფალ ხელოვნებათა მაგისტრი და სამართლის დოქტორი იყო. თაბორელების ბელადი და გერმანელებზე გამარჯვებების ორგანიზატორი იან ჟიჟკა მთელი შუასაუკუნეობრივი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სარდალთაგანი, სტრატეგი და ტაქტიკოსი იყო. იგი ჯერ კიდევ 1410 წლის 15 ივნისს გრიუნვალდთან გერმანელ „რაინდთა“ განადგურებაში მონაწილეობდა, სარდლობდა რა ჩეხთა რაზმებს, თაბორელთა მეორე სარდალი პროკოპი შიშველი თავის დროისათვის დიდად განათლებულ და მცოდნე პიროვნებად ითვლებოდა.

და არა მარტო პესიტიური მოძრაობის, არამედ ჩეხეთის ისტორიის ყველა პერიოდში, ჩეხეთის ინტელიგენციის პროგრესული ნაწილი გამოდიოდა, ყველა სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ ხელმძღვანელად. გერმანელ ფაშისტებს კარგად ესმოდათ ჩეხეთის ინტელიგენციის ეს ხელმძღვანელი და მორგანიზებელი როლი. ამიტომ მათ სურდათ მოესყიდათ ჩეხეთის ინტელიგენცია.

ფაშისტები ფიქრობდნენ, თუ ინტელიგენცია ითანამშრომლებს ფაშისტებთან, მაშინ ჩეხი ხალხის დამორჩილებას შესძლებდნენ, რადგან მათი აზრით, „ხალხიც ხომ ისევე აზროვნებს, როგორც აზროვნებს მისი ინტელიგენცია“ (გვ. 122).

არალეგალურ ფურცელში „ღია წერილი ფაშისტ მინისტრს“, იულიუს ფუჩიკი, როგორც ჩეხეთის ინტელიგენციის წარმომადგენელი, აცხადებს, რომ ჩეხეთის ინტელიგენცია არასოდეს არ ითანამშრომლებს დამპყრობლებთან.

მოყავს რა იან ნერუდას ლექსიდან („მხოლოდ წინ!“) ის ადგილი, სადაც ჩეხი ინტელიგენციის სახელით პოეტი აცხადებს, რომ მან ჩეხი ხალხის ბედს დაუკავშირა თავისი ბედი, ფუჩიკი წერს:

„ჩეხმა პოეტმა ჯერ კიდევ მრავალი

წლის წინათ ჩვენი და ჩვენი ხალხის სახელით დასახა ის ერთადერთი უკუაღრმობელი მიგვიყვანს უფლებებისა და ნაციონალურ დამოუკიდებლობამდე.

მაგრამ, ეს გზა არის არა ღალატის, არამედ ეს არის ბრძოლის გზა დამონების წინააღმდეგ. ეს არის ადამიანების თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა ჩვენთან, თქვენთან, მთელს მსოფლიოში!

ამ გზიდან ჩვენ არ გადავუხვევით!

ჩეხეთის ისტორიაში არაერთი ფურცელია ჩაწერილი ჩეხ რეაქციონერთა ღალატის შესახებ, ისინი სიამოვნებით ყიდიდნენ ჩეხი ხალხის თავისუფლებას, მის სიცოცხლესაც კი, ოღონდ შეენარჩუნებინათ თავისი პრივილეგიები. მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ ჩეხეთის ისტორიაში ვერცერთ ფურცელს ჩეხი ინტელიგენციის მიერ თავის ხალხის ღალატისა, და იყავით დარწმუნებულნი, რომ ჩვენც არ ჩაუწერთ მსგავს ფურცლებს ჩვენს ისტორიაში!“ (გვ. 123).

ფუჩიკს მოყავს იან ნერუდას იმავე ლექსიდან ის ადგილი, სადაც ჩეხი პოეტი აცხადებს, რომ მკაცრ ბრძოლათა ცეცხლში გამოვლილი ჩეხი ინტელიგენციის წარმომადგენლები კვლავ განიცდიან ტანჯვა-წამებას ხალხის კეთილდღეობისათვის, ამის შემდეგ ფუჩიკი მიმართავს ფაშისტ დამპყრობლებს:

„თქვენ კი ფიქრობთ, რომ ჩვენ, ჩეხი ხალხის ინტელიგენცია, რომელმაც გადაიტანა საუკუნეობრივი საშინელი ჩაგვრა და არ წამოჩოქებულა, თქვენ ფიქრობთ, ჩვენ, რომელიც ამ ხალხის სისხლი და ხორცი ვართ, თქვენს წინაშე მოვიხრით თავს? (გვ. 123—124).

არასოდეს არ მოუხრია ქედი ჩეხ ხალხს დამპყრობთა წინაშე, ასევე მოუდრეკელნი იყვნენ ყოველთვის ჩეხეთის ინტელიგენციის პროგრესული ძალები. არ მოუხრიათ ქედი იმიტომ, რომ, როგორც იულიუს ფუჩიკი წერს ფაშისტ მინისტრს ღია წერილში ჩეხ-

თის ინტელიგენციის სახელით, ჩვენ „მართლაც ღრმად და მტკიცედ ვართ დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ხალხთან. მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ ხალხს ვახვევთ ჩვენს შეხედულებებს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გამოვხატავთ ჩვენი ხალხის შეხედულებებს. ჩვენ, კულტურის ადამიანები, დაკავშირებული ვართ ხალხის ყველაზე პროგრესულ ძალებთან“ (გვ. 123).

ჩეხეთის ინტელიგენცია, რომლის წარმომადგენელიც იყო თვით იულიუს ფუჩიკი, მართლაც მტკიცე კავშირში იმყოფებოდა ჩეხ ხალხთან. ჩეხეთის ინტელიგენცია ყოველთვის და მუდამ გამოხატავდა და გამოხატავს ჩეხი ხალხის შეხედულებებს, მისწრაფებებს, მიზნებს, იდეებს. ასეთი იყო თვით იულიუს ფუჩიკი, რომელმაც თავისი სიცოცხლე შესწირა ჩეხი ხალხის თავისუფლებას. იგი იყო ჩეხი ხალხის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებთან დიად ბრძოლაში. თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითა და საქმიანობით, თავისი ბასრი კალმით ემსახურებოდა იგი ჩეხი ხალხის თავისუფლებისა და ფაშიზმის განადგურების დიად საქმეს. იგი ჩეხ ხალხში აღვივებდა პატრიო-

ტულ სულისკვეთებას, ეფუძნებოდა ჩეხეთის სახელოვანი ტრადიციულ კვირულ სახეებს.

იულიუს ფუჩიკის ხსოვნა დაუვიწყარია არა მარტო სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის თავისუფალ ხალხისათვის, არამედ ყველა იმ ადამიანისათვის, რომელთათვისაც ძვირფასია თავისუფლება. ფუჩიკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „შემოქმედება, რომელიც თავის აქტუალობას არ კარგავს წლების მანძილზე, წარმოდგენს ყველა იმთ შემკვიდრებას, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის“ (გვ. 194).

ზოლო ერთი ასეთი შემოქმედება იყო იულიუს ფუჩიკი. იულიუს ფუჩიკი და ყველა ისინი, ვინც დაეცნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მარად უკვდავი არიან ხალხთა ხსოვნაში. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება ისტორიაში. მათი სახელით აშობს იულიუს ფუჩიკი:

„ჩვენ ვცხოვრობდით ბედნიერებისათვის, ბედნიერებისათვის სივდილით ბრძოლაში, მისთვის ვკვდებით. დაე იმიტომ ჩვენს სახელებთან ნუ იქნება დაკავშირებული მწუხარება“.

პეპელი ინფორმაცია

გიორგი მერჯულა

ქართული მწიგნობრივი მართლმადიდებლობა *

VIII

ისტორიული მემკვიდრეობის დაცვისკენ
საბარძელოს სახარებით მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის)
ისტორიის საკითხებზე

2

სამხრეთი ქართლი და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთი (ჯავახეთ-არტაანი)

კლარჯეთის საციობის განხილვის შემდეგ გადავდივართ სამხრეთ საქართველოს დანარჩენ მხარეთა საციობების განხილვაზე.

პირველ რიგში შევხებით სამხრეთ-ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მესხეთის (ჯავახეთ-არტაანის) საციობებს.

როგორი იყო ამ მხარეთა რეალური ისტორია ანტიკურ ხანაში? როგორი იყო ამ მხარეთა ეთნიკური სახე დასახელებულ ეპოქაში? იმ საციობები, რომელზედაც უნდა გავცეთ პასუხი.

წინასწარ ჩვენ მოგვიხდება შევჩერდეთ ამ მხარეთა ისტორიულ გეოგრაფიაზე აღრეულ საშუალო საუკუნეებში, მე-4 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე, რომელი ეპოქის შესახებაც საისტორიო წყაროები გვაწეღის ძვირფას მასალას. მრავალს ერთიმეორის შემამოწმებელ ცნობებს.

სამხრეთ-ქართლისა და ჯავახეთ-არტაანის ტერიტორიული მოცულობა მე-4 — 8 საუკუნეებში. — ისტორიული დანაწილება ადმინისტრაციულ ერთეულებად: სამიტაბზო-სამთავროებად, საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად.

გავეცნოთ ჯერ, თუ როგორია სამხრეთი ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთის (ჯავახეთ-არტაანის) ტერიტორიული მოცულობა.

* გაგრძელება. იხილეთ „მნათობი“, 1949 წ. №10, 11, 1950 წ. №1 1, 3, 4, 7, 8, 12

I. სამხრეთი ქართლი.

ისტორიული ქართლი ადრეულ საშუალ საუკუნეებში განუწყვეტლად განიცდიდა: 1. შიდა ქართლი (რომლის ძველი სახელწოდებაა „ზენა-სოფელი“ ე. ი. ზემო ქვეყანა); 2. სამხრეთი ქართლი ანუ ქვემო-ქართლი (რომლის ძველი სახელწოდებაა „ქვედა სოფელი“, ე. ი. ქვემო ქვეყანა).

საზღვარი ქართლის ამ ორ ნაწილს შორის იყო ხაზი: თრიალეთი — თბილისი.

თვით ქალაქი თბილისი და მისი უბანი შედიოდა შიდა-ქართლში. რაც შეეხება თრიალეთის მხარეს, ეს სანაპირო პროვინცია ადმინისტრაციულად ხან სამხრეთ-ქართლში შედიოდა (იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ.* 428/208), ხან კი შიდა-ქართლში (იხ. ლეონტი მროველი, გვ.* 129/21).

ვიძლევიტ აქ სამხრეთი ქართლის ისტორიული-საზღვრების აღწერილობას ეპოქისათვის მე 4 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე¹.

ა. ჩრდილოეთი საზღვარი. საზღვარის ხაზი, როგორც მოვიხსენეთ, იწყებოდა თრიალეთის ზონაში (თვით თრიალეთის პროვინცია, როგორც აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულად ზოგჯერ სამხრეთ-ქართლში შედიოდა, ზოგჯერ კი შიდა-ქართლში); თრიალეთიდან საზღვარი გადადიოდა წყალთა-გამყოფ მთებზე, რომელაც აქრეთ მდინარე ქცაის ჩრდილოეთის მხრიდან (სამშელის სტრატო-სამხრეთ-ქართლის საზღვრებში შედიოდა და ქალაქ-საშვილდე სამხრეთ-ქართლის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო). შემდეგ საზღვრის ხაზი ადგებოდა მდინარე მტკვარს ქციის შესართავთან, ხოლო აქედან საზღვარის ხაზი მიჰყვებოდა დანარე მტკვარს აღმოსავლეთის მიმართულებით, ვიდრე მდინარე მტკვარს შეერთოდა მდინარე ბერდუჯი-საგინი (თანამედროვე სახელწოდებაა ზაგანი ანუ ძეგ ში).

ბ. აღმოსავლეთი საზღვარი. სამხრეთი ქართლის აღმოსავლეთ საზღვრად საისტორიო წყაროებში ჩვეულებრივ დასახელებულია მდინარე ბერდუჯი — საგინი, მაგრამ ზოგჯერ საზღვარის ხაზი უფრო აღმოსავლეთითაც ყოფილა გადმუშეული და აღწევდა მდინარე კოტ-მანაძე (შაჰურის ხეობის ზონამდე)².

გ. სამხრეთი საზღვარი იყო მცირე კავასიონის ძირითადი ქედო (წყალთა-გამყოფი ქედი მტკვარსა და არაქს შუა). მხოლოდ მცირე მანძილზე, ჯაჯურის უღელტეხილის დასავლეთით, საზღვარის ხაზი გადადიოდა არაქსის აღმოსავლეთ მხრისაკენ და გასდევდა მთებს, რომლებიც სამხრეთის მხრიდან აკრავს აშოციან პროვინციას. ამიჯად აშოციან პროვინცია, რომელიც თემდა არაქსის აუზს ეკუთვნის, მაგრამ გეოგრაფიულად შეიქცა მტკვარის აუზის პრეში და ერთგვარ გარემოებად ზონას წარმოადგენს არაქსისა და მტკვარის აუზთა შორის, სამხრეთ-ქართლის მხარეთა ჯაჯურს ეკუთვნოდა. ასე რყო ეს მტკვარად, როგორც ამას ადასტურებს ქართული და სომხური საისტორიო წყაროები (ლეონტი მროველი, მოსე ხორენელი, მატიანე ქართლისა). მაგრამ ზოგჯერ აშოცი, როგორც ირყედა, ან შედიოდა ქვემო-ქართლის მხარეთა ჯგუფში, არაჲდ მიეკუთვნებოდა ხან მესხეთს, ხან კი სომხეთს.

¹ ძირითადი წყაროები: ლეონტი მროველი, ცხოვრება ვაბტანე გორგასარისა, ჯუანშერი ფაეტოს ბიზანტიელი, ლაზარე ფოაქელი, მოსე ხორენელი, სომხური უსახელო გეოგრაფია, მოსე კალაქატელი, საეპისკოპოსოთა სია 503 წლისა (ეპისტოლეტა წიგნი). — ზოგიერთი საკითხის დასახულებლად ცნობებს იძლევა აგრეთვე უფრო გვიანი დროის საისტორიო წყაროები, მ.გ. ჟამთააღმწერელი (გასარკვევად საკითხისა, თუ რომელ მდინარეს ერქვა ბერდუჯი). ისტორია-აზმანი შარავანდედთანი (გასარკვევად საკითხი ა ქერდუჯარის ხევის შესახებ), სუმბატ დავითის ძე, იოანე კათოლიკოზი, ასოლიკი, ასევე არაბული წყაროები კავასიის შესახებ. — ცალკეულ საკითხთა გამო იხ. აგრეთვე ზემოთ, თავი IV (მნათობი, № 11, 1949. გვ. 136—138).

² იხ. ამ საკითხზე უფრო დაწერილებით ზემოთ, თავი IV („მნათობი“, № 11, 1949. გვ. 137—138).

დ. დასავლეთი საზღვარი არის ჯავახეთის მთები (რომელიც სამის მხრით ხლ-
დავს ჯავახეთის ზეგანს და ვაჭოუს ჯავახეთს ტანირადან, თრიალეთიდან და სამხრეთით მდ.
რამ ზოგჯერ საზღვარის ხაზი უფრო დასავლეთითაც ყოფილა გაკანფულებიდან წყნის-სსრსკსკსკსკ
(ფარავანის უბანი) აღმონიტრატულიად ქვემო-ქართლთან ყოფილა დაკავშირებული¹.

ასეთი იყო სამხრეთ-ქართლის ისტორიული საზღვრები.

ამრიგად სამხრეთი ქართლის ფარგლებში, როგორც ირკვევა, შედიოდა
შემდეგი ტერიტორიები (ტერიტორიის მოცულობას ვუჩვენებთ ყოფილი სამაზ-
რო დანაწილების მიხედვით):

- ა) ყოფილი ბორჩალოს მაზრა, ლორის უბანის ჩათვლით;²
- ბ) ნაწილი ყოფილი თბილისის მაზრისა: სამშვილდე — თეთრიწყაროს სექტორი;
- გ) ბამბაკის უბანი ყოფილი გუმბრის მაზრისა;
- დ) ყოფილი ყაზახის მაზრა (განჯის გუბერნიისა).

ჩვენ აქ შემოვფარგლეთ სამხრეთი ქართლის მხოლოდ ძირითადი ტერი-
ტორია, და იქ არ მოგვითვლია ის სანაპირო პროვინციები, რომლებიც ზოგ-
ჯერ შედიოდა ქვემო-ქართლში, ზოგჯერ კი არა.

ხოლო ასეთი სანაპირო პროვინციები, რომლებიც ცალკეულ პერიოდებში
სამხრეთი ქართლის ნაწილს შეადგენდა, როგორც აღვნიშნეთ, ოთხი იყო:

- 1. თრიალეთი (რომელიც მოიცავდა თანამედროვე წილკის რაიონს);
- 2. ზემო ჯავახეთი (რომელიც მოიცავდა თანამედროვე მოგდანოვკის რაიონს, საზღვრის ზოგიერთი ცვლილებით);
- 3. აშოცი (რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ჯავახეთსა და გუმბრას შუა, თანამედროვე ამასიისა და ლუკასიანის რაიონებს);
- 4. მდინარე ბერდუჯის აღმოსავლეთით მდებარე — კოტმანის — გარ-
დაბანის უბანი (ტერიტორია შამქორის მაზრისა, რომელიც მოიცავდა
თანამედროვე შამქორისა და ქედაბეგის რაიონებს).

ამრიგად, სამხრეთი ქართლი, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდი მოცუ-
ლობის ქვეყანა ყოფილა.

სულ სამხრეთი ქართლი აღნიშნულ ისტორიულ საზღვრებში შეიცავდა
ტერიტორიას:

დასახლებული ოთხი სანაპირო პროვინციის მიუთვლელად 12.480 კვადრ.
კილომეტრს;

დასახლებული ოთხი სანაპირო პროვინციის მიუთვლით 18.660 კვადრ.
კილომეტრს.

II. სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთი: ჯავახეთ-არტაანი

მესხეთის ამ კუთხის ტერიტორიული მოცულობა ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშ-
ნული ამ გამოკვლევის მე VII თავში.

¹ მოსკოვში არსებული ზემო-ჯავახეთის (ფარავანის უბანს) სამხრეთ-ქართლის ნაწილად სთვლის
(იხ. II მ). ვახტანგ გორგასაროს შატრანისა და ჯუჯანშერის ცნობით ფარავანის უბანი მე 8 საუ-
კუნდამდე ქართლს ეკუთვნოდა, ხოლო მე-9 საუკუნის დასაწყისიდან მესხეთის მხარეებს შეუერთ-
და (შეადარეთ ვახტანგ გორგასარის შატრანს, გვ. *399/184—5, ჯუჯანშერი, გვ. *401/186). აღსა-
ნიშნავია, რომ ზემო-ჯავახეთი (ფარავანის უბანი) გვიან ზანაშიაც ქართლთან იყო დაკავშირ-
ებული (იხ. თ. კორძაია, კრონიკები, II, გვ. 196. — ენობა ფარავანასთავის, ფარავანის და
ფოკას შესახებ; იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცნობებმა, 1940, გვ. 48 აღწერა
ქართლის საზღვრებისა).

² გარდა ქციის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ზონისა — ბაიდაოს სექტორისა.



ისტორიული ჯავახეთი მოიცავდა ტერიტორიას ყოფილი ახალქალაქის მაზრისას (საზღვრების ზოგიერთი ცვლილებით); ხოლო არტაანი მოიცავდა ტერიტორიას ყოფილი არტაანის ოლქისას (ქოცხოვის რაიონის გამოკლებით).

სულ ჯავახეთ-არტაანის მხარეები შეიცავს ტერიტორიას 8.805 კვადრ. კილომეტრს, ზემო-ჯავახეთის (ფარაჯანის) უბანის მითვლით; ხოლო გარდა ზემო-ჯავახეთისა, რომელიც ადმინისტრაციულად ზოგჯერ ქართლთან იყო გაერთიანებული, 7.185 კვადრ. კილომეტრს.

გვეცნოთ ამის შემდეგ, თუ როგორი იყო აღრეულ საშუალ საუკუნეებში სამხრეთი ქართლისა და ჯავახეთ-არტაანის ისტორიული დანაწილება ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად: საპიტიახშო-სამთავროდ, საერისთავოებად, მხარეებად და უბნებად.

წარმოდგენას ამის შესახებ იძლევა შემდეგი ცხრილი, აღდგენილი საისტორიო პირველ-წყაროების ჩვენებათა საფუძველზე, და თანდართული ისტორიული რუკა.

ცხრილი:

სამხრეთ-ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთის ისტორიული დანაწილება: საპიტიახშო-სამთავროდ, საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად¹.

A

სამხრეთი ქართლი

(სამხრეთი ქართლის საპიტიახშო ანუ ტაშირის სამთავრო)


საერისთავონი:	მხარეები:	უბნები:
I. ხაშვილდის საერისთავო	1. ტაშირი	ა. საკუთრივ ტაშირი ბ. წობი გ. კანგარი
	*2. აშოცი	დ. (ერთ უბანს შეიცავს)
	*3. თრიალეთი	ე. (ერთ უბანს შეიცავს)
II. ზუნანის საერისთავო	*4. გარდაბანი (= „ქართველითა ველი“)	ვ. ძორი ზ. კოლბი თ. კოტმანის-გარდმანის უბანი ი. ბერდუჯის იმიერი ოლქი

B

სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთი

III. წუნდის საერისთავო	5. ჯავახეთი	თ. საკუთრივ ჯავახეთი *ა. ზემო ჯავახეთი (ფარაჯანი)
	6. არტაანი	ბ. საკუთრივ არტაანი იბ. პალაკაციო ივ. კოლა

¹ მხარეები და უბნები, რომლებიც ყოველთვის არ შედიოდნენ ამა-თუ-იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, აღნიშნული გვაქვს ვარსკვლავის * დართვით, სახელდობრ: *2 თრიალეთი; *3 აშოცი; *4 კოტმანის-გარდმანის უბანი; * ი. ზემო ჯავახეთი (იბ. მათ შესახებ განმარტება, ზემოთ). გვ. 122).



შენიშვნა: ადრინდელი სამხედრო-კაოლასა და ჯაგბეთ-აუტანის მხარეების კალაშ უბნები, რომლებიც იმეფ ახო-ნიშნებითაჲრის ჩამოთვლილი ცხოვრობენ (იხ. გვ. 123).



ადრეულ საშუალ-საუკუნეებში სამხრეთი ქართლი გეოგრაფიკულად საპიტიახშო-სამთავროს სახით, რომელიც ქართლის (ქვემო ქართლის) სამთავროდ იწოდება (იხ. იაკობ კურტაველი, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ტექსტი, კორიუნე, ლაზარე ფარპელი).

რაც შეეხება ჯავახეთ-არტაანის მხარეებს, იგი მოიხსენება ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის წუნდის საერისთავოს სახით (იხ. ლეონტი მროველი).

ქვემო-ქართლის საპიტიახშო და წუნდის საერისთავო სულ შეიცავდა ექვს სამხარეო ერთეულს, 13 უბანის შემადგენლობით.

იმისათვის რათა მკითხველი სწორად იყვეს ორიენტირებული იმ საკითხებში, რაც ქვემოთ გვეყენება განილდული აქ საჭირო იქნება აღწინშით ამასთ.ხ, თუ რა ტერიტორიულ სექტორებს მოიცავდა ცალკეული ისტორიული მხარეები სამხრეთ-ქართლისა და ჯავახეთ-არტაანისა. ამს მკითხველი გაითვალისწინებს ქვემოთ მოყვანილი ნუსხით:

1. ტაშირის მხარეს შეადგენდა:
 - ა) ყოფილი ბორჩალოს მაზრა, ლორეს ჩათვლით, მაგრამ გარდა წალკის რაიონისა (და აგრეთვე გარდა ქვიის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ზონისა — ბაიდარის სექტორისა, რომელიც პარვარის უბანში შედიოდა);
 - ბ) სამშვილდე-თეთრიწყაროს სექტორი ყოფილი თბილისის მაზრისა;
 - გ) ბაზბაყის რაიონი ყოფილი გუბერის მაზრისა-
2. აშოციის მხარეში შედიოდა მდინარე ახურაინის სათავეები (ჯავახეთსა და გუბერს შუა რაიონები: აისაი და ლუკაისანი);
3. თრიალეთის მხარეს შეადგენდა წალკის რაიონი;
4. გარდაბანის მხარეს შეადგენდა ყოფილი ყაზახის მაზრა (განჯის გუბერნიისა), შაქორის სანაპირო სექტორით;
5. ჯავახეთის მხარეს შეადგენდა ყოფილი ახალქალაქის მაზრა (სახლერის ზახის ცვლილებით);
6. არტაანის მხარეს შეადგენდა ყოფილი არტაანის ოლქი (ფოცხოვის რაიონის გამოკლებით).

დასასრულ მოგვეყვას შენიშვნაში მითითება საისტორიო წყაროებზე, რომელთა მიხედვითაც დადგენილია ზემოთ-აღნიშნული ისტორიული დანაწილება სამხრეთ-ქართლისა და ჯავახეთ-არტაანისა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად¹.

¹ ქვემოთ დასახელებულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ცნობები შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულთა შესახებ (რომელთა ციფრები აღნიშნავენ საერისთავოებს, არაბული — მხარეებს, ქართული ასო-რიცხვები — უბნებს, ყველანი იმავე თანხრით, როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილში გვ. 123):

- a) წამება ცხრათა კოლაელთა: რგ.
- b) მოქცევა ქართლისა: 4.
- c) ლეონტი მროველი: I, II, III, 1, 2, 3, 4, 5, 6, ი, ია, იგ.
- d) ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა: I, II, III, 5, 6.
- e) ჯუანშერი: I, II, III, 1, 2, 3, 5, 6, G, ი.
- f) არსენი საფარელი: ვ, G.
- g) სტეფანე მტბეფარი: 1, 6.
- h) მატრანე ქართლისა: 1, 2, 3, 5, 6.
- i) სუმბატ დავითის-ძე: 3, 4, 5, 6.
- j) ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა: 3, 5, 6, გ, იგ.
- k) უწყება პეტროს მკაწორელისათვის: გ.
- l) აგათანგელოსი: 2.
- m) თაქსტოს ბიხანტიელი: ვ, ზ, G.
- n) კორიუნე: 1, G.
- o) ლაზარე ფარპელი: 1, გ.



ბ.

ცნობები გოგარენის მხარის შესახებ

(მეორე-პირველი საუკუნეებიდან ძველი წელთაღრიცხვისა ბიზანტიური წიგნიდან მხოლოდ საუკუნეწინა ახალი წელთაღრიცხვისა)

გავეცნოთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროების ცნობებს იბერიის ძველი ნაწილის — გოგარენის მხარის შესახებ.

როგორც ცნობილია საისტორიო წყაროებიდან, გოგარენის მხარე სომხეთში დაიპყრო იბერიიდან მეორე-პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა; მას შემდეგ ეს მხარე, როგორც ირკვევა, რამდენჯერმე გადასულა ხან იბერიის, ხან სომხეთის ხელში, ხოლო მე-4 საუკუნეში ეს მხარე საბოლოოდ დაიბრუნა იბერიამ.

რომელი მხარეა იბერიის ეს ისტორიული ნაწილი გოგარენი?

როგორც აღნიშნული ვეჭვონდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებით სარგებლობს მოსაზრება, რომ გოგარენის მხარე, დაპყრობილი სომხების მიერ, ვითომც მოიცავდა ჩთელ სამხრეთ ქართლს, ჯავახეთ-არტაანს და თვით კლარჯეთსაც კი, ე. ი. მთელი იბერიის თითქმის მესამედს. მაგრამ ეს ცოტაა. არიან ისეთებიც, რომლებიც გოგარენის ტერიტორიას კიდევ უფრო აფართოებენ; გოგარენის (და აგრეთვე გოგარენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტაიქისა და სომხური სპერის) შემადგენლობაში სთვლიან იბერიის ნახევარზე მეტ ნაწილს, მდებარეს მტკვრის სამხრეთით (საზღვარის ხაზს მდინარე მტკვარზე ატარებენ); სომხეთს მიაკუთვნებენ აგრეთვე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე სამცხის პროვინციასაც (ახალციხის მხარეს). ასე მაგალითად, როგორც აღნიშნული ვეჭვონდა, ა. ჟ. სენ-მარტენი, ი. მარკვარჯი და ნ. მარი სამცხის პროვინციას სომხეთის (გოგარენის და ტაიქის) ნაწილად ვარაუდობენ.

საკითხავია, რამდენად შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს ეს მტკიცება გოგარენის მხარის ასეთი ფართო ტერიტორიული მოცულობის შესახებ?

როგორც ირკვევა, ამას სრულიად არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან.

საისტორიო წყაროების განხილვა ჩვენ დაგვანახებებს, რომ გოგარენის მხარე ეს იყო მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა კუთხე, სახელდობრ გარდაბანის მხარე, რომელიც მდებარეობდა საქართველოს განაპირაზე და მოიცავდა ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის ტერიტორიას.

საისტორიო წყაროების პრეციზული ანალიზი ჩვენ სრულის უმკველობით დაგვიმტკიცებს, რომ გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა არც ქვემო-ქართლის ძირითადი პროვინციები ტაშირი და თრიალეთი, არ შედიოდა აგრეთვე არც ჯავახეთ-არტაანი, არ შედიოდა მესხეთის არც ერთი მხარე.

ამრიგად გოგარენი, როგორც დავინახავთ, ეს სრულიად არ იყო იბერიის ნახევარი თუ მესამედი, იგი ამასთან არ იყო არც საქართველოს შუაგულთან ახლო მდებარე კუთხე, არამედ შედარებით მცირე მოცულობის რაიონი, — ვარდაბანის მხარე, რომელიც საქართველოს შორეულ პერიფერიას წარმოადგენდა, მდებარეს განჯის სანაპიერებაში.

ქ) მოსე ხორენელი: 1, 2, ა, ბ, გ, ვ, ხ, ი, ც.

ღ) უსაბულო გეოგრაფია: (2), 3, 5, ბ, ა, ბ, გ, ვ, ხ, ი, ია, ივ.

რ) მოსე კალანკატუელი: ც.

ს) იოანე კათალიკოხი: 1, ვ, ც.

ტ) უხტაქისი: 4¹.

ი) ასოლიკი: 1, 4¹, 5, ა, ბ, გ, ვ, ხ.

როგორც ვხედავთ, ეს ორი კონცეპტია სრულიად სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგენს როგორც საქართველოს ცალკე წინააღმდეგობის ისტორიის, ისე საქართველოს ისტორიის საერთო განვითარების ხაზს ანტიკურ ეპოქაში.

განვიხილოთ ამის შემდეგ გოგარენის შესახებ საისტორიო მასალები. ცნობა გოგარენის მხარის სოაქებთა მიერ დაპყრობის შესახებ დაცული აქვს სტრაბონს.

სომხეთის სახელმწიფო, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, მას შემდეგ, მეორე და პირველ საუკუნეთა მანძილზე, სომხეთმა დიდი ექსპანსია განაუვითარა და შეიერთა სანაპირო მხარეები ირანიდან (მიდიიდან), იბერიიდან, პონტოს ტომების (ხალიბების, მოსინიკებისა და ხეთაონების) ტერიტორიიდან, სირიიდან. ეს პერიოდი, მეორე-პირველი საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვისა, არის სომხეთის პოლიტიკური ძლიერების ხანა.

სტრაბონს სომხეთის ტერიტორიის გაფართოების შესახებ დასახელებულ ეპოქაში დაცული აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი დაწერილებითი ცნობები. სტრაბონი წერს:

„გადმოგვიყვან, რომ სომხეთი (არმენია), რომელიც თავდაპირველად მცირე მოცულობისა იყო, გადიდებულ იქნა არტაქსეს და ზარიადრის მიერ, რომლებიც ჯერ იფერან მხედართმთავარი ანტიოქოს დიდისა, ხოლო შემდეგ, ანტიოქოსის დამოკლების შემდეგ, გახდნენ მფუფნი..., გააფართოვეს სომხეთი, ჩამოაპყრეს რა ნაწილი მიწებისა მეზობელ ხალხებს...“

შემდეგ სტრაბონს ჩამოთვლილი აქვს, თუ რა ტერიტორიები ჩამოაპყრეს სომხებმა მიდიელებს (ირანელებს), იბერიელებს, პონტოს ტომებს და სირიელებს.

კერძოდ გოგარენის მხარე, რომელიც სომხებს დაუპყრიათ იბერიიდან, სტრაბონს შემდეგნაირად აქვს დასახელებული:

„გოგარენი, მდებარე მტკვრის იმიერ მხარეს“ (ივულისხმება: სამხრეთ მხარეს)¹.

აქ საჭიროა შევწერდეთ თარიღის საკითხზე.

სტრაბონის ცნობით სომხეთის საზღვრების ეს გაფართოება მეზობელი ხალხების — მიდიელების, იბერიელების, პონტოელების და სირიელების ტერიტორიების დაპყრობის გზით მომხდარა მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, სომხეთის პირველი მეფეების არტაქსეს და ზარიადრეს დროს.

მაგრამ ეს თარიღი, როგორც ირკვევა, დაზუსტებას საჭიროებს. მთელ რიგ გარემოებათა გამო საფიქრებელი ხდება, რომ შემოერთება ყველა იმ მხარეებისა, რაც სტრაბონს აქვს ჩამოთვლილი (სულ დასახელებულია 11 მხარე), სჩანს, არ მომხდარა ერთდროულად, არამედ ისინი შემოერთებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ არტაქსესა და ზარიადრის დროს (მეორე საუკუნეში), ხოლო ნაწილობრივ მათი მემკვიდრეების, და კერძოდ ტიგრან დიდის დროს (პირველ საუკუნეში).

ამრიგად, როგორც სჩანს, აქ ჩვენ გვაქვს გაერთიანებული სურათი სომხეთის ექსპანსიისა მეორე და პირველ საუკუნეთა მანძილზე (ძველი წელთაღ-

¹ იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 5.

რიცხვისა). სტრაბონს აქ გადმოცემული აქვს ის პოლიტიკური ვითარებები, რომელიც მის დროს, პირველი საუკუნისათვის არსებულა.

შეფარდება იმ ცნობებისა, რომელიც დაკული აქვს იბერიისა და საქართველოს საზღვრების შესახებ სტრაბონსა და უფრო ძველი ხანის ავტორს აპოლოდორს (პეორე საუკუნე ძვ. წ.), გვაძლევს საფუძველს დაესკვნათ, რომ გოგარენის მხარე შეუერთებია სომხეთს არა არტაქსესა და ზარიადრის დროს (მეორე საუკუნის პირველ ნახევარში), არამედ უფრო გვიან ხანაში. აპოლოდორის ცნობის თანახმად საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის 140 წლის ახლო ხანებში (არტაქსესა და ზარიადრის ხანის შერდეგ) გასდევდა არაქსის ხეობაში, ე. ი. გოგარენის მხარე (რომელიც მტკვრის ხეობაში მდებარეობს) ჯერ კიდევ არ ყოფილა გაერთიანებული სომხეთთან.

ხოლო სტრაბონის დროს კი საზღვარის ხაზი ჩრდილოეთით ყოფილა გადაწეული. სტრაბონი, ეხება რა აპოლოდორის ცნობას იბერიის შესახებ, აღნიშნავს, რომ იბერიას „აპოლოდორის სიტყვების თანახმად, გაჰყოფს სომხეთიდან მდინარე არაქსი, უფრო მეტად კი კვიროსი და მოსხის მთებს“. (იხ. წიგნი XI, თავი III, § 21).

სტრაბონის ცნობათა ანალიზიდან ირკვევა, რომ საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის სტრაბონის დროს, ე. ი. პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა, შემდეგი ყოფილა: საზღვარი იწყებოდა ტაოს სამხრეთით (ქალაქი იღი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ტაოში, მდ. ოლთის წყალის სათავეებში მდებარეობს, იბერიის ფარგლებში შედიოდა); საზღვარის ხაზი მიჰყვებოდა არა მთლიანად არაქსის ხეობას (როგორც აპოლოდორის დროს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ გასდევდა არაქსს¹, მეტწილად კი მიჰყვებოდა მოსხის მთებს (ე. ი. წყალთა-გამყოფ მთებს, რომელიც გაჰყოფს კოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მიჰყვებოდა მტკვარს (გოგარენის სექტორში).

ასეთია ის დასკვნები, რომელსაც უნდა დავადგეთ წყაროების ანალიზის საფუძველზე იბერიისა და სომხეთის საზღვრების საკითხის გამო დასახელებულ ეპოქაში.

გოგარენის მხარე, რომელიც, როგორც გამოირკვა, სტრაბონის დროისათვის, — ე. ი. პირველი საუკუნის დასაწყისში (ახალი წელთაღრიცხვისა) — სომხებს ჰქონიათ იბერიიდან დაპყრობილი, სჩანს დიდი ხანი აღარ დარჩენილა სომხეთის მფლობელობაში.

მომდევნო ხანა, პირველი საუკუნის პირველი ნახევარი, ეს არის პერიოდი სომხეთის პოლიტიკური დასუსტებისა.

პირველი საუკუნის 30-იან წლებში სომხეთში პოლიტიკურ უპირატესობას პონაპოეტენ ირანელები (პართეელები) და ირანის მეფე სომხეთში გააძევენ თავის შვილს (34 წ.).

იმავე ხანაში, პირველი საუკუნის პირველი ნახევრიდან მოკიდებული, იწყება იბერიის სახელმწიფოს განსაკუთრებული გაძლიერება. იბერიელები გამოდიან ირანელების მტოქეებად კავკასიაში. იბერიელები წარმატებით აწარმოებ-

¹ არაქსის ხეობის ტერიტორიებიდან მესხეთის მხარეებს (ტაოს) უშუალოდ გვრის ბასიანი, რომელიც ამ დროს, როგორც ირკვევა, იბერიის ფარგლებში შედიოდა.

ბენ ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ თვით სომხეთში. იბერიის სამეფო, რომლის სათავეში სდგას ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე ფარსმან I-ის (335-359 წწ.) გამაგრებული რომთან კავშირით, ბრძოლით დაიპყრო სომხეთი (335 წელს). ირანელების კონტრ-შემოტევა დასრულდა ირანელების დამარცხებით და სომხეთი ფაქტიურად იბერიის ხელში გადაეცა. დაწყებული ამ დროიდან სომხეთში მეფობენ იბერიელი უფლისწულები, ჯერ მითრიდატ I, ძმა იბერიის მეფის ფარსმან I-ისა (35—37, 41—51), ხოლო შემდეგ რადამისტი ფარსმანის ძე (51—54 წ. წ.), რომლებიც იბერიის მეფის ფარსმან I-ის ფაქტიური ვასალები არიან¹.

იბერიის ამ გაძლიერების დროს, როდესაც სომხეთი ფაქტიურად იბერიის ვასალურ სამეფოდ იქცა, იბერიის სახელმწიფოს ცხადია უნდა დაეგრძნებინა იბერიის ის ძველი ტერიტორია, რომელიც ადრე სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი.

პირველი საუკუნის 50-იან წლებში იბერიელებმა თუმცა დასტოვეს სომხეთი (სადაც ამის შემდეგ დამკვიდრდა ირანული არშაკიდების დინასტია), მაგრამ იბერიის სამეფო ამის შემდეგაც ძლიერების ზენიტში იმყოფება მთელი პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი. ამრიგად სომხეთის დატოვება იბერიელების მიერ სრულდებოდა არ ნიშნავდა იმას, რომ იბერიელებმა ამასთან ერთად დასტოვეს ისეთი საკუთრივ იბერიული ტერიტორია, როგორც იყო გოგარენი. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ამ მომდევნო პერიოდის შანძილზე იბერიის სამეფოს ტერიტორია არათუ არ შემცირებულა, არამედ გაზარდილა კიდევ.

ანტიკური ხანის საისტორიო წყაროებში დაცულია ცნობა იბერიის სამეფოს საზღვრების ახალი გაფართოების შესახებ იბერიის მეფის ფარსმან II-ის დროს მეორე საუკუნის პირველ ნახევარში.

(იხ. დიონ კასიუსი, *Historia Romana*, LXX, 3, SC, I, გვ. 622).

*

იბერიის ისტორიის შესახებ მომდევნო ხანაში, მეორე საუკუნის მეორე ნახევარსა და მესამე საუკუნის მანძილზე, მეტად მცირე ცნობებია მოღწეული.

ამ მომდევნო ხანაში (არა სჩანს ზედმიწევნით როდის და რა ისტორიულ ვითარებაში) სომხეთს ისევ შეუერთებია გოგარენის მხარე².

ამის შემდეგ გოგარენი დარჩენილა სომხეთის მფლობელობის ქვეშ მე-4 საუკუნის 40-იან წლებამდე.

იბერია საბოლოოდ დაიბრუნებს გოგარენის მხარეს მე-4 საუკუნის 40-იან—80-იან წლებში.

დაწვრილებითი ცნობები ამის შესახებ დაცული აქვს უძველეს სომხეთის ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს.

ფავსტოს ბიზანტიელი გადმოგვცემს, რომ სომხეთის მეფის არშაკ II-ის დამარცხების შემდეგ, 349 წელს, გოგარენის მხარე განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას.

¹ იხ. ტაციტი, *Annales* IV, 32—36; XI, 8—9, 44—51; XIII, 6, 37.

² თუ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის მოღწეულ ზღნაწერებში დასახელებული მხარე *Τουδαίου* (რომელიც მტკვრის ხეობაშია ჩაჩვენები), არის, როგორც ეს საეარადღებელია, დამახინჯებული დაწვრილობა *Τουδαίου*-სი (იხ. წ. V, თ. XII, გვ. 9), მაშინ გოგარენის გაერთიანება სომხეთთან მომხდარა მეორე საუკუნის მეორე ნახევარში.

9. „მნათობი“, № 1.

უფრო გვიან, სომხეთის მეფის პაპის დროს (369—374 წ.), სომხეთი ხელახლა შეეცადა გოგარენის დაპყრობას. ფავსტოს ბიზანტიელი აღნიშნავს, რომ სომხეთის მეფის პაპის მხედართმთავარი მუშელ მამიკონიანს სომხეთის ჯარით შეიჭრა გოგარენში, შეიპყრა და სიკვდილით დასაჯა გოგარენის მთავარი (პიტახში), იბერიელთა სამეფო დინასტიის ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი, დაიპყრა განდგომილი გოგარენის მხარე და ამრიგად აღადგინა წინათ, 349 წლამდე, არსებული საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის. მაგრამ ეს მეტად მოკლე დროით. არ გასულა ამის შემდეგ თხუთმეტი წელი, რომ გოგარენი ხელახლა განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას. გოგარენის ეს საბოლოო შეერთება იბერიასთან 387 წელს მომხდარა¹.

3

გოგარენის მხარის ტერიტორიული მოცულობა

გადავიდეთ ამის შემდეგ გოგარენის მხარის ტერიტორიული მოცულობის გარკვევაზე.

თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა გოგარენის მხარისა, რომელიც სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი, ამის შესახებ სრულიად ზუსტი ცნობა აქვს დაკული უძველეს სომხეთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურად ეხება ისტორიას იმ ბრძოლებისას, რომელიც გოგარენის გარშემო სწარმოებდა მე-4 საუკუნეში. ფავსტოს ბიზანტიელის ცნობათა თანახმად, გოგარენის ტერიტორიას შეადგენდა ძორისა და კოლბის უბნები, ე. ი. ზუსტად გარდაბანის მხარე. (ხოლო გარდაბანის მხარე, როგორც გამოირკვეულია, მოიცავდა ყოფილი ყაზახის მხარის ტერიტორიას).

ასეთია სრულიად გარკვეული ჩვენება ამ საკითხის გამო ფავსტოს ბიზანტიელის მატინისა, ამ უძველესი ავთენტური საისტორიო წყაროსი.

აქ საჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ აგრეთვე უფრო გვიანი დროის საისტორიო წყაროებზედაც, რომლებიც შეცდომებს უშვებენ გოგარენის მხარის ტერიტორიის მოცულობის აღნიშვნის დროს.

შეცდომა გვიანი დროის საისტორიო წყაროებისა ადვილად იხსნება და იმით არის გამოწვეული, რომ გვიან ხანაში აღარ არსებობდა უშუალო ისტორიული ტრადიცია ძველად არსებული ბღმინისტრატული ერთეულის გოგარენის მხარის საზღვრების შესახებ.

როგორც ცნობილია, გოგარენის მხარე იმ პერიოდში, როდესაც იგი სომხეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, წარმოდგენდა ცალკე ავტონომიურ სამთავროს, რომლის სათავეშიაც იდგა პიტახში, რომელიც გოგარენის პიტახში-ის (სომხურად გუგარქის ბღმინი-ს) სახელწოდებას ატარებდა.

როდესაც მე-4 საუკუნეში გოგარენის მხარე შემოერთებულ იქმნა იბერიასთან, ძველი გოგარენის საპიტახშიო მოსიპო როგორც ცალკე ერთეული, იგი შეუერთდა ნეზობლად მდებარე ქვემო ქართლის ტაშირის მხარეს და ამ უკანასკნელთან ერთად შეადგინა ახალი ბღმინისტრატული ერთეული, სახელწოდებით „ქართლის (=ქვემო ქართლის) საპიტახშიო“ ანუ „ტაშირის სამთავრო“. ხოლო ძველი სახელწოდება გოგარენი, როგორც ცოცხალი პოლიტიკური ტერმინი, გამოდის სმარებიდან.

¹ ფავსტოს ბიზანტიელი, 1832 წ., გვ. 159—211.

ამას ადასტურებს ქართული და სომხური საისტორიო წყაროები მე-5 და მე-6 საუკუნეებისა.

ასე, მე-5 საუკუნის ქართულ ძეგლში, შუშანიკის მარტვილობაში, ქვემო-ქართლის საპიტიახშოს ეწოდება არა გოგარენი არამედ ქართლი.

ასევე მე-6 საუკუნის ქართულ ძეგლში ვესტათი მცხეთელის მარტვილობაში ამ მხარის მპართველს ეწოდება: „პიტიახში ქართლისა“ (და არა გოგარენისა).

ასეთივე სურათი გვაქვს ამავე ეპოქის სომხურ ძეგლებში. ასე კორიუნის თხზულებაში ამავე მხარის მმართველს ეწოდება „მთავარი ტაშირისა“ (ანუ ტაშირელთა), ხოლო ლაზარე ფარპელის თხზულებაში „პიტიახში ქართლისა“ (ანუ ქართველთა)¹.

ამრიგად „გოგარენი“ როგორც ცოცხალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ტერმინი მე 4 საუკუნის შემდეგ ხმარებიდან გამოსულა; ძველი „გოგარენის საპიტიახშო“-ს ნაცვლად მე-4 საუკუნის შემდეგ არსებობდა ადმინისტრაციული ერთეული „ქართლის (ქვემო ქართლის) საპიტიახშო“ ანუ „ტაშირის სამთავრო“, რომელიც ბევრად უფრო ფართო მოცულობისა იყო და რომლის ერთ ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი იყო ძველი „გოგარენის საპიტიახშო“-ს ტერიტორია.

უფრო გვიან ხანაში, მე-7—8 საუკუნეებში, ეს ადმინისტრაციული დანაწილება ქართლის (ქვემო-ქართლის) საპიტიახშო შეიცვალა და მის ნაცვლად დაარსდა სხვა მოცულობის ადმინისტრაციული ერთეულები, სამხრეთ ქართლის ცალკე მხარეთა საერისთავოები. ხოლო კიდევ უფრო გვიან, მე-9 საუკუნეში, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული ქვემო-ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთის სამთავრო „სამამფალო“ (გვარამ დიდი მამფლის სამფლობელო).

რაკი ამრიგად სახელწოდება „გოგარენი“, „გოგარენის საპიტიახშო“ როგორც ცოცხალი ადმინისტრაციული ტერმინი ხმარებიდან გამოსულა მე-4 საუკუნის შემდეგ და იგი შეუცვლია სხვადასხვა მოცულობის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებს, გასაგებია, რომ გვიანი დროის ავტორები, რომლებიც მთელი საუკუნეებით დაშორებული არიან გოგარენის საპიტიახშოს არსებობის ეპოქას, შეცდომით წარმოგვიდგინენ გოგარენის ტერიტორიის ფარგლებს.

გვიანი ხანის საისტორიო წყაროებიდან გოგარენის შესახებ ცნობებს შეიცავენ: მოსე ხორენელის ისტორია (რომლის ეპოქა დაახლოებით მე-7 საუკუნით განისაზღვრება), სომხური უსახელო გეოგრაფია (რომლის არსებული რედაქციები მე-9 საუკუნეს ეკუთვნის), მე-10 საუკუნის ავტორი იოანე კათალიკოზი, მე-13 საუკუნის ავტორი ვარდან აღმოსავლელი.

თუ რამდენად დაბუნდოვანებული იყო ისტორიული ტრადიცია გოგარენის შესახებ გვიან ხანაში, ამის მაჩვენებელია ვარდან აღმოსავლელის ცნობა; ვარდან აღმოსავლელი თავის გეოგრაფიაში აღნიშნავს², რომ ძველი გოგარენი ეს არისო შაქი, ე. ი. ნუხის მხარე, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ვარდან აღმოსავლელს გოგარენი გადაიქვს ძველი იბერიის საზღვრებიდან ძველი ალბანიის საზღვრებში.

¹ იხ. იაკობ ტურტაველი, შუშანიკის მარტვილობა, 1938 წ., გვ. 33,42; ვესტათი მცხეთელის მარტვილობა (საქართველოს სამოთხე, 1892 წ.) გვ. 315; კოხოენი 1694 წ., გვ. 32; ლაზარე ფარპელი, 1873 წ., გვ. 134-148 და სხვ.

² იხ. ვარდანის გეოგრაფია, სენ-მარტენის გამოცემა, Memoires..., 1819 წ. II, გვ. 414.

მე-10 საუკუნის ავტორმა იოანე კათალიკოზმა იცის, რომ გოგარენი ეფნო-გრაფულად იბერია იყო, რომ გოგარენის მოსახლეობას იბერიულენოვანი მკვლევრები იხსენებენ, და იგი გოგარენს აიგივებს საერთოდ იბერიასთან, აღმოსავლეთ საქართველოსთან¹.

რაც შეეხება მოსე ხორენელსა და სომხურ უსახელო გეოგრაფიას, ისინი გოგარენის ტერიტორიას უჩვენებენ ისტორიულ იბერიაში, ხოლო მის საზღვრებს შემოფარგლავენ არა ძველად, მე-4 საუკუნეში არსებული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, არამედ გვიანდელი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რომლებიც მათ დროს, მე-7—9 საუკუნეებში არსებობდა. ვერ მოსე ხორენელია შესახებ.

მოსე ხორენელია ეპოქა, როგორც მოვიხსენეთ, მიახლოებით მე-7 საუკუნით განისაზღვრება. ამრიგად მოსე ხორენელი მთელი საუკუნეებით არის დაშორებული ძველი „გოგარენის საპიტიახშოს“ არსებობის ხანას და მას ცხადია არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა უშუალო ისტორიული ტრადიცია ძველი გოგარენის საპიტი ხშოს ტერიტორიის მოცულობის შესახებ.

მოსე ხორენელის დროს არსებობდა ადმინისტრაციული ერთეული — ქვემო-ქართლის საპიტიახშო. მოსე ხორენელი ვარაუდობს, რომ ეს მის დროს არსებული ქვემო-ქართლის საპიტიახშო და ძველი გოგარენის საპიტიახშო ერთი და იგივე ერთეულებია, იგი უბრალო იგივეობის ნიშანს ატარებს ამ ორ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ტერიტორიული მოცულობის „საპიტიახშო“-ს შორის.

მოსე ხორენელი მაგალითად მე-5 საუკუნის ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს არშუშა პიტიახშ მოიხსენებს „გოგარენის პიტიახში“-ს სახელწოდებით², იმ დროს როდესაც გოგარენის საპიტიახშო ამ დროს უკვე აღარ არსებობდა და არშუშას სინამდვილეში ეწოდებოდა (როგორც ეს სჩანს მე-5 საუკუნის ავტორების კორიუნის, ლაზარე ფარპელის და იაკობ კურტაველის ცნობებიდან) — პიტიახში ქართლისა (ქვემო-ქართლისა) ახუ მთავარი ტაშირისა.

რაკი ამრიგად მოსე ხორენელი იგივეობის ნიშანს ატარებდა ძველად არსებულ გოგარენის საპიტიახშოსა და მის დროს არსებულ ქვემო-ქართლის საპიტიახშოს შორის, გასაგებია ის შეცდომა, რომელსაც იგი გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს უშვებს.

მოსე ხორენელს გოგარენის ტერიტორიის მოცულობა ასე აქვს წარმოდგენილი: 1) გარდაბანის მხარე (კოლბისა და ძორის უბნები); 2) ტაშირის მხარე (საკუთრივ ტაშირის, წობის და კანგარის უბნები); 3) აშოცის მხარე; 4) ზემო ჯავახეთის უბანი³.

როგორც ვხედავთ, აქ შემოფარგლულია ის ტერიტორია, რომელიც ქვემო-ქართლის საპიტიახშოში შედიოდა (შეად. ზემოთ, გვ. 130—1).

მაშასადამე მოსე ხორენელი, ძველად არსებული „გოგარენის საპიტიახშო“-ს

¹ ასე იოანე კათალიკოზის წარმოდგენით არა მარტო გარდაბანის მხარე და სამხრეთი ქართლი, არამედ მესხეთის მხარეები, აგრეთვე კახეთი და იბერიის მიწა-წყალი თვით დარიალის ხეობამდე, ეს ვითარება არის გოგარენი (იხ. იოანე კათალიკოზის ისტორია, 1851, 163—4, 110, 117, 89—90, 140, 138 და სხვ.).

² იხ. მოსე ხორენელი III, 60.

³ იხ. მოსე ხორენელი, II, 8 (ეთნარქის გუშარისა და გუშარიდების სამხლობელთა ტერიტორიის აღწერილობა).



ტერიტორიის ნაცვლად (რომელიც მხოლოდ გარდაბანის მხარეს, მოგვიანდელ) აგვიწერს ქვემო-ქართლის საპიტიახზოს ტერიტორიას მის დროულ მხარეს მდებარე ფარგლებში.

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს იმ სახის შეცდომა, რაც არა ერთგზის გვხვდება საისტორიო წყაროებში, როდესაც ავტორი თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით აღადგენს წარსულის სურათს.

ეს რაც შეეხება მოსე ხორენელს.

გადავიდეთ ამის შემდეგ სომხურ უსახელო გეოგრაფიაზე.

შეცდომა, რომელიც დაშვებულია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს, როგორც სჩანს, იმავე სახისაა, როგორც მოსე ხორენელის ტექსტში.

სომხურ უსახელო გეოგრაფიის არსებული რედაქციები მე-9 საუკუნეს ეკუთვნის.

ხოლო მე-9 საუკუნეში უკვე აღარ არსებობდა არათუ გოგარენის საპიტიახზო, არამედ არც ქვემო ქართლის საპიტიახზო, და მის ნაცვლად მე-9 საუკუნეში გვაქვს ქვემო-ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მესხეთის სამამფალო (რომლის სათავეში სდგას მამფალი გვარამ დიდი).

როგორც გამოჩვეულია, ძველ-ქართული სახელისუფლო ტრეტული „მამფალი“ აღნიშნავდა იმასვე, რასაც „პიტიახში“¹, და მე-9 საუკუნის სამამფალო ეს იყო შემკვიდრე ამაზე აღრინდელი, მე-7—8 საუკუნეებამდე არსებული ქვემო-ქართლის საპიტიახზოსი.

მე-9 საუკუნის სამამფალოში, საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაი“-ს ცნობის თანახმად, შედიოდა შემდეგი ტერიტორიები²:

ა-ბ) ტაშირი, რომლის ფარგლებშიაც მე-9 საუკუნეში გაერთიანებული იყო ტაშირისა და გარდაბანის მხარეები;

გ) თრიალეთი; დ) ჯავახეთი; ე) არტაანი.

ეს არის სამამფალოს ძირითადი ტერიტორია³.

ამას გარდა სამამფალოს სათავეში მდგომ შთაერს გვარამ მამფალს ჰქონდა აგრეთვე წილი კლარჯეთში (რომელიც ამ დროს საქართველოს ბაგრატიონთა საერთო სამფლობელოს წარმოადგენდა); გვარამ მამფალს, როგორც სჩანს მატიაანის ცნობებიდან, მშენებლობა უწარმოებია კლარჯეთში.

შვედაროთ ამის შემდეგ სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღწერილი გოგარენის საპიტიახზოს ტერიტორია და მე-9 საუკუნის ამ აღმინისტრატული ერთეულის სამამფალოს (საპიტიახზოს) ტერიტორია. ისინი ჰვარავენ ერთიმეორეს.

სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობით⁴ გოგარენის მხარე შეიცავდა ხუთ

¹ იხ. ზემოთ. თავი IV (მნათობი, № 1, 1950, გვ. 109—110).

² იხ. მატიაანე ქართლისა, გვ. * 445/223.

³ სამამფალოს ფარგლებში შედიოდა ერთხანად აგრეთვე არაქვის აღუში მდებარე აშოცი, მაგრამ შემდეგ, როგორც გადმოვეცემს შემოახანდ, გვარამ მამფალმა „აშოცი განუღო (ყოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა“ (იხ. მატიაანე ქართლისა, გვ.* 446/223). აშოცი ამის შემდეგ საქართველოსა და სომხეთის კონდომინიუმს წარმოადგენს

⁴ იხ. გეოგრაფია, მოკლე ვერსია, 1865 წ., გვ. 610, 605. ვრცელი ვერსია, 1881 წ. 34—28.

კანტონს ტაშირის და გარდაბანის მხარეებისას (ძორი, კოლბე, წობი, საკუთრივ ტაშირი და კანგარი), თრიალეთს, ჯავახეთს, მთიანეთს და კლარჯეთს¹.

ამრიგად ისევე როგორც მოსე ხორენელის ტექსტში მე-4 საუკუნის გოგარენის საპიტიახშოს სახით აღწერილია მე-7 საუკუნეში არსებული აღმინისტრაციული ერთეულის ქვემო-ქართლის საპიტიახშოს ტერიტორია, ამგვარადვე სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღწერილია ავტორის დროს არსებული მე-9 საუკუნის აღმინისტრაციული ერთეულის სამამფალოს (საპიტიახშოს) ტერიტორია.

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას იმ შემცდარი ცნობებისას, რომელთაც შეიცავს მოსე ხორენელისა და სომხური უსახელო გეოგრაფიის ტექსტი გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ როდესაც მოსე ხორენელი და სომხური უსახელო გეოგრაფია ფართოდ მოხაზავენ გოგარენის ტერიტორიას, ისინი ამ შემთხვევაში, სიანს, წინასწარ აღებული ტენდენციით კი არ ხელმძღვანელობენ², განზრახ კი არ ამახინჯებენ სინამდვილეს, არამედ შეცდომით გადააქვთ წარსულში ის გეოგრაფიულ აღმინისტრაციული დანაწილება, რომელიც მათ დროს არსებობდა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა ავსნათ წარმოშობა მოსე ხორენელის და სომხური უსახელო გეოგრაფიის ტექსტის ცნობებისა, აქვს აქ ადგილი ტენდენციას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა, რომ ამ ცნობებს არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან. ისტორიული სინამდვილე ცხადია აღბეჭდილია არა ამ ნაგვანევი ძეგლების ცნობებში, რომლებიც სამი-ხუთი საუკუნით არიან დაშორებულნი გოგარენის საპიტიახშოს არსებობის ხანას, არამედ უძველესი სომეხთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებაში, რომელიც უშუალო ისტორიულ ტრადიციას შეიცავს და რომელიც, როგორც ვნახეთ, სპეციალურად ეხება გოგარენის მხარის ისტორიას მე-4 საუკუნეში.

ხოლო ფავსტოს ბიზანტიელის სრულიად გარკვეულ ცნობის მიხედვით, გოგარენის საპიტიახშო შეიცავდა ძორისა და კოლბის უბნებს, ე. ი. მხოლოდ გარდაბანის მხარეს (ყაზხის მაზრის ტერიტორიას). და მასში არ შედიოდა არც ქვემო-ქართლის დანარჩენი პროვინციები (ტაშირი, თრიალეთი, აშოცი), და მით უფრო არც მესხეთის უფრო შორეული მხარეები (ჯავახეთი არტაანი და კლარჯეთი).

რომ გოგარენის საპიტიახშოს ტერიტორია შეიცავდა მხოლოდ გარდაბანის მხარეს და რომ მასში არ შედიოდა არც ქვემო-ქართლის სხვა პროვინციები და არც მესხეთის პროვინციები, ამას, გარდა ფავსტოს ბიზანტიელის ჩვენებისა, ეთანხმება და ადასტურებს მთელი რიგი სხვა წყაროები.

წყაროების ცნობებს განვიხილავთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

¹ ამას გარდა საქართველო-სომხეთის კონდომინიუმი აშოცი აღნიშნულია არარატის მხარის შედგენილობაში (იხ. გეოგრაფია, მოკლე ვერსია. 1865 წ., გვ. 610).

² ტენდენცია მოსე ხორენელის თხზულებაში სხვა ჩაით შეინიშნება.



ა. სტრაბონის ცნობები.

სტრაბონის გეოგრაფიის ტექსტის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნულა გვერდობა, ირკვევა შემდეგი:

1. გოგარენი მდებარეობდა მტკვრის „იმიერ“, ე. ი., მარცხენა სანაპიროზე¹ (ხოლო გარდაბანის მხარე ასევე მტკვრის „იმიერ“ მდებარეობს, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება);

2. მესხეთის სამხრეთი ქვეყნებიდა იბერიის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთი ტაო — ვიდრე ქალაქ იდამდე ანუ იდესამდე, ე. ი. ოლთისის — წყალის სათავეებამდე².

3. საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის, სტრაბონის ცნობათა მიხედვით, იწყებოდა ტაოს სამხრეთით, ნაწილობრივ გასდევდა არაქსს (ბასიანის ზონაში), შემდეგ მიჰყვებოდა „მოსხის მთებს“ (ე. ი. წყალთაგამყოფ მთებს, რომელიც ვაკყოფს ქოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მტკვარს (გოგარენის სექტორში)³.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით აშკარა ხდება, რომ სტრაბონის დროს სომხეთის ფარგლებში არ შედიოდა მესხეთის პროვინციები არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთი, რადგან ყველა ესენი მდებარეობენ ზემოთ-აღნიშნული საზღვარის ხაზის ჩრდილოეთით (ე. ი. უფრო ჩრდილოეთით ვიდრე ტაო, ვიდრე ბასიანი და ვიდრე მოსხის მთები).

ბ. პლინიუს სეკუნდის (23—79 წ. წ.) ცნობები.

პლინიუს სეკუნდს იბერიის საზღვრებში მოხსენებული აქვს მხარეები ტაშირისა და თრიალეთისა ვიდრე პარიჰედრის მთებამდე („regio Thasie et Thiare usque ad Parihedros montes“ (იხ. Naturalis historia, XXXVII, 26).

პარიჰედრის მთების სახელწოდებით აქ მოიხსენება ბამბაკის ანუ კანგარის მთები, რომელიც ვაკყოფს მტკვრისა და არაქსის ხეობებს და რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან (საქართველოს მხრიდან) ადგება ტაშირ-თრიალეთის მხარენი, ხოლო სამხრეთის მხრიდან (სომხეთის მხრიდან) ადგება შირაკის მხარე⁴.

ამრიგად პლინიუს სეკუნდის ამ სრულიად გარკვეული ჩვენების თანახმად ქვემო ქართლის ეს ზონა, ტაშირ-თრიალეთის მხარეები ვიდრე ბამბაკის მთებამდე, იბერიის საზღვრებში ყოფილა მოქცეული და არა სომხეთში.

გ. პლუტარქის (46—126 წ. წ.) ცნობები.

პლუტარქის ჩვენებით მტკვრის ხეობა ვიდრე სათავეებამდე იბერიაში შედიოდა; პლუტარქი წერს მდინარე მტკვრის (კვიროსის) შესახებ: „ეს მდინარე ლებულობს სათავეებს იბერიის მთებში“⁵.

პლუტარქის ამ პირდაპირი ჩვენების თანახმად მტკვრის ხეობაში მდებარე მესხეთის მხარეები — არტაანი და ჯავახეთი-იბერიის ნაწილს შეადგენდა.

დ. კლავდი პტოლემეს (მე-2 საუკუნის მეორე ნახევარი) ცნობები.

კლავდი პტოლემეს თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ორგზის აქვს აღნიშნული, რომ ქალაქი არტაანი იბერიის საზღვრებში შედის⁶.

¹ იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, 5.

² იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი II, § 18. შეადარეთ ზემოთ, თავი VII, 1 მართობი, № 12, გვ. 131.

³ იხ. ზემოთ, გვ. 128.

⁴ რომ პარიჰედრის (პარკადრის) მთების სახელწოდებით აღნიშნებოდა ბამბაკის მთები, რომლის მთაახლეთა შირაკი, იხ. ამის შესახებ აგრეთვე კლავდი პტოლემეს გეოგრაფია, SC, I, 244.

⁵ იხ. SC, I, გვ. 491.

⁶ იხ. SC, I, გვ. 241, 247.

ამრიგად, აქაც ჩვენ ვაქვს იმისი დადასტურება, რომ არტაანის პროვინცია (აგრეთვე არტაანის ჩოდილოეთით მდებარე ჯავახეთის პარაფინუმუჰი-იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული.

გინგლინიძე

გ. დასასრულ შევჩერდებით ძველ-ქართული წყაროს ჩვენებაზე.

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლი — მათიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ებება რა ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებას იბერიაში (კონსტანტინე კესრის ზეობის დროს, ე. ი. 337 წლამდე), გადმოგვცემს უძველეს საისტორიო ტრადიციას, რომ საეკლესიო მშენებლობა მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში ერთდროულად დაიწყო არტაანის მხარეში — ერუშეთში, ქვემო-ქართლის სანაპიროზე — მანგლისში და იბერიის დედაქალაქ მცხეთაში¹.

ამრიგად, ამ ადგილობრივი არქაული საისტორიო ტრადიციის თანახმად, მესხეთის არტაანის მხარე, ისე როგორც ქვემო-ქართლის მონაპირე სექტორი, იბერიის ძირითად განუყოფელ ნაწილად არის წარმოგენილი.

*

ჩვენ დავამთავრეთ განხილვა ყველა ისტორიული პირველწყაროებისა, რომელთა მიხედვით შესაძლოა გარკვეულ იქმნას, თუ რა როლულობისა იყო გოგარენის საპიტიახშო, ტერიტორია, რომელიც დაპყრობილი ჰქონდათ სომხებს იბერიიდან და რომელიც იბერიამ დაიბრუნა მე-4 საუკუნეში.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან ამრიგად შემდგვი ირკვევა:

1. გოგარენის საპიტიახშო შეიცავდა გარდაბანის მხარეს (ძორისა და კოლბის უბნებს, ე. ი. ტერიტორიას ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრისას).

2. გოგარენის საპიტიახშოს შემადგენლობაში არ შედიოდა ქვემო-ქართლის დანარჩენი პროვინციები (ტაშირი და მიმდგომი მხარეები), ისევე როგორც არ შედიოდა მესხეთის პროვინციები.

დ.

გოგარენის-გარდაბანის მხარის ისტორიის ზოგიერთი საკითხები. — ეთნოგრაფიული შემადგენლობა გოგარენის — გარდაბანის მხარის მოსახლეობის ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალ საუკუნეებში.

რათა სრული სინათლე იყვეს შეჯანილი იმ საკითხებში, რაც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ჩვენ მოგვიხდება მოკლედ შევჩერდეთ გოგარენის — გარდაბანის მხარის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე და კერძოდ კითხვაზე, თუ როგორი იყო გოგარენის — გარდაბანის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

*

1. მხარის სახელწოდებანი.

პირველი საკითხი, რომელზედაც აქ ჩვენ შევჩერდებით, ეს არის მხარის სხვადასხვა სახელწოდებანი და მათი წარმოშობის საკითხი.

მხარე ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალ საუკუნეებში ცნობილია შემდეგი სამი სახელწოდებით:

ა. გოგარენი. — ბ. გარდაბანი. — გ. აერაც-დაშტ“ (— „ქართველთა ველი“ სომხურად),

¹ იხ. მოქცევა ქართლისაჲ, OP, II, გვ. 714.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა წარმოშობისაა და რას აღნიშნავს ეს სახელები?

ა. გოგარენი.

ეს სახელწოდება ანტიკური ხანის ტექსტებში შემდეგი ფორმებით არის წარმოდგენილი: „გაგარენი“ და გოგარენი¹.

ორივე ფორმა, როგორც „გაგარენი“ ისე „გოგარენი“, დამოწმებულია სტრაბონის გეოგრაფიის ხელნაწერებში².

ამ ორი ფორმიდან პირველია, როგორც ირკვევა, „გაგარენი“. ეს სახელწოდება, სჩანს, დაკავშირებულია მხარის მთავარი ციხე-ქალაქის სახელწოდებასთან: „გაგი“.

ციხე-ქალაქი გაგი წარმოადგენდა მხარის ბუნებრივ ცენტრსა და ამასთან ბუნებრივს სიმაგრეს. ქალაქ გაგის აკროპოლისი (დედა-ციხე), რომელიც მიუვალად ითვლებოდა, გაშენებული იყო მთის მწვერვალზე, რომელიც ისტორიკოსის ვარდან დიდის სიტყვით „მბრძანებლობს (მის წინ გაშლილ) ფართო და უსაზღვრო ველზე“. თვით ამ ველს, რომელიც მხარის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, ეწოდებოდა „გაგის ველი“³.

ციხე-ქალაქის ამ სახელწოდებიდან „გაგი“ იწარმოება „გაგარი“ („გაგარი), რაც ნიშნავს: „გაგელი“ (გაგ-ელი). „გაგარი“ და „გაგელი“ ისეთივე პარალელური ფორმებია, როგორც ოპიზარი და ოპიზელი, ოდიშარი და ოდიშელი და სხვანი.

ამრიგად, ეს სახელწოდება მხარისა „გაგარენი“ (გაგ-არ-ენი) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „გაგენი“. აქ ჩვენ გვაქვს იმ ტიპის სახელწოდება, რომლის მსგავსი არა ერთია დამოწმებული ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

აქ საჭიროა ამავე დროს ხაზი გაუუსვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებასაც: ის ფაქტი, რომ სახელწოდება მხარისა გოგარენი — გაგარენი დაკავშირებულია ციხე-ქალაქის სახელთან გაგი, — ერთი კიდევ ზედმეტი საბუთია იმისა, რომ გოგარენი — გაგარენი ეს იყო სწორედ გარდაბანის პროვინცია, ქალაქ გაგის სანახები, და არა რომელიმე სხვა მხარე.

ბ. გარდაბანი.

ეს მეორე სახელწოდება მხარისა წარმოდგენილია შემდეგის ვარიანტული ფორმებით: გარდაბანი და გარდაბანი (გარდამანი).

აკად. ნ. მარი ამ სახელწოდებას უკავშირებს ქართველების ეთნიურ სახელთან „ქართ-ი“.

თუ გავიზიარებდით ნ. მარის ამ მოსაზრებას, მაშინ პირველადი სახე მხარის სახელწოდებისა ასე უნდა იქმნას აღდგენილი: „ქართ-აბანი“ ე. ი. ქართველთა მხარე („აბანი“ — მხარეს ნიშნავს)⁴.

¹ რაც შეეხება სომხურ ფორმას ამ სახელწოდებისას „გუგარ-კ“ იგი ითვლება მომდინარე ფორმიდან გოგარ-ქ იგივე გოგარენი (პ. ჰიბერმანი).

² იხ. ამ საკითხზე ზევით, თავი V (მნათობი, № 3, გვ. 143, შენიშვნა 1).

³ იხ. ვარდანის გეოგრაფია (სენ-მარტენის გამოცემით), გვ. 414, 424. მეორე სახელწოდება ამ ველისა არის „ბუნანის ველი“, რაც მომდინარეობს მხარის მეორე ცენტრის ბუნანის სახელწოდებიდან.

⁴ სახესხვაობა ამ სიტყვისა „აბანი“ არის „ობანი“. იგივე „უბანი“ (სამოვე ფორმა გვხვდება ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში). სიტყვა „აბანი“, რომელსაც არჩაულ ქართულში „მხარის“ მნიშვნელობა ჰქონია, დამოწმებულია გარდა ქართულისა ურარტულში (ფორმით „აბ.ნა“), სადაც ეს სიტყვა „მხარე“-ს ნიშნავს.

რომ ნ. მარი ამ შემთხვევაში მართალია, ამას ადასტურებს ფრეიფელდერი რომელიც თვით ნ. მარს არ შეუნიშნავს.

პირველი ფაქტი — ეს არის სახელწოდება გარდაბანისა, რომელიც დაცული აქვს ვარდან დიდს თავის გეოგრაფიაში და სადაც ამ სახელწოდების პირველ ნაწილში უცვლელად არის შენახული სატომო სახელი ფორმით: „ქართ“¹.

მეორე ფაქტი, რომელიც ადასტურებს ნ. მარის მოსაზრებას ეს არის ქვემოთ განხილული სომხური სახელწოდება მხარისა.

გ. „ვრაც-დაშტ“.

სომხურ წყაროებში ჩვენ მხარეს მიემართება სახელწოდება „ვრაც-დაშტ“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ქართველთა ველი“.

(სომხური წყაროების ცნობით ქვემო-ქართლი შეიცავდა ორ მთავარ მხარეს: ტაშირსა და „ვრაც-დაშტ“-ს, რაც უფროს ქართულ წყაროების ორ მთავარ მხარეს: ტაშირსა და გარდაბანს)².

თუ რა წარმოშობისაა ეს სახელწოდება „ქართველთა ველი“ ამას შეუქიფინება მას შემდეგ, რაც ამოცნობილ იქმნა პირველადი სახე გარდაბანის მხარის სახელწოდებისა „ქართ-აბანი“ = ქართველთა მხარე. სომხური სახელწოდება „ვრაც-დაშტ“ = „ქართველთა ველი“ ცხადია არის პარალელი მხარის ამ ძველ-ქართული სახელწოდებისა „ქართ-აბანი“ ქართველთა მხარე.

ჩვენ ამით დავესრულებთ მხარის ამ სახელწოდებათა განხილვას.

ამრიგად, როგორც ირკვევა სახელწოდება გოგარენი; პირვანდელის სახით გაგარენი, დაკავშირებულია მხარის ერთ-ერთი მთავარი ცენტრის გაგარენის სახელთან; ხოლო უკანასკნელი ორი სახელი „ქართ-აბანი“ (—ქართველთა მხარე) და „ქართველთა ველი“ („ვრაც-დაშტ“) ერთნაირი წარმოშობისაა.

2. გოგარენი — გარდაბანის მხარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.

ვიღრე გადავიდეთ განხილვაზე ძირითადი საკითხისა, თუ როგორი იყო ერთნაირი სახელი შემადგენლობა გოგარენი-გარდაბანის მხარისა, ჩვენ აქ წინასწარ მოგვიხდება შეფერდეთ აგრეთვე ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხებზე და კერძოდ დავაზუსტოთ ცნობები გოგარენის მხარის ცალკე უბნების ტერიტორიულ მოცულობისა და საზღვრების შესახებ.

ა. გოგარენის მხარის მოსაზღვრე მდინარეები: ქურდისხევი (ქურდ-ვაჭრის ხევი), ბერდუჯი და კოტმანი.

¹ ვარდან დიდის გეოგრაფიაში აღნიშნულია: „გარდმანი არის ქართომანაიკი“ (იხ. გვ. 414). ეს სახელწოდება „ქართომანაიკი“, მომდინარე პირველადი ფორმიდან „ქართომანი“ „ქართ-აბანი“ შერჩენილი ყოფილა ადგილობრივ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში (როგორც სახელწოდება გარდაბანის მხარის უძველესი ცენტრისა, რომელიც საშუალ-საუფრეთა მწერლობაში ჩვეულებრივ „გარდმანი“-ს ანუ „გარდმანი“-ს სახით მოიხსენება).

² სამხარეთო ერთეული ტაშირი, და მის გვერდით, როგორც ცალკე სამხარეთო ერთეული „ვრაც-დაშტი“ (შესაფარდად ქართული მხარეებისა ტაშირი და გარდაბანი) დასახელებული აქვს სტეფანე ტარონელს (იხ. წიგნი III, თავები 30, 45). ქალაქ ცურტავი, რომელიც მდებარეობდა კოლხის უბანში გარდაბანის მხარისა (ტაშირისა და გარდაბანის საზღვართა) უბტანეს აღნიშნული აქვს „ვრაც-დაშტი“-ს („ქართველთა ველი“-ს) რაიონში (იხ. უბტანესი 1971 წ. გვ. 34).

ჯუანშერის მატიანის ცნობის თანახმად დასავლეთი საზღვარი გარდაბანის მხარისა, რომელიც ვაკუოფდა გარდაბანის მხარეს ტაშორის მხარეში, ეს იყო მდინარე, რომელსაც რქმევია ქურდის ხევი (იგივე ქურდ-ვაჭარის ხევი) ¹.

„შარავანდიდთა ისტორია-აზმანი“-ს მიხედვით ირკვევა, რომ ქურდის ხევი (ქურდ-ვაჭარის ხევი) ეს არის მდინარე, რომელსაც ამჟამად ეწოდება ინჯა, რომელიც მიმდინარეობს ყოფილ ყაზახის მაზრაში და რომელიც ერთვის მტკვარს მდინარე ქციის შესართავს ქვემოთ (მდინარეებს ქციასა და აღსტაფას შუა) ².

ეს მდინარე ქურდის ხევი ანუ ქურდ-ვაჭარის ხევი ატარებდა აგრეთვე სახელებს: კოლბის მდინარე (რადგან იგი კოლბის უჩანზე მომდინარეობდა) ³, და გაჩიანის მდინარე, რადგან ამ მდინარეზე, მის მტკვართან შესართავთან, გაშენებული იყო ქალაქი გაჩიანი ⁴.

ეს რაც შეეხება გოგარენ გარდაბანის მხარის დასავლეთ მიჯნას.

აღმოსავლეთი ისტორიული საზღვარი გოგარენ-გარდაბანის მხარისა, როგორც ეს უკვე აღნიშნული ვეჭონდა, იყო მდინარე ბერდუჯი, მაგრამ ზოგჯერ საზღვარი გასდევდა უფრო აღმოსავლეთით, მდინარე კოტმანის ხაზზე.

როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, მდინარე ბერდუჯი, რომელსაც აგრეთვე რქმევია საგამი, ეს არის მდინარე, რომელსაც ამჟამად ზაგამი (ძეგამი) ეწოდება და რომელიც მომდინარეობს ყოფილი ყაზახის მაზრის აღმოსავლეთი საზღვარის ახლო ⁵.

რაც შეეხება მდინარე კოტმანს, როგორც ეს ირკვევა ვარდან დიდის ისტორიის ტექსტის მიხედვით, კოტმანი ეს არის ძველი სახელწოდება შამქორის მდინარისა ⁶.

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. *428/208; შეადარეთ ისტორია-აზმანი შარავანდიდთანი გვ. *652/438 *655/442, *666/457 (შენიშნა 5).

² „ისტორია-აზმანი“-ს ცნობით მდინარე მტკვარს თბილისის ქვემოთ, ყაზახის მხართულებით ერთოფდა მდინარეები შემდგომის თანამიმდევრობით: 1 აღეთი, 2 ქცია და 3 ქურდ-ვაჭარის ხევი (იხ. გვ. *668/457, შენ. 5). ხოლო ქციას ქვემოთ (და აღსტაფის, ძველი აღსტაფის ხევი) მტკვარს ერთვის მდინარე ინჯა.

³ იხ. უსახელო გეოგრაფია მე-9 საუკუნისა, 1831 წ. გვ. 28. ამ მდინარეზე დღემდე არსებობს პუნქტი კოლბი (რუსული ზეთიერისანი რუკები Кухл, თან.მედროვე სარაიონო ცენტრთან ნოემბერისთან).

⁴ გაჩიანის მდებარეობა ირკვევა ლეონტი მროველის, ჯუანშერის, უზტანესის და დავით აღმაშენებლის ისტორიის ცნობათა შეფარდებიდან. ქალაქი გაჩიანი მდებარეობდა ტაშორისა და გარდაბანის საზღვარზე, ე. ი. მდინარე ქურდ-ვაჭარის ხევი (იხ. ლეონტი მროველი, გვ. *103—104/6, ჯუანშერი, გვ. *428/208 შეადარეთ აგრეთვე „ისტორია—აზმანი“-ს ხელოვანსა ხელნაწილები ადგილები, სადაც ქურდ-ვაჭარის ხევი საზღვრის ხაზად არის აღნიშნული. ეს მდინარე, რომელსაც მდებარეობდა ქალაქი გაჩიანი, უზტანესის მოხსენებული აქვს გაჩიანის მდინარის სახელით (იხ. უზტანესი, 1871 წ. გვ. 34). გაჩიანი გაშენებული ყოფილა მტკვარის პირას (იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *529/296), მანასადაც პუნქტში, სადაც გაჩიანის მდინარე ერთვის მდინარე მტკვარს.

⁵ იხ. ხეშოთ, თავი IV (მნათობი, 1949 წ., № 11, გვ. 137).

⁶ შეადარეთ ჩვენებანი ჯუანშერისა (გვ. *428/208) და ვარდან დიდისა (იხ. ვარდან დიდის ისტორია ნ. ენინის თარგმანი, 1861 წ., გვ. 174—175). ვარდან დიდის ცნობის თანახმად კოტმანი არის ის მდინარე, რომლის სექტორში მდებარეობდა გარდმანის ციხე-ქალაქი (—ქართმანიცი), ხოლო ეს უფანაკენელი, როგორც ცნობილია, შამქორის წყლის მარჯვენა შექმნიარეზე მდებარეობდა.

გადავიდეთ ამის შემდეგ გოგარენ-გარდაბანის მხარის ტერიტორიის განსაზღვრაზე.



ბ. გოგარენ-გარდაბანის მხარის ცალკე უბნები.

გოგარენ-გარდაბანის მხარე, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, შეიცავდა ორ ძირითად უბანს, რომელთაც ეწოდებოდა კოლბი და ძორი, და ერთ სანაპირო უბანს, რომელიც მდებარეობდა ბერდუჯის აღმოსავლეთით (კოტმან-გარდაბანის უბანი).

ცალკე უბნების ტერიტორიული მოცულობა შემდეგი იყო:

1. კოლბის უბანი მდებარეობდა მხარის დასავლეთ ზონაში. ძირითად ნაწილს ამ უბნისას ცხადია შეადგენდა მდინარე კოლბის ხეობა, რომლის ზემო ნაწილში მდებარეობს თვით უბნის ცენტრი კოლბი¹; აღმოსავლეთის მიმართულუბით კოლბია უბანი აღდგებოდა მდინარე ალისტევის (ალსტაფის) სექტორს, მაგრამ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, თვით ალისტევი და მისი ხეობა არ შედიოდა კოლბის უბანში, არამედ შეზღუდულ ძორის უბანში.

კოლბის უბანში, კოლბის და ტაშირ-ის საზღვრებთან, მდებარეობდა ქალაქი ცურტაყი, რომელიც მდინარე გაჩიანის წყალის ხეობაში (ე. ი. კოლბის ხეობაში) არის აღნიშნული².

2. ძორის უბანი მოიცავდა მდინარე ალისტევის (თანამედროვე ალსტაფის) ხეობას და მის აღმოსავლეთით მდებარე სექტორს ვიდრე მდინარე ბერდუჯამდე³. ძორის უბანი შეადგენდა გოგარენ-გარდაბანის მხარის მთავარ ნაწილს (ტერიტორიის მოცულობით იგი ერთი ოთხედ დიდი ყოფილა კოლბის უბანთან შედარებით).

ძორის უბანში მდებარეობდა ქალაქები: გაგვი, ხუნანი, და საეპისკოპოსო კათედრა აგარანი ანუ აგარაკი, რომელიც მემბტიანის ცნობით, „არს ხუნანის გამართებით“⁴.

3. აღმოსავლეთის სანაპირო კოტმანი-ს-გარდამანის უბანი მოიცავდა ტერიტორიის ბერდუჯიდან—კოტმანამდე (ე. ი. შამქორის მხარეს).

ეს უბანი უძველეს ხანაში სიანს შეადგენდა გოგარენ-გარდაბანის მხარის უშუალო ნაწილს, რადგან ამ კუთხეს ბოლომდე შეოჩა თვით ეს სახელი გარდამანი, იგივე გარდაბანი. მაგრამ შემდეგ ეს კუთხე ჩამოშორებია გოგარენ-გარდაბანის ძირითად ნაწილს და ცალკე სამთავროს სახით ჩამოყალიბებულია („გარდამანის სამთავრო“ ს სახელწოდებით)⁵. როდესაც მე-4 საუკუნეში გოგარენ-გარდაბანის საპიტაიზმო (ძორისა და კოლბის უბნები) შეუ-

¹ იხ. ზემოთ, გვ. 139, შენიშვნა 4.

² უბტანეი, 1871 წ., გვ. 34. უფრო დაწვრილებით ცურტაყის ადგილმდებარეობის შესახებ იხ. სპეციალურ შენიშვნებში.

³ რომ მდინარე ალისტევის ხეობა ვიდრე სათავეებამდე ძორის უბანში შედიოდა, ეს ირკვევა იოანე კათალიკოსის (1853, გვ. 168) და კირაკოს განაქელის (1866, გვ. 107) ცნობათა შეფარუბიდან. ციხე-ქალაქი კაენი, რომელიც მდინარე ალისტევის ხეობას ზემო ნაწილში მდებარეობდა, ძორის უბანს ფარგლებშია დასახლებული. სამთავრო უსაბულო გოგარაფის ზე ნებიდან ირკვევა ამასთან, რომ მდინარე ალისტევის (ძორის უბნის მთავარ ხეობას) ძორის მდინარე ეწოდებოდა (იხ. 1831, გვ. 26).

⁴ იხ. ცხოვრება ვახტანგ გოგასარისა, გვ. *371/179.

⁵ იხ. ფეფტოს ბიზიტრული, 1831, გვ. 43, 159, 210. იხ. აგრეთვე კორიფი, 1894, გვ. 33, მოსავ კალანკატუელი, 1860, გვ. 273, არსენი საფარელი (ქრონიკები, 1), გვ. 330, 332.

ერთდა იბერიას, ეს სანაპირო კოტმან-გარდაშანის უბანი იბერიის ფარგლებს გარეშე დარჩა. მომდევნო საუკუნეებში ეს კუთხე არის ერთგვარად დატოვებული იბერიასა და ალბანიას შორის და მხოლოდ დროკამოშვებით შედიოდა იბერიის ფარგლებში. მოსახლეობაც ამ პერიოდურულ კუთხეში სწანს შერეული იყო და ალბაური ელემენტი აქ აღრიდანვე კრბად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

იბერიის ფარგლებში კოტმან-გარდაშანის უბანი როგორც ირკვევა შედიოდა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასარის დროს¹. უფრო გვიან, მე-8 საუკუნისათვის. არჩილ მეფის დროს, კოტმანის უბანს იბერიის ფარგლებში ასახელებს ზემატინე ჯუანშერი². კოტმანის უბანი დროკამოშვებით შედიოდა იბერიის ფარგლებში აგრეთვე მე-9—10 საუკუნეთა მანძილზე (აშოტ I დიდისა და გურგენ ერისთავთ-ერისთავის დროს)³.

აქ საჭიროა ხაზი გაუსვავთ შემდეგს:

ქვემოთ, როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს გოგარენ-გარდაშანის მხარის შესახებ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს ორი ძირითადი უბანი გოგარენ-გარდაშანის მხარისა, ე. ი. ძორი და კოლბი, და აქ არ ვათვლით ამ ტესამე სანაპირო კუთხეს, კოტმან-გარდაშანის უბანს, რომელიც აღრე დაშორებია გოგარენ-გარდაშანის მხარეს და რომელსაც თავისი განსხვავებული ისტორია ჰქონია.

*

გ. გორგარენ-გარდაშანის მხარის ორი საეკლესიო ოლქი იბერიაში მე-6—7 საუკუნეებში, როგორც ცნობილია, 35 საეპისკოპოსო არსებობდა; აქედან გოგარენ-გარდაშანის მხარეში ორი საეპისკოპოსო იყო: 1. ხუნანისა ანუ აგარაკისა და 2. ცურტავისა.

საისტორიო წყაროთა ცნობით ორივე ეს საეპისკოპოსო დაარსებული იყო მე-5 საუკუნეში⁴.

საეპისკოპოსოების ტერიტორიების მოცულობა აღმინისტრირული ერთეულების საზღვრებთან იყო ხოლმე შეფარდებული და გოგარენ-გარდაშანის მხარის ორი საეპისკოპოსო (ხუნან-აგარაკისა და ცურტავისა), ეს არის, ცხადია, საეპისკოპოსოები ამ მხარის ორი უბნისა; ძორისა და კოლბისა.

ხუნანი და აგარაკი ძორის უბანში მდებარეობდა და ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო ეს არის საეპისკოპოსო ძორის უბნისა.

რაც შეეხება ცურტავის საეპისკოპოსოს, იგი კოლბის უბნის საეპისკოპოსო ყოფილა.

¹ იაკობ ცურტაველის თხზულებაში დასახელებული (1938, გვ. 5) — „სახლვარი ქართლისა, ქვეანა ჰარეთისა“. რომელიც ქვემო-ქართლის საპიტიაზმის ფარგლებში ყოფილა მოქცეული, სწანს არის ქვემო-ქართლის მოსაზღვრე ეს სექტორი, იბერიასა და ალბანიის ბუნებრივი ზონა. შეადარეთ აგრეთვე ჯუანშერის ტექსტში ჩაითული ექსცერპტის ცნობა რანის შესახებ გვ. *404/188).

² იბ. ჯუანშერი, გვ. *428/208.

³ იბ. ზემოთ, თავი IV.

⁴ ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო დაარსებულია ვახტანგ გორგასარის მიერ (იბ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *392/179). ცურტავის საეპისკოპოსო დაარსებულია იმავე ხანაში, შეშინიყა დროს (იბ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 178) ორივე ეს საეპისკოპოსო მოხსენებულია იბერიის საეპისკოპოსოთა სიაში 505 წელს (იბ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 183, უბტანესი, 1871, გვ. 86. იბ. აგრეთვე ზემოთ, თავი IV, მნათობი, 1949, № 11, გვ. 137, შენ. 2).



დ. გოგარენ-გარდაბანის მხარის მოსახლეობის რაფიული შემადგენლობა.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როგორი იყო გოგარენ-გარდაბანის მხარის ეთნოგრაფიული სახე.

სისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარე, მოსახლეობის შედგენილობის მიხედვით, ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ საუკუნეებში.

წყაროები ამ საგანზე შემდეგ ჩვენებებს იძლევა.

სტრაბონის ცნობის თანახმად გოგარენ-გარდაბანის მხარე, ვიდრე მას სომხეთი დაიპყრობდა, იბერიის ნაწილს შეადგენდა.

ამის შემდეგ, როგორც გარკვეული გეკონდა, გოგარენ-გარდაბანის მხარე ხან სომხეთთან იყო დაკავშირებული, ხან იბერიასთან, ხოლო მე 4 საუკუნეში გოგარენ-გარდაბანის მხარე საბოლოოდ შეუერთდა იბერიას.

იმ ხნის მანძილზე, ვიდრე გოგარენი სომხეთთან იყო დაკავშირებული, მოსახლეობის შემადგენლობა გოგარენ-გარდაბანის მხარის, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და ძირითადად იხვევ ქართული დარჩენილა.

რომ გოგარენ-გარდაბანის მხარეს არ დაუქარგაეს ამ ხნის განმავლობაში ქართული ხასიათი, ამას ადასტურებს ამ მხარის სომხეთიდან ჩამოშორებისა და საქართველოსთან შეერთების ისტორია.

როგორც ირკვევა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, გოგარენის მხარეს მე-4 საუკუნის მანძილზე ორჯერ მოუხდენია აჯანყება სომხეთის წინააღმდეგ, საქართველოსთან გაერთიანების მისაღწევად. პირველად გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს და შეერთებია საქართველოს 349 წელს; მეორედ გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს 387 წელს და ამ მეორე აჯანყებების შემდეგად გოგარენის მხარეს მიუღწევია იმისათვის, რომ საბოლოოდ გაერთიანებულია საქართველოსთან.

რომ გოგარენის მხარე ადრეულ საშუალო საუკუნეებში ეთნოგრაფიულად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამას ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ჩვენებათა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) მოსე ხორენელის უწყება. სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელს დაცული აქვს პირდაპირი ცნობა, რომ გოგარენის საპტიანშო მოსახლეობის შემადგენლობის მხარით ქართული მხარე იყო, რომ გოგარენის მოსახლეობას ქართველები (იბარიელები) შეადგენდნენ¹.

ბ) იოანე კათალიკოსის უწყება. სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ჩვენების თანახმად გოგარენი ეს არის იგივე იბერია და სახელწოდება გუგარელი იბერიელის სინონიმის წარმოადგენს².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან აგრეთვე შემდეგიც.

ის გარემოება, რომ გოგარენი ეთნოგრაფიულად ქართულ მხარეს წარმოადგენდა, რასაკვირველია არ ნიშნავს იმას, რომ გოგარენში ქართული მოსახლეობის გვერდით არ იყო სომხური მოსახლეობა. რასაკვირველია უკვალოდ არ უნდა ჩავვლო იმ გარემოებას, რომ გოგარენის მხარე საკმაოდ მნი-

¹ ი. თ. ხორენელი, II, 8.

² ი. თ. ხორენელი, გვ. 132.

შენელოვანი დროის მანძილზე დაკავშირებული იყო სომხეთთან. ამასთან გოგარენი საქართველოსა და სომხეთის მოსახლერე მხარე იყო სომხური სახეობის, რომ სანაპირო ოლქში ქართული მოსახლეობის გვერდით სომხური მოსახლეობაც არსებულყო.

სინამდვილეში ეს ასეც ყოფილა.

ჟალრესად საყურადღებო ჩვენებას გოგარენ-გარდაბანის მხარეში ქართული და სომხური მოსახლეობის გავრცელების შესახებ აძლევს ის ცნობები, რომლებიც ეხება ქართული ენის ხმარებას ძველ ქართულ საეპისკოპოსოებში.

როგორც მოვიხსენიეთ, იბერიაში მე-6—7 საუკუნეთა მანძილზე 35 საეპისკოპოსო არსებობდა¹, მათ შორის გოგარენ-გარდაბანის მხარეში იყო ორი საეპისკოპოსო: ხუნან-აგარაკისა და ცურტაეისა.

იბერიის ამ 35 საეპისკოპოსოთა შორის 34 საეპისკოპოსოში ქართული ენა ყოფილა მიღებული, და როგორც წირვა-ლოცვა, ისე ქადაგებანი ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ამ ქართულ საეპისკოპოსოთა რიცხვს ეკუთვნოდა კერძოდ გოგარენ-გარდაბანის მხარის პირველი საეპისკოპოსო: ხუნან-აგარაკისა.

რაც შეეხება გოგარენ-გარდაბანის მხარის მეორე საეპისკოპოსოს (ცურტაეისას), აქ ნარევი, ორ-ერიაინი სამწყსო ყოფილა, ქართულ-სომხური. ამიტომ აქ წესად ყოფილა მიღებული, რათა ამ საეპისკოპოსოს მღვდელ-მსახურთ ორივე ენა უნდა სცოდნოდათ, აგრეთვე მწიგნობრობაც ორისავე ენისა².

ენის საკითხი ცურტაეის საეპისკოპოსოში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მწვავედ იდგა მე-7 საუკუნის დასაწყისში. კირიონ ქართველთა კათალიკოსს სწამებდნენ, რომ მან ცურტაეის საეპისკოპოსოში მოსპოო სომხური მღვდელმსახურება; კირიონი კი ამტკიცებდა, რომ „ეპისკოპოსმა, რომელი დავადგინეთ, ქართული და სომხური მწიგნობრობა თანასწორ იცის და მსახურებას ასრულებს ორითავე მწიგნობრობითა“³.

აქ საჭიროა ვიცოდეთ ამათთან, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარის ამ ორ საეპისკოპოსოთაგან ტერიტორიულად ბევრად უფრო ფართო მოცულობისა იყო პირველი საეპისკოპოსო—ხუნან-აგარაკისა, — რომელიც ენობრივად ქართული ყოფილა. როგორც ზემოთ გვქონდა ნაჩვენები, ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო ეს იყო კათედრა ძორის უბნისა, ხოლო ცურტაეის საეპისკოპოსო კობის უბნისა. ამის მიხედვით ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო, რომელიც ენობრივად ქართული იყო, მოიცავდა დაახლოებით 80 % გოგარენ-გარდაბანის ტერიტორიისა, ხოლო ცურტაეის საეპისკოპოსო, რომელიც ენობრივად ორ-ერიაინი იყო, ქართულ-სომხური, მოიცავდა დაახლოებით 20 %-ს გოგარენ-გარდაბანის ტერიტორიისა.

ასეთთა ეს ჟალრესად საყურადღებო ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება გოგარენ-გარდაბანის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ იღრეულ საშუალ საუკუნეებში.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ენის ისტორია, 1928 წ., გვ. 279, წიგნი ეპისტოლეთა 1901, გვ. 179.

² იხ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 179, 110, 166, 174, 74, 169.

³ იხ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 171.

•

დასკვნება

ჩვენ გავეცანით ყველა არსებულ პირველწყაროებს, რომელთა მიხედვით ირკვევა ძირითადი საკითხები როგორც გოგარენ-გარდაბანის მხარის ისტორიისა, ისე საზოგადოდ სამხრეთ-ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის მხარეების ისტორიისა ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალ საუკუნეებში. პირველწყაროების ზემოთწარმოდგენილი ანალიზის შედეგად დადგინდა ჩაითვლება შემდეგი.

1. როგორც გამოიკვეა, სავსებით ყალბია და შემცდარი გავრცელებული შეხედულება, რომ ანტიკურ ხანაში ვიდრე საშუალ საუკუნეთა დასაწყისამდე ვითომც სომხეთთან ყოფილიყოს დაკავშირებული სამხრეთ ქართლის მხარეები თრიალეთი და ტაშირი (ლორე-ბამბაკით) და მესხეთის მხარეები ჯავახეთი და არტაანი. ეს მხარეები სამხრეთ ქართლისა და მესხეთისა არც ერთ პერიოდში ანტიკური ხანისა და ადრეული საშუალ საუკუნეებისა არ შედიოდა სომხეთში, არამედ იბერიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

2. იბერიის ძველი ისტორიული ტერიტორია — გოგარენის მხარე, რომელიც ანტიკურ ხანაში ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული, და რომელიც იბერიამ დაიბრუნა მეოთხე საუკუნეში, შეიცავდა იბერიის მხოლოდ ერთს შედარებით პატარა კუთხეს იბერიის განაპირაზე, — სახელდობრ გარდაბანის პროვინციას (შემდეგ დროინდელი ყაზახ-შამშადილი, ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის მხარისა).

3. იბერიის ეს ძველი ისტორიული მიწა-წყალი გოგარენ-გარდაბანის პროვინცია (ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის მხარისა) თუმცა ანტიკურ ხანაში რამდენიმე საუკუნე მოწყვეტილი იყო საქართველოს, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობა აქ ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად არ შეცვლილა: გოგარენ-გარდაბანის პროვინცია თავიდანვე ყოფილა ქართული მხარე და შემდეგაც ძირითადში ქართულ მხარედვე დარჩენილა. ამით იყო გამოწვეული, როგორც გამოიკვეა, ის გარემოება, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარე, იმ პერიოდში, როდესაც იგი საქართველოს იყო მოწყვეტილი, მუდამ იჩენდა მისწრაფებას გაერთიანებოდა საქართველოს და ამის მისაღწევად გოგარენის მხარეს, როგორც ვნახეთ, ორგზის მოუხდენია აჯანყება მეოთხე საუკუნის მანძილზე, რაც საბოლოოდ ამ კუთხეს იბერიასთან გაერთიანებით დასრულდა. რომ ეს მხარე მოსახლეობის შემადგენლობის მხრით დასახელებულ ეპოქაში ძირითადში ქართული იყო, ამას ამტკიცებს, როგორც გამოიკვეა, აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება ამ მხარის ეკლესიებში მიღებული ენის შესახებ ადრეულ საშუალ საუკუნეებში. აღსანიშნავია ამას გარდა თვით სახელწოდებაც ამ მხარისა „ქართველთა ველი“, რა სახელწოდებითაც ეს მხარე ცნობილია საშუალ საუკუნეთა საისტორიო წყაროებით და რა სახელწოდებაც ამ მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის მაჩვენებელია.

დასასრულ, დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებასაც.

იმის გამო, რომ ისტორიული ქართლის ძველი ეთნოგრაფიული საზღვრები ახალ საუკუნეებში თანდათანობით შეპყირდა და განჯის მხარის ყაზახ-



შამშიდლის პროვინციაში ქართული მოსახლეობა გვიან ხანაში დასახლდა. — საქართველოს ძველი ისტორიის შეკლევით ეს კუთხე — ყაზახ-შამშიდლი — სრულიად რჩებათ მხედველობის არედან საქართველოს ძველი-მიწა-წელის ფარგლების გათვალისწინებით დროს; ეს კუთხე — ყაზახ-შამშიდლი არც კია მიჩნეული ისტორიული ქართლის ნაწილად (ასეთი შეცდომა დაშვებული აქვს თვით ვახუშტი ბატონიშვილსაც კი, და ესვე შეცდომა შეორდება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში). სინამდვილეში კი, როგორც გამოიკვეა, ეს კუთხე განეკის მხარისა — ყაზახ-შამშიდლი, ძველი „ქართველთა ველი“ (გარდაბანის მხარე) ისტორიულ წარსულში არა იარტო პოლიტიკურად, არაედ ეთნოგრაფიულადაც ნაწილი ყოფილა ქართლის ქვეყნისა.

(დარჩელება იქნება)

ბიბლიოგრაფია



გრიგოლ აბაშიძე „ლიქსები და პოემები“

სახელგანი, 1950 წ.

პოეტი გრიგოლ აბაშიძე ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მისი ყოველი ლექსი, ლექსის ყოველი სახე თანამედროვეობის თემზეა ფეხებული. მდიდარი იდეური შინაარსი პოეტის შემოქმედებაში პოეზიას ადევნატურ ფორმას, ამიტომ პირველი, რაც კი თვალში ეცემა მკითხველს, ეს არის გ. აბაშიძის პოეზიის მშატყრული და შემეცნებითი ფუნქციის მთლიანობა.

შინაარსის სიმდიდრესა და მაღალიდებულობასთან ერთად გრიგოლ აბაშიძისათვის დამახასიათებელია მაღალი პოეტური ტექნიკა. პოეტის ხერხების სახელე ქართული ლექსის ბუნებრივად გამომდინარეობს. მის პოეზიას ახასიათებს სახელე კონკრეტულობა, რეალობა და ორგანიული კავშირი კლასიკურ და ზალხურ შემოქმედებასთან. პოეტის ენა ძარღვიანი და ბუნებრივია.

ყოველივე ეს ნათლად მოჩანს გრიგოლ აბაშიძის უკანასკნელ წიგნში „ლექსები და პოემები“. ამ წიგნში თავმოყრილია პოეტის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. წიგნი თემატიკურად დაყოფილია ცხრა განყოფილებად. პირველი განყოფილება დასათურებულია „გამარჯვების და დიდების სარდალს“. ამ მოთავესებული ლექსების უმრავლესობა მიძღვნილია ზალხთა დიდი ბელადის სტალინისადმი. წიგნი იხსნება ლექსით „დიდება“, რომელშიაც პოეტი ალტაელებთან უმღერის ზალხთა ბრძენ ბეულადს:

„მის თვალთა ვლქავე გუჯებში
სობრძენ და სინათლე ბრწყინდება.
ციცხლობდეს ზალხების ნუგეში,
დიდება,
დიდება,
დიდება!“

ლექსი „დროშები“ ასახავს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ზალხის ისტორიულ ბრძო-

ლებს. ეს ლექსი ერთი საუკეთესოთაგანია მთელ კრებულში. მკითხველის თვალწინ დგებიან ძველი ქართული დროშის და ქართული ზალხის სახელოვანი დამცველები — ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, პატარა კახი.

„დავითის დროსაც, ვახტანგის დროსაც
მუდამ ქართლის მტერს ჰქონდა ზიანი,
და ფრიალებდა დავითის დროშა,
ძლიერი დროშა გორგასლიანი“.

მეგრამ ვაიდა დრო და ძველი ოპადახდილი დროშა მუზეუმს ჩაბარდა. „ახლა სხვა დროშა დგას მეწინავედ“, ასტალინის დროშა ძირს დაუხრელი“.

„მეგრამ საღამოს როცა ბინდდება,
როცა სტალინის ისმის ბრძანება,
ის ძველი დროშა ისევ ბრწყინდება,
ის ძველი დროშაც ხედავს ზმანებას“

და ამ ძველ დროშასაც სერს გამოიოდეს სააღმოდ და შეუერთდეს ახალ მეწინავე დროშას. ასე ახატება პოეტის წარმოდგენაში თავისუფლებისათვის ბრძოლის ძველი, კეთილშობილი ტრადიციების ცხოველყოფილება სტალინურ ეპოქაში. ლექსში „სტალინი ირანში“ შესანიშნავად არის გამოხატული სტალინის დიდი სახე მომავლ გამარჯვებათა პერსპექტივაში. ლექსში „შენ, ბედნიერი პატარა ქოხი“ პოეტი უმღერის ამ პატარა სიხლს, სადაც გაატარა თავისი ყრბობა დიდმა ბელადმა, „ფოლადის სიმღერაში“ იგი უმღერის ქართულ ფოლადს და „თავად ფოლადის კაცის დიდებას“.

ლექსში „პერიამ მოგვეცა დასტური“ პოეტს გამოხატული აქვს ის სასიხარულო წიგნი, რომელიც გაიმართა ქალაქ თბილისში, რომლისაც დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი



ღერეტი ბერია დათმობდა კენჭი ყვარა თბილისში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნებში.

„მას გაუმარჯოს, ჩვენს გულზეც დრომანაც ასე სწერთა: თვითონ სტალინსაც ხმას ვაძლევ, როცა ხმას ვაძლევთ ბერიას“

ბელადის სახე გამოხატულია აგრეთვე ლექსებში: „როცა“, „სენის ოჯახში“, „ოპორტიული ბერეკაები“, „სტალინ, შენ იცავ ხალხთა მშვიდობას“ და სხვ.

ამავე განყოფილებაში არის მოთავსებული შესანიშნავი ლექსი „ვაზაფხული“. ეს ლექსი მიძღვნილია იმ გმირებისადმი „რომლებიც დიუნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ (სტალინი). ლექსს წინ უძღვის ეპიგრამი ამოღებული სტალინის ბრძანებიდან.

ამ ლექსში იტარდება შინაგანი მღვლეობა დაღუპული გმირების გამო და ამ გმირთა სახელის უკვდავება.

„და ვაზაფხული უცნობ საფლავებს, მოსძებნის როგორც ძველი მღვდელი, მოსძებნის მათ, ვინც მოკვდა გმირულად, ვინც საცრისტლო თვლი მიღვლია, ვინც მტრის სიმაგრეს გლეჯდა
ვეფხურად, ვინც თავად პეგედა ზაფხულს მქეზარეს, ვინაც საფლავი შორს გავთარეს და სატრფოს ცრემლი ვერ დაეჭურათ“...

მვრამ გმირული სიკვდილი არ იწყებს უიშვლიანს. ეს ნამდვილი სიკვდილი არც კია

„თავი დახუქვს მათ მეომრებად, ცუცხლს სძინავს მიწაყარბლ გუბებში, გაპარევენა მათი ნუგეში, და ვაზაფხულის განაწერება“.

ლექსი თავდება შთაფრებული სტრიქონებით, რომლებიც შესანიშნავად გამოხატავენ პოეტის ოპტიმისტურ განწყობილებას:

„ეს ვაზაფხული მათი ძეგლია, მათი სიცოცხლის ჩაღმქარაობა“.

ეს ლექსი ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია გრიგოლ აბაშიძის პოეზიაში.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი აბ. კ. ნ. ჩარკვიანი ამბობს: „მარტო ერთი

ლექსი რომელიმე დიდ თემაზე, როგორც ზოგჯერ სათანადო შთაბეჭდილებას, გვიტოვებს, თუ ვფიქრებ ახდენენ ლექსების ციკლები, რომლებსაც უკანასკნელ ხანებში ჩვენი პოეტები ამქვეყნებენ. ამით პოეტები, არანაკლებ პროზაიკებისა, გამოხატავენ ცხოვრებას, საკუროს მწერალთა კავშირმა ჩვენი პოეტების ეს თაოსნობა ლექსების ციკლების შექმნის საქმეში წახალისოს და პოეზია ამ გზით წაიფანოს“.

გრიგოლ აბაშიძე უძველესად ყარგად ამუშავებს ლექსების თემატურა ციკლებს.

ციკლი „სამგობის ველზე“ მიძღვნილია დიადი მშენებლობისადმი, რომელსაც საქართველოს მშრომელები აწარმოებენ სამკობის ველზე. გრიგოლ აბაშიძისთვის დამაშინათებელია, რომ იგი არ იფარგლება ამა თუ იმ თემის ეფრო ჩარჩოებით, იგი ყოველთვის ცდილობს გაზარდოს მხატვრული განხორგადობის მასშტაბი. პოეტს კონკრეტული ყოველთვის გადაყვას ზოგადში და იძლევა გარკვეულ დასკვნას, რომელიც არასოდეს არ წარმოადგენს პირალურ სენტენციას ან მშრალ ფორმულას, არამედ თავისი ფორმით ისეთივე მხატვრული სახეა, როგორც ლექსის დანარჩენი სახეები.

ამ ციკლიდან ავიღოთ პირველივე ლექსი „ლენინი სამკობში“. ამ ლექსში პოეტი მოგვითხრობს, თუ როგორ განიცადა ლენინის სახე პირველად. მაშინ პირველად ნახა თბილისი და ზაქეის სინათლევ. ეს იყო ბავშვობაში და ამის შემდეგ პოეტი ყოველ სინათლესი ზედან ლენინს — „სინათლეს ქვეულს ადამიანად“.

ეს პოეტური ზილვა გვახატავს ლენინის სახეს სხვადასხვა ვითარებაში, მათ შორის სამკობშიც:

„მას აქაც ვხედავ, დგას ამართული, მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი, ტალღას ძლიერი ტალღა გდღვლის და კამფაშს იწყებს ირგვლივ მოაბარი“.

და თრთოლვით მისდევს მავთულებს ღენი,

ზნელი რომ შექით გააშხინა...
ოცნებით ცხედავ იორზეც ლენინს —
სინათლეს ქვეულს ადამიანად“.

ლექსში „მწვერვალებისკენ“ პოეტი ჭართველ ინფინტეს ადარებს მოამსვლელებს, რომლებიც ახალსაღ მწვერვალებს იპყრობენ: „უჯარმის ნანგრევებზე“ აგვიწერს ძალი ტალღის ნანგრევების თბრას. ნანგრევებს დამყურებენ პოეტი და სამკობის მშენებლები და



აგერვებთ: პოეტს — გორასლის კვებება მტრებთან, მშენებლებს — ციხის მასალის გამოძიება და ღიბების ინტაქტური წიბობა. ამ ინტერესში გაერთიანებულნი ისინი წარმოდგენით ზედგან ძველი გახვითის უსაბულო ჯარისკაცს და ოსტატს, „ვისაც შენება უნდოდა არხის და არხის ნაცვალად ციხე ამენა“. წარსულში პოეტი ზედგან ამ დიდ სოციალურ, ზოლიტიკურ და სხვა პრობლემება, რომლებმაც სწორი გარდაწყვეტა მხოვა მხოლოდ დღევანდელიაში.

ღვესები „გამოღვიძება“ და „სამგორის მითითი“ გველენთილია მშენებლობის პათოსით. ღვესები „საღამო თბილისის ზღვაზე“ და „ღიღანის იღინის“ სამგორის ზეღინდელ ღღეს გამოხატავენ პოეტის ოცნებაში. ღვესი „მღაშე ტბებში“ მიძღვნილია ბელადის რვეოლუციური მოღვაწეობისადმი, რომელიც ადრეველ პერიოდში დაეკვირებულა მღაშე ტბასთან, პოეტს სამგორში არ სტოვებს ფიქრი საერთაშორისო აქტუალურ პრობლემებზე. იგი ფიქრობს კორეაზეც („კორეაზე ფიქრი სამგორში“) და უსურვებს კორეასაც ზვენი ქვეყნის ზედღიბნებას; ფიქრობს მშვიდობაზე („სამგორსაც უნდა მშვიდობა“) და ცოცხლ ამთავრებს თავისუფლების შემქმნელის ღიღებით.

